

N5 2016

საქართველო

- ვანო ჩხილაძის ახალი მოთხოვა
ლევან ხაბულიავა — 100
თამარ გალიტაშვილი — გიორგი სოსიაშვილი
ვახტანგ გალაშვილი — აპოლონიას მიზანებზე
ალინა ქადაგიშვილი — თბილისის გამოფენებზე



2016/5

ყოველთვიური ლიცეიაცენტოს –
საჩინო გადამზრდის ქურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან ბოგართელი

მთ. რედაქტორის მოადგილები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე –
ქეთევან მალალაშვილი –
იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი

გარეკანის მეოთხე გვერდზე –
დავით კაკაბაძე – „ავანგარდი“

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბეპიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თელორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჟანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადლობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ქურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მსარბაჭრით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

ვახტანგ კოტეტიშვილი	3	ალექსანდრე ყახბეგი (ფრაგმენტი ნარკვევიდან)
ვანო ჩხიცვაძე	7	პროზა ქულა. მოთხრობა
გენრი დოლიძე	56	პოეზია. ლექსები
ბექა ჯანგველიძე	61	ლექსები
ამირან გომართელი	64	არიტონა • ესეისტინა ლევან ხაინდრავა – 100 კაცი, რომელიც ეძიებდა სამშობლოს
თამარ გელიტაშვილი	72	მავთულხლართის პირისპირ (ფიქრები გიორგი სოსიაშვილის პროზაზე)
ნიკოლოზ სანებლიძე	81	ახალი წიგნები პეტერბურგული „ვერცხლის საუკუნე“ ქართულად
რედიარდ კიპლინგი	87	ახალი თარგმანები პურუნ ბჰაგატის სასწაული. ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ
ვახტანგ გურული	99	უახლესი ისტორიის ფურცლები ქართული არისტოკრატია სამეფოს გაუქმების შემდეგ
ალინა ქადაგიშვილი	110	არტრეზი თბილისი – მუზეუმების აწმყო

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის
ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

ვახტანგ კოტეტიშვილი

ალექსანდრე ყაზბეგი

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ-მა პოეზიამ მიაგნო ორ მწვერვალს, რომელიც უცხოდ სდგანან საერთო ლიტერატურის სივრცეზე. ყველა სხვა ჩვენს მნერალს შეიძლება მოუძებნოთ თუნდ შორეულად მსგავსი ავტორი საქართველოს გარეშე, მაგრამ ვაჟა-ფშაველა და ყაზბეგი კი სრულიად განმარტოებით დარჩებიან. ხოლო ის სიმაღლეები კი, რომელზეც მათ აიყვანეს ქართული სიტყვა და პოეტური გზნება, დარჩებიან როგორც ქართულ სულის გამძლეობის და სიდიდის ნიშნები. მსოფლიო ლიტერატურაში, ბევრი მხატვრის გენია დაქანცა მთის საიდუმლოებამ. რომელი დიდი პოეტი იყო, რომ ხარკი არ მოიხადა ამ მიუკარებელის სასწაულის წინაშე, მაგრამ რომელმა შეძლო კლდეთა ენით ამეტყველება? ვინ იყო ის რჩეული, რომელმაც შეაღო ამ საიდუმლოების კარები? მე მგონია რომ არავინ.

მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით არიან, და მათ-თანვე არის მთას შეფარებული ქართული სულიც. მეტად ძნელია მთასთან მისვლა. იქ სულ სხვაგვარი განცდებია, თავისებური აზრი და ნებისყოფა. იქ ხალხი ამირანის ამალას ჩამორჩენილებივით არიან მდევის ნაფეხურებზე მიმოფანტულნი. იქ სიცოცხლეც სხვანაირია და სიკვდილიც თითქოს უფრო ადვილი. იქ ერთგვარი პანთეონია, სა-



დაც ძველი სულის განძეულობა ინახება თამარის საფლავივით.

ვაჟა და ყაზბეგი, ეს ორი პოეტი მივიდნენ მთასთან ხევის დეკანოზებივით, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ვაჟა „რელიგიით“ მივიდა, ყაზბეგი კი ეთიკით. ვაჟა მთების ჯანყში ხედავდა ლაშარს და ლოცულობდა, ყაზბეგი კი მთაში კაცს ეძებდა და აფიცებდა ხანჯალს და ძმობას. აი, აქ ისმის იგივ მორალური ხმა, რომელიც ალ. ყაზბეგს ათროლებდა ბავშვობიდანვე. ბაირონი წერდა: „გაქცევა ჩემი თავისაგან ყოველთვის იყო ერთად ერთი მიზეზი ჩემი მწერლობისა“, ეს ნიშნავდა „იმავ გონებრივი მოძრაობის გაგრძელებას, რომელიც უამისოდ თავს დამატყდებოდა“. „ამავე სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს ყაზბეგის მწერლობაც. ალ. ყაზბეგმა პირად ცხოვრებაში მალე იგრძნო „ბრწყინვალე“ ცხოვრების სიმშრალე და უშინაარსობა; იგი მალე დაიღალა ხელოვნურობის აუცილებლობით, ეტიკ-

ეტის მორჩილებით. მალე მიხვდა, რომ გართობა კიდევ არ არის ბედნიერება, რომ ადამიანი ელეგანტური თოჯინა არ არის, და რომ ბრწყინვალე „სალონების“ გარდა არის კიდევ სხვა ქვეყანა, სადაც ყველა ამის მაგიერ არის: რწმენა, სინიდისი, ადამიანის უფლება და მართალი განცდები.

ის სინამდვილე, რომელიც ალ. ყაზბეგის თვალშინ იყო გადამლილი, მისი გაგებით ყალბი იყო და მიუღებლად ეჩვენებოდა, როგორც ზედმეტი „ცოდვით“ დამძიმებული; მის თვალში, თანამედროვე ადამიანი უბედური იყო და ამ უბედურობას ორი სათავე ჰქონდა: 1. ადამიანისა და ბუნების გაყრა ერთმანეთისაგან, 2. პიროვნების გათქვეფა იმ უსახეო მასაში, რომელსაც ბურჟუაზიული ცივილიზაცია ჰქვიან. აქ არის იმ დისპარმონის დასაწყისი, რომელიც პირველყოფილ ცოდვასავით ღრღნის ადამიანის სულს. მართალია, ადამიანის ჭკუამ გაიმარჯვა, და ქოხების მაგიერ მთასავით აყვედებული მრავალ სართულიანი სახლები მედიდურობენ, დაბერებული ურმის მაგიერ ავტომობილი სერავს და ნთქავს სივრცეს; კვარისა და ჭრაქის ნაცვლად ელექტრონი ეფინება თვალუწვდენ მანძილს, საწყალი გზირისა და შიკრიკის მაგიერ რადიოები მთვარესაც კი იჩემებენ და ამბის მოტანას გვპირდებიან იქედან... მაგრამ ძვირად დაუჯდა ადამიანს ეს გამარჯვება: იგი ბატონი და შემოქმედი იმავე დროს მონად და მანქანის ნაწილად იქცა. და აი, ეს სინამდვილე შემზარავად ეჩვენება ყაზბეგს. მით უმეტეს, რომ გაზომილი ნაბიჯებით ეჭრებოდა იგი ამ ერთადერთ მივიწყებულ კუთხეს, სადაც მითოსი კიდევ ცოცხლობდა და „ლვთის პირით მოლაპარაკე ხალხი“ კიდევ აგონებდა „დაკარგულ სამოთხეს“. მოდიოდა ახალი საუკუნე შეუბრალებლად, გულში ანგარება ედო და თავი დამძიმებული ჰქონდა მზაკვრული ფიქრით უსირცხვილო სარგებელზე. მართალია, ალ.

ყაზბეგს ეს აზროვნება ამ სიტყვებით არ გადაუშლია, მაგრამ მის თხზულებათა დამკვირვებელ მკითხველს ასეთი მსოფლმხედველობა შერჩება ხელთ. ალ. ყაზბეგი მძაფრი სახეებით ლაპარაკობდა, ხოლო ამ სახეების ლოგიკური სქემა მხოლოდ ასეთ მსოფლმხედველობას იძლევა. მართალია, მისი რომანების სამყარო კაცობრიობის სამყაროს კერძო ნაწილია, მაგრამ ამ ნაწილში რა სულიც ბობოქრობს და უარყოფის წყევლას გზავნის ირგვლივ, იგივე სული წყევლის ამ ბოროტების სათავეს საზოგადოდ.

ალ. ყაზბეგის შემოქმედება ერთი მთლიანი რომანია, ერთი დიდი ტილო, სადაც მეტად თამამი ყალმით დახატულია ხევის წამება. არამცთუ ძირითადი მოტივი, არამედ ხასიათიც და გარეგნული დეტალებიც კი ერთია ყველა ცალკე ნაწარმოებში. აქ არ არის განცდათა მრავალმხრივობა, არც ხასიათთა სხვადასხვაობა, არამედ ერთსა და იმავე ფსიქოლოგიურ მომენტებს ამჟღავნებენ ეპიზოდური პირები, რომელნიც ერთა-სა და იმავე სიტუაციაში ჰყვებიან და ერთსა და იმავე მთავარ აზრს ეწირებიან. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ ალ. ყაზბეგი საზოგადოებრივ მოძრაობის მორევში არის შეჭრილი, სადაც ყველაფერი ამოდულებულია, და სადაც ორი სტიქია შეკვეთებია ერთმანეთს. იმ მომენტს აგვიწერს, როდესაც ამ ორი ძალის დიფუზია ჯერ არ იყო მომხდარი და ორი აზრი, ორი ძალა, ხასიათი, ადათი და სხვ. სიკვდილზე უარესი ტკივილებით იბრძოდნენ და არც არას თმობდნენ. ეს ბრძოლა ყველგან წარმოებდა და ალ. ყაზბეგიც ყველგან ორი ხასიათის გმირთა შორის შლიდა საომარ ასპარეზს. ელგუჯა, კობა, იაგო, გოჩა, ონისე და სხვ. „ერთ-ხორც და ერთ-სულ“ არიან. მათი ნებისყოფის აპარატი, ზეობრივ-გონიერივი კულტურა და მთელი ფსიქოლოგიური ფორმიანობა – ერთი და იგივეა. ალ. ყაზბეგისთვის არსებობს მხოლოდ ერთი დედააზრი,

და ყველგან ამ დედააზრის მატარებელს დაეძებს და ხატავს. მეტად საგულისხმოა ალ. ყაზბეგის ერთი ფრაზა, ი. მეუნარგიასადმი მიმართულ საპასუხო წერილის ვარიანტიდან, რომელიც ამ აზრს ადასტურებს: „გამიშვით სხვაგან; იქნებ იქაც სადმე შევხვდე ეღლგუჯას, ან კიდევ მის პროტოტიპს, ანმყო სავა-გლაბ-სატირალის წარმომადგენელთ“...

ელგუჯა არის მისი საძიებელი. მასში ეგულება კიდევ ბევრი რამ საიდუმლოება, რომელიც ავტორის სულში მარად წყურვილის ტანჯვად იშლება. და ამ საიდუმლოებას დასტრიალებს ყოველ ნაწარმოებში, მთელ თავის შემოქმედებაში, რომელიც მთლიანად არის შეკრული როგორც განუყოფელი ერთიანობა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ალ. ყაზბეგი ერთსა და იმავეს იმეორებდეს მოსაპეზრებლად, პირიქით. თუმც მოტივები ერთი აქვს, მაგრამ ეს მოტივები ისეთ დინამიკაში იჭედებიან, რომ ყველაფერი ხარბად გიზიდავთ. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ყაზბეგს არ აქვს არც ერთი მოსაპეზრებელი ადგილი. ყოველ ნაბიჯზე გაოცებთ უჩვეულო სუნთქვა და მაჯისცემა.

დიახ, ალ. ყაზბეგის შემოქმედება ერთი მთლიანი რომანია, და შემოქმედების ასეთი მთლიანობა ყველა დიდ მწერალს ახასიათებს.

ეს არ არის პარადოქსი. გოეთეს მთელი შემოქმედება – „ფაუსტია“, დოსტოევსკისა – „დანაშაული და სასჯელი“, ბალზაკისა – „ადამიანური კომედია“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბალზაკი, რომელსაც უნდოდა ერთი სათაურის ქვეშ მოექცია ყველა დაწერილი და დასაწერი რომანები, და ეს სათაური უნდა ყოფილიყო „ადამიანური კომედია“ (Comedie humaine). ასევეა ალ. ყაზბეგიც, რომლის შემოქმედების მთლიან სათაურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს „მამის მკვლელი“. ალ. ყაზბეგის მთელი პოეტური გენია ამ მკვლელობის ასახვას მოუნდა, რასაკვირველია, არა

სიტყვა „მამის“ რეალ მნიშვნელობით, არამედ მამაკაცურის, აქტუალურის. „გულის გლოვის პერანგი რად ჩაეცვა“ და კაცებიც „დამალულის იდუმალებით გულში რად ჩაიტიროდნენ“. აი ის შემოქმედებითი ამოცანა, რომელსაც ალ. ყაზბეგის აზრით ახსნა მხოლოდ „მამის მკვლელობაში“ ეძებნება.

ამ მთლიან რომანში თვით ავტორი არის ცენტრალური ფიგურა, რომელიც ან უხილავად თანა სდევს თავის გმირებს, ანდა ამბობს საკუთარი სულის აღსარებას. ასე რომ, ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში შეიძლება აღინიშნოს ორი მომენტი: 1. ცდა სხვადასხვა გმირთა სახით სიცოცხლის დრამის ობიექტური გადაშლისა და ფსიქოლოგიურ სიმართლის ძიებისა, და 2. წმინდა სახის ავტობიოგრაფიული მოთხრობა, სადაც იგივე არის მოცემული არა გმირთა სახით, არამედ საკუთარი მოთხრობით. ორივე მომენტი კი საბოლოოდ ერთ საფუძველზე არის აღმოცენებული, სუბიექტურობაზე, რაც ალ. ყაზბეგის შემოქმედებას აძლევს ღრმა ლირიკის ხასიათს. ასეთ შემოქმედებას გულისხმობდა შპილჰაგენი, როდესაც ამბობდა: „თანამედროვე რომანის ულრმეს ფენებში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ცდილობს კიდეც სასტიკად დაიცვას ობიექტივობის და უპიროვნობის ხილულება, არის პოეტისა და გმირის დაახლოვებითი შეერთება“. ალ. ყაზბეგის თითქმის ყველა რომანში, მთავარი გმირის ნიღაბ ქვეშიდან ავტორი გამოიყურება, და ჩვენც მკაფიოდ ვხედავთ იმ კონგენიალობას, რომელიც აახლოვებს დამხატველის და დახატულის განცდებს, თუ მთელ ფსიქოლოგიურ აგებულებას.

მისი საყვარელი გმირები, ყველანი იმასვე გრძნობენ, რასაც ავტორი, ყველას მიერ შეიგზნება ის სასტიკი და ჩათხრობილი სული, რომელიც ულელტეხილ ეპოქას ახასიათებდა

და ყველანი გარდასულისაკენ იცქ-
ირებიან... აქ ტკივილების საშინელე-
ბაა, რომელიც აზროვნებას ჰყინავს
და სამაგიეროდ იწვევს აფექტების
მეტამორფოზებს. აქ არც უცხო გავ-
ლენების შესახებ შეიძლება საუბარი,
რადგან ყაზბეგის შემოქმედების ნიადა-
გი, როგორც ვაუა-ფშაველასი, არის
ჩვენი დედამიწა. იგი ცდილობდა თა-
ვისად ექცია ის განცდები, რომელიც
ჩვენს მთაში ტრიალებდნენ და შეექმნა
რაღაც თავისებური ქვეყანა, როგორც
სიცოცხლესთან შეგუების ერთადერთი
შესაძლებელი ფორმა.

და ეს მისი ახალი დედამიწა თუ სა-
მყარო, გაცოცხლებულია ისეთი დიდი
სულის შთაბერვით, რომ იქ ყველაფერი
გასულიერებულია. კენჭი, ვარსკვლა-
ვი, ბალახი, ნისლი, ირემი, ადამიანი.

ყველა ერთ დიდ მოძრაობაში არის
მოსული, ყველგან ეჩვენება სასურვე-
ლი სიცოცხლის სიწმინდე და ძალა.
დიახ, ყველაფერი გასულდგმულებუ-
ლია აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში, და
ეს ყველაფერი გარს ევლება ადამიანს,
როგორც მთელი კოსმოსის აზრის მიმ-
ცემს და დაგვირგვინებას.

ალექსანდრე ყაზბეგს ადამიანი მიაჩ-
ნია უსაზღვრო ღირებულებად. რადგან
მასში ეგულება აურნყველი წადილები
და მიჯნა დაუდებელი სწრაფვა სის-
რულისაკენ. ერთი სიტყვით, ადამიანი
სუბსტანციაა, რომელიც თვით არკვევს
თავის თავს, თუ შეიძლება ასე ითქვას.
ამიტომ არის, რომ ადამიანის ინდი-
ვიდუალური ბედისწერა ასე აღელვებს,
აფიქრებს ჩვენს ავტორს.

ვანო ჩხილაძე

ქულა

ეგონა, ეს ვეებერთელა რკინის ყუთი ადგილზე ზრიალებდა, ხრჭიალებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, სხვა ყველაფერი კი გარბოდა – ბუჩქები, ხეები, ცაზე მი-მობნეული ღრუბლის ნაფლეთები, ჯერ ნელა, ტაატით შორდებოდნენ, მერე აუჩქარეს, გამაყრუებელ დაგადუგში მოკურცხლეს მაღალი ძაბვის ბოძებმა... გათავდა ლინანდაგს ადევნებული ბუჩქნარი და ახლა გვალვით გადატრუსული მინდორი გამოჩნდა, მერე გაბერნებული, კუზიანებივით წახრილი ვაშლის ხეების ბალები... მინდორი და ბალებიც გარბოდნენ; ქარსაცავის ალაგ-ალაგ მოჭრას გადარჩენილ ჭადრებსაც და სამანქანე გზისპირებზე მიტოვებულ დამწვარ-დაბუგულ სამხედრო ტექნიკას, ცეცხლის ალით გალოკილ ავტო-მანქანების ჩონჩხებსაც ფეხი აედგათ... გარბოდნენ, გარბოდნენ და ვერ გაეგო, იქ, იმ უბედურებისაკენ რა უნდოდათ, საიდანაც თვითონ გამოიქცა.

სამვაგონიანი სექცია მძიმე-მძიმედ შეღლოლდა მორიგ ბაქანზე, შეყანყალდა და შედგა.

კარი გაიღო. სულ რამდენიმე ხელ-ბარგიანი ქალი და ბავშვიანი კაცი ამოვიდა.

– დედა, რამხელა! – ხელჩანთა ფერდთან მიიხუტა წინ მომავალმა ქალბატონმა, თითქოს ქულა ჩანთის წასართმევად ებდღვნებოდა.

– რა ლამაზია! – გაუცინა ბავშვმა

და მოსაფერებლად ხელი გაიწოდა.

კაცმა – ცოფიანი არ იყოს, ხომ ხე-დავ სახე როგორ აქვს აფცქვნილიო, – გოგო უკან დასწია.

– რატომ, მამა, რატომ?

– რა ვიცი, შეიძლება მძიმე ავად-მყოფობა სჭირს.

– მძიმე? – ბავშვს უკან დარჩა თვა-ლი.

ყველა მოერიდა, ტამბურიდან შეილალნენ ვაგონში და მოზრიალე კარი მიიკეტეს.

ისევ მარტო დარჩა, კუთხეში მიკუნ-ჭული.

არაფერიც არ სჭირს. ჯანმრთელზე ჯანმრთელია. დაფუფქული სახე კი მდუღარე წყლის ბრალია, მაგრამ ვის უთხრას ან როგორ გააგებინოს.

როგორც ბეგრი სხვა რამ, ადამიანებს აღარც მანანნალა ძალები უკვირდათ მატარებელში. სოფელი, თავისთავის გამოკვებაც რომ უჭირდა, ნაგაზებს ქალაქს უგზავნიდა. უცხო გარემოში მოხვედრილი, დაბნეული მყეფრები ტამბურში ან ვაგონის სკამებქეშ გალურსულები ელოდნენ, ვიდრე გამყოლი ჯოხით არ ჩამოივლიდა და ქალაქის სადგურში არ ჩამორეკავდა.

ზოგი თუ ფეხის დაბაკუნებაზეც ძირს ჩამორბოდა, ზოგიც გაჯიუტდებოდა, უკმაყოფილო ღრენით იგერიებდა გამყოლის ჯოხს.

ვაგონებიდან ჩამოყრილები, ალალ-

ბედზე გარბოდნენ – ემატებოდნენ მოხეტიალე, სანაგვე ურნებთან შე-ქუჩებულ ხროვებს.

იქაც არ იყო იოლი ადგილის დამკვიდრება, სანაგვემდე მისვლის უფლება ბრძოლით უნდა მოეპოვებინათ, სუსტი და უგერგილო მანანნალებშიც იჩაგრებოდა.

განსაკუთრებით ოთახის ნაპატიებ, მოფერებაში გაზრდილ ძალებს უჭირდათ.

ქულაც, თუ უკანასკნელ ხანებს არ ჩავთვლით, იმ ბედნიერთა შორის უნდა გვეგულისხმა, მოფერება, ყურადღება და საჭმელი რომ არ აკლდათ.

ახალთვალახელილი ლეკვი იყო, მწყემსებმა ეკლესიის წინამდლვარს, მამა პავლეს რომ აჩუქეს. მთის სოფელში, წირვის შემდეგ, მანქანაში მჯდომ მღვდელს კალთაში ჩაუსვეს – თეთრი, ღუნდულა, დაბურთული.

– ეს კიდევ ამის „სოსკაა“, – ჩაუდგა თავჩიობანმა საწოვარიანი რძის ბოთლი.

– რძეს მიირთმევს?

– მაშა, ჯერჯერობით სხვას არაფერს გეახლებათ, ცოტა ხანში შეიძლება შრატში პურიც ჩაუგულოთ.

– რა ლამაზი და ფუმფულა!

– მერე ნახეთ, მამაო, რამხელა გახდება, ცხენიდან კაცს ჩამოილებს... სუფთა ქართული ჯიშია, ჭკვიანი, დამჯერე, პატრონისა და ფარეხის ერთგული.

– როგორ თრთის და კანკალებს. არა, ნამდვილი თეთრი, ქათქათა ბამბის ქულაა, – ხელები მუცელთან ამოუწყო ლეკვს.

– მალე შეგეჩვევათ და თქვენზე მეტად არავინ ეყვარება.

– დაგლოცოთ ღმერთმა, დიდი მადლობა.

– როგორ გეკადრებათ... ცოტა ხანს რძე არ მოაკლოთ და მერე თუ გინდათ ქვას დაღეჭავს! – მხარზე ეამბორა და გამოეთხოვა.

მთელი გზა მღვდელი ლეკვის და

ლეკვი მამაოს ხელისგულების სითბოს გრძნობდა. სითბო და თავისებური სურნელი ანაფორის კალთებს, სახელოებს და ხელებს რომ უდიოდათ, მაშინვე ძვალ-რბილში გაუჯდა, განსაკუთრებულ სიამოვნებას მღვდლის კალთაში ხელის ნებზე თავმიდებული გრძნობდა და ამ სურნელით სასიამოვნოდ გაბრუებული იძინებდა ხოლმე.

ცოტა რომ მოიზარდა, მამაოს ურჩიეს, ყურები დააჭირით და უფრო ავი გაიზრდებაო.

– ამის სიავე რაში მჭირდება, პირიქით, თვინიერი და ყველას მოყვარული მინდა იყოსო. თვითონ აბანავებდა, ვარცხნიდა, გაჩეჩილი მატყლივით რომ აფუვდებოდა, ნახე რა შესაფერისი სახელი მოგიძებნე, მართლაც ქულა ხარო.

ესეც არ სცილდებოდა, თავისებურად ეფერებოდა პატრონს.

ზოგჯერ ეთამაშებოდა, დაემალებოდა, თავს აძებინებდა.

სადა ხარ, ქულა, დამენახვეო, დაუძახებდა მამა პავლე და როდის, როდის, საწოლის ქვემოდან ან კარადის უკნიდან გამოძვრებოდა, თან უეჭველად რაიმეს გამოათრევდა, დაღრღნილ ჭილობის ნაჭერს თუ ოთახის ფეხსაცმელს.

დატუქსავდა, თითს დაუქნევდა მღვდელი, ახლავე თავის ადგილზე დადეო და ესეც ნადავლს უკან მიათრევდა.

როცა მოიზარდა, მამაოს კელიის წინ, შემოღობილში, მიუჩინეს ბინა.

თანდათან დაუმსხვილდა ტორები, უკვე მამაოს ხელისგულს ფარავდნენ და, როცა აეტოტებოდა, შეაბარბაცებდა ხოლმე.

თვალები შერჩა ძველებური, ნათელი, გულუბრყვილო. საკმარისი იყო მღვდელს შუბლი შეეკრა და ქულაც მოიწყენდა, მკერდზე მიაყუდებდა ხვედასავით თავს და ზურგზე გადასმულ მამა პავლეს ხელს გაუტვრინდებოდა, ნაცნობი სურნელით ტკბებოდა.

ქულას ბედნიერება სულ რამდენიმე წუთში დაინგრა.

ჯერ შორიდან, სოფლის განაპირა, ფერმების მხრიდან მოისმა აფეთქებების ხმა, მერე რაღაც თითქოს ზედ ყველათან გასკდა და მაღლა ბურთივით აისროლა. გონს რომ მოვიდა, იწვოდნენ ჭერჩამოქცეული კელიები, ციდან ისარივით დამვებული თეთრი ნათება მიწაზე ცოდვის კითხვას ატრიალებდა, ირგვლივ, თვალის დახამხამებაში, ყველაფერი ნაცარტუტად იქცა...

მტვერში, კვამლსა და ორომტრიალში ვიღაცამ შემოლობილის კარი გამოგლიჯა – ჩქარა, გამოდი, თავს უშველე, ქულაო.

მამაო იყო.

ქულაც გამოვარდა. გარბოდა ყველა, კვალში მისდევდათ აფეთქებების ხმა და ცეცხლი და ესეც გაიქცა.

კვამლსა და აურზაურში მამაოსკენ გზა ვეღარ გაიგნო, ვეღარ დაინახა, დაკარგა კვალი. ეკლესიის ღობესთან რუზე გადებული ბოგირი გადაირბინა და დაღმართზე დაეშვა.

სოფლის სკოლის ფეხბურთის მოედანზე ჭურვებით დათხრილი ორმოები ხრჩოლავდნენ, იქითაც, ერთმანეთს მიბმულ ბალ-ვენახებსა და საყანე მინდვრებში, ცეცხლი ბუგავდა გვალვით ჩამხმარ ბალახს.

გარბოდნენ ადამიანები და ქულაც გარბოდა. თან გაფაციცებული ნაცნობ ანაფორას დაექებდა, მაგრამ მღვდელს თვალი ვეღარსად მოჰკრა.

მერე თავზემოთ გადაიქროლეს შავმა ჩრდილებმა, გადასერეს ველი და ყველანი მიწას დაეფინენ.

ცეცხლის ნიაღვარი გაუთიბავი ბალახიდან ახლა გაფიცებული, ბოხოხებივით დამხობილი ბულულებისაკენ გასრიალდა, მარჯვნივ და მარცხნივ გაიშალა, აბობოქრდა, ყველაფერს მოედო. წითელი ალი გაქცეულებს ფეხდაფეხ მოსდევდა და უკან გადაშავებული ველი რჩებოდა.

ნიავის ძვრა არ იყო.

დახუთულ ჰაერში კვამლი გაუნდ-რევლად იდგა.

ვიღაც, მტვერსა და ნაცარში ამოგანგლული, ამაოდ ჩასძახოდა მობილურ ტელეფონს.

გვერდით, კვამლისა და დამწვრის სუნში, კიდევ რაღაც გამორჩეულად ყარდა – ქულას სიახლოვეს პირქვე ჩამხობილი კაცი ხაოდა, ფეხზე გადახსნილი არტერიიდან ჯერ კიდევ მოსჩეფდა სისხლი და მიწაზე მუქად დედებოდა.

ოხშივარის სუნმა გააღიზიანა.

უკან გახოხდა.

შორიახლო ისევ ამოხეთქა წითელმა ნიაღვარმა. აქეთ დარჩენილ საურმე გზისპირა ყამირს მოედო, ატკაცუნდა, რკალივით მოღუნული წამოვიდა, მინდვრის შუაგულისკენ დაიძრა, თითქოს თავზევით მობორიალე ურჩხულების ნამოქმედარი უნდა წაეშალა, მიყრილ-მოყრილი ხელბარგი და დაფლეთილი ადამიანების „ნივთმტკიცება“ მოესპო.

ქულა ახლა საწინააღმდეგო მხარეს გაიქცა.

გულის ამოვარდნამდე ირბინა.

მოწყურებული დამშრალ არხში ქინქლადახვეულ გუბეს დაეწაფა.

ასეთ ამღვრეულ წყალს აკადრებდა მამა პავლე?

არხიდან ამოვიდა.

ხილის ბალში საყარაულო ფიცრული იდგა.

ფიცრულის აღმოსავლეთით, ჩრდილიან კედელთან, ერთი იღლია თივა ეყარა.

მიწვა და გადაქანცულს მაღე ჩაეძინა.

საჭმლის სუნმა გააღვიძა.

გათენებულიყო.

სუნს ყნოსვა-ყნოსვით მიჰყვა.

ხილის ბალს პატარა, საყანე მინდვრიდან ფლატე აცალკევებდა.

მინდორზე კარავი გაემალათ. იქვე საველე სამზარეულოს ქვაბები

ქშინავდნენ. ზარფუშიდან ორთქლი ამოდიოდა. ამ ქვაბებიდან ამოფშვე- ნილმა სუნმა მიიტყუა ქულა.

ქაფქირიან მზარეულს წინ დაუცუც- ქდა.

პირი თავისთავად გაელო და ნერ- წყვმომდგარს ენა ლაშებზე ჩამოუ- გრძელდა.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? გშია? — მოხედა ულვაშა მზარეულმა.

ქულამ თვალები დაახამხამა.

— ცოტა ხარშვა აკლია, მაგრამ, მგო- ნი, მანც არ დაიწუნებ, შენი კბილების პატრონს ამ ძვლის დამუშავება არ გაგიჭირდება! — ქაფქირიანმა ხორ- ციანი კოჭის ძვალი წინ გაუგორა.

საჩუქარი დაითრია და ქულა მუშამ- ბაგადაფარებულ, სასადილო მაგიდის ქვეშ შეძრა.

წამოუწვა. ის იყო წინგაშვერილ თათებში მოქცეულ ძვალს ხორცი აას- ვლიპა, რომ ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა და თითქმის ერთდროულად მის გარშე- მო ჭვინწმალალი, კირზის ბათინკები დამწკრივდნენ.

მაგიდა ახმაურდა, თუნუქის ჯამებს კოვზები შეესივნენ, ვიღაცები თავ- შეუკავებელი ხრუპუნით ნთქავდნენ წვნიანს, მაგიდის ქვეშ კი, ქულას ირ- გვლივ თავმოყრილი, პატრონების ემო- ციებს აყოლილი ბათინკები ტოკავდ- ნენ, ცმუკავდნენ, თითქოს ადგილს ვერ პოულობდნენ.

ქულამ ველარ მოითმინა და ძვალს აუტეხა კანაკვნუნი.

მარილიანმა ძვლის ქონმა სასია- მოვნოდ ჩაულბო ყელი.

უცებ მაგიდა გაჩუმდა, მერე მუშამ- ბის გვერდებმა აინიეს და რამდენიმე წყვილმა თვალმა შემოიჭყიტა.

ვაჟ, ამას აქ რა უნდაო, ბათინკებმა ფერდები მოუსინჯეს.

განსაკუთრებით შუათანამ, სხვებთ- ან შედარებით უფრო აგრესიულმა, სხ- ვადასხვა ფერის ზონრიანმა ბათინკის ჭვინწმა ივაჟუაცა, პირდაპირ ცხვირში

დაეჯახა და ძვალი გააგდებინა.

დანარჩენებიც აიჯაგრნენ, მისკენ იწევდნენ, ნაყამირალს ამტვერებდნენ.

ბათინკებს და ბათინკის ყელში ჩატ- ანებულ ყვითელ-მწვანე სამხედრო შარვლებს ოფლის, ვაქსის და კიდევ რაღაცის გულისამრევი სუნი ასდიო- დათ.

გვიანდა მიხვდა, ამის მსგავსი სუნი იქ, მინდორში, შეიგრძნო პირველად, დაფლეთილ კაცს რომ ეწვა გვერდით, გადამსკდარი კიდურის ძარღვებიდან სისხლმა და ობშივარმა რომ იფეთქა.

ბათინკები ყაყანებდნენ, ბრაზდე- ბოდნენ, იღრინებოდნენ, იმუქრებოდ- ნენ. საკედნად იწევდნენ, თითქოს ადა- მიანები კი არა, ესენი უხათქუნებდნენ მუშტებს. „ჭერი“ ზანზარებდა და დამ- ფრთხალი, მოკუნტული ქულა ლამის მუშტისტოლა გახდა.

აქამდე არ იცოდა, რატომ უნდა შინებოდა ადამიანების. მათგან მოფე- რების, თბილი ხელისგულებისა და ალერსიანი თვალების მეტი არაფერი ახსოვდა. ახლა კი შემოარტყეს ბულ- დოგის ცხვირიანი ბათინკების ალყა, რომელიც ხან დავინწროვდებოდა, ხან გაიშლებოდა, მერე ის, აგრესიული, ადგილიდან მოწყდა და პირდაპირ მუ- ცელში დაეტაკა.

ქულას წემუტუნი აღმოხდა.

სუფრა წამით გაყუჩდა.

ვიღაცამ ისევ შემოიჭყიტა, ქულამ მტკრიანი, ბათინკის პატრონის ოფლით გაზინზლული სახე და ვიწრო თვალები დაინახა.

სახე დაიღმიჭა, ცოტაც და გა- დასკდებოდა დოლისპირივით პრიალა, კანგადაკრული პროფილე.

კაცმა რაღაც უყვირა.

ქულა გასაქცევად წამოვარდა, მა- გრამ საითკენაც მიაწყდა, ბათინკები მიეტივნენ, არ გაუშვეს, აბურთავეს.

მაგიდასთან მყოფებს ვიღაცამ დაუ- ძახა.

ერთხელ, მეორედ.

ბათინკები გარეთ გაცვიდნენ.

ბუღი თანდათან დაიწმინდა.

მალე ჭურჭელი და სკამები ხმაურით წამოკრიფეს, მაგიდაც აკეცეს, სადღაც წაათრიეს.

ქულა, ნაბეგვი და მტვერში ამოგან-გლული, ადგილზე დარჩა.

ახლა რომ მამა პავლეს ამ მდგო-მარეობაში ენახა, იცნობდა?

ქულას მხოლოდ მოფერება შეეძლო.

ეჰ, მამაო, რა იცოდით ლრენა და კენაც თუ დასჭირდებოდა თორემ სხ-ვანაირად გაზრდიდით.

არ ახსოვს ამ მდგომარეობაში რამ-დენ ხანს იყო.

– წამოდი, ცუგა! – ვიღაცამ ქეჩო მოუქექა და ასადგომად უბიძგა.

ქულა კაცს აედევნა.

უფრო უხილეთოაო, ჩაილაპარაკა თანამგზავრმა, საყანე გადაიარეს, გაუ-კაცრიელებულ სოფლის გზას უგანეს და ხილის ბალში გადავიდნენ.

კარგა ხანს მიდიოდნენ.

– ეს საიდანლა მომიყვანე? – შეიცხა-და ჭიშკარში ჩამდგარმა ქალმა.

– ნახე, როგორი ჯიშიანია.

– შენ და შენი ძალლები!.. ნეტა ჯი-შის რა შეატყვე!

– ნახე როგორი კბილები აქვს, ძალლი კი არა, ლომია, ლომი!.. საპონი და თბილი წყალი მოიტა!.. – აიკეცა პერანგის სახელოები.

– ეხლა მაგის ბანაობის დროა? სახლი ლამის თავზე დაგვამხეს... მოცვიდნენ, ყველაფერი გადააქოთეს... ჩამორჩენილ ჯარისკაცებს ეძებენ... აგე, ჩიკორაანთ უბისსკენ ისვრიან!.. – მოტანილი წყლ-ის ქეთლი ხელში შეაცივდა.

კაცმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ქუ-ლას დაბანას შეუდგა.

მალე ბაკის მხრიდან ვიღაცამ და-იძახა.

ლობესთან წელში მოხრილი, ბავშ-ვური გამომეტყველების ჯარისკაცი იდგა.

შეშინებული თვალებს აცეცებდა,

მომდევდნენ და გამოვექციო.

რეზერვისტი იყო, ხეირიანად ავტო-მატიც არა მჭერია, მანქანებიდან ხი-დის გადასაკეტად რომ ჩამოგვყარეს, გუშინდლამდე აღარავის მოვუკითხ-ივართ. ვისაც როგორც შეგიძლი-ათ, თავს უშველეთ, ალყაში ხართო, შემოგვითვალა გუშინ უფროსმა და უთავბოლოდ დავიფანტეთ, გზა ვი-ცოდით თუ კვალი, აქამდე ხილის ბალ-ში, ბულულში ვიმალებოდიო...

– აქეთ, შეილო, აქეთ! – ვითომ რას გაილექსე, რა დროს მაგეების მოყოლაოო, კაცმა მორყეული მესრის ფიცარს მუშტი დაკურა. ფიცარი ხრჭი-ალით გაძვრა და უანგიანი, ჩატეხილი ლურსმანი თან გაიყოლა, – შემო!

– შემოვეტევი?

– ეგრე ხარ დამტორთხალი, თაგვის სოროშიც თალხნად იქნები! – დაიხარა და შემოძრომაში მიეხმარა, – ქალო, შარვალ-ხალათი უნახე, ფორმაში რომ იპოვონ, ხო იცი რასაც უზამენ!.. შედი სათონეში და ტანსაცმელსაც შემოგანვ-დი!

ბიჭი უკარო სათონეში შევარდა და ალიზის კედლის უკან აიტრუჭა.

– რა გინდა, ადამიანო, აღარ უნდა მოისვენო? აქ რო მოაგნონ, მერე ჩვენ კარგს დაგვაყრიან?

– მოსახდენი მოხდება... რა ვქნა, ჩვენი შვილების ტოლაა, იმათ რომ ვინ-მემ კარი მოუკეტოს...

– ნეტავ სად არიან, მოუკედეთ დედა! – მუხლები გამოითქვიფა ქალმა და ტანსაცმლის მოსაძებნად შინ შე-ვიდა.

წყალგადავლებულ ქულას წუნები ჩამოენურა და ბენვი თეთრი მატყლი-ვით აუბზინდა.

ახლა რომ ენახა, უეჭველად იცნობ-და მამა პავლე და არც მკერდში ჩასახ-უტებლად შეეზარებოდა.

თუთის ქვეშ ჩაკუნტულს ქუთუ-თოები საძილედ დაუმძიმდა, რომ ჭიშ-კართან ჩოჩქოლი ატყდა – ჭვინტგამ-

ურულმა, ნაცნობმა ბათინკებმა კუტი-კარი ლამის შემოამტვრიეს.

დერეფანში გამოსულ ქალს შარვალ-ხალათი ხელებში შეაცივდა.

კაცს ფერმა გადაჰკრა, მა-გრამ არაფერი შეიმჩნია. არ ეგონა, ხელმეორედ თუ მოვიდოდნენ.

ძალლს მაღლა არ აუხედავს, მხოლოდ გიგანტური ხოჭოებივით დაპო-რიალებულ ბათინკებს მისჩერებოდა, ბათინკები ღრიალებდნენ, იგინებოდ-ნენ, ჰერში ისროდნენ... მალე კიდევ უფრო დაჩიავებულ-დაპატარავებული ბიჭი სათონიდან გამოათრიეს და იქვე, კედელთან მიაყუდეს.

— აკი არავინა გვყავსო, — ეს იმ სხვადასხვა ზონრიანმა იკითხა, ქულას ფერდები რომ გაუერთიანა და ახლა კაცს დაეტაკა მუცელში მერე დაკუნ-ტულს, ბათინკის პატრონმა ნიკაპთან მუხლისთავი ამოჰკრა და უკან გადააგ-დო.

კაცს, როცა წამოიწია, სახე აღარ ეტყობოდა. გადმობრუნებული ქუთუ-თო მაინც ასწია და კედელთან ჩაკე-ცილ ბიჭს გახედა.

ბევრი დრო არა გვაქვს, ორივე მი-ვახვრიტოთ.

აივანზე ქალი ხაოდა.

გაჩაკუნდა საკეტები, კაცს მშიერი ნადირების კბილების კანკანი ჩაესმა, სისხლის სუნს რომ იკრავენ და ადგი-ლიდან წამოვარდა.

რისთვის, რატომ უნდა დამხვრი-ტოთ, რა ვიცი, სათონები როდის დაი-მალა, ამ ძალლის ლეკვს რატომ უნდა შემწიროთო. შემოხვეული ფორმიან-ების წრიდან გამოვარდა, კედელზე მი-ყუდებული სახრე აიტაცა და კედლის ძირში ჩაქცეულ ბიჭს ზურგზე თეთრი მტვრის ზოლი მიახატა.

ტკივილისა და მასპინძელის გამყ-იდველი ბუნებისაგან გაოცებულმა ბი-ჭმა შეჰყვირა.

კაცმა სახრე ახლა წვივებში დაუნაცვლა.

სიკვდილის წინ „ლეზგინკა“ მოუხ-დებაო, — ხარხარებდნენ ბათინკები, ეზოში დაგუბებულ ქულას ნაბან, ტალ-ახიან წყალში დაჭყაპუნებდნენ, სანახ-აობით ტკბებოდნენ.

კიდევ, კიდევო, — აქეზებდნენ კაცს და ისიც დაუნდობლად ურტყამდა, მერე სახრე მოისროლა, ახლა ყელში წასწვდა დასახრჩობად, ბიჭს სარმა გამოჰკრა და ზემოდან მოაჯდა.

ეზოს „ბეტეერი“ მოადგა.

რა ხდებაო, — იკითხა ხუფიდან ბი-უსტივით ამოსულმა წითურთმიანმა ოფიცერმა.

უთხრეს, რაც ხდებოდა.

ოფიცერმა გადმოხედა სისხლსა და მტვერში ამოგანგლულებს.

წამოდით, თავი დაანებეთო.

აბუზლუნდნენ უკმაყოფილო ბათ-ინკები.

გაუმეორეს ბრძანება.

რა ექნათ.

ადგილზე დატრიალებულმა „ბე-ტეერმა“ მტვერი და ნამწვის სუნი და-ტოვა.

ეზო დაცარიელდა.

ქალმა ხავილი შეწყვიტა.

შეურაცხყოფისაგან კრიჭაშეკრული კაცი წამოჯდა.

ბიჭიც.

მასპინძელმა გულისჯიბიდან სიგა-რეტი ამოილო.

რეზერვისტსაც მიაწოდა.

არ ვეწევიო, — ხელი აუკრა ნაწყენმა და ფურთხს სისხლი გადმოაყოლა.

გონსმოსული, დერეფანში მუხ-ლმოკეტილი ქალი, როგორც იქნა წამოიკავა და დოქით წყალი მოი-ტანა. ღმერთო, ეს რა გადავიტანეთო, დაადევნა დოქიდან გადმოჩქეფილ წყ-ალს.

— აბა, რა კაცი ხარ, სროლა შენ არ იცი, არ ეწევი, შიშით გული გეპარება... ომში ვინ გამოგვზავნა იმ ჩემი ცოდ-ვით სავსემ? — ახლოს მიუჩირდა, ხელი მხრებზე მოხვია და თავისკენ მიიზიდა,

– ძალიან გატკინე, შვილო?

ბიჭმა ვერ გაიგო, კაცი უცებ რად დაუტკბა, მაგრამ მოფერებამ მაინც გული აუჩუყა, სისხლიანი ნიკაპი და ხელები აუცახცახდა.

– განა მე კი მინდოდა, გული მეგლიჯებოდა, მეგონა საკუთარ შვილსა ვცემდი, მაგრამ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ხომ იცი, რაც მოხდებოდა... ეს ბანდიტები არ დაგვინდობდნენ!..

– მუხლისთავებზე ამობრუნებულ გაშლილ ხელისგულებს დახედა, მერე ორივე სახეში ღონივრად შემოირტყა, აქვითინდა.

ქულა ახლოს მიუჩოჩდა, დიდრონი თავი მხარზე თანაგრძნობით ჩამოადო.

ავიშვიშებულმა ქალმა ბიჭს ტანსაცმელი წინ დაუყარა.

– კაცო, რა გინდა, რატომ არ გასვენებს გამჩენი, ჩვენ კიდევ შარი გვინდოდა? – თვითონაც ატირებულმა მუხლისთავები გამოითქვიფა, – რომ შემოუშვი, არ იცოდი სამხედროებს როგორ დასდევენ? გარეთ, სადმე მაინც დაგემალა!

– მაგ ლაპარაკის დროა? – ეს ძალი-იშვილები შეიძლება ისევ მობრუნდნენ... აგე, შვილო, ისევ უკან გაძვრები და პირდაპირ დაუყვები... სულ ბალებია... გზაზე არ გახვიდე, სადაც მოძრაობაა...

ბიჭი უაზროდ უქნევდა თავს, ეგრევიზამო და ქალის მოტანილ ტანსაცმელს იქვე იცვლიდა.

დიასახლისმა გაზეთში გადახვეული შოთის ნატეხი და ყველი ხელში ჩაუდო.

– წყენა არ გაიყოლო, ბიჭო!

მოხრილი რეზერვისტი ამოტეხილ მესერში გაძვრა.

ქულამ ცოტაზე გააცილა და უკან მობრუნდა.

ბიჭი თვალს მოეფარა.

ქალმა და კაცმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და აივანზე ასულები წინ შევიდნენ.

სათონის ჩრდილში მიწოლილი ქულა

დახურულ კარს მისჩერებოდა.

ქალი და კაცი ცოტა ხანში გამოვიდნენ.

მოზრდილი ხელჩანთები ეჭირათ.

კაცმა ბარგი დადგა და მესერს მიმდგარმა დაიძახა:

– თომა, ჰაი, თომა!

ხეებში ჩამდგარი ბელეტაჟიდან ვიღაც გამოეპასუხა.

ჯოხს დაყრდნობილმა მოხუცებულმა ტოტებდაშვებულ ვაშლებქვეშ კოჭლობით გამოიარა.

– მართალი ხარ, უნდა წახვიდეთ! – უთხრა მოახლოებისთანავე.

– რა ვქნათ, ესენი, ხო იცი, რა ძუძუნანვებიც არიან, არ მოგვასვენებენ... ქალმაც, სადაც სხვები, ჩვენც იქაო... თვალი აქეთაც გეჭიროს.

– მეჭირება, მაშ რას ვიზამ.

– აბა, კარგად მენახე.

– კეთილად გევლოთ!

გამობრუნებულმა ქულა დაინახა, მომლოდინე თვალებით რომ მისჩერებოდა, თითქოს ეკითხებოდა მე რას მიპირებო.

– ესეც... კეთილშობილი სისხლის ნაგაზია, ცოდვაა... სად წავიყვანო, თორემ...

– მაგასაც მივხედავ! – დაამედა მოხუცებულმა, – მოდი, ცუგა, მოდი!.. მაშ კეთილშობილი, არა? ასეთი ადამიანი აღარ არის და ცხოველი...

– სწორედაც ცხოველებში უფრო შემორჩა ჯიშიც და ჯილაგიც... აბა, ჩვენს პატრონებს რა ეტყობათ ან ერთი, ან მეორე!.. ბედის ანაბარად ამ კაციჭამიებს შეგვატოვეს... ფუი...

– მაგათ ნუღარ გამახსენებ, სამუდაოდ ჩაენერნენ საქართველოს მტარვალების სიაში... საკენწლაო ბურთებად გვაქციეს... მთელი სიცოცხლე რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი... ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ რუსი ტანკებით შემოგვივარდებოდა! – სათვალიანმა მოხუცებულმა ხელი ჩაიქნა და სახლისკენ წაჩანჩალდა.

ვიდრე ეზოდან გავიდოდნენ, კაცმა ქულასთან ჩაიმუხლა.

— რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს, მარტო გტოვებ! — ყელზე შებმული ტყავის საყელო, სტუმრად მყოფმა უცხოელმა მამა პავლეს რომ აჩუქა, ერთი ნაჭდევით მოუხალვათა და წავიდნენ, გაჭრიალდა ეზოს კუტიკარი.

ჩამოვარდა სიჩუმე. დაცლილი სახლების, კარ-მიდამოსი, ბაღჩებისა და ბაღების, სოფლის სალაყბოების შემაშფოთებელი დუმილი გამეფდა, რომელიც თან თითქოს ხმაურობდა, მოსვენებას უკარგავდა.

ქულას შორიახლო, პურის ნატებან, მოზრდილი წყლის ჯამი იდგა.

ვერ გაიგო როდის დაუტოვეს.

ან ვინ — ქალმა თუ კაცმა.

იქნებ ორივემ, ერთდროულად, შეთანხმებულად, რომ ერთხანს თავი გაიტანოს, შიმშილით სული არ ამოხდეს.

ქულამ კუტი თათით თავისკენ მიიწია, მაგრამ პირი აღარ დაუკარებია, მოწყენილი გვერდით მიუწვა.

მთვლემარეს ეგონა თავი მამა პავლეს ხელისგულზე ედო და მომფერებელ, ენამოჩლექილ სიტყვებს ისმენდა.

ამ სიტყვებს თავად ვერასოდეს ვერ გაიმეორებდა, მაგრამ რბილი, დამყვავებელი ხმის დუდუნი ყურთასმენიდან არ გამოსდიოდა.

გახსენებამ გული აუჩქროლა, აუტანლად შეანუხა სიჩუმემ და მარტობამ, იმ ხელისგულებზე მოუნდა ერთხელ კიდევ ჩამოედო თავი და მერე თუნდაც სული დაელია.

ანკმუტუნდა, მკერდიდან გაბმულმა ყმუილმა ამოხეთქა, მოთქვამდა, მაგრამ ვინ იყო მისი მომსმენი და ჯავრის გამზიარებელი.

როდის-როდის მეზობლად კარი გაჭრიალდა.

ბერიკაცი გამოეხმაურა, რა იყო, ცუგა, რა დაგემართაო.

გაყუჩდა.

ჭრიალზე მიხვდა, რომ კარი დახ-

ურეს.

გაბმული ჭრიჭინი ყველა მხრიდან ისმოდა. სიბნელეში კუთავდნენ კალიები, ხან რომელიმე ღამის ფრინველი დაბურული კაკლის ხიდან გადმოიძახებდა.

ხმის ნაწყვეტებს დუმილი შთანთქავდა ხოლმე, საფენივით ცხელი ღამე ისრუტავდა.

დილით, ბერიკაცმა, აგლეჯილი მესერიდან ალუმინის ჯამი გადმოდგა.

ქულამ მადლიერი თვალები შეანათა და შრატში ჩამბალი პურის ჭამას შეუდგა.

ბებრული, დამჭკნარი ხელი ზურგზე ეფერებოდა.

ეზოში ვიღაცები შემოვიდნენ.

გაუხარდა, იქნებ პატრონები დაბრუნდნენო.

ბერიკაცს ახედა — სათვალის სქელლინზებზე არეკლილმა ზიზლიანმა მზერამ მიახვედრა, რომ სახლს არასასურველი სტუმრები მოადგნენ.

— ჭამე, ცუგა, ჭამე! — ვითომ ყურადღებას ნუ მიაქცევო, თავი ჯამისკენ დაახრევინა.

მოახლოებულმა, ნაცნობმა, სხვადასხვა ფერის ზონრიანი ბათინკების სუნმა ყნოსვა გაუღიზიანა.

თვალი ააყოლა მუხლებთან სამხედრო შარვალგამობერილ, დაგვაჯულფებს, სახელოაკეცილ, წითურბალნიან, გარუჯულ მკლავებს.

მაშ გაგვასწროო, თავი დანანებით გადააქნია ყვრიმალებგამოზიდულმა ვინროთვალებამ, ეზოში გაბმული სარეცხის თოკი ჩამოწყვიტა და ქულას საყელოზე შეაბა.

— Куда везете? — ჰერიკაცმა.

— Куда надо!

— Собака наша собственность! — არცხრებოდა მოხუცი.

— Была ваша, старик, была! — დაცინვით მიუგდო და ძალლი თავისკენ გაიწია.

ვერ გაგატანთო, მოხუცი დაჭიმულ

თოქს ჩაეტლაუჭა.

უკან დაიწიო, ახლა უკვე ქართულად დაუტია და ხელის ტყვიამფრქვევის საკეტი გააჩხაუნა:

- ვერ გაიგე, აქურობაც და ეს ძალლიც ახლა ჩოფურასია!

ქულა მოძალადეს მორჩილად გაჰყვა.

ბანაკში მიიყვანეს. დაცემულ მინდორზე კარვები მოემატებინათ და ერთის ნაცვლად ახლა ორი სასადილო მაგიდა დაედგათ.

ულალწვერა მზარეულს გაეხარდა ქულას დანახვა, კარვის პალოზე გამობმულს ისევ ხორციანი ძვალი მიართვა.

ამ ძალლთან რაღაც გულუხვობო, – შეუბლვირა ჩოფურამ.

ჩემი წილიდან ვუმასპინძლდები, თქვენ არაფერს დაგაკლებთო, – ამანაც მიუვდო უკმეხად.

მეორე დღეს, ნასადილევს, ბანაკს სამხედრო მანქანა მოადგა. მანქანიდან ყურებაცქვეტილი ავჩარკა გადმოიყავნეს. ავჩარკის პატრონები ჩოფურასთან ერთად გვერდზე მიდგნენ, ცოტა ხანს ითათბირეს და ვიღაც მესამეს ჩააბარეს სანაძლეოზე დადებული ფული.

მავთულხლართების ღობის გაჭიმვაზე მომუშავე ჯარისკაცებმა საქმე აღარ გააგრძელეს, თავი კარვების ბოლოზე მოიყარეს და წრე შეკრეს.

ჩოფურამ ქულა აუშვა, ყურები მოუხეშა, აბა, მიდი, ივაუკაცე, თუ არ გინდა სიცოცხლეს გამოესალმოო.

ძალლები ჯარისკაცების წრეში სტვენით შეაგდეს.

ქსი, ქსიო, ორივეს ჯერ პატრონები აგულიანებდნენ, მერე ისეთი გნიასი ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო.

ქულამ ვერ გაიგო, რას თხოულობდნენ მისგან ჩასასტვენად პირში თითებჩადებული, ღლოყადაბერილი, თვალებგადმოკარკლული სახეები. ყველანი შეშლილივით გაჰყვიროდნენ,

იფიქრებდი, ქულიდან გადასულები, ძალლები თუ არაფერს იზამენ, თავად დაერევიან ერთმანეთსო.

სისხლნანას სამხედროებს თუ არა-ფორმალ მოხალისეთა ჯგუფებს ომის გაგრძელება, ხორცის გლეჯა და კბენა-ლრენა სწყუროდათ, რადგან ეშხში რომ შევიდნენ და „გემო“ გაუგეს, ომი სწორედ მაშინ შეწყდა. სანახაობა ერთ-გვარად დაუოკებდათ, დაუცხობდათ დაუკმაყოფილებელ უინს.

როგორც კი ქულას პირისპირ დარჩა, გამოცდილმა, გაწვრთნილმა ძალლ-მა უცებ აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას, უკანა ფეხები ღონივრად გაუსვა მინას და ჯერ გარეშემო შემოურბინა, მერე კბილებდაკრეჭილი ღრენით მიუხტა.

ქულამ უკან დაიხია, წამით ისევ შეათვალიერა წითელი ბუშტებივით ერთნაირად გაბერილი სახეები და შემოჯარულ სეირის მაყურებლებს მიაწყდა.

ვიღაცამ წიხლი უთავაზა, ისევ წრეში შემოაგდო.

წამით გულხელდაკრეფილ, ულალწვერა მზარეულს თვალი მოჰკრა. კაცი რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ ვიდრე მიხვდებოდა რას, ავჩარკამ ახლა უფრო ღონივრად მოფხოჭნა მინა, პირდაღებული ხელმეორედ ეცა და ქულას ყური ყბებში მოიქცია.

ტკივილმა გაამნარა, მაგრამ მოძალადე ვერაფრით ვერ მოიცილა.

გერმანული ნაგაზი გამეტებით თავს მინაზე ახეთქებინებდა და ბოლოს დააგდო, წამოდგომა არ აცალა, ახლა მეორე ყურში ეცა, სული არ მოათქმევინა, აგორავა, დაასისხლიანა.

გააშველეთ, მოკლავსო, დაიძახა მზარეულმა.

მოკლასო, – გამოუტანა განაჩენი განაწყენებულმა ჩოფურამ.

პატრონებმა ავჩარკა ძირს გართხმულ ქულას ძლივს მოაცილეს, – ისევ იწევდა, ხელიდან უსხლტებოდა ჯარისკაცს...

შუამავალმა ნიძლავის ფული ავჩარკის პატრონებს გადასცა და ისინიც ძალიანად მანქანისკენ წავიდნენ.

გაცოფებულ ჩოფურას მზარეულმა გაარიდა ქულა.

ეჰ, ცუგა, ცუგა, ვერ მოგვივიდა კარგი საქმე, ლამაზი ყურები როგორ დაგიმახინვესო, ჭრილობები მობანა, კარვიდან მალამო გამოიტანა და ნაიარევებზე წაუსვა.

ყოველდღე, მოხალისე „შურისმაძიებელთან“ ერთად, ჩოფურა ბანაკიდან გადიოდა და გვიან ბრუნდებოდა. პალოზე გამობმულ ქულასთან გავლისას არ ავიწყდებოდა ბათინკის ჭვინტი რომ ეთავაზებინა.

ნაგაზს მის დანახვაზე გული ყელში ებჯინებოდა, შეშინებული უკან-უკან იხევდა, მაგრამ ყელზე შებმულ თოკს სად გაექცეოდა.

ჭრილობებმა მოშუშება რომ დაიწყეს, ჩოფურა ახირდა, კიდევ უნდა შევაბრძოლო და თუ ისევ წააგებს, შუბლი გავუხვრიოვო.

ცოდვაა, მოეშვიო, სთხოვა მზარეულმა.

ჩემია და რასაც მინდა იმას ვუზამო.

სანაძლეოს შუამავალმა ორივე მხრიდან ფული ჩაიბარა.

ქულამ, როცა იგრძნო რამდენიმე დღის წინანდელი ამბავი მეორდებოდა, უკან-უკან დაიხია, მოიკუნტა, აწკმუტუნდა, თითქოს ივედრებოდა, თავი დამანებეთო.

ჩოფურამ თოკიდან ახსნა და წამოსაყვანად საყელოში ხელი ჩაავლო.

ქულა გაუძალიანდა.

ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბებთან გავლისას გამწარებულმა ჩოფურამ ყურიანი თუნუქის ტოლჩა მდუღარეში ჩააჭყაპუნა და წყალი სახეში შეასხა.

ძალის ყმუილი ცას შესწოდა.

რას შვრები, შე ულმერთოვო, — დაუტია ვიღაცამ.

ქულამ ერთ წამს ვეღარაფერი დაინახა.

მზარეულმა ცივი წყალი გადაავლო და კანი ლამის სულ ჩამოეფცქვნა. ქუთუთოები ძლივს ასწია.

ნელ-ნელა დატრიალდნენ კარუსელივით ადამიანების სახეები, მათ შორის მოქცეული წრე და გაავებული, ქულას მომლოდინე ავჩარკა.

ყველაზე გვიან ჩოფურა დაინახა.

არა, ჯერ ჭვინტები, საცხის და ოფლის სუნად აყროლებული, სხვადასხვა ფერის ზონრიანი ბათინები, მუხლებთან გამობერილი შარვალი, გაპრიალებული ნახევარსახე და ბოლოს ზიზღიანი, ირიბად გაჭრილ ფოსოებში ჩამჯდარი თვალები.

ბათინკები, აქოთებულ, საავკაცო გზაზე ნათრევ ფეხებს რომ ემსახურებოდნენ, ახლაც უღრენდნენ, ემუქრებოდნენ.

ქულასაც თანდათან აემლვრა თვალები, გაახსენდა ყველაფერი, მიძინებულმა ინსტიქტმა მოულოდნელად გაიღვიძა, ზიზღმა ზიზღი შობა, გულმუცელში დაგუბებული მრისხანება მთელ სხეულში გაუჯდა, აჯაგრა, იგრძნო ენერგიით დაბურთული ვეება თათები, აქამდე ამოუთქმელი ყეფა ყელში ტალღასავით მოაწვა, მოაწვა და ისეთმა ავისმომასწავებელმა ბუზუნმა ამოხეთქა, ნახეთ, რეები სცოდნიაო, გაიკვირვეს ჯარისკაცებმა.

ძალის მოზღვავებამ მთელი სხეული შეერა, შეადუღაბა, როგორც ავჩარკამ, ჩამხმარი ყამირი თვითონაც უკანა ფეხების ღონიერი გასმით აამტვერა.

ქულას „მეტამორფოზამ“ ახლო მდგომებს უკან დაახევინა, მხოლოდ ჩოფურა არ განძრეულა, ხელში გამომწვევად ატრიალებდა საკეც, ორპირად ალესილ დანას.

აბა, ეციო, წააქეზეს ძალლები აქეთიქიდან.

გამარჯვებაში დარწმუნებული ნაგაზი თამამად წამოვიდა.

ქულამაც წაინია, მაგრამ უცებ გეზი

შეიცვალა და მოულოდნელად ავჩარკის მაგივრად, ჩოფურას ეცა – ჯერ ერთი ბათინკი გაგლიჯა, მერე წაფორხი-ალებულ კაცს მეორე ბათინკის ყელში ჩააფრინდა, ყბები მაგრად მოუჭირა და პილებმა კოჭის ძვლები „გაიარეს“.

დაბნეულმა ჩოფურამ დანის დაქნევა ვერ მოასწრო, ქულამ ფეხევეშ მინა გამოაცალა.

თითქოს ხელებში ხელყუმბარა აუფეთქდაო, კაცის ყვირილი, მოწყვეტით, რიყის ქვაზე დარტყმულმა კეფის ხმამ გადაფარა.

ჩოფურამ გონება დაკარგა.

აირია მონასტერი, ვისაც რა მოხვდა, იმას დაავლო ხელი.

ავჩარკა დაადევნეს, გაუქსიეს გამოქცეულ ქულას, ახლადგავლებულ მავთულხლართს რომ გადაევლო და თავდალმართზე დაეშვა.

ლობეს ავჩარკაც გადაახტა.

ქულამ თანდათან სირბილი შეანელა, ახლოს მიუშვა დადევნებული ნაგაზი, მიუშვა და, ნახტომისათვის გამზადებულს, უცებ მიუბრუნდა, ყელში წასწვდა, ჰაერში ატაცებული ავჩარკა ძირს აღარ დაუშვა, ვიდრე ახროტინებულ მდევარს ფეხები მოწყვეტილივით არ მოემჩვარა და თავი გვერდზე არ გადაუვარდა.

მიწაზე როცა დააგდო, ნაგაზი უკვე სასიკვდილოდ ხრიალებდა.

მავთულხლართებს მომდგარი, საკუთარი ხელით აგებულ ბარიერს იქით მომწყვდეულები ბობოქრობდნენ. ვიღაცამ ავტომატიც დააგრიალა, მაგრამ ქულა უკვე შორს იყო, ატეხილი ჯაგები და ბუჩქნარი იფარავდა.

საიდანლაც ექიმიც გამოჩნდა.

არ გაანძრიოთო, – სახეზე საფენი დააფარა გონდაკარგულ, ქვა-ლორდში ნათრევ ჩოფურას.

– ქართულ ნაგაზთან ხუმრობა არ შეიძლება! – ჩაილაპარაკა მზარეულმა.

– მაგდენი საიდან იცი, ბიძაჩემ? – გამოსცრა ჩოფურას თანაგუნდელმა.

– ვიცი, ძმისშვილო, ვიცი! – მზარეულის მოხდილი ჩაჩი ისევ თავზე დაიმხო.

ექიმმა, ჯარისკაცების დახმარებით, ჩოფურას დაგლეჯილი ბათინკები გააძრო. მეორე ფეხი რომ აუწიეს, წვივს ქვემოთ, ძვალდამსხვრეული ტერფი ულონოდ დაეკონწიალა.

– რკინის მკვნეტელი ყოფილა! – გაიკვირვა ექიმმა.

ხომ გესმითო, – ნიშნის მოგებით გადახედა ჯარისკაცებს მზარეულმა და იქაურობას გაერიდა.

შუაკაცმა უბიდან ფული ამოილო, ვეღარ გავიგე, სანაძლეოს თანხა ვის ეკუთვნისო.

მაგას კითხვა უნდა, ამისთანა ძალლი მოგვიკლესო, ფულის აჩენებილი ბლუ-ჯა ხელიდან წაგლიჯეს ავჩარკის გამნარებულმა პატრონებმა.

ნარბენმა ქულამ ღამე მიტოვებულ საყარაულოსთან გაათენა.

დაფუფქული თავ-პირი არ აძინებდა, არ აძინებდა აქამდე უჩვეულო განცდა, ფორიაქი.

რა ერქვა ამ ყველაფერს სახელად, იქნებ თავის უმწეობაზე გამარჯვებულის სიამაყე?

ბოლო დღეების სატანჯველმა ხომ ქულა თითქმის თავიდან შობა!

დროდადრო ვარსკვლავებით გადაჭედილ ცას შეპტუხუნებდა ხოლმე და თვალს ისე გაუშტერებდა, თითქოს იქიდანაც ვიღაც ეპასუხებოდა.

დილით ისევ ალალბედზე დაადგა გზას.

ბოლოს შამბითა და ნარ-ეკლით დაფარულ, გაუქმებულ მატარებლის ლიანდაგთან აღმოჩნდა.

ბალახგადავლილი ბეტონის განძელები მინას დაეფარა, უანგმოდებული რელსებიც, აგერ უკვე მერამდენე წელი იყო, უქმად ეყარნენ მზისგულზე, თოვლსა და წვიმაში.

საიდანაც ქულა გამოიქცა, იქით

მატარებელი აღარ მიდიოდა, ბოლო გაჩერება, ბაქნითა და ბეტონის ფილებით მომუდოვნებული პატარა მოსაცდელით, რამდენიმე ვაგონიანი სექცია რომ ჩამოდგებოდა ხოლმე, აქედან შორს აღარ იყო.

მოსაცდელი და ბაქნის წინა მოედანზე, წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციული, ორსართულიანი შენობა, გადავლილი ბრძოლების დროს, ყუმბარმტყორცნებს სანახევროდ დაენგრიათ.

ქვა-ლორდისაგან გაწმენდილ ლიანდაგზე ცოტა ხანი იყო, რაც მატარებელს მოძრაობა განეახლებინა. ჩოჩიალჩიჩიალით მოლოდავდა ქალაქიდან, სოფელ-სოფელ მგზავრებს არიგებდა, მერე აქედან აკრეფდა ქალაქში მიმავლებს და ისევ უკან ბრუნდებოდა.

ქულა მოსაცდელის წინ შეჩერდა. მოსაცდელს და ლიანდაგს ლამიანი, დამშრალი არხი ესაზღვრებოდა. გაღმა სოფლებიდან ხელკალათებითა და ჩანთებით მომავალი მგზავრები არზე გადებულ ბოგირზე გადმოდიოდნენ.

რკინიგზის გასწვრივ გვალვას ბუჩქნარზე ფოთოლი მოეჭმუჭნა, წითლად მარტო ასკილი ღურდა.

მატარებელი ნელა, გამაფრთხილებელი კივილით შემოდგანდგარდა.

ლიანდაგებზე განოლილი ვაგონების მუხლუხო თითქოს შეიკუმშა და შედგა.

შაოსანმა ქალმა თანამგზავრი ქულასკენ მიახედა, დაცარიელებული სოფლებიდან, ზოგჯერ, მატარებლით ქალაქისკენ მხოლოდ ძალლები მგზავრობენ.

ძალლებს მატარებელში რა უნდათო.

ან უპატრონებია, ან პატრონიანი, მაგრამ რომ ვეღარ ინახავენ, დასხამენ ვაგონებში და ქალაქში უშვებენო.

იმიტოა, ქუჩაში ვეღარ გაივლი, გაავებულმა ხროვებმა აიკლეს იქაურობაო.

წამოდი, შენ კი არ გინდა ქალაქის ნახვაო, გაეხუმრნენ და ქულაც, მათ

კვალდაკვალ, ვაგონის კიბეზე შეხტა.

ბინდდებოდა, განათებულ, ხალხმრავალ სადგურში როცა შევიდნენ.

ვაგონებიდან მგზავრები ჩამოიკრიფნენ.

აქაც შეუძახეს, ჩამოდი, თორემ მატარებელი უკან წაგიყვანსო და ესეც, სხვებთან ერთად, ფართე, ფილაქნიან ბაქანზე აღმოჩნდა.

ახლა საით წავიდეს – დაიბნა ქულა.

სადღაც ზარი წკრიალებდა. ბაქნის გადახურულ ჭერზე ნათურები ბრნყინავდა. მოსაცდელიდან გამოსული მგზავრები პირველი ლიანდაგის გასწვრივ გროვდებოდნენ. დასავლეთის მხარეს, აწონილი სემაფორები წითელ-მწვანე თვალებს აპაჭუნებდნენ.

აქ რაღაც განსხვავებული ხდებოდა. ადამიანებს სხვადასხვანაირად ეცვათ, არც მძიმე ტექნიკა დაგრუხუნებდა და არც ვინმე ვინმეს ემუქრებოდა, თითქოს სხვა სამყაროში მოხვდა, დაიბნა, აქეთიქით მიაწყდა, კიდევ უფრო გაუცხოებულმა და მოუხეშავმა ერთბაშად გზავერ გაიგნო.

თავისი აღნაგობით ყველას ყურადღება მიიქცა.

„ნამდვილი გოლიათია!“

„მეცხვარის ძალლია!“

„არ იკბინება?“

„არა, მაგრამ ახლა ვიღაა თავის ჭკუაზე, მაინც მოერიდე!..“

მგზავრები აღტაცებას ვერ მალავდნენ, თან მაინც ფრთხილობდნენ, შორიახლო უვლიდნენ.

„უჩხუბია, თავ-პირი დაფლეთილი აქვს“. „ეტყობა. ახლა ყველა ჩხუბობს“...

ბოლოს, სადგურის უკან, ჩაბნელებულ მოედანზე აღმოჩნდა.

სწყუროდა, შიოდა, ვერ გარკვეულიყო ამ უცხო გარემოში რა უნდა მოემოქმედა.

იმის გამო, რაც ჩაიდინა, განსაკუთრებული პატივისცემის ღირსი კი იყო, ყვავილებით თუ არა, ორთქლა-

ვარდნილი ცხვრის კანჭით მაინც უნდა დახვედროდნენ, მაგრამ ვინ იცოდა ანდა ვის აინტერესებდა მისი საქმენი საგმირონი.

შორიახლო, პურის საცხობთან, სანაგვეს მიესეულ ძალლებს ვიღაც ჯოხით დაერია.

დაწიოკებული ფინიები უკან გა- მოცვიდნენ. მის დანახვაზე შეჯგუფდ- ნენ, ცნობისმოყვარე თვალებით მი- აჩერდნენ განსხვავებული აღნაგობის ქულას. მერე გაბედეს, მიუახლოვდნენ, ყონისავდნენ, გარშემო უვლიდნენ.

ფინიებს შორის მოქცეული დიდი წყ- ალწყის ხომალდივით დაიძრა და დან- არჩენებიც აედევნენ.

მოედნიდან ვიწრო ქუჩაზე გავიდნენ. ქუჩისპირზე ჩარიგებული, განათებული ჯიხურები ამაოდ ელოდებოდნენ მუშ- ტარს.

ერთ-ერთთან ორნი იდგნენ და ლუდს პირდაპირ ბოთლიდან სვამდნენ.

– ყველაფერს ეშველება და ამ ძალ- ლებს არა! – ჩაილაპარაკა უკმაყოფილო გამყიდველმა, – შეხედეთ, ეს გოლიათი აქამდე არ მინახავს, ეტყობა ახალია!

ორივემ ერთდროულად მოხედა ქულას და მის გარეშემო აცმუკებულ მანანნალებს.

– ჰო, ახალია! – გვიან-გვიან გამო- ეპასუხა მარჯვნივ მდგომი.

ბოთლიანად მიუახლოვდა, ქულას- თან დაცუცქდა და კარგად შეათვა- ლიერა.

– რა იყო, ცუგა, რა დაგემართა, საიდან გადმოიხვეწე... ფარას მგლე- ბი ხომ არ დაეცნენ, მაგარი ნაომარი ჩანხარ... გშია? თან ამაყი ხარ და არ გინდა გაამჟღავნო, არა?.. სიამაყე კარ- გია, მაგრამ ღირსება და ცარიელი კუჭი რომ ვერ რიგდებიან? ერთი ეგ ძეხვი ჩამოწყვიტე! – დაუძახა გამყიდველს.

– ძეხვი არა!.. მეცა მშია, მაგრამ ვის შევჩივლო!

– ჩამოწყვიტე-მეთქ!.. დაიკარგეთ აქე- დან! – დაუტია დანარჩენ მანანნალებს.

– მერე საფასურს ვინ გადამიხდის?

– აჭაჭყანდა გამყიდველი.

– ვინ და მიქელგაბრიელი... მე, სხვა ვინ გადაგიხდის!

– ეს ლუდიც ნისიაზე მიგაქვს და... კარგი რა, მახო, მაგ მანანნალას თუ ძეხვი არ მიართვი...

– მანანნალა კი არა, შენზე და ჩემზე კეთილშობილია.

– აბა, რას ამბობ, ძალლი, კაცო?

– ჰო, ძალლი!.. ერთხელ მაინც, შენს თვალებში, ამისთანა ჭკვიანი გამოხედ- ვა რომ დავიჭირო, მამაძალლი ვიყო, თუ მაგ ჯიხურის ნაცვლად, ძვირფას მარ- კეტში არ გამოგჭიმო!.. მოიტა-მეთქი!...

– მერე, როდის გადაიხდი?

– როცა მექნება!.. ხო იცი, ტყუილი არ ვიცი!

– ტყუილი არ იცი, მაგრამ არც იძლევი, და...

– კიდევ რამდენი დამრჩა?

– ოცდათხუთმეტი ლარი...

– ჰოდა, ეგეც მიაწერე, დალოცვი- ლო!

– ნუ იცი ვირზე შეჯდომა, მახომ გითხრა, გააკეთე! – დაუტია ახლა მეორემ და კაუჭზე დაკონწიალებუ- ლი ძეხვი თვითონ ჩამოწყვიტა, – ისე, რაც ჯიხური გახსენი, სულ ასე ჰკიდია და შეიძლება აწყინოს კიდეც, – ისიც ძალლთან დაცუცქდა.

– მაშინ ჯერ თვითონ გაასინჯე, – გაეცინა მახოს.

– მაშაყირებთ? – იწყინა გამყიდ- ველმა.

– ჰო, ეგრეა... ცუგა, დანარჩენებს რომ არ ვაყურებინოთ, წამოდი ჩემნ- თან! – თავიანთი ლუდის ბოთლებიც წამოკრიფეს და ქულას წინ გაუძღვნენ.

– სად მიგყავს, მახო, მაგის შენახვა ადვილი გგონია? შენსავით „კილკასა“ და წინაკის წილზე კი არ გადაივლის.

– შენ დარდი გაუშვი! – მიაძახა მახ- ომ.

– მე კი გავუშვებ, მაგრამ... – გამყიდ- ველმა თითო საფეთქელთან დაიტრიიალა...

სადგურის მოედნიდან ყოფილ უნივერმალის შენობასთან ჩაუხვიეს, კიდევ უფრო ბეჭელი ქუჩით აღმართი აიარეს და ჩიხში შევიდნენ.

დაბალ, მესერშემორტყმულ ეზოში ძელი, წაფერდებული ბელეტაჟისკენ რიყის ქვებიანი ბილიკი მიდიოდა.

ბელეტაჟამდე, ხელმარცხნივ, ხარახურით გამოტენილი ფარლალალა ფარ-დულიც იყო.

მიხომ კარში ჩატოვილი გასაღები გადაატრიალა.

— დაგრჩა, გასაღები?

— ვითომ არ იცი, ეს სახლი რომ არ იკეტება... ასე იყო ჩემი მშობლების დროს, ასეა ახლაც...

— მაშინ სხვა დრო იყო, ძმაო, ახლა ხელი რომ დაგრჩეს გარეთ, იმ ხელს მოგაჭამენ.

— თუ მახოს გამძარცვავი ვინმე გა-მოჩნდება, ღმერთმა შეარგოს.

შუშაბანდში ჩამრთველს ხელი აჰ-კრა.

იქაურობა განათდა.

ხელმარცხნივ, უკანა ოთახში, შესასვლელ კარამდე, ძველებური, კაკლის ხის ვეებერთელა მაგიდა გახიდულიყო. კარს იქით ტახტზე, ლოგინი რომ აკოკოლავებულიყო, წესით მახოს უნდა სძინებოდა. ტახტს აქეთ გაზქურა, კუთხეში ფერადი ტელევიზორი და იმის გვერდით „ზილის“ მარკის ხანდაზმული მაცივარი იდგა, რომელიც, დროდადრო, ისე ამოიხვნევებდა, თითქოს რაღაც უსიამოვნო ამბავი გაახსენდაო.

მახომ და მახოს სტუმარმა ბოთლები ხილის ნაფცქვენებიან მაგიდაზე დადგეს.

— ეხლავე, ძმაო ნიკოლოზ, ეტყობა, უბინის შალმანის პურისმჭამელი ბიჭები იყვნენ... წავლენ და გადასაყრელად ნაგავს მე მიტოვებენ... — მაგიდა გადმოასუფთავა და ტაბურეტზე ჩამოდგმულ ემალის ქვაბს თავი ახადა, — პურისთვის ხელი არ უხლიათ... ლოთებს პური რად უნდათ!.. მთლად

ახალი არ არის, მაგრამ ამბობენ, კუჭისთვის უკეთესიაო... ესეც ცოტა ყველი... ძეხვს დავჭრი... მგონი, ჩვენი ცუგა ცოტას მაინც გვიწილადებს!

— დაჯექი, არ გვინდა.

— თუ არ აითვისეს, აქ შნაპსიც მეგულება, — გამოალო მაცივრის კარი და დანაკლულებულ, მაღლა აწეულ ლიტრიანს სინათლეზე გახედა, — ბიჭებს დაულევიათ... უნამუსიათ და ნახევარზე მეტი დაუტოვიათ... ესეც დანა... ცუგა, სადა ხარ, შემოდი!

ქულა კართან იდგა.

მასპინძლის თხოვნაზე, შემოსვლის ნაცვლად უკან დაიხია.

— შემო-მეტეი!.. კეთილი იყოს შენი ფეხი!.. ჩემს ძმაკაცებს არ გავხარ? თავპირისმტვრევით სახლში მიცივიან... ხედავ, როგორი მორიდებულია? წელან არ მიხუმრია, არაკაცი ვიყო, ამის კეთილშობილება თუ ჩვენი ქალაქის მოქალაქეების ოთხმოცდაათ პროცენტს ჰქონდეს.

— ოთხმოცდაათი ნამეტანია.

— ეგრეა და რა ვქნა! აქეთ მობრძანდი, ცუგა!.. სახელის თქმა მაინც შეგეძლოს, — პური და ძეხვის ნაჭრები თეფზე დაულაგა და შუშაბანდის კუთხეში დაუდგა.

ქულა შემოვიდა.

ჯამში წყალი რომ ჩაუსხა, სინათლეზე მერელა დააკვირდა.

— ნახე, სახე რა დღეში აქვს!

— ჰო, კანი აქვს ამძვრალი, — თავ-პირი დაუთვალიერა ნიკოლოზმაც.

ქულა აუჩქარებლად იღეჭებოდა, პირში გერმანული ნაგაზის სისხლის ამაზრზენი გემო თანდათან უქრებოდა.

— თავშესაფარში ხომ არ წავიყვანო, კარგი კინოლოგი გვყავს, მიხედავენ...

— აბა, აბა, საძალლე არ გამაგონო!

— რა გინდა, რას ერჩი, ხომ აღარ ვხოცავთ, მიგვყავს, ვკურნავთ და ვპატრონობთ... აბა კარგი იყო, მთელი ქალაქი აკლებული რომ ჰქონდათ და თოფებით დასდევდნენ.

– მაგ გაპიდარასტებულ საძალლეში რა უნდა... რაც მანდ ხდება, კიდევ თოფებით დევნა სჯობია.

– შენ თუ რამე აიხირე... კვებავენ, უვლიან...

– ყვერებს რომ აცლიან, ეგ არაფერი.

– აბა, როგორ გინდა, იმდენი ძალლია, თუ გამრავლდნენ, ქალაქს წალე-კავენ.

– ვითომ კასტრაცია უკეთესია?

– გამოსავალია!

– მერე, ქრისტიანული მორალი?

– ერთი საწყალი ფიზიკოსი ვარ, რო-

მელიც იძულებულია საძალლეში დამხმარე ფერშლად იმუშაოს, შიმშილით სული რომ არ ამოხდეს... მორალისას ვინ რას მეკითხება.

– საქმეც მაგაშია, რომ არ გვეკითხებიან... ხვალ რომ ჩვენც დაგვეოდონ, ალბათ, აღარც ამაზე გაგვიჩნდება პროტესტის გრძნობა.

– ალბათ...

– მერე, ამიტომ ვიწვალეთ? ეს არის დემოკრატის მონაპოვარი?

– დამისხი, რა, ერთი ჭიქა და უნდა წავიდე, დილაზე ადრე ვარ ასადგომი.

მახომ ბოთლს საცობი მოხსნა.

– არ დალევ?

– არა, აწრიხევში ვიყავი და მამა პეტრეს პირობა მივეცი, ერთ თვეს მაინც სასმელს არ გავეკარები-მეტქი... წესით ლუდიც არ უნდა დამელია... ნახე, ჩაეძინა! – მიახედა ქულასკენ, ბოლომდე პური და ძეხვიც რომ არ მოეთავებინა, ბომბორა თავი წინგაშვერილ თათებზე ჩამოედო და თვალები მაგრად მოეხუჭა, დიდი, უმწეო ბავშვი-ვით არის!.. მაცივარი ტელევიზორისკენ მოვნიოთ და ჭილოფს დავუფენ.

ქულას თავისი „კუთხე“ მოუწყვეს, ნიკოლოზმა ერთი ჭიქა გამოცალა და წამოდგა:

– წავედი.

– რადგან არ იშლი... ისე, კინოლოგს რომ დასაკოდად ჩაძინებულ ძალლს დაუწვენთ, ნუ იფიქრებთ, რომ მაინც-

დამაინც დიდ სიკეთეს სჩადიხართ... მაგ საკითხზე არის განსხვავებული აზ-რიც...

– ევროპელ მეგობრებს განსხვავებული აზრი ნაკლებად აინტერესებთ.

– ჰომ, ეგ მინდოდა გეთქვა... ახლა თავისუფალი ხარ ჯარიდან! – დაარტყა მხარზე ხელი და კარისკენ უბიძგა.

– შენს ადგილზე დალევას არ მოვეშვებოდი.

– რატომ?

– მაშინ უფრო საინტერესოდ აზროვნებ.

– შეაყოლე, შეაყოლე!.. ისე, მართალი ხარ, თქვენი გაძლება ფხიზელს გამიჭირდება...

ქულა ძილში შფოთავდა, პატარა ფარუნზე წამოჯდებოდა, ყურმიგდებული გაისუსებოდა.

მახომ აჭრიალებული ტახტიდან დაუყვავებდა ხოლმე და ქულაც მშვიდებოდა, ისევ თავმიდებული გაინაბებოდა.

ჩაძინება მასპინძელსაც გაუჭირდა, მარტოხელა, ორმოც წელს გადაცილებული კაცი, კარგა ხანია „დოპინგის“ გარეშე ვეღარ იძინებდა. იფიქრა, ერთ ჭიქას ჩავცხებ და მოვისვენებო, მაგრამ მამა პეტრე დაუდგა თვალწინ და ცდუნებაზე უარი თქვა.

გამთენისას ჩათვლემილი გააღვიძეს კიდეც.

ეზოში ოთხი თვალებდასიებული უბნელი თანამეინახე იდგა.

შუშაბანდს ქულაც აებლოტა და იმანაც გახედა.

მახოს რაღაც გაახსენდა, ოთახში შევიდა, ძველი, დაფუთფუთებული ალბომი გადაფურცლა, ერთ-ერთი ამ ოთხაგანის პასპორტის სურათი მოძინა და შუშაბანდში, სკამზე გადაკიდებულ, გაცრეცილი პიჯაკის მარჯვენა ლაცეაზზე ქინძისთავით მიამაგრა.

– რა მოკრძალებულები გამხდარხართ, აღარ შემოდიხართ?

– მერე ეგ თავბოხვერა არ გვიკენს?

- ჰელითხა რობერტი.
 - მე თუ ვეტყვი - არა...
 - ფეხაკრეფით შემოლაგდნენ, მაგი-დასთან ჩარიგდნენ.
 - რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, როცა უჩემოდ შემოხვალთ და დალევთ, ნაგავს ნუ დატოვებთ-მეთქი... აქაურობა ბუზით იყო სავსე.
 - ეს ერთხელაც გვაპატიე, დავთ-ვერით და დაგვრჩა, სხვა მხრივ ხომ ყველაფერი წესრიგში იყოვო.
 - რაც მაცივარში დავტოვე დაგილევიათ და შეგიჭამიათ...
 - არაო, ეტყობა სხვებმა დაათოხ-ლავეს, ჩვენ ჩვენი სასმლით და პურ-მარილით მოვედით, ბოლოს ცოტა არყის ბოთლს მოვაკელით, საყოვლად-წმინდაო აღარ დაგვრჩა და მაშ რა გვექნაო.
 - ახლა, ალბათ, რაც დატოვეთ იმის ასათვისებლად მობრძანდით!
 - ოო, მახო, რა ხარ, რა ხარ, შენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებთ, მოხალისდნენ და მაცივარს მოწყურებული თვალები მიანათეს.
 - ვიდრე გეგულებათ, ხომ არ მომასვენებთ, ბარემ გამოიღეთ და ჩაცეცხლეთ! - დართო ნება.
 - ჯიგარი ხარ, მახო, დაგვცოფავ, გაგვთათხავ, მაგრამ გული აუზონავი ოქრო გაქ, - გახალისდა რობე.
 - არაყის ბოთლი შეაჯანჯლარა და სინათლეზე გახედა.
 - არ გვეტყვი, გუშინ მთელი დღე სად დაგვეკარგე?
 - საქმეზე ვიყავი, ერთ ტიპს ფული ჰქონდა ასაღები და იმის ამოსაღებად გავყევი გლდანში.
 - კარგი ფოდრათი იყო?
 - არა უშავს.
 - შენი წილი?
 - ხუთასი ლარი... კოსტუმის მარჯვენა გულისჯიბეში დევს.
 - რობერტ ჯიბე მოსინჯა.
 - ვაჲ, აქ რომ არა ჩანს?
 - სხვა ჯიბეებიც ნახე...
- ყველა ინტერესით მიაჩერდა.
 - არც სხვაგან არის, მახოჯან...
 - კარგად ნახე!
 - აბა შენცა ხარ რა!.. მე და ჯიბეში ფულს ვერ მივაგნო?
 - რა ვიცი, ალბათ, მატარებელში ვინმე შენნაირმა მანაკმა ამომაცალა.
 - მახოც იქნება ვინმეს ფული ამო-აცლევინოს!.. კაცო, ვაი, ვაი, ვაი, - შუბლში ხელი შემოირტყა რობერტი, - ეს ახალგაზრდა ვინ არის? - დააკვირდა ლაცკანზე მიმაგრებულ სურათს.
 - ახლობელია... გუშინ დავკრძალეთ!
 - თბილისში?
 - ჰო, თბილისში.
 - მერე არ უნდა გეთქვა? წამოვი-დოდით, დაგაფასებდით!
 - არაყი ჩამოასხეს.
 - აბა, ღმერთმა შეიწყალოს... რა ერქვა?
 - რობერტი, რობე.
 - ვაჲ, ჩემი სახელი რქმევია... აცხო-ნოს ღმერთმა! - შუბლზე ხელმეორედ გაინკაცენა აცახცახებული თითები და ჭიქა ყელში გადაუშვა, - ეგ ცუდი ამბავი მომხდარა... გუშინნინ რატომ არაფერი გვითხარი-მეთქი.
 - მაშინ ცოცხალი იყო.
 - როგორ, ასე მალე დამარხეს?
 - ეგრე მოითხოვა საჭიროებამ.
 - აფსუს... რა დაემართა, სვამდა? - ცერი ამოისვა უპესთან.
 - არა, წვეთს არ იკარებდა.
 - აბა, რამ მოკლაო, ოთხივემ ისეთი გაოცებით გამალა ხელები, თითქოს მარტო დალევის გამო იხოცებოდ-ნენ ადამიანები და მერე ერთხმად ყველა არამსმელს ნიშნი მოუგეს, ხომ შეუდგა თქვენ მცდარ თეორიას წყა-ლი, ყველაფერი ისე ხდება, როგორც დაბადებისთანავე უფალი დაგაწერს შუბლზეო.
 - ჩვენ ეტყობა არტოს გამოხდილი ლარიანი არყით სიკვდილი დაგვაწერა,
 - თქვა ერთმა.
 - აბა, აბა, ეგ არაკაცი ნამდვილად

კარბიდზე აყენებს... ისე, მაინც გამოვიხედე თვალებში, – რაფაზე მიყუდებულ სარკეს ჩახედა რობემ, – აპა, ამ ერთ-საც დავახურდავებ და გავიმართები წელში... ჰო, ჰო, გააცოცხლა ჯიგარი, ბიჭებო... ერთი აქეთ მოიწი, – სთხოვა პიჯაკმოსხმულ მახოს, – კარგად დავაკვირდე... მაშ რობერტი ერქვა, არა, მამის სახელიც ჩემი ხო არ ჰქონდა?.. ეე, ვერან, ვინ შენი ახლობელია... თუ ყო, იბიონამატ, ეგ ხო მე ვარ!

– საიდან, შენ ცოცხალი ხარ, ეს კიდევ...

– ახლა აჩმახებ! – ჩაილაპარაკა ნაწყენმა და ისევ დააკვირდა, – ნამდვილად ჩემი ფოტოა, – ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ჯეელობაში მეტრიკისთვის თუ რაღაც ჯანდაბისთვის გადამაღებინეს, – კიდევ კარგად დააკვირდა, – რა დრო გასულა, პროშლი ვეკ!.. სად ნახე, მომეცი, შევინახო, როცა დავიბრიდები, უნდა დავიბარო, ეს სურათი გაადიდონ, კარგად გამოვიყურები!

– მაშინ სვამდი?

– მაშინ ვენეოდი!

– პლანსაც?

– პლანს არა, პაპიროსი კი... დავიბადე თუ არა, აკუშერკამ მაშინვე „კურორტნი“ მგლიჯა ტუჩებში.

ნასასვლელად წამოიშალნენ.

ქულა კარის ზღურბლთან უკანა ფეხებში ჩაჯდა, მთელი გასასვლელი ჩაფარა და სტუმრების მსვლელობა გამაფრთხილებელი ყეფით შეაჩერა, თან მასპინძელს გახედა, თვალებით „ჰეითხა“, როგორ მოვიქცეო.

აქედან გარეთ რომ არ გვიშვებს, მეცხვარის ნაგაზია თუ სამთავიანი ცერტერიო, – ერთმანეთს მიაწყდნენ დამფრთხალი სტუმრები და მახომ ქულას უთხრა, ამათ ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეს, რომ უნდა გაატაროვო.

ქულა მორჩილად გადგა გვერდზე.

მალხაზ ფერაძე, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ცოტა ძველბი-

ჭობდა, სადგურის დასახლებაში იმის უკითხავად არაფერი ხდებოდა, ერთხანს იჯდა კიდეც და წულუკიძის ციხის ბიბლიოთეკარის, პარტიული ბობოლების ბრძოლას შენირულ, კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილის შეგონებით, აქტიურ მკითხველად იქცა.

ციხეში გატარებულმა ორმა წელმა იმდენი შემძინა, გარეთ მთელი სიცოცხლე რომ ვერ შევიძენდიო.

პარტიაზე შემომწყრალმა ბიბლიოთეკარმა, ჩუმად, 1982 წელს სტოკ-ჰოლმში დაბეჭდილ, „კონსპირაციისათვის“ მუყაოს უწარწერო ყდაში ჩასმულ „ახალ აღთქმას“ აზიარა.

ჩუმად კითხულობდა.

ბიბლიოთეკის კუთხეში, პატარა მაგიდასთან მიმჯდარი ჩაჰურებდა ყოველდღიური გაზეთის ქვემოთ ამოდებულ ბიბლიას.

დაამთავრა წიგნი და, თავის სიცოცხლეში პირველად, ფანჯრის გისოსებთან მდგომა პირჯვარი გადაისახა. მთელი ეს განსაწმენდელი პატიმრებით, უჯიგრო, გულლრძო პერსონალით, მავთულშემოვლებული კედლებით, ცალფეხზე შემდგარი, წეროებივით აყინჩული სათვალთვალო, საყარაულო კოშკურებით, რომლებზეც უფრო ხშირად ვიწროთვალება, შუააზიელი სპეცდანიშნულების ნაწილის ჯარისკაცები მორიგეობდნენ, აღარ მოეჩვენა ისე აუტანელი.

ზიზღი, რომელიც მეტნაკლებად ყველა პატიმრის გულშია, სინანულის, მიტევების თუ კიდევ რაღაც სხვა გრძნობამ შეცვალა, სახელი რომ ვერ დაერქმია.

ვადა როცა ამოენურა, პატიმარმა ბიბლიოთეკარმა, ციხის კედლები კიდევ წელიწადი რომ უნდა ეხეხა, აქ გადაღებული, ოჯახისათვის გადასაცემი საერთო სურათი გამოატანა და საგულდაგულოდ გაზეთში გადახვეული ბიბლია აჩუქა, ერთხელ კი არა, ეს მთელი ცხოვრება საკითხავი წიგნიაო...

ციხეში ბიბლიამ გამაძლებინა, მი-
მახვედრა რომ სამართლიანად დავისა-
ჯე. ადამიანის მთავარ დანიშნულებას
ვუღალატე, საუნჯეს ზეცაში კი არა,
დედამიწაზე ვაგროვებდიო.

თვითონ მახო რას აგროვებდა ან
მიწაზე, ან ზეცაში, ამაზე აქამდე არ
უფიქრია, თავზე ხელაღებული მარ-
ტოხელა ერთი დღით ცხოვრობდა –
ჰქონდა, ხარჯავდა, არ ჰქონდა, „ბედს
ელოდა.“

უსამსახუროდ დარჩენილი უბნის
„მსმელი“ ბიჭები, მოუთმენლად ელოდ-
ნენ თავიანთ ლიდერს.

შუმაბანდში გაშალეს სუფრა,
დაისვეს მახო და ციხის ამბების ნაცვ-
ლად ეკლესის დანიშნულებაზე, რწმე-
ნასა და ღვთისმოშიშობაზე რომ ალა-
პარაკდა, გაკვირვებულებმა გადახედეს
ერთმანეთს, ეს კაცი საპატიმროში
გვეგონა და სინამდვილეში სასულიერო
აკადემიის სრული კურსი გაუვლიაო.

მახომ თავისი შეგონებანი ზომ-
იერების დაცვისკენ მოწოდებით დაას-
რულა, რასაც თანამეინახენი ოვაცი-
ით შეხვდნენ, თუმცა ამ ყველაფერმა
მეგობრებში ბევრი ვერაფერი შეცვალა,
გარდა იმისა, რომ აქამდე თუ ჭიქას
ეგრევე, უსიტყვოდ ხუხავდნენ, ახლა
ჯერ უეჭველად პირჯვარს გადაიწერდ-
ნენ, – შეგვინდე და შეგვარგეო და,
რაკი უფლის წინაშე ვალი მოხდილი
ჰქონდათ, დამშვიდებული სინდისით
დებდნენ კინწმოწყვეტილ თავს ბახუ-
სის სამსხვერპლოზე.

მოსწყინდა ყველაფერი.

მეუფესგან კურთხევა აიღო და
ქვათახევში წავიდა.

პეტრე-პავლობის მარხვა იქ გაატარა.
მზარეულობა ეხერხებოდა. სატრაპეზო
სუფრას თავისი ხელი დაატყო.

იქაც ჩაკითხეს, დაფეხვილი
„მოსკვიჩით“ ჩავიდნენ, წყაროსთან,
ჩრდილიან კორომში გამალეს სუფრა.

ვეღარ გაუძლო ცდუნებას.
დალია.

დალია და ვეღარ გაჩერდა.

ვიყავი სავლე, მაგრამ ვერ გავხდი
პავლეო, – გამოეთხოვა მოძღვარს და
ბერებს.

ყველას გული დასწყდა, ისე შეით-
ვისეს და შეიყვარეს.

მისი დაბრუნება უბანში ვერავინ
გაიგო. შეიკეტა და მთელი კვირა ცარ-
იელ პურსა და წყალზე „დაჯდა.“

მერე ჩიკორივით დაბზრიალდნენ
წლები. ეროვნული მოძრაობის ფეხ-
ისხმას აყოლილი ამღვრეულმა მორ-
ევმა აყურყუმელავა, დიდი მოღოდინი
გაუნიორწყალა და გულგატეხილმა
ისევ ეკლესიას შეაფარა თავი.

სახედაფუფულებულ და ყურჩამოხეულ
ქულასთან შეხვედრამ აქამდე მივიწყე-
ბული, პასუხისმგებლობის გრძნობით
აღავსო.

ნეტავი ადამიანებს ასეთი ერთგულე-
ბა და სიყვარული შეეძლოთო, – გუ-
ლაჩუყებული ქეჩის უქექავდა ხოლმე
მუხლებზე თავჩამოდებულ ნაგაზს.

წირვის დროს ქულაც თან გაიყოლა.
ქეჩის მეორე მხარეს დატოვა, აქედან
ფეხი არ გადადგაო და თვითონ ეკლ-
ესიაში შევიდა.

დაანთო სანთლები, დამთავრდა
წირვა და ეზოში გამოსულს ქულას
ყმუილი მოესმა.

გაუკირდა, რა დაემართაო.

სამრეკლოზე ზარები გაბმულად რეკავდ-
ნენ.

თავაწეული, სამრეკლოს მიჩერებული
ნაგაზი არ ჩერდებოდა.

მიჩუმდნენ ზარები. ქულამაც შეწყვიტა
ყმუილი და დამნაშავესავით თავჩაქინდრუ-
ლი აედევნა.

სხვა დროსაც იგივე განმეორდა. სახლ-
შიც, თუკი ზარის ჩამორეკვის ხმას გაიგონებ-
და, მაშინვე ღია შუმაბანდს აებლოტებოდა
და აწკმუტუნებული იმ ხმას აყურადებდა.

ვერ გავიგე, რაღაცაშია საქმეო.

რა გინდა, ძმაო, ძალლიც ღვთისმო-
სავი გამოგადგაო, – მხარზე ხელი დაჰ-
კრა რობეგ.

ნიკოლოზი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისის კიბეზე იდგა და ეწეოდა, მალხაზმა რობეს და ქულას თანხლებით რომ გამოიარა.

შუშებიანი ოფისის შიგნით მორიგი თავყრილობა მიმდინარეობდა.

რობერტ თვალებზე ხელი მოიჩრდილა და შუშებიან დარბაზში შეიჭიდა.

კედელზე, პროექტორიდან აღბეჭდილ დიაგრამასთან, წითურთმიანი ქალბატონი გეოგრაფიის მასწავლებელივით საჩვენებელი ჯოხით იდგა და მსმენელებს რაღაცას გატაცებით უსწინდა.

— ვინ არის ეგ ტიპი და რას ბალამუტობს? — იკითხა რობერტ.

— ევროკომისიის ნარმომადგენელი, დედაქალაქიდან მოვლენილი, მანან-ნალების უფლებების დამცველი კოორდინატორია... ტრენინგს ატარებს.

— აპა, გვეშველება! — თვალი ჩაუკრა მალხაზს.

— ორფეხების არა, ოთხფეხების უფლებებს იცავს, — გაეცინა ნიკოლოზს.

— ვაჲ, კაცო, ეს რა ქვეყანაა, ძალად დაბადება როგორ უნდა ინატრო... ჩემს უფლებებს ვიღა დაიცავს?

— უფალი!

— უფალს ვინ აცლის ანდა ვინ ეკითხება... რა თქვი, ეგ ქალბატონი ევროკომისიისაო...

— დაახლოებით... ჩვენთან იყვნენ, საძალლე დაათვალიერეს... მაგიდასთან რომ ზის, ხელმარცხნივ, ჩამოსული უცხოელი, მთავარი შემმოწმებელ-კურატორი გახლავთ... ძალიან შეგვაქო, რადგან ცხოველებზე ზრუნვა დაიწყეთ, ახლა კი მართლა დავიჯერე, რომ თქვენი ქვეყანა სწორ გზას ადგასო.

— ყოჩალ, ქალო! — ტაში შემოჰკრა მახომ, — მაგის დასკვნა და შეფასება შუა ევროპაში ქვას გახეთქავს... ეხლა კი ეტირება კრემლს დედა!

— შეხედეთ, შეხედეთ, — სიცილით გაიჭაჭა რობერტ, — ბოზიშვილი ვიყო, თუ

ჩემს სიცოცხლეში ასეთი საინტერესო ტრაკი მენახოს.

— რას მიედ-მოედები, — შუშების ცხვირი მიაჭყლიტა მახომაც.

ჯოხიან ქალბატონს, ზურგშექცეული რომ მიდი-მოდიოდა, მართლაც უცნაური, მძიმე უკანალი ჰქონდა. მხოლოდ თავისი სიდიდით ან ფორმის გამო არა, რაღაცნაირი ჩამოსავარდნად დაკიდული, რიყეზე ნაგორავები, დამრგვალებული ქვასავით იდო თალხნად მორგებულ შარვალში და სხეულის ყოველ გარევაზე, აქეთ-იქით აწყდებოდა.

ამ საინტერესო უკანალის პატრონმა არ შეიძლება აზრებიც საინტერესო არ დააფრქვიოსო. მახომ ქულას ანიშნა, აქ დარჩიო და დარბაზში ფეხაკრეფით შევიდნენ, ბოლო რიგში მოძებნეს ცარიელი სკამები, მაგრამ კედლისკენ შებრუნებული ქალბატონის მახვილმა სმენამ მაინც იგრძნო მათი შემომატება და იკითხა, თქვენ რომელი ორგანიზაციიდან ბრძანდებითო.

„ს. უ. ც. ც-დანო,“ — უპასუხა მახომ.

თუ შეიძლება, ეგ აბრევიატურა გაგვიშიფრეთო.

„სადგურის უპატრონო ცხოველების ცენტრიო“, — განუმარტა მახომ.

აქმდე რატომ არ გაგვიგიაო, — გაიკვირვა ქალბატონმა.

ჩვენც არაფერი გვსმენიაო, მხრები აიჩეჩა ადგილობრივმა კურატორმაც და ბედნიერი ცხოველების სახეებით დამშვენებულ ბლოკნოტში რაღაც სასწრაფოდ ჩაინიშნა.

დღეს დავაარსეთ და როგორ გაიგებ-დითო.

„ხელჯოხიანმა“ ქალბატონმა ხუმრობად არა, მაგრამ არც ძალიან სერიოზულად რომ არ აღიქვა მალხაზის ნათელობაში, წითელპომადიანი, ლამაზი ტუჩების კიდეებში დაეტყო.

კეთილი და პატიოსანი, თუ ჩვენი დახმარება დაგჭირდებათ, თქვენს გვერდით გვიგულეთო.

თავის ჯოხიანად ისევ დიაგრამას მიუბრუნდა. ომმა მხოლოდ ადამიანები კი არა, ჩვენი ოთხფეხსა მეგობრების სიმყუდროვეც დაარღვია, სოფლებიდან გამოქცეულებმა ქალაქს მოაშურეს და მათმა მოზღვაცებამ, უამრავმა ხროვამ მოქალაქეებს პრობლემები შეუქმნა, იმატა ცოფის შემთხვევებმა, დაკბენილი ადამიანების რაოდენობამ, ამიტომ საჭიროა ძალების აცრა, მათი აგრესიულობის ჩაქრობა და, რაც მთავარია, შემდგომი გამრავლების პერსპექტივის აღკვეთა, არა იმ უადამიანო მეთოდებით, აქამდე რომ იყენებდნენ, რაც მათ ფიზიკურ ლიკვიდაციას გულისხმობდა, არამედ ჰუმანური გზით, სამედიცინო ჩარევით, ძუკნებისა და ხვადების კასტრაციით, რაც უკვე აპრობირებულია ევროპის წამყვან ქვეყნებში.

– შეიძლება, ქალბატონო? – სიტყვა შეაწყვეტინა მალხაზმა.

ბრძანეთო, – თავი დაუქნია ტრენინგის ხელმძღვანელმა.

– ბარბაროსული ხომ არ გეჩვენებათ, ქირურგიული ჩარევით, სასქესო ჯირკვლების ამპუტაციით განაყოფიერების უნარის შეჩერება, ნუთუ ვერ ხვდებით, რა სისატიკეა, როცა ძუკნებს განაყოფიერების უნარს ვართმევთ, ხვადებს კიდევ...

– საქმე იქითკენ მიგყავთ, რომ მათი ლეკვებისათვის ძიძების დაქირავება-საც მოგვთხოვთ, – წამოიძახეს წინა რიგებიდან.

– მაგის საჭიროება ნამდვილად არ იქნება, რადგან, ჩვენი ბევრი გაქსუებული ქალბატონისაგან განსხვავებით, ძალები თვითონ ზრდიან თავიანთ პირმშობებს.

დარბაზი ახმაურდა, მახო შემწყნარებლური ღიმილით იგერიებდა რეპლიკების ჯვარედინ ცეცხლს.

სხდომის წამყვანმა მაგიდას ჯოხი დაუკავშუნა:

– ნუ ავცდებით ჩვენი საუბრის თემას... გთხოვთ, გთხოვთ!.. ყველას

აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება... დიახ, ჩემო ბატონო, ის მეთოდი, რომელსაც ევროპაში აპრობირებული ვუწოდე, ნამდვილად ჰუმანურია, იმას-თან შედარებით, რაც იყო...

მახომ მორჩილად დაუკრა თავი:

– შეიძლება, მაგრამ შედარებით ჰუ-მანური სულაც არ ნიშნავს, რომ კარგია და პრობლემა ამონტურულია.

კოორდინატორმა მხრები აიჩინა.

– კეთილი, მაშინ სხვაგვარად გეტყვით და პირდაპირობისათვის ნუ გამკიცხავთ, ნურც თქვენ და ნურც ეს ძვირფასი, ჩემი გამოსვლით უკმაყოფილო საზოგადოება!.. თქვენ მშვენიერი, როგორც დღეს უყვართ გამოთქმა, სექსუალური ქალბატონი ბრძანდებით... დავუშვათ გათხოვდით ან, რა ვიცი, რაღაც ფორმით დაუკავშირეთ თქვენი ცხოვრება მამაკაცს, რომელიც ძალიან გიყვართ... ამ ყველაფრის აპოთეოზი, მოგეხსენებათ, რაც არის, მაგრამ, მოულოდნელად, საწოლში აღმოაჩინეთ, რომ გვერდით უინით აღვსილი მამრი კი არა, ჩვარი გინევთ... მოკლედ, კასტრირებული ცვედანია თქვენი გულის რჩეული, თანაც იმ ხელოვნური ჩარევის წყალობით, თქვენ რომ ჰუმანური უწოდეთ...

– კი, მაგრამ ჩვენ ხომ ძალებზე ვლაპარაკობთ და არა ადამიანებზე, – ანითლდა ლექციის წამყვანი.

– მერე რა გარანტია, რომ კაცობრიობის კეთილისმყოფელები, ანალოგიურ რეკომენდაციებს ჩვენთვისაც არ მოამზადებენ? „შემდეგი გაჩერება ადამიანია“, დედამინა დამძიმდა და შობადობა უნდა შეამცირონ...

– ეგ არ შეიძლება მოხდეს!

– რამდენ რამეზე ვამბობდით, არ შეიძლება მოხდესო, მაგრამ მოხდა... მე შენ გეტყვი, არ გვიყვარს ჩვენი დამაქცევარი რეკომენდაციების აღსრულება...

დარბაზი აჩოჩოლდა, ახმაურდა, უმეტესობა თავის მოსაზრებას, უფრო სწორად მრისხანებას აფრქვევდა, მხ-

ოლოდ ერთი ქალბატონი შენიშნა, მონონების ნიშნად ტაშს რომ უკრავდა.

ევროპელი სტუმარი ამაოდ იხვეწებოდა, მითარგმნეთ, ასეთი რა თქვა იმ ბატონმა, რომ ასეთი რეაქცია გამოიწვია.

აციმციმდნენ ფოტოაპარატები, რამდენიმე ტელეარხის ოპერატორის ყურადღების ცენტრში მოექცა მახო.

— ქალბატონო, მესმის რომ ამ ყველაფრისთვის პასუხის გასაცემად მზად არ ბრძანდებით. არც გევალებათ... უფრო სწორად, თამამი განცხადებები გეკრძალებათ კიდეც... პროექტით მხოლოდ და მხოლოდ მაგ შინაარსის ლექციაა დაფინანსებული — უნდა დაგვატრენინგოთ და წაბრძანდეთ სტუმართან ერთად, დამშვიდებული, კმაყოფილი, რომ თქვენი პატრონების ნება კეთილსინდისიერად აღასრულეთ, მაგრამ პრობლემა ხომ აქ რჩება? რატომ გგონიათ, რომ ქალაქში ძალების მომრავლება მხოლოდ შინაური თუ გარეული მტრის „გამოგონილმა“ სამარცვინო ომმა გამოიწვია? სოფლები უკვე კარგა ხანია იცლება, მოსახლეობა დაიმშა, გაღატაკდა, ძალებს ვერც მოსაკლავად იმეტებენ, ვერც იმისთვის, რომ თქვენგან მოწონებული ჰუმანური მეთოდით გადააშენონ... ქალაქს უგზავნიან, რადგან აქ შედარებით იოლია თავის გატანა, სანაგვეები ადამიანებსაც ემსახურებიან და ოხფეხებსაც... ამიტომ პრობლემა უფრო ღრმაა და მისი გამარტივებულად წარმოდგენა, თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი!

მაპატიეთ, თუ არაკორექტული ადგილები იყო ჩემს გამოსვლაშიო! — დაამთავრა თავისი სიტყვა.

დაბაზი ისევ ახმაურდა, ზოგი, მახოს მიემხრო, ზოგი — მანანალების უფლებათა დამცველს, ზოგსაც, სეირის საყურებლად მოსულებს, ფოიეს მეორე კუთხეში გულუხვად გაწყობილ ლანჩის მაგიდისკენ ეჭირა თვალი.

უცხოელი სტუმარი ქალბატონი

წამოდგა და საზოგადოება, როგორც იქნა, ჩაწყნარდა. მისი გამოსვლის აკორდულ ფრაზას, „ბრძოლამ ჰუმანური მსოფლიოსათვის“ კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაიწაო, აპლოდისმენტებით შეხვდნენ, პატარა ქალაქის საძალე ლამის ერთადერთ მანათობელ შუქურად აღიქვეს დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე და აიშალნენ, ხორჯლიან ფილაქანზე უსიამოვნოდ ახრჭიალდნენ დაბალზურგიანი, საოფისე, სავარძლის ტიპის სკამები.

მოკლედ, მანანალებს ეშველათ, ახლა რიგი ადამიანებზე იყო.

ადგილობრივმა კურატორმა ლანჩიზე მიიწვია ტრენინგის მონაწილენი.

ქულა ნერწყვმორეული უყურებდა ხორაგს მისეულ ადამიანებს.

იქვე რამდენიმე ფინიაც დასუნსულებდა.

ნიკოლოზმა — ჩვენც მივიდეთო.

— უსასმელო სუფრა, რა სუფრაა! — აიმრიზა რობე.

— ის მშიერი იყოს და მე ვჭამო? — ანიშნა მახომ ქულაზე.

— არ დავტოვებთ მშიერს! — შავი ცელობნის პარკი ამოილო ჯიბიდან ნიკოლოზმა.

სტუმარმა მოიბოდიშა, დედაქალაქში კიდევ ერთი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილიონ და თანმხლებლებთან ერთად მალე გამოეთხოვა მასპინძლებს.

ადგილობრივი კურატორი და „თავშესაფრის“ თანამშრომლებიც უკან აედევნენ.

გასასვლელში ფინიები წკმუტუნით შეხვდნენ თავიანთი უფლებების დამცველებს.

ქალბატონები მიეფერნენ.

ყურებზე ნიშანი რატომ არ უკეთიათო, — იკითხა უცხოელმა სტუმარმა.

საძალეს დირექტორმა მოიბოდიშა, — ესენი ახალი „პარტია“ და ვერ მოვასწარით მათი თავშესაფარში მოთავსებაო.

რა ნიშანი უნდა ჰქონდეთო, — დაინტერესდა რობე.

— აი, ისეთი, რა, კომუნისტებმა რომ დაამხეცეს, „ზნავ კაჩესტვა,“ — აუხსნა ნიკოლოზმა.

— ვაჲ, რა დრო იდგა, მაშინ ძალლებს ვინ დაშტამპავდა ან მათ დასაკოდად ვინ მოცდებოდა!

— მერე, კარგი იყო?

— რა?

— რაც ახლა თქვი!

— რა ვთქვი?

— ხო იგულისხმე!

— აჩმახებ, ნიკოლოზ!

— რა ვქნა, ცხელა! — ახედა გავარვა-რებულ მზეს ფერშალმა.

მანქანაში რომ სხდებოდნენ, შემთხ-ვევით ფეხდადგმულმა ფინიამ ადგი-ლობრივ კურატორს კოჭზემოთ კბილი მსუბუქად გაჰკრა.

ქალმა შეჰქევლა.

ხროვა მაშინვე დანაშაულის ადგილს მოსცილდა, ქუჩის ბოლოსკენ გაიხვეტა და შექმნა ცილაობა, ვინ შეახტებოდა მეზობელი ჩიხიდან გამოსულ ძუკნას.

ძალლებში თუ ხდება სექსუალური ძალადობაო, — იკითხა ვიღაცამ.

რამდენიც გნებავთო, — გამოეპა-სუხა ტრენინგის წამყვანი ქალბატონი, აგრ თვალნათელი მაგალითი, ერთს რამდენი მიესიაო, — ანიშნა ძუკნაზე, შემრიგებული წკმუტუნით რომ იგერ-იებდა ამძუვნებულ ხვადებს.

— არა, ქალბატონო, რომელი ძა-ლადობა, კაიფობს ამდენი თაყვა-ნისმცემელი რომ ახვევია, — გაეცინა მახოს.

სტაციონარში თუ არ მოთავსდ-ნენ, ვაქცინაცია თუ არ ჩაუტარდათ, ვინ მოთვლის რამდენ უბედურებას გაავრცელებენ, — ქალბატონებმა თვალი ძლიგს მოსწყვიტეს ამძუვნებულ ძუკნას, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე თამამს რომ დანებდა და კისერმოლრე-ცილმა, ფერდზე ჩამოცურებულ ხვადის თათს ალერსიანი სიამოვნებით დაუწყო კბენა.

საინტერესო უკანალის პატრონმა

ნერწყვი გადაყლაპა, კარი მიიჯახუნა და ლიმილით ყურებამდე პირგახეულ მძღოლს უბრძანა, რაღას ელოდებით, წავედითო.

— წავედით, წავედით! — ჩაიდუდლუ-ნა სახედასერიოზულებულმა შოფერმა და ძრავი ჩართო.

— ჩვენ როგორ მოვიქცეთ? — იკითხა მახომ.

— ჩვენც წავიდეთ, აქ მადგას დამ-წვარ ზეთში გამომცხვარი ლობიანი, — ყელთან ხელი მოისვა რობემ. — თუ ერთი ჭიქა არ დავაყოლე, ვაქცინაცია მე დამჭირდება.

— შეიძლება კასტრაციაც! — ჩაეცინა ნიკოლოზს.

— წაიღონ, ძმაო, ამ დამპალ ყვერებს რაღა თავში ვიხლი...

ტროტუარზე გადავიდნენ.

კვნესა შემოესმათ.

ქულამ ჩეჩქითა და ფოთლით მოფე-ნილ ნათხარს ჩაჰყეფა.

მუცელგამობერილმა შავმა ძალლმა ძლიგს ასწია თავი.

— ლეკვებს დაყრის! — თქვა ნიკოლოზმა.

პარკი გახსნა და რობეს დაწუნებუ-ლი ლობიანი და კარტოფილის ღვეზე-ლი ჩაუგდო.

დანარჩენი ქულასაო, — პარკი მახოს გაუწოდა და საძალლეში წავიდა.

ადგილობრივ კოორდინატორს შრა-ტის ნემსი რომ დაარჭეს სადაც ჯერ არს, ძუკნა უკვე მშობიარობას იწყებდა.

იმ ღამეს სიცხით შემჭკნარ, ნაად-რევად ჩამოყრილ ფოთოლზე მიგორებ-ულმა, ერთმანეთს მიხუტებულმა ექვს-მა ბრმა ლეკვება შესწკმუტუნა თავი-ანთ გაურკვეველ მომავალს და შეწყდა კვნესა, იქაურობა ჩაწყნარდა...

აღნაგობით გამორჩეული, გამუდ-მებით მახოს ადევნებული ქულა შეუმჩნეველი ვის დარჩებოდა. „საქმი-ანი ეზოს“ დირექტორმა დაადგა თვა-ლი, ღამე რომ უყარაულოს ამხელა

ტერიტორიას, ეგეთი ნაგაზი მჭირდება, თანაკლასელობის ხათრით დამითმეო, – შემოუთვალა მახოს.

სიამოვნებით გაგატანთ, მაგრამ ძალია უარზე, მაგ არაკაცის ხელში არ ჩამაგდოვო, – უთხრა შუამავლებს.

აბა, რას ამბობ, ძალლის უარი ვის გაუგონია, იქამდე მოგვიყვანე და მერე ჩვენ ვიცითო.

რა იცით ეგეთი, მითხარით და ეგებ დაგთანხმდეთო.

დაბმულს ერთი-ორ როზგს რომ მოვდებთ, დაჭკვიანდებაო.

მაშ მოსდებთ, არაო?

ჰოლვო.

აბა, ახლავე გააფსით აქედან, ვიდრე ცხვირ-პირს ამოგინაყავთო, – გაუღო კარი და ქულამაც ალრენილმა წამოინია.

წავიდნენ. პატრონს, რა თქმა უნდა, ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ჩაუკავ-ლეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ქულა მოინამალა.

დილაადრიან ეზოში გამოსულმა, ცოტა ხანში ზღურბლამდე ძლივს მიაღნია, დუშმორეული ჩაიკეცა და ოთახში, ჭილოფამდე, გაჭირვებით მიხოხდა.

მაშინვე ნიკოლოზს დაურეკა – ან გაცოფდა, ან მოინამლაო.

მოვიდნენ მანქანით, ვეტექიმი და თვითონ ნიკოლოზი.

ისედაც აფცევნილი სახე უარესად დაუღუდუდდა, ამოაღებინა და ახალშეჭმული, დაუმუშავებელი ხორცი ამოაყოლა.

კი, მოწამლულიაო, – დაუდასტურა მახოს ვეტექიმმა.

მახომ გაკირვებით გაშალა ხელები, ხორცი მე არ მიმიცია, არც ეზოს გარეთ არ გასულაო.

ვეტექიმმა თავი დანანებით გადააქნია, თუ ასეა, მაშ ეზოში გადმოუგდეს... რას გერჩოდნენ, ცუგა, ასეთი დაუნდობელი მტერი საიდან გყავსო.

რამდენიმე დღე სასწორზე იდო, ვე-

რაფერს ვერ ირგებდა, ჩამოდნა, ცარი-ელი თავი და თვალები დარჩა... საძალლები გადაიყვანეს, ძველ, სპორტ-დარბაზისხელა აგურის შენობაში, ახალაშენებულ ვოლიერში მიუჩინეს ადგილი.

ის სადა გაქვთო.

მიხვდა ნიკოლოზი, მახო რასაც კითხულობდა.

წამოდიო.

აღავლავებული ძალლების თანხლებით, დარბაზის ბოლოში, შუშიან ოთახში შეიყვანა. აი, ეს გახლავს საოპერაციო მაგიდაო.

მახომ მოათვალიერა იქაურობა – კარადები, თაროები, ვერცხლისფერ კოლოფებში ჩაწყობილი ქირურგის ინსტრუმენტები და ორივე, ვეტექიმი და დამხმარე ფერმალი, ანუ ნიკოლოზი, მკაცრად გააფრთხილა, – დედის სულს გეფიცებით, ქულა რომ დაკოდოთ, ცოცხლები ვერ გადამირჩებითო.

პირობას გაძლევთო.

საოპერაციოს კართან ხროვა სხვადასხვა ხმაზე ღავლავებდა.

ახლა გამაგებინეთ, ამ ძალლებში რომელია კასტრირებულიო.

ყველა, რომელსაც ყურზე ნიშანი ადევსო.

თვალი გადაავლო.

– ამდენ ცოდვას ვინ შეგინდობს, უფლის არ გეშინია?.. ადამიანი კი არა, ლანცეტშემართული ბელზებელი ხარ! – შეამკა ვეტექიმი და წავიდა.

მტვრიან, ნანგრევებს შორის გამავალ ოლორჩოლრო გზას ფეხით გამოუყვა.

ოდესაც მძლავრი, საფაბრიკო კომპლექსიდან რამდენიმე დანგრევის პირამდე მისული შენობაღა იდგა. დანარჩენი იავარქმნილი, გაძარცვული, აგურ-აგურ გატანილი, ქვა-ლორლის უამრავი ნაშალი, უდაბნოს ბარხანები-ვით ჩარიგებულიყო ყოფილი წარმოების ტერიტორიაზე.

უბერავდა სამხრეთის ხორშაკი,

აქოთებდა ნაგავსაყრელებს, დააფრიალებდა ცელოფნის დაბერილ ბურთებს, სიცხეში რაღაც ერთნაირად, გულისამრევად ყარდა. ეს სუნი დახვდებოდა ყველგან, საითაც არ უნდა გაქცეულიყო. მსახვრალ ხელს ყველაფერი ერთნაირი მონდომებით წაეშალა, გაექრო სკვერები, ფაბრიკის შიგნით, სავალი გზების გასწროვ ჩარგებული სურნელოვანი ცაცხვის და გარეული წაბლის ხეები, ქარსა და წვიმებს ჩამოერეცხათ მონინავეთა სურათებიანი დაფა, ხოლო დაფის წინ მოღალანე, ხასხასა წითელი ტიტების ყვავილნარი ხომ კარგა ხანია ჭანგს გადაეძოვა.

დასავლეთით, სადაც დიდი საქვაბე იდგა, მწყობრად ჩარიგებულ სამეროებს რომ ემსახურებოდა, ცისკენ აყინჩული, აგურით ნაშენი და ზემოთ დაწვრილებული საკვამლე მილილა დარჩენილიყო, როგორც გადატეხილი სალამური, საიდანაც, ბერების ნაცვლად, ქარიან ამინდში უცნაური ხმები ამოდიოდა.

უცებ მახო ადგილს მოსწყდა, ერთერთ ბარხანზე აირპინა, შუბლზე ხელმოჩრდილულმა კიდევ ერთხელ „დაიტკბო“ მზერა ნგრევის აპოთეოზით და შემდვრეული მდინარის გაღმა გადმოკიდებულ სალოცავს შეჰვალადა:

- რატომ, უფალო, რატომ!
- მეტი არაფერი.

იქიდან წამოსული სადგურზე, აბაზოვების სახინკლეში, დათვრა, მაგრამ მაინც კარგად ახსოვდა, რომ საწოლზე დაიძინა.

დილით კი იატაკზე, ქულას ჭილოფზე, კარის ჭრიალმა გააღვიძა.

თვითონ გადმოვიდა თუ გადმოვარდა, ვერ გაიხსენა... ალბათ, უფრო გადმოვარდა.

ოთახში როპემ წიხლისკვრით შემოაგდო წარბეგახეთქილი ვიღაც ტიპი.

- აჲა, ჩაიბარე!..

მახო წამოჯდა, ძლივს აიტანა იატაკზე გდებით დაბუჟებული სხეული.

დამძიმებულ ქუთუთოებს ძალა დაატანა, როგორც იქნა, გამოიხედა დაბინდული თვალებიდან.

– ერთი ეს მითხარი, სტალინურ ხანაში, ერთა ძმურ კავშირში, გრაფიკით დადიოდნენ მატარებლები?

– ალბათ!.. არ ივლიდნენ და... ეგ რამ გაგახსენა, ცუდი სიზმარი ნახე?

– არა, სახინკლეში ვიღაც გადამეკიდა...

– რა დროს ეგ არის, აბა თუ მიხვდები ვინ მოვიყვანე?

მახომ შეათვალიერა დაგვაჯული, ჩექმებიანი, წვერგაუპარსავი კაცი.

– ეს საფრთხობელა რომელ ხეივანზე ჩამოხსენი და მე რად მომაყენე?

– გითხარი, ჩაიბარე-მეთქი და რატომაც მოგაყენე, გაიგებ!

– ვაჲ, ფხიზელი როგორი მკაცრი ხარ... აქტით ჩავიბარო თუ უაქტოდ?

– ჯერ ჩაულრმავდი, ძმაო, მახო, საქმის ვითარებას და, არა მგონია, ცოცხალი გაუშვა!

– რათა, რას მერჩით, რათა! – დავარდა მუხლებზე უარესად დამფრთხალი საფრთხობელა, – დირექტორმა, შენაო, ყარაულობიდან უნდა მოგხსნა, გაგაგდო და შენს ნაცვლად ძალი მოვიყვანო... – ცხვირიდან წამოსული ცინგლები მაჯას შეაწმინდა, – ჰომ, არც ხელფასი დასჭირდება და ჭამითაც არ დამიჯდება ძვირი... რაც ნაკლებს ვაჭმევ, უკეთესი, უფრო გაავდება და არავის დაინდობსო... მეც ავდექი და მოწამლული ხორცი გადმოვუგდე...

– კონკურენტი მოიცილე!

– რო გამომაგდოს, ცოლ-შვილის პატრონი ვარ.

– ეს ქალაქი ძალებს მიაქვთ და, რა იცოდი, რომელი უნდა მიეყვანა შენს ნაცვლად?

შეყოყმანდა, ხან როპეს ახედა, ხან მის წინ, ჭილოფზე წამომჯდარ მალხაზს.

– გავიგე!

– როგორ, ყარალაჯელ მკითხავთან იყავი?

დუმილი გაგრძელდა.
რობერტ კეფაში ჩააფარა.
– თვითონ მითხრა.
– ვინ?
– იმან!
– ერთსაც დავადებ და ამოშაქრავს.
– მოეშვი, რობერტ... ვინ გითხრა-
მეთქი!
– ხახიშვილმა! თუ ძალლს ფეხს
გააფშეკინებ, სამსახურშიც დარჩე-
ბიო...
ასეც ვიცოდი, რომ კვალი იმ ნაგა-
ვთან მიგვიყვანდაო, – ახედა მახომ
რობეს.
– სად გითხრა ეგ ყველაფერი?
– თავის კაბინეტში... თან ერთი
დიდი ჭიქა კონიაკიც დამალევინა, რაც
დარჩა ბოთლით თან გამომატანა.
– მარტო იყავით?
– ჰო, მარტო... არა, ჩვენი ბუღალ-
ტერიც შემოგვესწრო...
– ფული არ მოგცა?
– ფულიც, ოცდახუთი ლარი.
– მერე, ოცდახუთ ლარად უნიკალ-
ური ჯიშის ძალლი როგორ გაიმეტე!
საფრთხობელამ ჩაღუნული თავი
მაღლა შეაგდო. დაეტყო სახეზე, რომ
მახოს ნათქვამიდან ყველაფერი გაიგო,
მხოლოდ „უნიკალურზე“ წაიბორძიკა.
მთემელიც მიხვდა თავის „შეც-
დომას“.
– ძალლი გადარჩა და რა უნდა ქნა,
ფული უკან უნდა დაუბრუნო?
– გადარჩა? – მიიხედ-მოიხედა, თუ
გადარჩა, მაშ სად არისო.
– როგორც არ უნდა გაგიჭირდეს,
ხახიშვილისნაირმა არაკაცმა... –
სათქმელი აღარ დაამთავრა, ხელი ჩაი-
ქნია და კარზე ანიშნა, – წადი და უკან
აღარ მოიხედო.
– არ გავჩოთქო ეს ნაბიჭვარი? –
გაუკვირდა რობეს.
– გაუშვი, თავისი ცოდვა ისედაც
დასჯის.
არა, მთლად „უპატივცემულოდ“,
ჭიტლაყის გარეშე, ვერ გავუშვე-

ბო, რობერტ წიხლი ამოუქნია, მაგრამ
საფრთხობელამ ზღურბლზე ერთი
ნაბიჯით გადაასწრო.

ყარაულმა, თავი სამშვიდობოს რომ
დაიგულა, შუშაბანდის ლია ფანჯარას-
თან მდგომებს მუშტი დაუქნია, – მაშ,
ოცდახუთ ლარად როგორ გავიმეტე,
არა? უფრო ნაკლებად თქვენც გაგიმ-
ეტებთ, თქვენცაო.

– აჲა, ეგეც შენ! დამიჭერია, მომი-
ყვანია, რო უშვებ, სად უშვებ? – შუშა-
ბანდის ფანჯრიდან, მოკლეზე გადაუხ-
ტა რობე.

ხახიშვილის ყარაული ეზოდან გა-
ვარდა.

აღარც რობე გაჲკეიდებია.
მაცივარი გამოაღო და დაორთქლი-
ლი ლუდის ბოთლი გამოიღო.

– საიდან?
– შკაფიდან!
– კარგი კია, და...
– ეს ყარაული როგორ გაჩითე?
– გამოცდილებით ვიცი, დამნაშავე
არ შეიძლება, დანაშაულის ჩადენის
ადგილზე არ გამოჩნდეს... უბნელები
მოდიოდნენ, მეკითხებოდნენ, რა მოხდა
და როგორ მოხდაო... უცხო მარტო ეს
გამოჩნდა. ამ დილით, ჯერ ვითომ სხვა-
თაშორის აიარ-ჩაიარა, მერე „ზაბორს“
მიუახლოვდა, შიგნით დაინყო ყურება...
მივეპარე, წვრილ კისერში ცაპ!.. ჩავავ-
ლე ხელი და შიგნით შემოვათრიე. აბა,
ჩამოკაკლე ყველაფერი-მეთქი...

– მე სად ვიყავი?
– სად იქნებოდი, გეძინა, ნარინ!..
ძალლის ჭილოფზე ხვრინავდი!.. ფეხ-
სალაგს უკან თვალს მოვაფარე და
ყანყრატოში რომ წავნვდი, ყველაფერი
დაფქვა... მუშტი მაშინ დავადე... ეს
ჩემი ბეჭედი კასტეტივით არის, წარ-
ბი გადაუხეთქა... ეხლა „უფროსთან“
შეგიყვან, ყველაფერი წვრილად უამბე,
თორემ ამ ფეხსალაგში ჩაგახრჩობ და
კაციშვილი ვერ მოგაგნებს-მეთქი... აი,
იქვე სახელდახელო ხელწერილიც ჩამ-
ოვართვი, ხახიშვილის დავალებით მე

მოვწამლე თეთრი, ქართული ნაგაზიო, — ცხვირწინ აუფრიალა ფურცლის ნახევი.

მაღალაზი გაკვირვებული უყურებდა:

— შენი ოპერატიულობა პროფესიონალებს შეშურდებათ... რომ არ ყლურ-ნავდე, ბიჭი არ გემჯობინებოდა.

— აჩმახებ და გიხარია... ლუდს რა-ტომ არ სვამ?

— ჩაი მირჩევნია, ლიმონით...

— მაშ სულ მე ავითვისო?

— აითვისე!

რობეს ყანყრატომ სიამოვწების ბუ-ბუყით ჩაუშვა ხორხში სადაფისფერი სითხე.

— ხო ნახე, რა დაგვიძახა!.. არ უნდა გაგეშვა...

— რამდენს არ გაუშვებ? გაბოროტე-ბულების, ყველაფრის მკადრებლების მთელი არმია!.. ადამიანებს არჩევ-ანის საშუალება არ დაუტოვეს... ან ყველაფერი, ან არაფერი... ნებისმიერ ფასად... ტექნიკური ცივილიზაცია წინ მიდის, ჩვენი ზნეობა კი...

— ახლა ლექციის მოსმენის ილაჯი მაქვს?.. ძალიან მინდა, დაგეთანხმო, ძმაო მახო, მაგრამ რასაც ვერ ვიგებ, იმაზე თავი როგორ დაგიქნიო?.. რომელ არჩევანზე მელაპარაკები, დასარხევს უნდა დაერხეს, მორჩა და გათავდა! დროა სამართალმა პური ჭამოს, თო-რემ ნახე, გაუშვი, პასუხი არ მოსთხოვე და შენი გულმონტყალება სისუსტედ ჩათვალა... ახლა თავის უფროსთან დაიტრაბახებს, ეგეთ დღეში ჩავაგდე, მთელ უბანს, დედის ტ-ი ორ შაურად გავუხადეო!

— მაგის უფროსი ბავშვობიდან მიც-ნობს, არ დაუჯერებს... თავიც რომ იმართლა, ცოლ-შვილის გამო გავაკე-თეო... ცოტა ღირსებაც ჰქონია, შეურა-ცხყოფა რომ არ გვაპატია და მუშტი დაგვიქნია... გვინდა თუ არა, ამას პა-ტივი უნდა ვცეთ, ძმაო, რობე... ისეთი თახსირი ვინმეა, მაგის უფროსს ეგეც არ გააჩნია. მომისმინე... კლასში ვიღაც

ქურდობდა და ფიზკულტურის დროს, ოთახში დატოვებულ ტანსაცმლის ჯიბ-ებსა და ჩანთებში დაძვრებოდა, შინი-დან საუზმისთვის გამოტანებულ ფულს გვცინცლავდა.

ბოლოს თვითონ კლასის დამრიგე-ბელმა დაკარგა მაგიდაზე დადებული საფულიდან თეატრის აბონემენტები-სათვის შეგროვებული თანხა.

სიტყვით, დაყვავებით, მუქარით რომ ვერავინ გამოტეხეს, დირექტორ-მა, თავისი შვილის ამბის გასაგებად, შემთხვევით მოსული ფორმიანი მი-ლიციელი ჩვენთანაც შემოიყვანა, ეს ძია სპეციალურად გამოგვიგზავნეს განყოფილებიდან, მეძებარი ძალლიც მოყვანილი ჰყავს, თუ არ იტყვით, ვინ გახსნა საფულე, ქურდს ძალლი ამოიც-ნობს და მერე თქვენ თავს დააბრალე-თო.

მილიციელმაც ფეხები დაგვიბაკუნა — ალიაროს ვინ ჩაიდინა, თორემ ახლავე შემოვიყვან, ქურდებისა და მამაძ-ალლების ალმოჩენა-გამოტეხვაზეა და-გეშილიო.

ყველა შევშინდით, მაგრამ ხახიშვი-ლი განსაკუთრებულად აირია, აწითლ-და, ნიკაპი აუცახცახდა.

მე იმან შემაშფოთა, ვაითუ ძალლს შეემალოს და კბილები ჩამავლოს-მეთქი. ალბათ, დანარჩენებსაც იგივე ზაფრავდათ, ამას კი განსაკუთრებუ-ლად გადასდიოდა ფერი.

დამითხოვეთო, — აინია ხელი.

მოითმინეო, — დამრიგებელმა.

უცებ ხახიშვილის მერხის ქვემო-დან, პრიალა პარკეტზე შარდის ნა-კადი გამოიუონა, მერხებს შორის და-კლავნილმა ჩაიარა და მასწავლებლის ფეხებთან შეგუბდა.

მასწავლებელი დააკვირდა ნირნამხ-დარ ბიჭს და... ყველანი დერეფანში გაბრძანდით, მარტო ხახიშვილი დარჩ-ესო.

ჩვენც გამოვედით. დამრიგებელმა მოკეტა კარი. ცოტა ხანში ისევ დაგვიძ-

ახა და გაკვეთილი გაგრძელდა.

მოპარული ფული წინდის ყელში ჰქონდა თურმე დამალული.

აი, ეგეთ ბოროტ თესლზეა ამოზ-რდილი.

— მაგის ძმას ვიცნობდი, ისიც კარგი ნაგავი იყო, აეროპორტის ტუალეტში წამალი ვერ შეუშვა ვენაში და დაიბრიდა.

— ვიცი, „ჭინკას“ მასწავლი? — უკანა ოთახში შევიდა და ყდიდან ამოვარდნილი ალბომი გამოიტანა, გარეკაზე ისარგავყრილი გული რომ ეხატა.

გადაფურცლა, გადაქექა სურათები და ერთი მათგანი წინ დაუდო.

— ლამაზი გოგო! — შუშაბანდის ფარდა გასწია, თვალმოხუჭულმა გახე-და სინათლეზე, — ვინ არის?

— ხახიშვილების დაა, როგორ არ გახსოვს.

რობერ სურათი გადმოატრიალა.

— „სახსოვრად მალხაზს — 1991“... საიდან მეხსომება, ის წლები ხომ გასტროლებზე ვიყავი... ჩვენს დიად სამშობლოში...

— როგორ მეხვეწებოდა, საწყალი დედაჩემი, მოიყვანე, შენს შვილს მაღირსეო. ამ ნაძირლების და როგორ უნდა შემერთო, მაგრამ გულს რას გაუგებ...

მალხაზმა ისე ამოიოხრა, რობეს ეგონა, მთელი შიგნეული ამოაყოლაო.

— აქამდე არაფერი გითქვამს.

— რა იყო სათქმელი... მაშინ „სახალხო მოძრაობის“ ოფისში, ღონისძიებებზე ვევდებოდით ხოლმე ერთმანეთს. თავიდანვე მომენტა, მგონი, იმასაც...

ერთ დღეს გოგო გაქრა. შეიძრა მთელი ქალაქი, რაიონი... იმ დომხალში ვინმეს გაუკვირდებოდა ეს ამბავი თუ რა... ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავვარდებოდი. ორი კვირის თავზე ვიღაცამ ოფისში, ასანთის კოლოფი მოიტანა. კოლოფზე ეწერა, ამა და ამ პიკეტზე ოსებსა ვყავარ, თუ არ დამიხსნით, დიდი დღე არ მიწერია, იქნება

თბილისში ჯაბას აცნობოთო.

მაშინ რომ ჩამწყდა გული, ის ძაფი დღემდე არ მიმთელდება.

ჯაბა ჩამოგდებული პრეზიდენტის „ნარჩენებისგან“ ასუფთავებდა ქვეყანას და გოგოსთვის ეცალა?

ხო იცი, იარაღი მიყვარდა, „სახალხო მოძრაობასთან“ ჩამოყალიბებული შეიარაღებული რაზმის წევრი ვიყავი და ვიცოდი, იმ პიკეტს „თოხლას პოსტს“ ეძახდნენ, ის თოხლა აკონტროლებდა ჩრდილო კავკასიოდან შემოტანილი ნარკოტიკების გავრცელებას.

ხახიშვილს ასანთი ვაჩვენეთ, — შენი და გამოჩნდა, ოლონდ ოსებს ჰყოლიათ-მეთქი.

შემოირტყა თავში ხელი, მაგრამ გამოსასყიდ თანხაზე უარი გვითხრა, — გამოუშვან და ერთ თვეში გავისტუმრებ, ბათუმიდან „ტავარს“ ველოდებიო.

გამოყოლითაც ვერ გამოგვყვა, არ ჰქონდა ოსებთან გამოსაჩენი პირი — სპირტის პარტია წამოილო და ფული შეიტყაპუნა.

რა გვექნა?

შალომა ხომ გახსოვს, უნივერმაღლის საქონელმცოდნე. იმასთან მივედით მე და ჩვენი რაზმის ბიჭი, გაბრო, კაი ჯიგარი... მოგვიანებით, ოთხმოცდაცამეტში, ერგნეთთან ვიღაცის ვერცხლისფერაბზინდიანი ქუდი დაიხურა ხუმრობით და სანგრიდან როგორც კი ამოყო თავი, ეგრევე დაასვა მზეზე აპრიალებულ აბზინდას ტყვია სნაიპერმა...

მივედით შალომასთან, — კარგი გოგო იღუპება, ფულია საჭირო, უნდა დაგვეხმაროო.

— ვაჲ, უძირო ხომ არ არის ჩემი ზანდუკი, ყველა არაფორმალი აქ მორბის. რა ვიცი, ვერც წაშველი ვნახე ვინმე და ვერც უკან დაბრუნებული ფული.

— შენი და წარმოიდგინე, შალომ, ორი კვირა იმ ბანდის ხელშია, — ჩემმა სიტყვებმა მე თვითონ წამიკიდა ცეცხლი.

ვეღარაფერი აწამა. შევიდა. გამოი-

ტანა.

— ცოტაა! — არ დაუთვლია, ისე უთხრა გაბრომ.

— ბევრი შვეიცარიის ბანკშია, ჭირიმე! — ყოველი შემთხვევისათვის, გულისჯიბიდან კიდევ რამდენიმე ასიგნაცია დააძრო.

ჩავსხედით „ვილისში“ და ახლა ჭინკა მოვძებნეთ.

თავისნაირ გარეწართან მივაგენით. ტახტზე პირქვე ეგდო, ლომკისგან სულს ლაფავდა, იქვე დაცლილი ნახევარლიტრიანი არაყის ბოთლები ეყარა.

ვიდრე წყალი არ დავასხი, საგონებელში ვერ ჩავაგდე.

— რა გინდათ, ძმაო?

— ადე, ჩაეგდე მანქანაში! — შეაბანჯლალა გაბრომ.

— ჩაეგდე რა მომართვაა, სად გაიზარდეთ.

— ადე, თორემ სად გაიზარდეს მოგცემ, — საფენიანად ძირს გადმოაგდო.

— მომერიეთ, ნაბოზრებო!.. თქვენსისხლს დავლევ!

— წამოდი, ჯერ შენი და დავიხსნათ, ოსებს ჰყოლიათ პოსტზე და მერე დალიე.

— აბა, როგორ, ძმაო, ხო ხედავთ, მაგრადა ვარ ჩაძირული.

მეორე წყლის ტოლჩაც რომ დაეცალა, იკადრა და წამოდგა.

— არა, თოხლას ვერ დავენახვები, ვალი მაქვს, მაგ...

— ნუ დაენახვები, აქეთ დაგტოვებთ, მანქანაში.

ადგილზე დაბორიალდა, მაინც ვერაო, გაგვიძალიანდა, მაგრამ გაბრომ მაკაროვის ლულა პირში მისცა, აქვე სულს გაგაფრთხობინებო და იკადრა, „ვილისში“, უკანა სავარძელზე, ნაცემი, ანკმუტუნებული ძაღლივით ჩაიკუნტა. ვიდრე ქალაქიდან გავიდოდით, ჩაეძინა.

რუსულ-ოსურ საკონტროლო პუნქტთან უცებ გამოგვინახეს, ვინც მოპიკეტებთან მიგვიყვანდა.

„ვილისი“ ყამირის ოლროჩოლროში,

აღმართზე ადიოდა.

გზა არ ვარგოდა, ბორბლების ნაბუღლავებზე ეტყობოდა, ნარკომანები-საგან დიდი დატვირთვა ჰქონდა — ჩრდილოეთი ხომ „წამლით“ გულუხვად გვამარაგებდა.

ტყის განაპირას, ბექზე, ორი სამხედრო კარავი იდგა.

ერთ-ერთიდან მაღალი, აყუყული კაცი გამოვიდა, მოგვესალმა და რაზე შენუხებულხართო, გვკითხა.

პოსტიდან გამოყოლილმა ოსურად დაუწყო ახსნა, მაგრამ თოხლამ ხელით განზე გასწია, ქართულად ვილაპარაკოთო.

გაბრო დააკვირდა და... რამდენიმე თვის წინ ერთი კარგი ბიჭის დაკრძალვაზე შევხვდითო.

თოხლას გაელიმა, — კი, მეც მეცნობით, ახლა რა გნებავთ, ის გვიბრძანეთო.

ვუთხარით მიზეზი, თან, ვიდრე პასუხს გაგვცემს, გული ლამის მკერდიდან ამომიხტეს, მინდა ან ტყუილი გამოდგეს, ანდა, სულო ცოდვილო, სხვა ვინმე ჰყავდეთ დატყვევებული.

თოხლა დაფიქრდა, ყბის მარჯვენა მხარეს, კბილებშორის გაჩხერილი ასანთის ღერი მარცხნივ გადაიტანა, — ცხვარი გვყავს დაკლული, დავსხდეთ, დავილოცოთ და თან ვილაპარაკოთო.

სუნმა მიმახედა. იქვე, ორიოდ ნაბიჯში, ცხვრის ფაშვი ეგდო და მსხვილი, ყვითელი ბუზი ეხვეოდა.

„ეს რომ ნამდვილად ამათი სამშობლო იყოს და გული შესტკიოდეთ, ფაშვს ორმოში ჩააგდებდნენ და მიწას მიაყრიდნენ-მეთქი“, — რატომდაც გავიფიქრე.

მაგდენი დრო არა გვაქვსო, — ვიუარეთ და აღარც თოხლა ჩაგვაჯინდა, ბოლოდაჩეჩქვილ ასანთის ღერს ისევ მოუნაცვლა ადგილი:

— ქალი კი გვყავს, მაგრამ, ღმერთი, რჯული, ჩვენ არ გამოგვიტაცია, ერთმა ჩვენმა ძველმა კლიენტმა ამოგვიყვანა

და ფულის ნაცვლად „ზალოგში“ დატოვა.

– „ზალოგში“ რა, ნივთია, საქონელია? – ავფეთქდი მე.

– ეგ ქალის მომყვანს უნდა ჰკითხო!

– ვინ არის ის ვიღაც...

– ქალის ძალიან შინაურია! – თოხლამ იყუჩა, მერე ჩაჯდა და გულხელდაკეფილმა დაბლიდან ამოგვხედა: – ვინ და... თავისი ძმა!..

გვეგონა მოგვესმა, მე და გაბრომერთმანეთს გადავხედეთ.

– დაგვიტოვა, მაგრამ უარესი მერე მოხდა – ქალის სანაცვლოდ წაიღო წამალი, რამდენიც გვთხოვა და შეგვპირდა, ხვალ საღამომდე აქა ვარო. ველოდეთ, ველოდეთ, ისე რომ, ქალს ორი კვირა ბუზიც არ აფრენია, მაგრამ მერე... მოგვატყუა იმ პიდარასტმაო, ამიჯანყდნენ ბიჭები და ვეღარ გავაჩერე. იარაღით ინიეს ჩემზე... ცოტა ხომ არ წაიღო!..

რობე სკამზე მოწყვეტილივით დაეცა და თვალები მოიფრინია:

– ძმაო, გამაგებინე, შენ რა, „უჟასების“ ფილმს მიყვები?

– ნეტა ფილმი იყოს.

მალხაზის თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

– გამოვიქცი მანქანისკენ. ამედევნენ ჩემი თანამგზავრები. გადმოვათრიე ჭინკა მანქანიდან და თოხლას გამოვხედე.

თოხლამ ამოიხვნეშა და ძლივს დამიქნია თავი, კი, მაგან ამოიყვანაო.

არ ვიცი, რა დამემართა, ხელ-ფეხი დამიდუნდა, ერთბაშად გავითიშე, ვუყურებდი გაცეცხლებულ გაბროს, ჭინკას ფეხით რომ შედგა.

წილი თოხლამაც ჩაზილა და ჭკუიდან გადასული გაბრო გააკავა, არ მოკლაო.

ალარც წყლის ხმაური, ალარც ტოტების შრიალი, არც მიწაზე დაგდებული ჭინკას კვნესა, არაფერი ალარ მესმის, აზრებს ვეღარ ვაკონინებ,

გამოვლენჩდი, ვერ ვიხსენებ, ვინა ვარ, საიდან და რატომ მოვედი და თან, შენ წარმოიდგინე, მინდა, სამუდამოდ დავდუნდე და დავყრუვდე; ნეტა ალარც ვხედავდე, რომ დავისვენო ყველაფერ იმისგან, რაც ხდება და რაც მომავალში მოხდება-მეთქი.

იქ დასამარდა ჩემი სიყვარული.

კარვებიდან ვიღაცები გამოიძალნენ. თანდათან სმენა დამიბრუნდა.

შეჩერებულმა ღელემ სვლა განაგრძო და ისევ ახმაურდა, ტოტებში გარინდულმა ქარმაც ამოიდგა „ენა“.

კარვიდან გამოსული, ჭუჭყისფერ-მაიკიანი, დაგვაჯული ტიპი, გულხელდაკეფილი მიუახლოვდა გაბროს და თოხლას.

– Что за шум, что угодно нашим дорогим соседам? – гаბროს უყურებდა და თოხლას ეკითხებოდა.

ქალის წასაყვანად მოვიდნენო.

ვალი თუ მოიტანეს, გაატანეთ, ცოლად ხომ არ წავიყვანთ, თანაც რომელმა უნდა ვირგუნოთ, აქ ყველანი სიძეები ვართო.

წამში წარმოვიდგინე ყველაფერი და... გონს რომ მოვედი, რუსების პოსტიდან გამოყოლილ ოსის ბიჭს მკლავები ჰქონდა შემოხვეული, არ მიშვებდა, ყველას ჩიტებივით ჩაგვხოცავენო.

ჭუჭყისფერმაიკიანი მოვიდა, შემომხედა ზიზღიანი თვალებით, მაგრამ ისეთი სახე მქონდა, ვერ გაბედა, დაგროვილი ნერწყვი განზე გააფურთხა, ლოყაზე ხელი მომითათუნა, ნერვებს მოუფრთხილდი, თორემ თავს დაკარგავო.

რომ გაიცინა, ცეცხლით თუ მდუღარე წყლით დამწვარი პროფილი დაეღმიჭა. წამდვილი ორსახოვანი იანუსი იყო, წითელი კანი მზეზე გამხმარი ტყავივით დაეჭმუჭნა, თითქოს, ერთის წაცვლად, ორი სხვადასხვა ადამიანი მიყურებდა.

გაბრომ შალომას მოცემული ფული თოხლას გაუწოდა, მაგრამ „ორსახ-

ოვანმა“ დაასწრო, თვითონ გამოსტაცა, თითებზე დაინერწყვა და საჩქაროდ გა-დათვალა.

- აქ რომ ნახევარიც არ არის?
- დანარჩენი ქალმა გადაიხადა! - ახლა თოხლამ წაგლიჯა ფული.

გამომყევითო, - გვითხრა და კარვებისგან მოშორებით, რიყის ქვით ნაშენ ხუსულისკენ გაგვიძლვა.

ცოტა ხანიც რომ დაგეტოვათ, არც მაგას გამოგართმევდით, - დაგვადევნა ვიღაცამ, მაგრამ ვინ იყო, აღარ მი-ვიხედე.

ხუსულაში თოხლა შევიდა.

შენს წასაყვანად მოვიდნენო.

ქვითინი მომესმა.

თოხლამ გამოგვძახა, - სიარული უჭირს, ხელით უნდა მივიყვანოთ მანქანამდე.

ხუსულაში შესულმა ვერაფერი და-ვინახე. სათოფურივით ჭუჭრუტა-ნიდან შემოსული სინათლე მოპირდა-პირე მხარეს, კედელზე, მხოლოდ ერთ წერტილს ანათებდა.

ტახტი აჭრიალდა.

არ დავკვირვებივარ, რა ავნიე, ადა-მიანი თუ მობლუნძული კუნძი. არც გა-რეთ გამოსვლისას დამიხედავს ვინ იყო, ძველი, აშმორებული ფარდაგით ვის გვატანდნენ ჩვენი მტერ-მოყვარები.

მანქანამდე მისასვლელ ბილიკზე მოპიკეტები ორ მწკრივად იდგნენ და ერთნაირი, ირონიული ღიმილით თვალს ადევნებდნენ ჩვენს მსვლელობას.

ძირს დაგდებული ჭინკა კი არ წამოდგა, აბობლდა მანქანაში, ალბათ, შეეშინდა, არ დამტოვონო.

სახედამწვარმა დანარჩენებს რაღაც გადაულაპარაკა და მათ სიცილ-ხარხში ჩავათავეთ „სირცეცილის დერეფანი“.

- რა თქვა ასეთი? - ვკითხე ოს თანამგზავრს.

- არაფერი!

- არაფერზე როგორ გაიცინებდნენ.

- რაო და, ქართველებთან ომი რა საჭიროა, მივცეთ რაც შეიძლება ბევრი

ნარკოტოკი და თავისით გადაშენდები-ანო.

ვინატრე ჩემი ავტომატი, სავსე მჭიდლით, გადაცერილავდი იქაურობას და მერე რაც უნდა მომხდარიყო, მა-გრამ მწარე სიმართლისათვის რა უნდა მექნა - ეს „დიაგნოზი“ რომ დაგვისვეს? მოვაბრუნეთ მანქანა.

ვიდრე დალმართზე დავეშვებოდით, თოხლამ, ერთი წამითო, შეგვაჩერა, ბი-ჭებმა შემოგითვალეს, შერიგებას რომ გვთხოვთ, საკუთარ დას არ ინდობთ და ჩვენ რას გვიზამთო.

ის ვინ არის-მეთქი, ვანიშნე სახედამ-წვარზე.

„ჩიფურა“ ჰქვია, არც ჩვენ გვეხატე-ბა გულზე, მაგრამ მაგარი ბოევიკია... თბილისში დაიჭირეს, გვეგონა დახვრე-ტავდნენ, მაგრამ გამსახურდიას დამ-აქცევართაგან ვიღაცამ დიდი მაყუთი აილო და გამოაშვებინაო.

რა უნდა მეთქვა, ბოლმა გამგუ-დავდა რამე რომ არ მომემოქმედა. ჩემს უკან წამოყალყულ ჭინკას, ვითომ შეურაცხყოფილად რომ იგრძნო თავი და თოხლასთვის რაღაცის თქმას აპირ-ებდა, ხელუკულმა მივართვი ცხვირ-პირში.

ფარდაგში გახვეულს კრინტი არ დაუძრავს, მთელი გზა ხმა არ ამოულია, მხოლოდ ოღონ-ჩოღონ გზაზე თუ წამოკვნესებდა ხოლმე. არც ჩვენ გვი-კითხავს არაფერი და, ასე მეგონა, ის კი არა, დაჩინჩხილი, შეურაცხყოფილი, გაუპატიურებული საქართველო მოგვყ-ავდა...

მახო გაჩუმდა.

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილმა, შუბ-ლზე ხელშემოდებულმა რობემ ამოიგმინა:

- ვაჲ, გასკვა თავი, ეს რა მიამბე, ძმაო!.. ამ წარწერი უბედურების გაძლება არ გინდა?.. ვინც მე გამამ-ტყუნებს, რატომ სვამო... გოგო ახლა სად არის?

- არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე!

წავიდა რობე და ვიღაცებმა მოაკითხეს.

ორნი იყვნენ, ბოლომდე შეკრული თეთრი პერანგებით, ბრტყელი, პიჯაკს შიგნით ჩაფენილი ჰალსტუხებით.

პირდაპირ „საკითხზე“ გადავიდნენ.

თუ ძალის მოწამვლასთან დაკავ-შირებით ჩივილს აპირებთ, ნუ იზამთ, არ გირჩევთო.

რომ არ მირჩევთ კარგია, მაგრამ ვინ მირჩევს, უნდა ვიცოდეო.

ზედმეტის ცოდნამ თავის ტკივილი იცის, ხომ შეიძლება გითხრათ და მო-გატყუოთო.

მეც ხომ შეიძლება შეგპირდეთ, მა-გრამ...

მოგვატყუებთ და პრობლემები შეგექმნებათო.

მაინც რამდენი პრობლემაო.

რამდენსაც საჭიროდ ჩავთვლითო.

– თქვენს მუქარაზე მივხვდი, რომ ნამდვილად ისინი ხართ.

– ვინ ისინი?

– ხახიშვილის მსგავსების დაკვეთებს რომ ასრულებენ და, ვისაც პრობლე-მების შექმნა შეუძლიათ! მაგარი ვა-ჟყაცები ჩანხართ, ალბათ, ომის დროს არც მტერს დააყრიდით სიკეთეს.

– ნამდვილად ეგრე იყო, თავი არ დაგვიზოგავს.

– მაშ მეტი რა გზა მაქვს...

– გვიყვარს ჭკვიანი, დამჯერე ხალხი, აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! – მანქანა აამუშავა საჭესთან მჯდომმა.

– უნდა გადავიდე?

– აბა, თან ხომ არ წაგიყვანთ? – გაუკვირდა მეორეს.

– მერე ის... – თითები ერთმანეთს გაუსვა.

პირველმა მეორეს გადახედა.

– რა „ის“?

– მაყუთა!.. ჩემი გაჩუმების სანაცვ-ლოდ ფარა იშოვეთ და გაყოფაც არ გინდათ?

– შენ, ძმაო, ვიღაცა ხარ, ხომ არ დაირეხვე! – საყელო მოიხალვათა

პირველმა და ქალურად ნაზ თითზე წა-მოცმულ ბეჭედს წვალება დაუწყო.

– მოკლედ, მე ჩემი გითხარით! ის-ეთი მაღიანები ჩანხართ, ხახიშვილს ცოტას არ აახევთ, გული მიგრძნობს... გამიყვანთ წილში, ხო კარგი... არა და...

– გადმოვიდა მანქანიდან.

– მოიცა... ვერ გაიგე რა გითხარით? – გადმოჳყვნენ ისინიც და პიჯაკის ღილები ჩაიხსნეს, იღლიასთან იარაღის „კაბურები“ რომ დაენახვებინათ.

მალხაზმა ჰაერი მოყნოსა.

– კარგია, ომის დროს ჩასვრილი ნიფხვები რომ გამოგიცვლიათ და დალეჭილი ჰალსტუხები დაგიუთოვები-ათ!.. ალბათ, ალარც ქუსლების ცემით დაბეგვილი დუნდულები გტკივათ... – მახომ ცერა და საჩვენებელი თითებით წრე შეჰქრა და რიგრიგობით ორივეს ახლოს მიუტანა. – ამ კომბინაციას, ჩემს ბავშვობაში, დენიკინის ორშაური-ანს ეძახდნენ!.. ისე, ყოველი შემთხვევი-სათვის, რომ იცოდეთ! – გამობრუნდა და ეზოს კარი გამეტებით მიაჯახუნა.



ქულა გრძნობდა, ყბაზე როგორ შეაცოცდნენ გამხდარი, მთრთოლავი თითები. ფუმფულა მატყლივით ბალან-ში გაიბლანდნენ, კისრიდან ქეჩოზე აინ-აცვლეს. მერე შუბლსა და სახეზე იგრძ-ნო მომფერებელი ხელისგული, ხარბად შეისუნთქა ნაცნობი, ვერდავიწყებული სურნელი მაჯაზე აკეცილი ანაფორის სახელოებისა. შესტირა, შესწომუტუნა ხელისგულს თავისი სატანჯველი, რაც იმ ავტედითი დღის მერე გადაიტანა, მერე ხაოიანი ენით ალოკა, უპეში ცრემ-ლი ჩაუდგა და თვალი გაახილა.

ნაცრისფრად შეღებილი რკინის ვო-ლიერში, იატაკამდე დაშვებულ ბოძ-კინტებს შორის შემოყოფილი ხელი არ ეკუთვნოდა იმას, ვინც ასე ენა-ტრებოდა, ვის გამოც ცრემლი ჩამოუ-გორდა. დაცუცქეული მახო ყბაზე ეფ-ერებოდა, – როგორ ხარ ცუგა, ახია

შენზე, ამის შემდეგ ჭკუას ისწავლი და ყველას გადაგდებულ ლუკმას პირს არ დააკარებო, თუმცა რა შენი ბრალია, ასეთი მიმნდობი და ალალი რომ ხარ, ბოროტებას როგორ გაუგებ რას და რატომ გიპირებსო.

ვითომ სიტყვა-სიტყვით ესმოდა ყველაფერი, ქულა თვალებს აფახულებდა.

მახოს მუხლებთან ფინიები ირეოდნენ, გნიასებდნენ, ზედ ებლოტებოდნენ.

– რას მიკეთებთ, არა გრცხვენიათ? თქვენ გგონიათ ტანსაცმელი არჩევანზე მაქვს? ეეჳ, აბა, მოუსვით აქედან! – ახლა უკვე ხმამაღლა დაუტია.

მომვლელმა ქალმაც შეუძახა და ძალლები ცოტა ხნით მოსცილდნენ, დარბაზის ბოლოსკენ, შუშიან საოპერაციოდან გამოსულ ნიკოლოზისა და უცხო ქალბატონისკენ გადაიხვეწნენ, მუცელთან ახალ თვალახელილი ლეკვი ორივე ხელით რომ მიერუტებინა.

მაღაზმა ჯიბიდან ცელოფანში გადახვეული, მოხარშული ხორცი ამოიღო და წინ დაუდო.

ქულამ დაყნოსა და თავი გვერდზე შეაბრუნა.

– რა გემართება, მადა არ გაქვს თუ გაგახსენდა ხორცით რომ მოგწამლეს? მიირთვი, მიირთვი, ეს არ გაწყენს!.. მე ცუდს მოგიტან? – პირთან მიუახლოვა და ქულამ ისევ დაყნოსა.

კიდევ შეყოყმანდა, მაგრამ უარი ველარ „უთხრა“, ჯერ ცოტა ჩამოაციცქნა, მერე გემო რომ გაუგო, ნეკნის ძვალიც მიაყოლა და ააკნატუნა.

ქალბატონი და ნიკოლოზი მიუახლოვდნენ.

ადევნებული ძალლებიც კვლავ მოურექს.

ნიკოლოზმა გააცნო, სასამართლოს უფროსი მრჩეველია, უპატრონო ცხოველების დიდი გულშემატკივარი, ხშირად გვსტუმრობს და რაც შეუძლია გვეხმარებაო.

ქალმა ლამაზი ხელი მუცელზე მიხუტებულ ლეკვს გამოაცალა და, ალბათ,

პროფესიული ჩვევიდან გამომდინარე, ღონივრად ჩამოართვა, – თამილა, ჩემო ბატონორ.

მახოს გაეღიმა.

– რატომ, არ ვგავარ ჩემს სახელს?

– არა, ქალბატონო თამილა, პირველად ვნახე თქვენი მკაცრი პროფესიის პიროვნება ოთხფეხების ქომაგი. ალბათ, არც ადამიანები გძულო.

– ნამდვილად ასეა, – თამილას ღომილიც ლამაზი ჰქონდა. – ძველი სტერეოტიპია, ამრეზით რომ გვიყურებთ. დღეს ბევრი განათლებული და პატიოსანი თანამშრომელი გვყავს, ჩვენც და პოლიციასაც.

– როგორ არა, ორი მათგანი გუშინ გავიცანი!

– მერე ცოტაა, ორ დღეში, სამი წესიერი სამართალდამცავის გაცნობა?

– რა ჰქვია თქვენს ლეკვს?

– ზუზუ დავარქვი. თქვენსას?

– ჩემსას!.. – ქულამ გამომცდელად, თითქოს ირონიით ამოხედა, აბა, რას ეტყვიო, – ჩემსას ცუგა, მაგრამ ზოგჯერ, შინაურობაში, ბონიფაცის ვეძახით.

– ისე, დიდი თავით ნამდვილად ჰგავს, – ლეკვი ნიკოლოზს მიაწოდა, ქულას დაუცუცქდა, რიკულში ხელი შეჰყო და მოეფერა. – ჰიდროცეფალია ხომ არ სჭირს?

– არა, სრულყოფილი და ჯანმრთელია, როცა ნამოდგება, იმხელა ტანი აქვს, რომ თავი პატარაც კი მოგეჩვენებათ.

– ვიცი, ერთხელ უკვე ვნახე... ტრენინგზე თქვენი შთამბეჭდავი სიტყვაც მოვისმინე.

– შეიძლება სიტყვა შთამბეჭდვი იყოს, მაგრამ პათოს არ ეთანხმებოდე.

– თუ არ გამოქვამთ, პათოსსაც ვეთანხმები.

– უფლის საქმეში არ უნდა ჩავერიოთ.

– თქვენი ლოგიკა მოსასმენად სასიამოვნოა, მაგრამ უსიამოვნებას უფრო მოგიტანთ, ვიდრე... – ქულას

ქეჩიობები მათი ხელები ერთმანეთს შეეხნენ და თითქოს სადენებმა ნაპერ-წლები გაყარეს.

– მეც მახსოვებართ. უფრო სწორად, გაგიხსენეთ. განაპირა სკამზე იჯექით და ტუჩზე თითმიდებული მისმენდით.

– შეიძლება... დეტალები აღარ მახსოვს.

– მე მახსოვს, იმიტომ რომ ვიგრძენი, ჩემსავით ფიქრობდით.

– არა, მხოლოდ მაშინ. თქვენმა სიტყვამ შეცვალა ამ საკითხთან ჩემი დამოკიდებულება. მართლაც, რა საშინელებაა, თუნდაც ცხოველს წაართვა ის, რაც ბუნებამ მისცა. ბონიფაცის რა სჭირს, აქ რატომ გყავთ, ვოლიერში ცოდვა არ არის?

– მოწამლეს და ვმკურნალობთ, – უპასუხა ნიკოლოზმა.

– აბა, კარგად შემომხედე! რა საყვარელი დრუნჩი გაქვს. დრუნჩა უნდა გერქვას, ბონიფაცი კი არა. მარტოხელებს ოთხფეხა მეგობრებიც რომ არ გვყავდეს, რა გაგვაძლებინებდა. ერთგულები, თბილები!.. – წამოდგა, ნიკოლოზს ლეკვი ჩამოართვა, თან ქულასთვის თვალი არ მოუცილებია, – რას გეტყვით, იცით? ასეთი ძალლი, მგონი, ადრეც ვნახე. კი, კი... ზუსტად, აი, ამ თავისი ნიშნით, შავი ხალით, – ანიშნა ქულას შუბლზე. – ღმერთო, მომაგონე!..

ტელეფონის ნომერი ჩაიწერა, – თუ გამახსენდა, დაგირეკავთო.

თუ არ გაგახსენდათ, მაინც დამირეკეთო.

ვნახოთო, ისევ ღიმილმა ჩაუჩვრიტა ლოყა.

თუ ქალაქში მიბრძანდებით, დაგიმგზავრებთო.

მადლობა, ფეხით მირჩევნიაო, – თავადაც ვერ გაიგო, რატომ უთხრა უარი.

თამილამ ლეკვი გვერდით, სავარძელზე, რბილ, ფაფუკ ნაჭერჩაგებულ კალათში ჩასვა.

ირგვლივ მოგროვილმა, აყეფებულმა

ხროვამ შურის თვალი გააყოლა ლეკვს და ორმოებზე ტაატით მიმავალ მერ-სედესა.

მთავარ საძალლე კორპუსსა და ასე-თივე ჭერჩაქცეულ აგურის შენობას შორის მოქცეული მოზრდილი ეზო, თავსა და ბოლოში, მავთულის ბადით იყო გადაღობილი. ძირითად კორპუსს პატარა საყარაულო ჰქონდა მიშენებული.

ეზოში ახლადმოყვანილ ქუჩის ძალებს, ჯერჯერობით, მხოლოდ სადეზინფექციო პროცედურა ჰქონდათ ჩატარებული და, შიგნით მყოფებისაგან განსხვავებით, უფრო ომახიანი ყეფა-ყმუილით აყრუბდნენ იქაურობას.

– ზუსტად ადამიანებივით იქცევიან: ჰყავთ რჩეული, რომელსაც ემორჩილებიან, ელაქუცებიან, საჭმელთან პირველს უშვებენ, ზოგჯერ უჯანყდებიან კიდეც, ჩამოაგდებენ ტახტიდან და არის ერთი შეხლა-შემოხლა. სუსტი აქაც დაჩაგრული და უუფლებოა. მოკლედ, ერთი კანონებს არ წერენ და მიტინგებს არ აწყობენ, დანარჩენი...

– ვინ გითხრა, რომ არ აწყობენ!
– მახომ ნიკოლოზი ეზოს ბოლოსკენ გაახედა. კედელთან, მთავარ ჯგუფს მოწყვეტილი, რამდენიმე ძალლი ბეტრინის სინკარზე შემდგარ, კოპლებიან ინგლისურ ქოფაკს შემოხვეოდნენ და მორიგეობით ღავლავებდნენ.

– ჩემსას როდის გამატან?

– იყოს, ცოტა მოღონიერდეს, გარეთ შეიძლება რაღაც ისეთი შეჭამოს... იმათ ხედავ?

საბჭოთა კავშირთან ერთად დასა-მარებული, ათი ათას კაციანი წარმოების ერთადერთი, დაუნგრეველი, ად-მინისტრაციული და იმის მიმდებარე შენობების წინ, ჯიპებით მოსულ კაცებს ქალი ხელებგამლით ელაპარაკებოდა.

– მაგარია, დიდი ფულის პატრონია, აქაურობა სულ მაგისია. ყველაფერი გაფცევნა და გაყიდა. ახლაც, ეტყობა,

ინვესტორები ჰყავს. საძალლისთვის ერთი პატარა ხუხულა გვჭირდებოდა და თავი მოიკლა, არ დაგვითმო.

— ეგრე რომ ეფანტა, იმდენი კი არ ექნებოდა. ყოჩალ, მართლა ცხენქალა!

— ა, ბატონო, ასე, სულ ნაწილ-ნაწილ გაყიდული სამშობლო გვაქვს. ამ ნაკუნებს ვინ შეკრებს და შეაკონინებს, ანდა რა „ნები“ ეყოფა.

ნიკოლოზის ისეთი ნატანჯი სახე ჰქონდა, გულწრფელად შეებრალა.

— ამ სერიოზულ თემაზე საპოლემიკოდ მაგარი ადგილი მოვძებნეთ, — ახედა მცხუნვარე მზეს მახომ.

— ჰო, დაცხა და, ალბათ, მაგის ბრალია! — ხელი აუწია, აბა ხვალამდეო, გამოეთხოვა და თავშესაფარში დაბრუნდა.

ნათხარებს, ბექობებს, დაფშვნილ, ბეტონნარევ ქვა-ლორლის ბარხანებს ბირკა მოსდებოდა. ბირკას, ეკალს და ნაირნაირ სარეველას გადაეჭამათ იქაურობა.

ავად სისინებდა, ზუზუნებდა, ჭრიჭინებდა ჩამშრალ, წვიმის ნაგუბარებში ჩამხმარი შამბი.

მანქანებმა ჩაუქროლეს. წამით მოჰკრა თვალი კონდიციონერებით გაგრილებულ კაცებს და სიცილით სახეალაპლაპებულ ქალბატონს.

„ეტყობა სარფიანად ივაჭრა!“

შემოყრილმა მტვერმა თვალთ დაუბნელა და ინანა, თამილას რატომ არ გავყევიო.

რაო, ვიდრე მანქანას დაძრავდა რა უთხრა? ერთხელ, ღამით, თეატრიდან გამოსულ მოსწავლე გოგოებს ვიღაც ხულიგანი ბიჭები აგვეკიდნენ და თქვენ გამოგვესარჩლეთ, ჩამოგვაცილეთო.

არ ახსოვს, მართლა გამოესარჩლა თუ არა.

„ალბათ, უფროსი მრჩეველი ტყუილს ხომ არ იტყვის!“

ბორა ხელმარჯვე ბავშვების ხელ-ნაკეთი აეროპლანივით დაცურავდა ცაში გამდნარი სიცხის ლავაში. კისერ-

ნაგრძელებული ზვერავდა მიდამოს, საკბილოს ეძებდა. მერე თავშესაფრის თავზე დატრიალდა და გაზანტებული ფრთების სავსავით ეზოში დაეშვა. თუ მოშივდა, არც ძალლების ნასუფრალს დაინუნებდა.

აეროპლანმა „ნორჩ ტექნიკოსთა სადგური“, ფოტომოყვარულთა, ავიასამოდელო, რადიომოყვარულთა წრეებში გაერთიანებული ბავშვები გაახსენა. სხვაც ბევრი რამე იყო, ოლონდ მოგენდომებინა. ახლა ფული რომ არ გადაიხადო, ბავშვი ბურთს ვერ აგორავებს. ყველაფერი თითქოს, აი, ამ ბარხანების ქვეშ მოჰყვა, ჩაიმარხა. ეგონათ, აშენებდნენ და თურმე ანგრევდნენ. დღეს ბავშვებს, თავიანთი ხელმარჯვეობის დასამტკიცებლად, მხოლოდ მობილურების კლავიატურა შემორჩათ. ვიღას სჭირდება ტვინის განძრევა, კონსტრუქციების აწყობა, საკუთარი შრომის ნაყოფით ტკბობა.

სილურჯედაკარგულ ცას ბლანტი მტვრისა და სიცხისფერი ედო, ნანგრევებში მოყოლილ ბილიქს ბირკა ახრჩობდა, მალე „სასუნთქს“ გადაუკეტავდა.

ბირკა თითქოს თვითონაც მოედო. ყელზე მოეხვია, როგორც ცირკის მანეუზზე მომთვინიერებელს, მახრჩობელა დაეგრაგნა და განვრთნილმა პითონმა, მოულოდნელად, თვალმილული ფაკირივით გაგუდა.

ერთ ადგილზე მუხლმორთხმულს არ-საითკენ ალარ შეეძლო წასვლა — არც უკან, არც წინ, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ. სული შეუწუხდა, ოთხივე მხრიდან მოწოდლილმა წნეხმა გასრისა. ისიც არ ახსოვს, საშველად ვინმეს უხმოთუ არა.

არავის... არც ღმერთს და არც ადამიანს!

„რატომ?“ — ეს იკითხა მხოლოდ და გავარვარებული ცა ზარფუშივით ზედ დაემხო.

მოსახვევიდან გამოჩენილი ძალლების დასაჭერი მანქანა, გზისპირზე ჩაკეცილ მახოს ლამის ზედ შედგა.

თვალი ძლივს გაახილა. უფრო სწორად ძალით აუნიეს დამძიმებული ქუთუთოები, ჯერ ერთი, მერე – მეორე და თავზემოთ დაკიდული, გაბრდლვი-ალებული დიდი ნათურა და ყვითელ პლასტმასაკრული ჭერი დაინახა.

მხრები და თავი რაღაც მკვრივსა და შემაღლებულზე ედო. საწოლიც უხეში, უჩვეულო იყო. ხელმარცხნივ რკინის შუშიანი კარადა იდგა, სამედიცინო ინ-სტრუმენტებით.

ეს ყველაფერი ხომ ერთხელ უკვე ჰქონდა ნანახი?

კეფა ისევ უხურდა, სტკიოდა.

დაიკვნესა.

– განუხებს რამე? – ჩაესმა ხმა.

– თავი მისკდება!

– ნემსი გაგიკეთეთ, რამდენიმე წუთში გაგივლის, – ჩაილაპარაკა მეო-რემ, მოკლე, მწვანე ხალათიანმა ვეტე-ქიმმა და საათს დახედა.

– სადა ვარ?

– საოპერაციოში, – უპასუხა პირველმა.

გამოფხიზლდა... საწოლი მოსინჯა... ეს ხომ ის მაგიდაა, ძალლებს რომ...

ინსტინქტურად შარვლის უბეზე იტ-აცა ხელი.

თავზე მდგომებს სიცილი აუტყდათ.

– ნუ გეშინია, ეგრე ხომ არ გაგიმ-ეტებდით.

იცნო ნიკოლოზის ხმა.

– ხომ წავედი და აქ როგორდა მოვხ-ვდი? – ენის მოკიდებით ამოღერდა.

– ძალლების დამჭერმა და მძღოლმა გნახეს, გზაზე ჩაკეცილი.

– მერე აქ... – ხელი მოუსვა საწოლს.

– სხვა არა გვაქვს, თორემ ძალლების საოპერაციო მაგიდას არ გაკადრებდით.

– არა უშავს, ადამიანი მაინც ცხოვე-ლია.

– ჰო!

– იქნებ უარესიც.

– იქნებ.

– შენ რა, ყველაფერზე მეთანხმები?

– გაელიმა.

ვეტექიმმა პულსი გაუსინჯა:

– წესით თავი ისე აღარ უნდა გტ-კიოდეთ.

– არა, ცოტა გამიარა.

– ანალგინ-დიმედროლი გაგიკ-ეთეთ...

– ყეფის ხმა გესმის? – დარბა-ზისკენ ანიშნა ნიკოლოზმა, – ხომ თვითონაც ცუდად არის, ხეირიანად სიარული უჭირს, ჯალამბარით რომ გამოგატარეთ, ლამის გადაირია, წამ-ოვარდა, აეტოტა გისოსებს, აყმუვლ-და... მას შემდეგ ადამიანივით ტირის, ანგრევს იქაურობას.

– ამქვეყნად ერთ ვიღაცას ხომ მაინც უნდა უყვარდე, თავგანწირვით, თუნდაც ძალლი იყოს, – ცრემლი მოე-რია თვითონაც და თავი გვერდზე შეა-ბრუნა.

– მგონი ასაკი დაგეტყო! – ხელი თანაგრძნობით მოუთათუნა ნიკოლოზ-მა.

– საიდან დასკვენი?

– გულჩვილი გახდი.

საოპერაციოდან, ნიკოლოზის ხელზე დაყრდნობილი, დარბაზში რომ გამოვ-იდა, ფილაქანზე მიწოლილი ძალლები ძველებური რიხით აღარ წამოიშალნენ, თავნამოწეულები სხვადასხვა ფერის საკისარის ბურთულებივით აკვარკვა-რებდნენ თვალებს.

ქულა მახოს დანახვაზე დამშვიდდა, გისოსთან ახლოს მიჩრჩდა და თათი ხე-ლისგულზე დაუდო.

კარგად ბნელოდა, თავშესაფრის მანქანით შინ რომ მიიყვანეს.

ნიკოლოზმა შესთავაზა, დავრჩებიო, მაგრამ იუარა, უკეთესად ვარ, დილაზე თუ გამოივლი, კარგს იზამ, თვალები არ დამრჩეს დასახუჭიო.

ეე, რა ხარ, რა ხარ, ვინც არ გიც-ნობს!.. ნუ გეშინია, თვალებსაც დაგიხ-უჭავთ და ყბასაც აგიკრავთ, ოლონდ ასი წლის შემდეგო.

ტაბურეტზე ჭიქით წყალი დაუდგა, სინათლე ჩაუქრო და წავიდა.

სიბნელემ გადაღება ნუურებიანი ლამფა-ჭერი.

თვალი ვერ მოხუჭა, იქნებ იმის შიშით, რომ მართლა არ მოვკვდეო? არა, უფრო იმის დარდით მისი წასვლით, ოჯახის ისტორიას წერტილი რომ უნდა დასმოდა. რატომ დააკისრა ბედისწერამ ასეთი საშინელი როლი – თავისი მარტოხელობით დაესამარებინა უახლოესი თუ შორეული წინაპრების ამაგი?

ახსოვს სხვენზე ასული მამა სახურავის ბოძებს სტრაფილის ლურსმნებით როგორ აჭედებდა, უთენია როგორ მოჰქონდა პურკომბინატიდან (სადაც მუშაობდა) ჯერ კიდევ თბილი, იღლიაში ამოდებული, კანდაბრანული, დაზოლილი ბერძნული პურები.

მძინარე ბიჭი უკანა ოთახში გრძნობდა შუშაბანდში, მაგიდაზე, შესაგრილებლად გაშლილი პურის სურნელს.

მისკენ ვინ გამოიხედავს. რა რჩება უნაყოფო ხისაგან, რომელიც ხმება და ფოთოლიც ალარა აქვს, რომ გამვლელმა ჩრდილში მაინც შეიარაქათოს.

ამ გზააბნეულმა, ვინ იცის საიდან გადმოხვეწილმა ძალლმა შეაფარა თავი და მარტოხელა ეგოისტი ეჭვის თვალით შეახედა მის განვლილ ცხოვრებას.

თამილამ მაინც დარეკოს.

თამილამ?

ჰო, უკეთესად იგრძნობს თავს.

ნახევრად ფარდაგანეულ შუშაბანდიდან შემოსული სინათლე ჭილოფზე ყვითელი, ბომბორა ძალლივით იწვა.

დედა ბიბლიოთეკარი ჰყავდა. მთელი ცხოვრება რკინიგზის გაყოლებაზე, სატვირთო საწყობებს მიდგმულ, უმზეო ოთახში იჯდა მაგიდასთან, წიგნებით გარშემორტყმული და ჩავლილი მატარებლის წყალობით დაბზარულ შენობასთან ერთად ირწეოდა.

ნესტიანი, პატარა სამკითხველო დარბაზის უკან წიგნების სათავსო იყო. ცხელი დღეები ვერ ასზრებდნენ სახურავიდან ჩამოდენილი წყლის და დასავ-

ლეთიდან მოსული შხაპუნა წვიმით დანოტივებული კედლების შეშრობას. ზამთარში დაგუბებული მჭახე სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, კედლების ნალესზე, ჭერიდან იატაკამდე ჩამოყოლებული, თეთრად მოკიდებული ობი მარილგამოსული ყველივით ბზინავდა.

დედას სპეციფიკური, მახრჩობელა სუნი არ სცილდებდა ხელებზე, გაცრეცილ, ნიშნობის დროინდელ, დრაპის ფართობორტებიან პალტოს სახელოებზე.

როგორ შეიძლება, ჩემს შვილს კითხვა არ უყვარდესო, – დაიჩივლებდა ხოლმე ხანდახან.

რა იცოდა, სიზარმაცესთან ერთად, მახოზე ეს გამაღიზიანებელი სუნიც მოქმედებდა, თაროზე დიდხანს ნადებ წიგნებს რომ უდიოდათ.

მერე, სამრეწველო მაღაზიის საწყობი გატეხეს, მოპარული საქონელი სადგურელმა ნაცნობმა ბიჭებმა შესანახად მიაპარეს. მილიციამ აყვანილი ქურდები გამოტეხა, სხვენზე შეყრილი, ხელუხლებელი საქონლის ხელჩანთები მახოს ჩამოატანინეს და, როგორც თანამონანილე, ბიჭებს გვერდით მიუსვეს.

მეხივით დაეცათ ეს ამბავი თავ-მოყვარე მშობლებს.

წინასწარი დაკავების საკანში გამოცდილმა ნაციხრებმა შეუთვალეს, ვითომ არ იცოდი ჭერში მაგ ჩანთების არსებობაო.

ვერაო, ტყუილი როგორ ვთქვა, მაშინ ხომ ეჭვს მამაჩემზე აიღებენო.

მაშინ ციხის სამკითხველოში დედა ბავშვივით რომ მოენატრა, მოენატრა მისი წიგნებიდან გამოყოლილი სუნიც.

დრო კითხვაში სწრაფად გადიოდა.

ჩემს ცოდვებს ისიც შეამსუბუქებს, უკან განათლებულ კაცად რომ დაგაბრუნებო, უხაროდა ყოფილ მინისტრის მოადგილეს.

ჯერ დედა გარდაეცვალა, მერე, რამოდენიმე დღეში – მამა. ჩუმმა, უნყ-

ინარმა, ბუნებით ინტელიგენტმა კაცმა თითქოს გზა დაუთმო, ჯერ ქალბატონი „გაატარა“ და მერე თვითონაც მიჰყვა...

ღია ფანჯრიდან გადმოსული, ბელ-ტივით კატა იატაკზე მსუბუქად დახტა, მაგრამ ჩაძინებულ მახოს არ გაუგია.

კატამ ვერც იატაკზე, ვერც მაგიდაზე, სასუსნავი ვერაფერი რომ ვერ მოიხელთა, უკმაყოფილოდ დაიკინავლა, ფეხებთან მიუწვა და ჩამთბარი აკრუტუნდა.

ჭერმალალ, ერთ დროს ბამბის საშრობ საამქროში, სიჩუმეს დაესადგურებინა. გარეთ ატეხილი ქოფაკების ხმაური ამ კედლებში ვერ აღწევდა.

მთვარე აქაურობასაც დანათოდა. სინათლე ქულას გვერდით გართხმულიყო, „თათი“ გადაეხვია და ერთმანეთს ჩახვეულები თვლემდნენ.

გადაიხარა მთვარე. სინათლეც გაცურდა ვოლიერის ფილაქანზე.

ქულა სინათლეს მისწვდა. სცადა დაეჭირა. ჯერ ერთი თათით, მერე ორივეთი „ჩაბლუჯა“, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერა. წავიდა, ვოლიერს იქით გადაინაცვლა.

უნდოდა გამოჰკიდებოდა, მაგრამ გისოსებმა არ გაუშვეს, ლონიერმა შეჯანჯლარებამაც ვერ გააღო მყარად შეკრული კარი.

საოპერაციოში რაღაც ბუტავდა.

ასეთი რაღაც კელიის სარკმელშიც ციმციმებდა ხოლმე, მაგრამ ქულამ არ იცოდა, რა. მაინც მოჯადოებულივით, თვალს ვერ აცილებდა მანათობელ წერტილს.

დილის სინათლესთან ერთად ციმციმი იცრიცებოდა.

იქ, მაშინ, გულაძგერებული გრძნობდა, რომ წუთი-წუთზე ის უნდა გამოსულიყო, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა, ვისი ხელების სითბოსაც, ლეკვობიდან მოყოლებილი, სულ გრძნობდა.

და მამაოც გამობრძანდებოდა ცასა-

ვით კამკამა, ლურჯი თვალებით და მკერდზე დაფენილი, შეჭალარავებული წვერით.

აბა, ჩემი ბიჭი როგორ არისო, ჩამოუჯდებოდა, მოუქექავდა ქეჩოზე ბალანს. ესეც მკერდზე თავმიდებული უსმენდა მამა პავლეს გულისცემას.

ცოტა ხანში შეირხეოდნენ სამრეკლოზე დაშვებული თოკები. სტიქა-როსანი ბიჭი მარჯვედ ჩამოჰკრავდა და ქულა ორ ფეხზე შემდგარი აყურადებდა ზარების ხმებს, უხილავი ფრინველებივით სხვადასხვა მხარეს რომ მიფრინავდნენ და უკან ექოდ ბრუნდებოდნენ...

მალხაზსაც გაეღვიძა. მთვარის შუქი ჭილოფიდანაც შუშაბანდს იქით გადაცურებულიყო.

კედლის საათის ციფერბლატზე ფოსფორიანი ისრები მკრთალად ანათებდნენ. ვერ გაარკვია, ზუსტად რომელი საათი იყო.

ჩამრთველს ხელი აჰკრა. სინათლე გამოერთოთ. ხსოვნამ ითხმოცდაათიან წლებში გადაისროლა. ეგონა, მაშინ, გაზაფხულსა და ზაფხულშიც ყინავდა, ყველა წელიწადი ერთ გრძელ, დაუსრულებელ ზამთრად შემორჩა მეხსიერებას.

სუნი კიდევ უფრო ამძაფრებდა უიმედო მოლოდინს და იმედიანი მხოლოდ ორშაბათის ინტერვიუების მთავარი გმირი იყო, მსმენელს რომ მოძღვრავდა. ერთ დღესაც, თანაც ძალიან მაღე, დავიძინებთ და ახალ შვეიცარიაში გავიღვიძებთო.

„სადაც გაიღვიძეს და ვის ხელშიც გაიღვიძეს, მისი წასვლის შემდეგ, კიდევ ოცი პროცენტით დაპატარავებულ საქართველოს ჰკითხონ!“ – მახომ დაიგმინა და კედელს მუშტი დასცხო.

წარსულში რაღაც მაინც იყო კარგი. ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ საერთო საქმის მოამაგე, ერთგული ადამიანები და ერთმანეთს აძლებინებდნენ.

ახლა?

სული აუტირდა, ისე შეაწუხა მარტობამ.

როგორ უნდოდა გვერდით ვიღაც მეორესაც ესუნთქა.

მალე მაინც გათენდეს, თავის „მდგმურს“ გამოიყვანს, რაღა აქვს სამკურნალო.

ნაგაზი კი, მაგრამ...

„თამილა?“

„მანდილოსანი ლეკვით“.

როგორი სინაზე ეხატებოდა სახეზე, ხელებში ჩაღვრილი, მუცელთან მიხუტებული ფინია რომ მოჰყავდა. იმ მუცლის სითბო თითქოს თვითონაც იგრძნო, ისე მძაფრად და აუტანლად, რომ ეგონა გული გაუსკდებოდა.

რა ემართება, გაგიქდა? როგორ თვალზე შეხედა სასამართლოს უფროს მრჩეველ ქალბატონს?

სხვა რამეზე უნდა იფიქროს, თორემ მართლა გააფრენს.

დედა მარიამობას სამოცდაათის შესრულდებოდა.

დილით, გალვიძებულს, მაგიდაზე საფენგადაფარებული საუზმე და ფურცლის ნახევზე ფანქრით ნაწერი დარიგება დახვდებოდა ხოლმე:

„ჩემო ბიჭო, საუზმე მიირთვი და სკოლაში არ დააგვიანო.

ეცადე, ისეთი კაცი დადგე, რომ სამშობლოს და ადამიანებს გამოადგე“.

ეჰ, გულუბრყვილო ბიბლიოთეკარი!

როცა სიყალბები ანგრევენ ქვეყანას და ადამიანთა სულებს, მიდი და გამოადექი.

ოთხმოცდათერთმეტის შემოდგომის პიკზე, მოხალისეთა ჯვუფი ერგნეთში მორიგეობდა. გაბროსთან ერთად, მახო ძველმა ნაცნობმა, კორაანთ უბანში, სავახშმოდ გადაიპატიუა.

ცივი, წვიმიანი დღე იყო. ორსართულიან სახლს მიშენებულ, გამოსაზამთრებელ ოთახში გახურებული ღუმელი გუგუნებდა, ცხელი კერძის ქვაბები თუხთუხებდნენ და, სითბოსთან ერ-

თად, მადისაღმძვრელ სურნელს აფრქვევდნენ.

ღუმელთან, ტახტზე, ორნი ისხდნენ, ამათ ელოდნენ.

მაგიდა უკვე გაეშალათ. შუაში დიდი, თურქული ლამპა იდგა.

დიასახლისმა „ლომიაურის“ შეფებმომდგარი ტოლჩა მაგიდის კიდესთან, ზოლებიან, საუზმის თეფზზე დადგა და ლამპას ფითილი ამოუწია.

ახლა უფრო კარგად შეათვალიერეს ერთმანეთი.

მასპინძელმა თურქული ლამპა შეაქო, – კარგი სინათლე აქვს, ოღონდ ბევრი ნავთი სჭირდებაო და ტოლჩას მისწვდა.

მე დავასხამ, მიყვარს ეგ საქმეო, – ჩამოართვა ტოლჩა გაბრომ.

რახან გიყვარს დაგითმობ, ოღონდ თამადობაც არ წამართვაო, – მასპინძელმა ტაბურეტი უკან ხმაურით დასწია, წამომდგარმა ღვინოს სინათლეზე გახედა, უფალი ახსენა და ნელა-ნელა, დაგემოვნებით დალია.

მახოს პირდაპირ ჯმუხი, მკვრივად შეკრული ახალგაზრდა კაცი იჯდა.

სვამდა, ჭამდა, პურის ყუით მძიმე-მძიმედ ასუფთავებდა ღორის ყაურმიან თეფშს, მაგრამ არც დაწუნების არც მოწონების არაფერი ეტყობოდა, სახეც ისე მოუამვოდა, რომ იფიქრებდი, აღბათ, გულიანად, საერთოდ არ გაუცინიაო.

აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთო, – დაინტერესდა მალხაზი.

კიო, მაგრამ აღარც შორიდანო, – თითო უკან, ფანჯრებისკენ გაიქნია.

ფანჯრები, ნახევარი სტადიონის მანძილზე, მავთულბლართებთან გაჩერებულ სამხედრო ტექნიკას და უფრო უკან, ჩაბნელებული ქალაქის გარეუბან „შანხაის“ აწონილ კორპუსებს უყურებდნენ.

იდუმალებით მოცული კორპუსების სილუეტები დაძრულ ასბერგებს ჰგავდნენ, სულ მალე აქეთ რომ გამოი-

ყოლებდათ ბედისწერის ამღვრეული დინება.

მოსაწევად დერეფანში გამოვიდნენ.

ღვინომ თავისი ქნა და მოღუშულმა სტუმარმა გული გახსნა.

დურგლიშვილი ვარ, მოლიციის კაპიტანი. ბოლო ხანებამდე სამმართველოში ვმუშაობდი, მაგრამ აღარ დამედგომებოდა და ოჯახიანად ცოლეურებში გადმოვიხვეწე. გული ცუდს მიგრძნობს, ეს საქმე ასე იოლად არ მოყომარდება, დიდი ღალატის წრედი იკვრება და ძალიან მეშინიაო.

არა, რას ამბობთ, – გაფიცხდა გაბრო, ჩვენი საუკუნოვანი, თავისუფლებაზე ოცნება ახდა, ნუთუ ასე უგუნურია ქართველი კაცი, რომ ეს შანსი ხელიდან გაუშვასო.

რა ვიცი, ღმერთმა გისმინოსო, – თავი გადააქნია და ნამწვი კედელში ჩამოტეხილ რიყის ქვას მიასრისა.

მეორედ მარტო გამოვიდნენ.

მე მგონი, თქვენ და თქვენი მეგობარი, ცოტა ზერელედ და ზედაპირულად უყურებთ მოვლენებსო.

მაშინ ღრმად თქვენ ჩაგვახედეთო, – გაეცინა მალხაზს.

– ამ ცოტა ხნის წინ, – დაიწყო დურგლიშვილმა, – სამმართველოში მორიგეობისას, თანამშრომლები რომ წავიდ-წამოვიდნენ და მხოლოდ სპეცდანიშნულების ჯგუფი იყო დარჩენილი, გავიგონე ეზოში ჩოჩქოლი ატყდა და მალე „ბეტეერიც“ შემოგრუხუნდა.

„ბეტეერიდან“ ორნი გადმოვიდნენ, მაგრამ ვინ, სიბნელის გამო ვერ გავარჩიე.

მეც შევერიე თანამშრომლებს, ერთმანეთში რომ ჩურჩულებდნენ ოსურად, რა თქმა უნდა – ჩვენი ძმა ჯამბუ ჩამოვიდა და იარაღი ჩამოგვიტანაო.

ორნი იყვნენ-მეთქი, ერთი ადგილობრივი, ცნობილი ქურდი და „ჩვენი ჯამბუ“, ისიც მისი ნაქურდალი ძმაკაცი.

„ჯამბუმ“ პილოტურასავით ქუდი მოიხადა, წინმდგომებს ხელი ჩამოართ-

ვა და, – ჩამოიღეთ ჩამოსაღები, ღამისთევით კი არა ვარ მოსულიო.

იცი, შენ, უყვარს ჯამბუს ხუმრობა, ძალიან უყვარს. მით უმეტეს დამცინავი, იქედნური ღიმილი როცა გადაუვლის ტუჩებზე, აი, მაშინ მინდა...

– დაუჯერებელია!.. რაც გინდა მიეტანა, მაგრამ იარაღი?

– ნეტამც ვტყუოდე!.. „ბეტეერი“ უკუსვლით საწყობთან მიაყენეს, რაღაც ყუთები გადმოიღეს და წავიდნენ.

მალხაზმა მესამედ გამოსვლისას ჰყითხა, – რამე რომ იყოს, ამ ყველაფერს ხმამაღლა იტყვიო.

ისე ვარ გამწარებული, შვილებს გეფიცები, თუ უკან დავიხიო. მიღიციელებს ძალის სისხლიანებს გვეძანიან, მაგრამ არც ეგრეა საქმეო.

„ჯამბუ“, თანამზრახველებთან ერთად, ალექსანდრეს ძალში რომ წამოწვა საშიმშილოდ, დედაქალაქში ჩამოსულმა მახომ, „სახალხო მოძრაობის“ ოფისში გაიხსენა დურგლიშვილის მონაყოლი.

ცოტა ხანში იფისში დარცეს.

მალხაზ ფერაძეს მთავრობის სახლში, პრეზიდენტი ელოდებაო.

გაუკირდა, რატომ უნდა მიბარებდესო.

მთავრობის სახლის კბეჭათან ორნი დახვდნენ და პრეზიდენტის მისაღებამდე მიაცილეს.

დიდხანს მოცდა არ დასჭირვებია, კაბინეტიდან, ფურცლებით ხელში, ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა პრეზიდენტის მრჩეველი, ცნობილი ორატორი, მარჯვნიდან მარცხნივ თმაგადასიპული ჯელი და მახო შეუშვეს.

ზურგს უკან მძიმე, მაღალი კარი უხმაუროდ დაიხურა.

პრეზიდენტის მაგიდისკენ მიმავალი ხალიჩის ვიწრო ლიანდაგი, პარკეტაპრიალებულ ოთახს ორ თანაბარ ნაწილად ყოფდა.

მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილმა პრეზიდენტმა, თითქოს ღრმა მორევიდან ამოვეინთა, ოდნავ გაულიმა და თავი დაუქნია, მოპრძანდითო.

მიპრძანდა. ხალიჩა ჩაათავა და საწერ მაგიდასთან მიდგმულ სკამზე ნელა დაეშვა.

პრეზიდენტი ბობოქარი გაზაფხულის შემდეგ შეცვლილიყო.

თვალშისაცემად მომატებოდა ჭალარა, დარბილებოდა სახის მკაცრი ხაზები. მჭახე ხმა, შემართულ მარჯვენასთან ერთად, თავგანწირვის სურვილით რომ აღანთებდა ხოლმე ათასეულებს, სადლაც გამქრალიყო.

„მძიმეა მონომახის ქუდი“, – გაიფიქრა და პრეზიდენტს თვალი გაუსწორა.

– სახით ძალიან მეცნობით! – რალუცით ხომ უნდა დაეწყო საუბარი.

– ალბათ, ცხინვალის მისადგომები-დან. რომ შეგცივდათ, ჩემი ქურთუკი მოგასხით.

– აი, ხომ ვთქვი მეხსიერება არ მღალატობს. მერე ქურთუკი დაგიბრუნეს?

– მერე ისე წავიდა საქმე, ქურთუკი ვიღას ახსოვდა.

– გასაგებია, ერთი ქურთუკი ჩემზეა!
– წინ დალაგებული ფურცლები მისწი-მოსწია:

– რაო, მაშ თანახმაა ის პიროვნება, ალექსანდრეს ბალში წამოგორებული რომ ამხილოს?

გაუკვირდა, „სახალხო მოძრაობის“ ოფისში მონაცოლი ასე ოპერატორულად როგორ აცნობესო.

– შვილები დაიფიცა, როცა გინდათ და სადაც გინდათ, იქ ვიტყვი იმ ღამის ამბავსო. რა ვიცი, დაუჯერებელი კია, შენს მტრებს იარაღი მიუტანო.

– რატომ დაუჯერებელი? ციხეს ვინ ტეხდა შიგნიდან, საკეტურებს მტერს ვინ აბარებდა? – შინაური! ჩემს პირად სიყვარულს არავის ვთხოვ, ჩემი მიზეზით სამშობლოს ნუ შეიძულებენ და ნუ გაყიდიან. რა გვარია ის კაცი?

– დურგლიშვილი, ოთხი შვილის მამა, მილიციის კაპიტანი.

– გასაგებია, – წარბები მოჭმუხნა. წამით გარინდულმა, თითქოს ეს ინ-

ფორმაცია სადლაც, ღრმად ჩაგზავნა და ისევ ჩვეული იერი მიიღო, – ვერ წარმოიდგენთ ამათი მხილება როგორ გვჭირდება. ჰაერივით! ხალხმა უნდა გაიგოს, ცრუ პატრიოტების უკან, უცხო ქვეყნის მიერ დავერბოვკებული, მაღალი ჩინის აგენტები რომ დგანან...

– ქვეყანა თქვენს ხელშია, ხალხიც თქვენ მოგყვებათ, – ჯერჯერობითო, უნდა დაეყოლებინა, მაგრამ დროულად დააჭირა ენას კბილი. – მიუზღეთ, ვინ რისი ღირსიც არის!

პრეზიდენტს მწარედ გაეცინა.

– ეჲ, ჩემო ბატონო, ქვეყანა რომ რეალურად ჩვენს ხელში იყოს ხომ მაშინ. კი, სიმართლე ჩვენსკენ არის, თავის თანამზრახველებთან ერთად, ძალით წამოგდებას და განსასჯელის სკამს იმსახურებს, მაგრამ მერე ესლა უნდათ?! შინ თუ გარეთ ისედაც ამდენი მტერ-მოყვარე აგვიყეფეს! თანაც ძალადობა ძალადობას ბადებს, რითაც დაიღალა ჩვენი ქვეყანა. ჯერ, მთავარია, ნიღაბი ჩამოვგლიჯოთ. რაც დურგლიშვილმა ნახა, გამყიდველმა, სამშობლოსი და ერის მოძულებ, ამაზე მეტი რაღა უნდა ჩაიდინოს! თუ ტელევიზით გამოვა, კარგი იქნება.

შუა ოთახში იდგნენ. პრეზიდენტი ცოტათი მაღალი იყო, მხარზე ჩამოდებული ხელი უთროთოდა და თვალებში ჩაჰყურებდა:

– ჩემი სახელით გადაეცი, საერთო მონაპოვარის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება-თქო.

– გადავცემ, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ... – შეყოყანდა, ვთქვა თუ არაო, – მეც სწორედ შიგნიდან ციხის გატეხის, დიდი ღალატის სუნი მცემს. „თუ სამეფო თავისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ვეღარ გაძლებს“...

– მარკოზი, თავი მესამე, – გაელიმა პრეზიდენტს.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ კარი გაიღო და მთავრობის სახლის

„ციცერონი“ შემოქანდა, თან რაღაც ფურცელს მოაფრიალებდა.

— ძალიან სასიხარულო ცნობა მივიღეთ! არ შემიძლია, რომ არ გადაგეხვიოთ და არ მოგილოცოთ! — მალხაზსა და პრეზიდენტის შუაში ჩამდგარმა საკოცნელად ცერებზე აიწია.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

— თქვენი სტატია ბელგიაში უთარგმნიათ, გამოუქვეყნებიათ ძალიან პრესტიულ გამოცემაში და მკითხველთა განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია.

— მართლა? — ვერ დამალა სიამოვნების კმაყოფილი ლიმილი პრეზიდენტმა.

— ა, ბატონო, — გაუწოდა ფურცელი.
— პარიზიდან ჩვენი პრესატაშე გვატყობინებს.

მახარობელმა კიდევ რამდენიმე, დითირამბებით გაჯერებული წინადადება ჩამოარაკარაკა, გაპრიალებული მოკასინების წვერებზე საკოცნელად ერთხელაც აიწია და, როგორც შემოვიდა, იმავე ტემპში, გვერდზე თავდახრილი გაკუნჯულდა.

კაბინეტიდან გამოსული მახო კიდევ გადაეყარა „ციცერონს“. დერეფანში ვიღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ ამჯერად, არც ხმასა და არც სახეზე, წელანდელი აღტაცების კვალიც კი აღარ ეტყობოდა.

ცარიელ ტალანში გულდამძიმებული მიაბიჯებდა.

მთავრობის სახლის თანამშრომლები ძილბურანში მყოფებივით მიმოდიოდნენ. არ იგრძნობოდა, ვინმე სერიოზულად თუ წუხდა იმის გამო, რომ ღალატის დანა ილესებოდა.

იდგა ქუხილისწინა, ავბედითი, „ხმაურიანი“ დუმილი; ბულდოგებივით იღრინებოდნენ გაფიცულ მომიტინგეთა მეგაფონები, ჰაერს სხეპავდა მთავრობის საწინააღმდეგო შეძახილები და თბილ, ფუმფულა პლედებში შეფუთუ-

ლი, თეთრყირმიზა, პირმობოშებული „ჯამბუ“ ხალისობდა ანეკდოტებით და წყალწყალა ხუმრობებით.

იქვე, დიდთავა, ერთი სახელგატეხილი პარტიის ლიდერი ბრდღვინავდა, ბატონმა „ჯამბუმ“ პლევრიტი რომ აიკიდოს, მე, პირადად, მთელ პასუხისმგებლობას პრეზიდენტს დავაკისრებ, ჩვენ რომ შევუნდოთ, უფალი მაინც არ აპატიებსო.

რაც უფალმა ყოფილ საკავშირო მნიშვნელობის ქურდს შეუნდო, პრეზიდენტს, მისი ფილტვების დაჩრდილვას, როგორ არ აპატიებდა, მაგრამ ყბედობის იშტაზე მოსულ ორატორს რაღაც ხომ უნდა ეთქვა, მით უმეტეს, რომ ყურისდამგდები და ტაშის დამკვრელი არ აკლდა.

ვიღაც თხელთმიანმა, ასაკოვანმა კაცმა, ბადურით პური რომ მიპქონდა და მომიტინგებებთან წუთით შედგა, რატომდაც მალხაზს გამოსდო მკლავში ხელი:

— ბიძია, იცით რა არის სალმონელოზი? აგრ ესენი, ქვეყნის გულგვამში მოდებულები და, თუ ხელისუფლებამ დროულად რამე არ იღონა, ისეთ ტიფს შეგვყრიან. დაიხსომეთ ჩემი სიტყვები! — დაუქნია თითო და ჩოჩიალით გზა გააგრძელა.

დიდ გემებს ზოგჯერ, ჰატარა, შეუმჩნეველი წყალქვეშა მეჩეჩები ინელებები.

იმ პერიოდის საქართველო ერთერთი ასეთი მეჩეჩი იყო და დაშლილი იმპერიის გაბოროტებული „მემკვიდრე“ აშკარად მფარველობდა თანდათან მომძლავრებულ მეხუთე კოლონას.

ვირთხებს ალღო არც ამჯერად დალატობდათ. მეჩეჩი უნდა დაეღრღნათ, დაეშალათ, რათა ახალ გემბანზე თავი მშვიდად და უსაფრთხოდ ეგრძნოთ.

„საერთო მონაპოვარს“ მილიციელ დურგლიშვილის ჩვენება თუ ვერ გადაარჩენდა, პოლიტიკურ ამინდს ცოტათი მაინც შეცვლიდა, მაგრამ „ალ-

სარების“ მიცემაზე ბოლოს იმანაც უარი თქვა, ყველაფერი ტელევიზიონი რომ ვაღიარო, ჩემი თავი ჯანდაბას და, შვილებს ვინ დაიცავს? არ დაგვინდობენ, ოჯახს ძირფესვიანად ამომიძირკვავენ. რად გინდათ ან თქვენ, ან პრეზიდენტის ჩვენს ცოდვაში რომ ჩადგეთო.

მახოს გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა. ხომ შემპირდი, სასწორზე დევს ქვეყნის ბედ-ილბალი. თვითონ პრეზიდენტმა გთხოვა.

დურგლიშვილს არაფრის მოსმენა არ უნდოდა.

გაცოფდა მახო, გადაირია, მაგრამ რა უნდა ექნა, ხომ არ მოკლავდა.

ისევ ჩანთაში ჩადო ოპერატორმა ტელეკამერა.

ვერ ვამბობ ხმამაღლა, თორემ, რაც მაშინ გითხარი, სრული სიმართლეა, – დაანია დურგლიშვილმა მანქანისკენ მიმავალ მახოს.

წადი შენიც და შენი სიმართლი-საცაო, – გაცეცხლებულმა გამოგლიჯა მანქანის უკანა კარი, გადმოიღო „კალაშნიკოვი“ და ფეხებთან მიწა აუქაფა.

დურგლიშვილი გაუნძრევლად იდგა, ფეხი არ მოუცვლია.

ბარემ ერთი მეც მესროლე და მოათავეო, – ამოიგმინა ბოლოს.

დაახეთქა მახომ ავტომატი, აცახ-ცახებული ხელ-ფეხი ვეღარ დაიწყნარა, გზისპირას ქვაზე დაეშვა და ტირილი აუვარდა.

დურგლიშვილი გვერდით მიუჯდა:

– ხომ გითხარი, ჩემი თავი ჯანდაბას, ოჯახის დარდი მაქვს-მეთქი!

ოპერატორი დაღმართში თავპირისმტვრევით გარბოდა.

მართალი იყო დურგლიშვილი, რომ ფრთხილობდა. „ჩოფურას“ მფარველები მის ოჯახს როგორ დაინდობდნენ.

ის ტყვიაც ერგნეთის ბალებში სან-გრიდან თავამოყოფილ გაბროს შუბლი რომ გაუხვრიტა, ალბათ, მაშინ ჩატანილი სნაიპერის შაშხანიდან ისროლესო, – დაასკვნა მახომ.

გაბროს სიკვდილის შემდეგ იარაღი ჩააბარა და „სახალხო მოძრაობა“ მიატოვა.

სიმბოლურად ერთი ტყვია შეინახა.

ეს ჩოფურას სარგო ტყვია იყო.

სამაგიეროს გადახდის წყურვილი ტანჯავდა. ყველანაირად გაუპატიურებული, ჩონჩხადქცეული ქალი რომ გამოატანეს, თვითონ კი, მანქანის წინ გალაჯული, ხელის ტყვიამფრქვევის სასხლეტზე თითგამოდებული, „რეზინს“ იღეჭებოდა და აქეთ-იქით იპურჭყებოდა.

როდესაც წამოვიდნენ, „ჩოფურამ“ სასხლეტს მაინც გამოჰკრა და ერთი ჯერი მანქანას ზემოდან გადაატარა.

– ამათ და ხელში როგორ ჩაუგდე! – ამოიგმინა ბოლმით გაგუდულმა.

– გადამაგდეს, ბრატ, სპონსორმა გადამაგდო. გამიგე? მუქთა წამალი უნდათ, ჯიბეში ხელის ჩაყოფა კი ეზარებათ.

– შელმს ფულს მუტან.

– თუ ვამოვე!

– უურუ, ამ ნაჟექას! – გამომ ცალ ხელი გადმოუდ და ყლოში წალნდა. – ასლ „ოუზეც“ არს სუბე?

ჩაბრენ გოგო ჟაფრონებს და მს შემუვა ალა უწახეს.

აშობენ, საზღვრულებელი, გრილისტი ცხოვრობს.

აქეთ გამოხედვა აღარ უნდა თურმე. ანდა ვისკენ გამოიხედოს.

ძილგამკრთალმა რაზე აღარ იფიქრა, იბორგა, ინრიალა.

როდის-როდის, ხეივნის ფოთლებში დილის მახარობელი ნიავი შეშრიალდა.

სადღაც, სამეზობლოში, მამალმა იყივლა.

„ნეტა ამათ არ კოდავენ, ხალხს ძილს რომ უფრთხობენ?“

ვერ გაიგო, როდის ჩათვლიმა.

მზერამ გამოაღვიძა. შუშაბანდში რობეს გაბურდგნილი თავი იყო გადმოკიდებული.

– მე კიდევ გულის გახეთქვა მინდა?

– რათა, ეგეთი შეუხედავი ვარ? –

იწყინა რობემ და აპრიალებულ ფანჯრის შუშაში თავისთავი შეათვალიერა.

– როგორა ხარ, თავი კიდევ გაწუხებს?

– გამიარა! – შარვალს მისწვდა მალხაზი.

– გაუფრთხილდი, ძმაო, მტკვრის გამოღმა შენ ერთი ხარ, ვისაც ბაშვა გიმუშავებს. იცი, ვინ მოგიყვანე? აბა თუ გამოიცნობ.

იმავ წამს რაღაც კარს მოაწყდა და ლამის ანჯამებიდან ამოაგდო.

– შენ აქ საიდან გაჩნდი! – ფეხზე წამოიჭრა მახო, მაგრამ მკერდზე დაჯახებულმა ქულამ ისევ უკან, საწოლზე გადაისროლა.

დლინჯშემოყრილი რობე თავს აქნევდა:

– არა, ძმაო, მე ასეთი რამე არც მინახავს და არც გამიგონია. ამნაირად ცოლ-შვილს რომ გაუხარდეს ჩემი დანახვა, მამაძალი ვიყო თუ სასმელს სათოფეზე გავეკარო, თუმცა ხვალიდან ვეღარც დავლევ.

– ვაა? რათა, ბუასილი გაგიმიზებდა?

– ნუ იცი ეგეთი ლაპარაკი! – ქულასი დაიმორცხვა რობემ. – მაგარი „ფოდრათია“. ორსართულიანი სახლი... ცარიელი კედლები... გალესვა, სანტექნიკა, კაფელი... ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელია. თუ შემოგვიერთდები...

– მაშ რას ვიზამ! უკვე ორნი ვართ. მაყუთი გვჭირდება, თანაც შენნაირ ხალხთან მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია.

– დამცინი?

– არა, სინდისს გეფიცები.

– მადლობა, ძმაო. შენ სინდისს ტყუილად არ დაიფიცებ, – მკერდზე ხელმიდებულმა თავი დაუხარა. – გუშინ უბნის რწმუნებული გეძებდა.

– რა უნდოდა.

– მეზობლები უჩივიან, ამხელა, აქლემივით ძალლი ჰყავს, შიშით ბავშვებს ქუჩაზე ვერ გაუვლიათ. ყეფით ხომ შეგვანუხა, არ გვაძინებს, ზომები

მიიღეთ, თორემ ვეღარ მოვითმენთ, გავიფიცებით და ქუჩას გადავკეტავთო. – ხუმრობ?

– მამაძალი ვიყო თუ ეგრე არ ეთქვას. მაჩვენეთ საჩივარი-მეთქი. რა გაჩვენო, სიტყვიერად დამავალა უფროსმა და იმასაც ეგრე დაურეკეს თურმეო. იმას ვინ დაურეკა-მეთქი. ეს, რა სულელი ვინმე ყოფილხარ, უფროსები ხელქვეითებს ანგარიშს როდის აბარებენო. თავი დაანებეთ ამ უწყინარ ცუგას, რამდენი ხანია, რაც ძალლებმა ძალლის ტყავის დახევა დაიწყეთ-მეთქი.

– ხომ ხვდები ეგ ამბავი საიდან და ვისგანაც მოდის?

– „საქმიანი ეზოდან“!

– არ ასვენებს გამჩენი!

ქულამ წყლის ჯამზე დახრილი თავი ასწია და მალხაზს ყურადღებით მიაჩერდა, თითქოს მიხვდა რაზეც საუბრობდნენ.

– ნიკოლოზმა მითხრა, გაასეირნე და უკან მოიყვანეო, – თქვა რობემ.

– ჯერ ერთგან მივიდეთ და მერე, – მახომ მუხლზე ხელი დაირტყა და წამოდგა.

„საქმიანი ეზო!“ მთელი დატვირთვით მუშაობდა. შემოდიოდნენ მანქანები და გადიოდნენ, მიჰქონდათ და მოჰქონდათ. მოკლედ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა.

მახო რომ დაინახა თავის თანამგზავრებით, ყარაული ალყაფის კარს ამოეფარა.

ხახიშვილი კაბინეტში მარტო იყო. ტყავის სავარძელში ჩასვენებული, დაბალ მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი, დაორთქლილი ფუჟერიდან შამპანურს წრუპავდა.

რობე და ქულა მახოს უკან, კართან შეჩერდნენ.

ტელევიზორს მიჩერებულმა მასპინძელმა ძლივს მოღრიჯა კისერი.

– ფეხები მაინც ჩამოილე, სტუმარი

როცა შემოდის!.. უზრდელი იყავი და უზრდელად დარჩი!

– ნუ მიაცვ-მოაცვამ, გაიგე? დაუპატი-
ჟებლებს ასე ვხვდები. შენს ხასიათზე
არა ვარ!

– რათა, ეტყობა წუხელის გასკდი.
ალმური აგდის.

– გამოიცანი! ეს ჩმორები სულ დაგი-
ჟდნენ. სკამზე ასულები, საყვავილით
სვამდნენ სტალინის სადღეგრძელოს
და წამოვედი.

– ეგ იყო წამოსვლის მიზეზი?
– ჰო, ხომ იცი.
– განა მაგიდაზე ასულს, ლამფის
შუშით შენ კი არ დაგილევია?

– ცოტ-ცოტა ყველას რაღაცა გვაქვს
მიქარული.

– ყველას შეიძლება, მაგრამ შენ
ცოტ-ცოტა როგორა გაქვს. ქაქის
გორები გაქვს ნაჭამი!

– მორჩი-მეთქი, არა ვარ შენს ხასია-
თზე, თორემ, ხომ იცი, დაგადებ.

– არა, მაინც რატომ არ სვამ ბელა-
დის სადღეგრძელოს, შენზე ნაკლები
ბიჭი იყო?

– არ მევასება, მორჩი და გათავდა!
– რათა, ერთ არაკაც ქვეყნის დამ-
აქცევარს თვალში რომ არ მოსდის,
იმიტომ?

– დაყენდი, თორებ.
– ეჩო რატომ დაგარქვეს, გახსოვს?
სულ შენსკენ რომ მიითლიდი, თანაკ-
ლასელებს ფულსა და შინიდან გამო-
ტანებულ საუზმეს რომ გვპარავდი,
მაგრამ უკეთესი ვისგან უნდა გამოსუ-
ლიყავი. შენი სოფლის ბოლოში, ეშმა-
კის მოსახვევი დაწყევლილი ადგილია,
ხშირად ხდებოდა ავარიები. პაპაშენი
მოკლეზე ჩამორბოდა თურმე, ჯახანის
ხმას როცა გაიგონებდა და ინსპექციისა
და სასწრაფოს მოსვლამდე, გონდაკარ-
გულებსა და მკვდრებსა ძარცვავდა.

– ხმას დაუწი!
– როგორც არ უნდა დავუწიო, ინ-
ფორმაცია მაინც უკვე მისულია, აი,
იქ! – გაშვერილი თითო თითქოს ჭერს

წაატაკა. – ის აძალლებული რომ თა-
ვის დროზე ყვერებით დაეკიდათ, მად-
ლი არ იქნებოდა? თქვენისთანა ნაბი-
ჭვრებს ხომ არ გაამრავლებდა! გესმის,
მკვდარსა, კაცო, მკვდარსა!.. ახლა
ჩათლახი მამაშენი!.. აი, ვისი შვილი და
შვილიშვილი ხარ!

– ნამდვილად ტყვია მოგენატრა
შუბლში!

– კი, კი, ეგეც ბევრი გიკეთებია.
– ჩუმად-მეთქი!

– მე რომ გავჩუმდე შენი ჩადენილი
გოთვერნობები იღალადებენ. სისხლი კი
არა, დამპალი წუმპე გიდგას ძარღვებ-
ში.

– იცოდე, ჭკუიდან გადავალ, – ჭიქა
ხმაურით დადგა მაგიდაზე.

ქულა ღრენით წამოიმართა, მაგრამ
რობემ დამშვიდა და ისევ ადგილზე
ჩაჯდა.

– გადადი, ვის რას მოსჭამ! არ და-
ლევს! იმან კიტელსა და ჩექმებში
გამოიღამა წუთისოფელი, შენ მარტო
ჰალსტუხი, მგონი, ორასი გაქვს. რათ
გინდა, თავის ჩამოსახრჩობად ერთიც
გეყოფა. იცოდე, მიხვალ მაგ დღემდე.
უფალმა ეპრაელებს უდაბნოში იცი
რა უთხრა? თქვენს ცოდვებს, თქვენს
შთამომავლებს მოვკითხავო! მერე არ
მოჰკითხა? მთელ მსოფლიოში ფერ-
ფლივით მოფანტა და რა ალარ დაა-
ტეხა თავზე. გესმის, ძმაო, რობე, რაზე
არ წავსულვართ, მაგრამ ასეთი რამის
ჩადენა არც გაგვიფიქრებია. საჭეზე
გულშენგრულ, მანქანაში მიჭეჭყ-
ილ კაცს, ხელი ჯიბეში როგორ უნდა
ჩაუყო, ვგიუდები!

– ახლა ნეტა ცოტა უფრო ნასვა-
მი ვიყო, შენ თავს ხელიდან ვერავინ
გამომწინებიდა!

– მერე მაგას რა უნდა. დალიე საყ-
ვავილეთი ბელადის სადღეგრძელო
და აქ არა ვარ? – მიიხედ-მოიხედა.
თაროზე შემოდგმულ, ჩეხური მინის
ლარნაკში მოპირქვავებულ შამპანურს
მაცივრიდან გამოლებული რუსული

არაყიც დაამატა.

სავსე საყვავილე საწერი მაგიდის შუაღულში დადგა, რობეს თვალით ან-იშნა და იმანაც ქულას საყელოში ჩავ-ლებული ხელი გაუშვა.

სავარძელთან მისულმა ქულამ და-ბერილი თათები სავარძლის საზურ-გეზე დააწყო და აქასქასებული „ეჩოს“ მიაჩინდა.

– მომაცილე! – დაიგმინა შემქრთალ-მა „ეზოს“ პატრონმა.

– პასუხი გაეცი და მოგცილდება!

– რა პასუხი?

– ოცდახუთლარიანი მკვლელი რად მიუგზავნე, რა დაგიშავა!

– რას მიედ-მოედები!

– ორი ჰალსტუხიანი არც მე მო-მაყენე, პრობლემები შეგექმნება თუ ძალის მონამვლისათვის იჩივლებო?

– ნუ მიჰქარავ-მეთქი!

ქულამ დაიღრინა და შთამბეჭდა-ვი საღეჭი კბილები უფრო სახიერად დაანახა.

– უხეშ მიმართვებს ვერ იტანს, გაითვალისწინე, მაგრამ შენ რომ სხვა სიტყვები არ იცი?! დაიხსომე, მინა ყველაფერს დროებით სარგებლობაში გვაძლევს, მერე ნაწილ-ნაწილ, უკანასკნელ თმის ღერამდე, უკან იბრუნებს, ჩვენთან ერთად, რა თქმა-უნდა. შენს „საქმიან ეზოსაც“ მინა მოინელებს, ამ ძვირფას ლარნაკსაც ბოლო ნამცე-ცამდე ჩაიბარებს, შენ ცოდვებს მოგ-კიდებენ ზურგზე და ჯოჯოხეთის გზას რომ გაგიყენებენ, მაშინ მიხვდები, თურმე აქ როგორ უნდა გეცხოვრა, მაგრამ რაღა დროს. აპა, ეგ სასმელი აითვისე, ოღონდ ჯერ სადღეგრძელო. ჩქარა-მეთქი! – ფეხი დაუბაკუნა და ქულამ „ეჩოსკენ“ წაიწია.

მეორე შეძახილი აღარ დასჭირვებია.

მაგიდაზე შემდგარმა ლარნაკი ორივე ხელით ჩაბლუჯა.

ქულა ახლა „საქმიან“ ფურცლებზე თათებჩამონყობილი აჰყურებდა.

ორიოდ ნუთში სადღეგრძელოც

ითქვა, ლარნაკიც დაიცალა და მალხ-აზმა პირობაც ჩამოართვა, შენი დის დასახსნელი ფული, შენ და შენმა ნაბიჭვარმა ძმამ შალომა წინუაშვილს რომ არ დაუბრუნეთ, ახლა ძაღლების თავშესაფარს ჩაურიცხე, მადლია, თო-რემ ხვალ-ზეგ კიდევ მოგაკითხავთ და, რაც მოხდება, თავს დააბრალეო.

ეგრე ვიზამო, – ამოილულლულა ასლოკინებულმა, სასმლით თვალებამ-ღვრეულმა „ეჩომ“.

დაუპატიუებელი სტუმრები რო-გორც კი კაბინეტიდან გავიდნენ, შარვ-ლის სველი უბე მოისინჯა და ჩეხური შუშა გაჯახუნებულ კარს მიამსხვრია.

მაგიდაზე შეტბორებული შარდი იატაკზე წვეთავდა.

დაბლა ჩამოვიდნენ.

„ეზო“ ისევ ჩვეულებრივი, ყოველ-დღიური განაწესით ცხოვრობდა. არა-ვის გაუგია, რაც კაბინეტში მოხდა.

ვიდრე ქუჩაში გავიდოდნენ, ქულა საყელოში ხელჩაკიდებულ რობეს გაუსხლტა, ბლოკის ყორეს გადაახტა და ვიდაცას გამოენთო.

კაცმა საყარაულო ბუდრუგანაში შეასწრო.

ქულა ბუდრუგანას ბუხუნით აეტო-ტა.

მალხაზმა სარკმელზე მიაკაკუნა.

ყარაულმა დამფრთხალი თვალებით გამოხედა.

– ცოტა მეტი შხამი რომ მიგეცა, ახლა ამ დღეში ხომ არ ჩავარდე-ბოდი?! ადი და შენს უფროსს პამპერსი გამოუცვალე!

კეფა ასტკივდა. ნაგაზი რობემ წაიყვანა, თვითონ შინ დაბრუნდა.

გრილი ბალიში ესიამოვნა. გარან-დულ-გაპრიალებულ ლამფა-ჭერზე ნუ-ჟრების ნენგოსფერი გამოსახულებები ამოძრავდნენ. ვიწრო, ზიგზაგა მუქი ზოლი ფიცარს ბოლომდე მიჰყებოდა. ეს, მახოს ნარმოდეგნაში, მითიური ქვესკნელის მდინარე იყო, „ტალღე-

ბზე“ კაცლის ნაჭუჭივით ირწეოდა ნავი. ნიჩაბდაშვებული ქარონი ნავის კიჩოზე იდგა და ელამი თვალით მალხაზს ჩამოჰყურებდა.

„ეჭ, ქარონ, ქარონ, შე სულწაწყმ-ედილო, რომელ ბანკში გაქვს ანგარიში გახსნილი, ეგებ ნაწილ-ნაწილ მაინც გავისტუმრო შენი ვალი, თორემ ხომ ვიცი, არა სწყალობ ჯიბეგაფხეკილ კლიენტებს. განათდა აქაური ჯოჯოხეთი, ყველაფრისაგან ფულსა წურავენ, ეგეთები არიან, ბებრეკო ბერიკაცო, ხელზე წყალს არ დაგასხმევინებენ. უფრთხილდი, თუ შენამდე მოაღწიეს, უფეხლად წილში ჩაგისხდებიან. „ეჩო“ უბედური კაცია, საკუთარი დის დასახ-სნელად ვერ გაიმტა ფული, სამაგი-ეროდ ხელისუფლება მსუქან „დუნ-დულებს“ ნება-ნება ათლის. რა ქნას, ცოდვების მორევში ტივტივებს და რომ არ ჩაიძიროს, მფარველი სულ სჭირდება. იმასაც, ვინც მაგას პატრონობს, ვი-ლაცის უკანალში აქვს თავი შერგული. ასეთი რამდენია. გადასდით, მაგრამ მაინც ღატაკები არიან. დავიღალე, ქარონ, ყურუმსალობის ზეიმით დავი-ღალე“ – სანოლზე ჯიბიდან წამოცვე-ნილი ორი ოცთეთრიანი თვალებზე დაიფარა და გულხელი დაიკრიფა.

უკვე ბნელოდა, მობილურის ზარმა რომ გამოაღვიძა.

სასამართლოს უფროსი მრჩეველი, ქალბატონი თამილა რეკავდა.

– გისმენთ!

– რუსულ საიტზე სურათი გამო-ქვეყნდა – „შურისმაძიებელი ნაგაზი“. სამხრეთის სამხედრო-საველე ბანაკ-ში ძალს, რომელიც თქვენი ნაგაზის ალი-კვალია, ვიღაც, ბანდის ბელადი, მეტსახელად „ჩოფურა“ სამუდამოდ დაუინვალიდებია, მესაზღვრეების ავ-ჩარკა „სტრელა“ დაუხრჩვია და გამო-ქცეულა. გავაზიარე და საზღვრისპირა სოფლის ეკლესიის დეკანოზი გამომეხ-მაურა.

ერთბაშად გამოფხიზლდა.

ცოტა ხნის შემდეგ ძეველ ხიდზე იდგა და მოდიდებულ, ჩალუსკუმებულ მდინარეს ჩაჰყურებდა.

მერე თითქოს ჯიბიდან კი არა, მკერდიდან ამოიღო გულში წლების წინ ჩარჩენილი ავტომატის ტყვია და სა-დღაც შორს გატყორცნა.

თავშესაფარში დილიდანვე ჩოჩქოლი ატყდა.

სტუმრები ჩამოვიდნენ საზღვარგა-რეთიდან, ცხოველებზე მზრუნველი საზოგადოებიდან – „დედამიწა – საერ-თო სახლი“. დაათვალიერეს თავშესა-ფარი და თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს ქალბატონ შემმოწმებელ-კურატორის ნათქვამი: შენობა-ნაგე-ბობები, საერთო, საკარანტინო ეზო, სარეაბილიტაციო ცენტრი უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ, რაც მთავარია, სწორ გზას ადგახართ, რადგან უპატრონო თოხფეხებზე დაი-წყეთ ზრუნვა, ესეც ადასტურებს, რომ ქვეყანა მზად არის ნამდვილ, საკაცო-ბრიო ფასეულობებს უერთგულოსო.

საქებარი კიდევ სხვაც მრავალი ითქვა, ცოცხით და ვედროთი ხელდამშ-ვენებული, მცირეხელფასიანი მომვლე-ლი ქალი ნეტარი თვალებით შეჰყურე-ბდა თარჯიმანს და მის მოკრძალებულ გამოხედვაშიც კი იგრძნობოდა, რომ ამ წუნიან ცოცხსა და ტილოჩამბალ ვე-დროს უფრო ადვილად შეელეოდა, ვი-დრე დემოკრატიის ნათელ იდეალებს.

ჯგუფს საჩუქრად სამედიცინო პრე-პარატებიც ჩამოეტანა, რომელებიც ყარაულმა და მძღოლმა ლამაზ ყუთებ-ში შეფუთული შემოიტანეს.

სახელდახელო მინი-თათბირზე გაირკ-ვა, რომ სტუმართა შორის ცხოველების კასტრაციის ძალიან ცნობილი სპე-ციალისტიც ბრძანდებოდა.

პროგრამა საჩვენებელი ოპერაციის ჩატარებასაც ითვალისწინებდა.

სპეციალისტმა თავიდანვე თვალი ქულას დაადგა. სხვა „კანდიდატები“,

ვოლიერში და მის გარეთაც, სხვათა-შორის შეათვალიერა; კვლავ ქულას წინ გაჩერებული გულხელდაკრეფილი დააკვირდა ორ ფეხზე შემდგარ, ქანდაკებასავით ნაგაზს, რომელიც თავის უტეს ბუნებას და მტკიცე ხასიათს ერთი შეხედვისთანავე გაგრძნობინებდა.

სქელლინზიან სათვალის მიღმა ლილისფერი თვალები მოიჭურნენ და ქუთუთოების დავინროებული ჭრილიდან სრულყოფილებაზე უპირატესობის დამტკიცების ცხოველმა ინტერესმა გამოკვესა.

ნიკოლოზმა იუარა, კასტრაციაზე პატრონი არ დაგვთანხმდებაო, მაგრამ სპეციალისტს ქულასკენ გაშვერილი თითო ძირს არ დაუშვია, ვიდრე სახელდახსელო „კონსილიუმმა“ სწორედ მონინავე ქვეყნებში აპრობირებული მეთოდის შესაფერი გადაწყვეტილება არ მიღო.

სტუმარმა, მასპინძლებს გული ძალიან რომ არ დასწყვეტოდათ, ყურადღება გაამახვილა მთავარზე – როგორც ადამიანებში, ძალებშიც ბევრია სექსუალური ძალადობის მაგალითები. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, ამ დონ-უუანის (ქულას!) კასტრაციით რამდენ ძალადობის მცდელობას აღვევთავთო.

ვიდრე სპეციალისტი განიძარცვებოდა და თავისი მისიის აღსასრულებლად ხელახლა შეიმოსებოდა, ქულას ნემსი დაჰკრეს.

ნაგაზს მაღლე თვლემა მოერია, ჩაიჩიქა და ვეებერთელა ტანი ფილქაზე მოღავდა.

მანამდე, ნიკოლოზმა ვერაფერი რომ ვერ გააწყო, მაღაზს დაურეკა.

მახო და თამილა ისედაც აქეთკენ მოიჩქაროდნენ.

ცოტა ხანში ვოლიერში შევიდნენ და ჩაძინებული ქულა, გამოსაყვანად, ჯალამბარზე დააწვინეს.

საჩვენებელი ოპერაციის გამოჩე-

ნილი სპეციალისტი უკვე მზად იყო, სამომავლოდ ათეულობით ფინიას უბინობა ეხსნა, რომ თავშესაფარში მახო და თამილა შემოცვივდნენ.

მათთან ერთად სხვაც მოიჩქაროდა.

„ქულა!.. ქულა!.. ქულაა!..“ – ხმა გაიწელა, გაბევრდა, შეანჯლრია ჯალამბარზე ძილ-ღვიძილში წასული ნაგაზი.

ჩაესმა თუ მართლა უხმეს? – მეხსიერება დაეძაბა, ვერ გაიგო, რა ქარმა მოიტანა ეს საყვარელი, მონატრებული, მორეული და მახლობელი ძახილი.

დახუჭულ ქუთუთოებზე ცრემლმა გამოუონა.

იქნებ სულაც სხვას უხმობენ, მაგრამ ვის?

ვოლიერების გარემოცვაში, საპროცედურო ოთახის სიჩუმეში, სადაც მჩხიბავებივით ფუსფუსებენ ადამიანები და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გამოაცალონ ცხოველებს ემოციური მუხტი, სახელი ვისა აქვს? არავის! ყველას მხოლოდ დაპეტლილი ყურები, ძუნწი ანკეტა, ნამჟურნალევი „აგრესული ფონი“, სხეულში გამჯდარი ცოფის ვაქცინა და ტრადიციული „ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება“ აერთიანებთ.

მათთვის აღარც წარსულია და, რათემა უნდა, აღარც მომავალი. უმეტესობა ერთნაირად გაზანტებული დადის თუ დალასლასებს, ღვიძავს და მაინც თვლებს. გაღიზიანებული ძუკნები კუთხეში მიხორხოდებიან და ერთმანეთს ყნოსავენ.

აქ შემოსვლის შემდეგ სხვადასხვა სახელი რაღა საჭიროა, ყველას უპატრონო მანანნალა ჰქვია.

მაგრამ ამას ხომ ნამდვილად დაუძახეს?

ვერ გადაიტანს თუ ჩაესმა და მეტი არაფერი.

„ქულაა!“ – ახლა უფრო ხმამაღლა, გამოკვეთილად გაიგონა ხმა, რომელიც ზოგჯერ ძილში ჩაესმოდა და წამოახტუნებდა ხოლმე, ადრე – უფრო ხშირად, მერე და მერე – იშვიათად.

გაიხსენეს, სახელით გაიხსენეს! კიდევ კარგი, მხოლოდ ნომრის იმედად არ დარჩენილა.

სიხარულმა გამოაფხიზლა, ჯალამბარიდან გადმოსულმა ვოლიერი შეანჯღრია და ისე დაიბუხუნა, თითქოს შენობას აკუსტიკა შეუმოწმა.

დანარჩენი ძალლებიც აჰყვნენ. ახლა გაახსენდათ, რომ ოდესადაც ომახიანი ყეფა იცოდნენ და თავთავისი სახელები ჰქონდათ.

მაღლაზი და თამილა ახმაურებული ხროვის გარმოცვაში აღმოჩნდნენ.

— აი, ასე ხდება რევოლუციები — როგორც კი ლიდერი გამოუჩნდათ, ნახეთ რა ამბავში არიან, — გაეცინა მახოს.

ქულამ ჯერ ახალმორწყულ, მოცემენტებულ იატაკზე ტუსტუსით გამოქცეული მომვლელი ქალი დაინახა, მერე — საძალლეს თანამშრომლები, უკან დაწყობილები რომ მოსდევდნენ იმას, ვინც თავისი სახელი გაახსენა. ნაგაზის თვალწინ თანდათან გამოიკვეთა ანაფორიანი, მაღლი ლანდი. დაინახა განცვიფრებული, მისკენ აჩქარებით მომავალი პატრონის სახე, გულთან გადაჯვარედინებული თეთრი, მგრძნობიარე ხელები და, როგორც კი ეს ხელები თავის სხეულზე იგრძნო, მოდუნდა, მოეშვა, გულსაკლავი ხმით აწერულნდა.

— ქულა, ჩემო ქულა, რამდენი გეძებე და მაინც გიპოვნე!.. — იმეორებდა მამაო.

მღვდელი ორსაფეხურიან კიბეზე ჩამჯდა, ქულამ, როგორც უყვარდა ხოლმე, თავი კალთაში ჩაუდო და ქეჩოში გაბლანდულ, მონატრებულ თითებს გაუტვრინდა.

— მაშ ქულა ჰქვია, მამაო? ჩვენ ცუგას ვეძახდით!

— ძალიან თეთრი და ფუმფული იყო, ქულა მაგიტომ დავარქვი. სოფელი და ტაძრის მიდამოები რომ დაბომბეს, მაშინ დავკარგეთ ერთმანეთი. საიდან სად წამოსულა. დიდი მადლობა რომ

შეიფარეთ. სულ მქონდა იმედი, მაინც ვიპოვი-მეთქი. მართლაც, „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და შეფარული, რომელიც არ შეიტყობა“, — გადაისახა პირჯვარი. — იმ „ჩოფურამ“, ამან რომ სამუდამოდ დაასახიჩრა, ომის დროს მთელი სოფლის ნახირი გაირეკა და გაყიდა.

— მარტო საქონელი, მამაო? „ჩოფურა“ ჩემი ძველი, „ძვირფასი“ ნაცნობი იყო. ქალბატონი თამილა რომ არა, ვერც სახელს გავიგებდით და ვერც ქულას ჩადენილ გმირობას.

— დაბომბვას გადარჩენილი ეკლესიის ავტობუსიც სწორედ მაგ „ჩოფურამ“ გაიტაცა ეკლესიის ეზოდან.

პერონზე იდგნენ. ჩიხიდან სექცია გამოიზღაზნა.

ქულამ შეჰყეფა, როგორც კი სექცია მათ წინ შეჩერდა და კარი გაიღო, ყოჩალად შეხტა ვაგონში.

— თან მწყინს, თან მიხარია თქვენი გამოჩენა, მამაო. მე და ქულა უკვე თანდათან ვალაგებდით ჩვენს საერთო ცხოვრებას.

— წამობრძანდით და ჩვენთან „დაალა-აგეთ“, ახალ კელიებს ვაშენებთ. თუ აქეთ ძალიან გულდასაწყვეტი რამე არ გრჩებათ.

— ვეცდები, მამაო, ვეცდები, — დაბლოცეთო, თავდახრილი წინ გაუჩერდა.

ქულა ისევ ჩამოხტა, მახოს აეტოტა და ლოყა აულოკა.

„გამოცარიელებულ სახლში გაძლება არ გინდა?“ — უნებლიერ ცრემლი თითით მოიმშრალა და შორიახლო შეჩერებულ „უფროს მრჩეველს“ მოხედა.

ქალის თვალებში თანაგრძნობაზე რაღაც უფრო მეტი ამოკითხა.

„რა სისულელეა, თვითონ უნდოდა ასე რომ ყოფილიყო, თორემ“...

ვაგონი შეირხა. ქულამ შეჰყეფა.

— აბა, გელოდებით! — პირჯვარი გადასახა მამა პავლემ.

ლიანდაგებზე გაცურებული სექცია უცებ მოსულმა წვიმამ გააცილა.

დაწინწკლული ფილაქანი სწრაფად
აშრა, მაგრამ თანდათან მოხშირებულ-
მა შხაპუნამ იქაურობა ნაცრისფრად
გალუმპა.

სველდებოდა.

მატარებელი მალე მოსახვევში
გაუჩინარდებოდა.

ჯიბეებში ხელებჩანყობილი ბოლთას
სცემდა.

„იურისტი უნდა? სხვა პროფესიის
მაინც იყოს. „უფროსი მრჩეველი...“

საიდან მოუვიდა ეს იდიოტური
აზრი.

„ახლა, წლებმა რო გარეკა?..“

არა, თუკი მთელი ქვეყანა გადაირ-
ია, ამას უფლება არა აქვს გაგიუდეს?

„ჰოდა, გიუს რა პასუხი მოეთხოვე-
ბა“.

ნეტავ სროლა ეცოდინება?

„ალბაათ!“

ამასაც არა უშავს. იყო დრო, ტყვიას
ტყვიაში აჯენდა.

„ძალიან კარგი, ერთად ივლიან ტირ-
ში.“

მერედა ქალაქს სადღა აქვს ტირი.

„არა აქვს და გახსნიან!“

ჰო, ჯობია, ტირით დაიწყონ, მერე,
თანდათან...

თითქოს სულისშემხუთავი, ჩაკეტი-
ლი სივრცე გაიხსნა. მთავარი იყო, რომ
რაღაც უნდოდა.

„ნეტავ კდევ დარეკავ?“

ლანდაგს გაყოლებულ ბაქის ბოლოში
სემაფორიდან გამომჟრთალი ფერდი სინათლე
აუსფლა.

მაღაზიც იმ სინათლისკენ წავიდა.

უკან ქალის ფეხსაცმლის კაჟუნი მი჈ყვებოდა.



გენრი დოლიძე

გურია (ზამთრისპირული)

ავდარი ყინვას ძალივით გეშავს,
ირგვლივ ნოემბრის სიცივე სუფევს,
ბაბუას სახლში შემოაქვს შეშა,
რომ ბებერ ოდას გაუთბოს უბე.

ამინდმა წვიმის ორიოდ შევფით
და ვარსკვლავებით შეიკრა მძივი,
ქარი კი მთიდან ეშვება ყეფით –
მიტოვებული სახლივით ცივი.

გარეთ ღამეა საოცრად ლურჯი,
ვარსკვლავებით და სიჩუმით სავსე,
წვიმით დატვირთულ ღრუბლების ხურჯინს
მიათრევს ქარი დეკემბრის ცაზე.

ბუხარი, ოდა, სიჩუმე სრული,
ხელით ამოწმებ კალენდრის სისქეს
და ნედლი ტოტის დაღლილი სული
საკვამურიდან მიიწევს ცისკენ.



ფანჯარა, ჩემი კედლის გაზეთი,
მესამე დღეა, მაკითხებს ზამთარს.
და რაც დრო გადის, როგორც ასეთი,
ვერ გიყოფ ისევ საკუთარ თავთან.

მცივა, ფიფქებით ისევ მევსები,
რომ ვახარისხებ ტკივილებს ძნებად
და შენს თვალებში ჩემი ლექსები
მარტის თოვლივით თანდათან დნება.

და რაც დრო გადის, კოცნების წყურვილს
უფრო ნაკლები ცეცხლი ედება
და ალარ სკდება ლექსების ჭურვი
შენი გულწრფელი ცრემლის წვეთებად.

ალაგებ ჩემი სულის განჯინას
და ლექსის ნაცვლად ცარიელ გვერდებს
კეცავ და აწყობ, როგორც განაჩენს,
უსათაურო დღეების გვერდით,

გარეთ კი თოვა ველარ აჯაზებს,
არ ესინჯება ამინდსაც პულსი
და ლექსი მიდევს თოვლის მაჯაზე
და თოვლი მადევს დარდივით გულზე.

და მაინც ვკემსავ ლამის მაქმანით
რიგითი ზამთრის რიგით კვირის დღეს,
რომ გისახსოვრო თოვლის თარგმანი –
ამ წლის პირველი კოცნის გვირისტი.

პრ

არ მოსწყვეტია ამ საღამოს ყურზე ვარსკვლავი,
არც ჩავიფიქრეთ ერთად ყოფნის ტკბილი სურვილი,
არც წვიმის წვეთებს ზეცის ყელზე მძივად ნასკვავენ,
არც ჩავარდნილა მზე ტალღებში, ოქროცურვილი.
არც მიგვაცილა წყვილმა ჩრდილმა საყდრის კარამდი,
არც მიგემია შენი კოცნის კოკა წყაროსთან,
არც მითქვამს შენთვის, რომ დღეს ნაბდით მოგიპარავდი,
არც მიმილია სამიჯნურო შენი ბარათი.
არც მთვრალს კოცონთან, რომ მიყვარდი, ის არ წამომცდა,
არც გვიცეკვია წვიმის ტანგო პალმების ქოლგით,
არც ლამერ ჩემი ბაგეები შენში ჩახრახნა,
არც აგვიკლია პოეზიით პროსპექტი გორკის,
გორგილაძედ რომ გადაკეთდა აგერ ახლახან.
არც გაგვიშვია გალიიდან ჩიტი კანარის,
არც ძველ კაფეში შეგამჩნიე, სარკმლის მიღმა ხარ,
არც გამიცვლია შენს მანდილში ვერცხლის ქამარი
და ამ მოსაწყენ საღამოსაც ისე მიყვარხარ,
უპოეზიოდ...
უამინდოდ...
უმაკიაულოდ...
უჭიქალვინოდ...
ურომანტიკულგარემონდ...
უყველაფროდ და უარაფროდ...

რომ შემიძლია, ვიყო შენი სიზმრის დარაჯი,
ლექსს მიგრილებდეს მონაბერი სუნთქვის ზღვაური
და ამ გულწრფელი სიყვარულის მცირე ბარათში
მთელი სამყარო ჩავატიო შენი აურით.

ხალხმა რა იცის? (პოეტის)

სიმწრის ცრემლივით ყლაპავ ტაეპებს,
გაჭრილი ციდან უონავს მუსიკა...
დაეძებ შენში რალაც ღვთაებრივ
ექოს და მაინც კაცის პულსი გაქვს...
ყავის ჭიქაში ალრჩობ სუიციდს,
ლამენათევი ლოცვის ნირი გაქვს,
ხალხმა თუ იცის?
ხალხმა თუ იცის
შენი ჯვარცმული ლიმის ლირიკა?..
ღია ფანჯრიდან შემოსულ მთვარეს
კეტავ ოთახში, როგორც მოლოდინს...
გადიხარ გარეთ და გინდა თქვა, რომ,
რომ თქვა გინდა და გარეთ ბოლოდან
უკან მიყვები ჩაწყობილ კარტებს...
და ხვდები, ბედმა ცუდად აგტუზა,
საკუთარ ლექსში თოვ, მაგრამ არ დებ...
ტეკილას სვამ და ურწყავ კაქტუსებს
ვინმე მექსიკელ პოეტს, მეზობელ
კონტინენტიდან; სხვისი ჭირივით
კაქტუსის ეკალს თითში ესობი...
და ლექსი გრჩება ცოტა ირიბი,
როგორც რებუსი, როგორც ქარაგმა
და საკუთარი ნერვების ფასად –
ოლონდ გაითბოს სული ქალაქმა –
მზად ხარ, ცეცხლს მისცე ყოველი ფრაზა
შენი ლექსიდან ნაცნობ მოედანს
(და თოვლი მოგყავს, როგორც ციტატა),
გინდა რომ შერჩე უცნობ პოეტად,
რომელიც თოვას იწყებ ციდან და
მოდიხარ ქვევით, მაგრამ მაინც ცის
მიმართულებით ადგილს იკავებ,
ხალხმა რა იცის?!
ხალხმა რა იცის
შენი ჯვარცმული ბედის იგავი?!.
შენი ბედცმული ჯვარის მზეკარა...
შენი მზეცმული რჯულის ზამათი...

ცარიელ ლექსთან, როგორც მეკარე,
დგახარ და დარტყმებს უმისამართებ
ცხოვრების ყველა მზაკვრულ ჩანაფიქრს,
ცხოვრების ყველა მზეკრულ გამოცდას,
ბედი-მტყუანი თვალებს ჩანაბავს
შენს გამოც, ღვთისა და ლექსის გამოც...
და საკუთარ თავს უწევ გიდობას,
რადგანაც სულში ვეღარ ეტევი,
აღებ სახლს, როგორც ნოეს კიდობანს
და მთვარეს ცაში უშვებ მტრედივით.

სიჩუმე შტორმის წინ

დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში,
რადგან ჩაყოლას ვამჯობინე ისევ ჩათრევა,
რადგანაც ყელში გავეჩირე სიკვდილის შიმშილს,
ვით წვიმის წვეთი მიტოვებულ ქუჩის შადრევანს.
დუმს არსებობის ჩავარდნილი ბოლო კლავიში...
და ახლა გულში ჩემს რეკვიემს მუნჯურად ვგალობ,
რადგან ილბალი ჩამაფრინდა ისევ მკლავებში,
მრჩება ნახევრად გალენილი ცხოვრების კალო.
მუნჯდება ტალღა მზეჩაგდებით, კენჭებჩაგდებით,
თითქოს კომეტას ხედავდეს და სურვილს უთქვამდეს,
ზოგჯერ გგონია გაიყინა, ისე ჩაკვდება
ზღვა ნერვიული ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე.
თითქოს სასცენოდ ემზადება სკოლის ზეიმზე,
წამოაწითლა პულსაციის გაზრდილმა მარჟამ...
ვდგავარ ნაპირთან ნანგრევივით კოლიზეუმის
და თვალს ვაყოლებ დროისა და დუმილის მარშებს.
დუმს დამიზნებით მოშვერილი ათასი თოფი,
რადგანაც ყელში გავეჩირე სიკვდილის შიმშილს,
რადგან სამყაროს ვერ ვუყურებ თვალებში ნდობით,
დუმს პოეზია ჩემი ბედის ჩაწყვეტილ სიმში.

შეზღული ლექსი

გლობალური დათბობით გამოწვეული აციება...
ქრონიკული უგულობით მიღებული ინფარქტი...
ოჳ, მიდიხარ?.. – მშვიდობით (ვეღარ გნახავ აწი, ალბათ)!
წინ იარე და მალე მიადგები იმ მარტივ
გზას, რომელსაც მარტივად
„სხვა გზა არ მაქვს“ ჰქვია,
სადაც დაგვიანება
არ იქნება გვიან.

სადაც ძალლი ყეფს, მაგრამ
ქარავანი არ ჩანს
გზაზე, სადაც გზის ფული
თვითონ მგზავრებს ხარჯავს.
სადაც „A“ პუნქტს „B“ პუნქტთან
არ აშორებს მანძილი
(ფრთხილად გადი, გვერდით ეპოქაში
სიყვარულს სძინავს ღრმა ძილით,
ძლივს ჩავაძინე და თუ ძმა ხარ, არ გამიღვიძო!)...
ქრონიკული უფელობის შედეგი – გამდიდრება...
მუნჯურ სპექტაკლებს ბრმებისთვის დგამ ტიტრებით
ან მიგყავს ყრუ-მუნჯთათვის რადიოგადაცემა...
მკვლელობა – პროფესია, ლექსები – გატაცება.
მკვლელობის იარაღი – ტანკები, კალაშნიკოვები,
სონეტები...

ძალლი ყეფს. რა უნდა აქ ქარავანს –
აქლემი ხომ ნემსის ყუნწში ვერ გამოეტია?!
გამძვრალი ბევრი მინახავს,
უკან მობრუნებული – არავინ.

აქლემის და ნემსის ქურდები დაიჭირეს.
ორივე პოეტია... გადაასახლეს „კალმით დაკოდილის“ იგავში.
თავის მხრივ, „კალმით დაკოდილის“ ლიბერალი გმირი
აპროტესტებს ქართულ ხალხურ ზღაპარში გადასახლებას
(ეს ის ზღაპარია, სადაც აყეფებენ კატას ძალლები)...
ნახევარმა თბილისმა დაინახა წუხელ,
რომ მთვარე დაბოლილი იყო,
მეორე ნახევარმა კი ვერ შეამჩნია,
რომ სინამდვილეში პირველი ნახევარი იყო დაბოლილი...
პირველ ნახევარში ჩვენები იგებდნენ...
მეორეში წავაგეთ ბრძოლა...
„მეორე ნახევარზე“ გამახსენდა
ცოლი...
როცა ჩვენს ქალაქში ცეცხლი გაწვიმდა,
როცა ჩემს თაობას ტანზე სიკვდილა ბატონებმა გამოაყარა,
როცა ეზოში მიმზების ნაცვლად ფერფლი თოვდა,
როცა მთელი წარსული თითო ჩემოდანში ჩავატიეთ და
წარსულიდან წარსულში გავიქეცით
ლოტის ცოლივით უკან მოიხედა და ტყვიების სვეტად
გადაიქცა.

აი, შენც წახვედი... დაიხშო ჩემი ფიქრის კარცერი,
და მე ვზივარ „საზოგადოებრივ აზრთან“ წარწერით:
„ვაქირავებ ოთხოთახიან გულს
კაეშნით და ცხელი წერტილებით“.

ბექა ჯანგველიძე

ამ ზამთარს, რამდენიმე თვის წინ, „ცისკრის“ რედაქცია, პოეტ მაყვალა გონაშვილთან ერთად, რუსთავის №16 პენიტენციალურდანესებულებას სტუმრობდა – ჩვენი უურნალის ნომრები ჩავუტანეთ საჩუქრად. შეხვედრა შესანიშნავად გამართული და კომფორტული ბიბლიოთეკის დარბაზში შედგა. ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები... საუბრისას შევიტყვეთ, რომ აქაურებს ლიტერატურული წრე ჰქონიათ; კვირაში ერთხელ იკრიბებიან, ერთმანეთს წაკითხულის შინაარსს უყვებიან და მსჯელობენ. ბუნებრივია, ეს მათ შეზღუდულ გარემოში ყოფას უადვილებთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ლიტერატურის ზეობრივ დანიშვნულებაზე.

ორია პაჭურრიასაგან მსმენია (იგი საბჭოთა პოლიტპატიმარი იყო); როცა ბანაკში მიგვიყვანეს და ქვის სამტებლოებზე გაგვანანილეს, შევშინდი, როგორ გავუძლებდი კატორლულ შრომას და იმათ შევნატროდი, ვინც ფიზიკურად ჩემზე უფრო ზორბადა ჯანიანი აღნაგობისა იყო. ცოტა სანმი, როცა ერთმანეთი გავიცნით, რამდენიმე კაცი პატარს ჯგუფად გამოვეყავით და სამტებლოებიდან დაბრუნების შემდეგ, საღამოობით, ლიტერატურულ-ფილოსოფიურ საუბრებს ვმართავდით, ამან დიდი სულიერი სიმხნევე შეგვმატა. ჩვენი ყოფა ისე მძიმე ასატანი აღარ იყო, მეტიც, საინტერესოც კი გახდა. ისინი, რომლებიც ჩვენზე ორჯერ უფრო ბრგე აგებულებისა იყვნენ, ორიოდე წელში დადნენ და ჩამოხმენ. ჩვენ, ინტელექტუალური საძმოს წევრები მათზე უკეთ გამოვიყურებოდითო.

რა თქმა უნდა, რუსთავის პენიტენციალურდანესებულებას საბჭოთა ბანაკს ვერ შევადრო, ის, თავისი სპორტული კომპლექსით, უფრო სამურნალო გამავანსალებელ ცენტრისა ჰგავს, მაგრამ თავის უფლების შეზღუდვა, რა თქმა უნდა, იოლი არაა – ამას გადალახვა სჭირდება, რაშიც, ვფიქრობ, ლიტერატურული წრე აქაურებს, უდავოდ, ეხმარება.

იმას მოგახსენებდით, ლიტერატურაზე ვისაუბრეთ მეთქი. მართალია, ლიტერატურული წრის წევრთა შორის ვერცყველადროის ყველაზე დიდი პატიმარი, „დონ კი ხოტის“ გენიალური ავტორი აღმოვაჩინეთ, ვერც სახრჩობელის აბურად ამგდები ფრანსუა ვიოონი და ვერც ჩვენი, „დათა თუთა შხიას“ ნაკატორლალიავტორი, მაგრამ ლიტერატურის სიყვარული ყველას ემჩნეოდა და არა მარტო ქართველებს, არამედ ერთ შავტუხა აზერბაიჯანელ ყმანგილსაც, რომელსაც, როგორც ჩანდა, მშვენივრად ესმოდა ქართული. გამომშვიდობებისას ერთი სიმპათიური, სპორტულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა, რომელსაც სხვები აგულიანებდნენ, მიეცი შენი ლექსები, ნუ გერიდებაო. ეს კაცი ბექა ჯანგველიძე აღმოჩნდა, რომლის სამლექსსაც ისეთივე მოკრძალებით ვთავა ზობთ ჩვენს მკითხველს, როგორც ის ბექამ შემოგვთავაზა.

ამირან გომართელი

მე უბრალო ვარ

მე უბრალო ვარ, ვით მზეში თოვლი, –
ვის რად ვარგივარ პოეტი ლოთი,
მე სულ მარტო ვარ ოთხ კედელს შორის,
მე სულ მარტო ვარ და ვებრძვი ლოდინს.
მე უბრალო ვარ პოეტებს შორის,
ჩემი ლექსების ფასია ნოლი,
ჩემთან მუზაც კი იმგვარად მოდის,
ვით კეთროვანთან ივლიდა ცოლი.
მე ჩვეული ვარ ტყუილად ლოდინს,
ალიონს ვხვდები უფალთან ლოცვით,
მე ახლა ტყვე ვარ ასეთი ყოფის,
მე მარტოობას ვეჩვიე ოდით...
მე უბრალო ვარ, ვით დილის ნამი,
ვით დაუანგული, უტარო ხმალი,
მე ემოციის დავკარგე წამი
და მასთან ერთად ოცნების ქალიც...
დავრჩი თელილი, ტკივილით მთვრალი,
გული კი, როგორც ყინული მთაში,
როგორც მყინვარი სიცივით მკვდარი,
როგორც არწივი დაჭრილი მხარში...

მე უბრალო ვარ, ვით მზეში თოვლი....

როგორც პეპელა თავნება ქარში

ალბათ, სადღაც შორს თავნება ქარი
ეთამაშება ზღვის მდაშე წაპირს,
იქვე გოგონა თმას იშლის ზღვაში
და მზესთან ერთად ფსკერისკენ ჩადის.
ნეტავ, რას ეძებს უძირო ზღვაში?
რად აირჩია სიკვდილი შავი,
ნეტავ, რა ტკივილს ვერ უძლებს ქალი,
რამ მოაბეზრა სიცოცხლის წამი.
რად დაუდია სიკვდილთან ზავი,
ნუთუ სიცოცხლეს არა აქვს აზრი,
როგორც პეპელა თავნება ქარში,
ისიც ასევე ფარფატებს ზღვაში.
სიკვდილთან ერთად იპოვა სახლი,
მისი სიცოცხლე დასრულდა წამში,
ჩვენ ყველას გვაწევს ცოდვა ამ ქალის –
ჩვენ სიყვარული მოვკალით მასში...

მიყვარხარ, როგორც წმინდანებს ლოცვა

ფარფატა ფიფქებს სიცივე მოაქვს,
თეთრმა ღრუბელმა დაიწყო თოვა,
შენი სურნელის ქარივით ქროლა,
ოცნებადა მაქვს, რომ ისევ მოვა.
მე მარტოობის ვიქცევი მონად –
სიკვდილი მიჯობს უშენოდ ყოფნას,
რომ ვერ ვამბობდი ჩემს სათქმელს სწორად,
ამიტომ ვხვდები უშენოდ თოვას.
ბევრჯერ შევბედე მე ღმერთს ეს თხოვნა,
რომ შენი სითბო თან მახლდეს მუდამ,
არ შეისმინა უფალმა ლოცვა,
ალბათ, დიდი მაქვს ძალიან ცოდვა.
მიყვარხარ, როგორც თეთრ ღრუბლებს თოვა,
ისევე, როგორც წმინდანებს ლოცვა,
წმინდაა ჩემი შენდამი გრძნობა,
თუმცა ბევრი მაქვს ამქვეყნად ცოდვა...

ამირან გომართელი

პაცი, რომელიც დაზინებით ეძიებდა სამშობლოს


მანჯურიის პროვინციის ქალაქ ხარბინში, ქართულ რესტორან „დარიალში“, XX საუკუნის 30-იან წლებში ახალგაზრდა ქართველი ორლანდიელს გაიცნობს. „მაიკლ ო'კონორ, ირლანდიის არმიის ოფიცერი“, – ასე ეწერა ირლანდიელის სავიზიტო ბარათში. ირლანდიის არმია იმ დროისთვის, ფაქტობრივად, არც არსებობდა. მით უფრო, რა უნდა ეკეთებინა ჩინეთის უკიდურეს ჩრდილოეთში ირლანდიის არმიის ოფიცერს, კუშტსა და სიტყვაძვირ კაცს, რომლის „ჯმუხი სახისა და ნაცრისფერი თვალების მიღმა იგრძნობოდა დაძაბული და მტანჯველი ფიქრის ფორმაჟი“. ამ მტანჯველი ფიქრის მიზეზი მისი მშობლიური ქვეყნის მდგომარეობა იყო, რომელიც თავგანწირვით ებრძოდა ინგლისს დამოუკიდებლობისათვის.

ქართველი ახალგაზრდა მაპროვოცირებლად ეკითხება ირლანდიელს:

– „ბატონო ო'კონორ, ირლანდიელები მცირერიცხოვანი ერი ხართ. უკეთესი არ არის მძლავრი იმპერიის მფარ-

ველობის ქვეშ იყოთ, ვიდრე დამოუკიდებლობა მოიპოვოთ და რომელიმე სხვა ქვეყნის კერძი გახდეთ?

– გასაოცარია, ჩვენ მაგიერ სხვებმა რატომ უნდა გადაწყვიტონ ჩვენი ბედი, ვისი რა საქმეა, რა არის ჩვენთვის კარგი და რა ცუდი? განა საკუთარ სახლში ამის თქმის უფლება არა გვაქვს: არ გვინდა, ბატონო, თქვენი სიკეთე, ჩვენი ცუდი გვირჩევნიაო“.



მომიტევოს მკითხველმა ვრცელი ციტირება, მაგრამ ეს დიალოგი ფრიად მნიშვნელოვანია მოთხობის აზრობრივი შინაარსის ამოსაკითხად.

– „ბრიტანეთის იმპერიის უშიშროე-

ბა მოითხოვს, რომ ირლანდია მის შემადგენლობაში იყოს, – არ ეშვება ქართველი ირლანდიელს.

– აგრესორები ყოველთვის პოულობენ სათანადო მიზეზს... ხშირად აცხადებენ: ეს ტერიტორია თავდაცვისთვის გვჭირდება... ანდა, თქვენს ტერიტორიაზე იმიტომ შემოვიყვანეთ ჯარი, რომ სხვებმა არ დაგიპყრონონ“.

ერთ-ერთი შეხვედრისას ირლანდიელმა გაუმუდავნა ქართველს: ინგლისელებისთვის ჩემი გამოგონების შეთავაზებას ვაპირებო.

– მე მას ირლანდიის ფასად გავუცვლი ინგლისელებს.

ეს გამოგონება კი, რომელზედაც გულმოდგინედ მუშაობდა ო'კონორი, არც მეტი, არც ნაკლები – მარადიული მოქმედების ძრავაა – Perpetuum Mobile. მართალია, მეცნიერ-მექანიკოსთა მსოფლიო კონგრესმა დიდი ხნის წინათ დაადგინა, რომ მარადიული ძრავის შექმნა შეუძლებელია, მაგრამ მეოცნებე ირლანდიელი ამას არად დაგიდევთ. მას ირლანდიის თავისუფლება სწადია და სჯერა, რომ ეს წადილი შეუძლებელს შეაძლებინებს, ინგლისელებიც დასთანხმდებიან მის შეთავაზებას – Perpetuum Mobile-ში გაცვლიან ირლანდიის თავისუფლებას. „რა ბედენაა მათთვის პატარა კუნძული, რომელსაც ლურჯი ცისა და მწვანე მდელოების გარდა, არაფერი გააჩნია?“ – ამბობს ო'კონორ.

სწორედ ეს „ლურჯი ცა“ და „მწვანე მდელოებია“ ირლანდიელის მარადიული ტრიიალების ობიექტი. მართალია, ეს უფრო პოეტის ფრაზაა, ვიდრე პრაგმატიკოსი პოლიტიკოსისა, ისეთივე პოეტური, როგორიც ჩვენი დიდი ლირიკოსისა: „ცვრიან ბალაზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული?!“ მაგრამ, არსებითად, აქედან იღებს დასაბამს მშობლიური მიწა-წყლის განცდა, ამგვარი გრძნობა უდევს საფუძვლად მამულის მარადი-

ულ, გაუნელებელ სიყვარულს და მაშინ ეგებ შემცდარნი არიან მსოფლიოს სახელგანთქმული მეცნიერნი. არსებულა, თურმე, ამქვეყნად მარადიული მოქმედების ძრავა – ეს სამშობლოს სიყვარულია; ესაა ლევან ხაინდრავას მოთხოვის პათოსი, შეიძლება ითქვას, მწერლის აღმოჩენაც: ის, რისი შექმნაც მატერიალურ სამყაროში შეუძლებელია, სულიერ სფეროში ეჭვმიუტანლად არსებობს! როცა ამას გაიაზრებ, ხვდები, რომ სათაური – „Perpetuum Mobile“ – არა მხოლოდ მოთხოვის აღწერილ ამბავს ეხმიანება, არამედ გაცილებით მრავლისმთქმელია; მასში ღრმა შინაარსია დაქარაგმებული და სამშობლოს მარადიულ, ღვთაებრიობის რანგში აყვანილ სიყვარულზე მიგვანიშნებს.

„Perpetuum Mobile“-ს ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს სიტყვები: „ვიღაცას ხომ უნდა ელვიძოს“ (ფ. კაფუკა). როცა კითხვას ჩაათავებ, იმასაც ხვდები, თუ რატომ წაუმდლვარა ლევან ხაინდრავამ საკუთარ მოთხოვის ეს ფრაზა. აქ ეპიგრაფის ავტორი არ არის მთავარი. მთავარია ეს ოთხი სიტყვა და მასში მოქცეული აზრი, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს მოთხოვის დაქარაგმებულ აზრობრივ შინაარსს. ვიღაც ხომ უნდა წუხდეს, ვიღაც ხომ უნდა ფიქრობდეს სამშობლოს ბედზე, ვიღაცამ ხომ უნდა იფხიზლოს სამშობლოს სადარაჯოზე. ეპიგრაფი, ამავე დროს, მოწოდებაცაა საერთო ეროვნული გამოღვიძებისაკენ. აი, რატომ დაინტერესდა ლევან ხაინდრავა ირლანდიელი ოფიცრის თავგადასავლით; აი, რატომ თანაუგრძნობს ახალგაზრდა ქართველი კაცი ასე მხურვალედ ინგლისელთა კლანჭებიდან ირლანდიის განთავისუფლებას. აი, რატომ მიამაგრებინა მწერალმა თავისი მოთხოვის პერსონაჟს, ქართველ ჭაბუკას, მაიკლ ო'კონორის საფლავზე აღმართულ ჯვარზე დაფა, რომელზედაც ირლანდიის ღერბი – სამი თეთრი შროშანია გამოსახული.

მაშინაც, XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, როცა ეს მოთხოვდა დაიწერა და რუსულად გამოქვეყნდა და 1980 წელსაც, როცა ქართულად ითარგმნა, ქვეტექსტის კითხვაში მცირეოდენ განაფული მკითხველიც კი მიხვდებოდა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ირლანდიელს თანამემამულებს იდეალად უსახავდა ავტორი, რომელიც, განგების ამოუცნობი ნების წყალობით, შორეული ჩინეთის მანჯურიის პროვინციის ქალაქ ხარბინში დაიბადა 1916 წელს და იქვე დავაუკაცდა კიდეც.

ლევან ხაინდრავა სამი ათეული წელი გამუდმებით გრძნობდა საკუთარი ფესვების ძახილს, რომელიც დაუინებით უხმობდა სამშობლოში. მან სამშობლო 31 წლის ასაკში იხილა, თუმცა, ეს ყველაფერი არ იყო – სიტყვითა და საქმით უნდა დაემტკიცებინა საკუთარი მამულიშვილობა და დაამტკიცა კიდეც. ამიტომაც თქვა ედუარდ ელიგულაშვილმა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ წერილში ლევან ხაინდრავას შესახებ: „Он приобрёл родину“ („მან მოიპოვა სამშობლო“). მერე ტარიელ ჭანტურიამ კიდევ უფრო ხატოვნად გამოთქვა ეს: „ლევან ხაინდრავა ჩვენზე კარგი მამულიშვილი იყო – ჩვენ სამშობლო გამზადებული დაგვხვდა, მან კი თავად მოიპოვა იგი და ამით პატიოსნად შეასრულა მამის ანდერძი“.

ლევან ხაინდრავამ საკმაო „საფასურიც“ გადაიხადა სამშობლოს სიყვარულისთვის. ახლად დაქორწინებული კაცი წელიწადი და რვა თვე სუკის ციხეში გამოამწყვდიეს იაპონიისა თუ ინგლისის აგენტობის ბრალდებით. მერე შედარებით „მსუბუქი“ სასჯელი აკმარეს და ჩრდილოეთ ყაზახეთში, ცივ და მიუსაფარ მხარეს გადაასახლეს, სადაც მეუღლემ ჩააკითხა ორი წლის ვაჟით, ივლიანეთი. მამას, ლევან ხაინდრავას, ვაჟის სახელის დარქმევაში მონაწილეობა არ მიუღია. სუკის გამომძიებლებ-

მა ისიც კი არ უთხრეს, ბიჭი შეეძინა თუ გოგო, ისე გაუყენეს ჩრდილოეთ ყაზახეთის გზას. რძალმა, რომელსაც არასოდეს ენახა მამამთილი, შვილს მისი სახელი დაარქვა. აშკარაა, როგორი გრძნობითა და გატაცებით უყვებოდა ქმარი ახალშერთულ ცოლს მამაზე – ივლიანე ხაინდრავაზე.

სენაკის მაზრის სოფელ ლეხაინდრაოში დაბადებული, ოდიშელი აზნაურის ლევან ხაინდრავას ვაჟი, ივლიანე, მოუსვენარი, ბუნტარული სულისკვეთების ყმანვილი აღმოჩნდა. ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე ანარქისტებს მიემხრო. გიმნაზიელებს დამპყრობლების წინააღმდეგ იატაკევეშა ჯგუფი ჰქონდათ ჩამოყალიბებული. აქ დაგეგმილი ერთ-ერთი აქციის შედეგად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ააფეთქეს. ივლიანე ხაინდრავას 25-წლიანი კატორდა მიუსაჯეს და ფეხით გაუყენეს სახალინის გზას, სადაც 14 წელი გაატარა. შემდეგ რუსეთიდან გაასახლეს და იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრება აუკრძალეს. ივლიანე ჩინეთში გადავიდა და მანჯურიის ქალაქ ხარბინში დასახლდა. აქ იგი დიდად წარმატებული ბიზნესმენი და ფრიად პატივსაცემი მოქალაქე შეიქნა – ქართული სათვისტომო ჩამოყალიბა და ხარბინში ქართული ქუჩაც („გრუზინსკაია“) დააარსა. მდინარის ერთ-ერთ შენაკადს „ხაინდრავების შენაკადიც“ კი უწოდეს. ივლიანე ხაინდრავამ ქართული სკოლა, ბიბლიოთეკა და ქართველთა ურთიერთდამხარე სალაროც შექმნა. ხარბინელი ქართველები შობა-ახალ წელს, ნინობას, თამარობას, საქართველოს დამოუკიდებლობასა თუ სხვა დღესასწაულებსა და ღირსშესანიშნავ თარიღებს მუდმივად აღნიშნავდნენ. ყოველივე ამის მოთავე ქართული სათვისტომოს უცვლელი თავმჯდომარე ივლიანე ხაინდრავა იყო. სწორედ მან „დააავადა“ დედით რუსულ-პოლონურ-ლიტვური სისხლის მქონე შვილები საქართველოთი.

ასეთი კაცის შვილი იყო მწერალი ლევან ხაინდრავა. 1948 წელს ლევან ხაინდრავა დედასთან ერთად საქართველოში ჩამოდის. როგორც ითქვა, სამშობლოს სიყვარული პატიმრობად და გადასახლებად დაუჯდა, თუმც ყოველივე ამან სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრი გაუასკეცა. უცხოობაში გაზრდილ-დავაუკაცებული რუსულენოვან ქართველ მწერლად ჩამოყალიბდა. წუხილმა იმის თაობაზე, რომ საკუთარ სათქმელს ქართულად ვერ გამოთქვამდა, სამივე შვილი ქართულ სკოლაში შეაყვანინა და ქართველებად აღაზრდევინა.

ლევან ხაინდრავამ ჩვენი მწერლობის მარადიული თემა თუ იდეა – საქართველოს დამოუკიდებლობა – საკუთარ მხატვრულ ქმნილებებში ჩააქსოვა. 25 წლის წინათ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მწერლების ინიციატივა იყო. ამ მამულიშვილურ საქმეში ლევან ხაინდრავას წილი უდავოა.



პიროვნული და ნაციონალური თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეით არის გამსჭვალული ლევან ხაინდრავას ვრცელი მოთხრობა „ასლან-ბეკი“, რომელიც მხოლოდ 1991 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე.

მოთხრობის მთავარი გმირი, საბჭოთა არმიის ოფიცერი, ჩეჩენი ასლან-ბეკ ნაგიევი ნელ-ნელა აცნობიერებს რეალობას, ნელ-ნელა გამოდის სიცრუის მომაჯადოებელი წრიდან. ხვდება, რომ ტყუილად ჩასძახიან, ტყუილად ჩასჩი-ჩინებენ საბჭოთა მეომრებს, მშრომელებს ვათავისუფლებთო. ერთი პოლონელი ან ფინელიც არ გადმოსულა წითელარმიელთა მხარეს. მეტიც, ფინელ ქალებსაც კი იარაღი აუსხამთ. სწორედ ქალების რაზმი ებრძვის ნაგიევის ასეულს. ასლან-ბეკი რაზმის მეთასურს შეიძყრობს. გაკოჭილმა ისლა მოახერხა,

მწარედ ეკბინა მაჯაში, ისე მწარედ, რომ ძვლამდე დავიდა. მერე შტაბში გამოიძახებენ ასლან-ბეკს. იქ შეიტყობს, რომ ქალი შეუპყრია, ქალებს ებრძოდა, თურმე, თავმომწონე კავკასიელი. რაზმის მეთასური ქალის შეპყრობისათვის ასლან-ბეკ ნაგიევს ჯილდოზე წარდგენას უპირებს, ახლა კი ამოიღებს ხმას და უარს იტყვის ჯილდოზე. სირცხვილია, ხალხი გაიცინებს, ქალებს ებრძვისო, – იტყვის შამილისა და მისი მიურიდის, იბრაგიმ-ბეკის შთამომავალი თავმოყვარე ჩეჩენი.

მერე მზვერავთა ათეული ჩააბარეს კაპიტან ნაგიევს. მოენის მოყვანა დაავალეს. დატყვევებულმა ფინელმა, რომელიც თავისუფლად მეტყველებდა რუსულად, მწარე სიმართლე უთხრა ჩეჩენს:

– ჩვენ ხომ ოცი წლის წინათ ერთნაირ მგდომარეობაში ვიყავით. თქვენ ჯერ წინა გაქვთ ის, რაც ჩვენს თავს ხდება ახლა.

მართალია, ასლან-ბეკს ამ დროს უკვე ეჭვის ჭია ღრღნიდა, არც პოლონელების თეთრპოლონელობა ეჯერა და არც საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი მისის სწამდა რაიმე პოლონეთის მიწაზე, ფინეთის თავხედური თავდასხმაც აეჭვებდა, რომლის მოსახლეობაც ლენინგრადის მოსახლეობასაც კი მცირედით აღემატებოდა, მაგრამ ეს უსაშველო ტყუილი მაინც არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული და ოფიცრის მოვალეობის ღრმა შეგნებით გამსჭვალულმა კაპიტანმა ნაგიევმა ფინელს უარი უთხრა გათავისუფლებაზე.

გულისგამგმირავი და გამაოგნებელი სიტყვებით უპასუხა დატყვევებულმა ფინელმა ასლან-ბეკის უარს: „შენ მონა ხარ, მონად დაიბადე და მონადვე მოკვდები“. შემდგომში, არაერთხელ, მწარედ გაიხსენებს ამ სიტყვებს საბჭოური იდეოლოგიის სიცრუეში უკვე კარგად გარკვეული და ამბოხებული ასლან-ბეკი.

საბჭოთა უშიშროების მუშაკის მიერ უსამართლოდ შეურაცხყოფილ, თავ-

მოყვარე და ამაყ მთიელს, კაპიტან ასლან-ბექ ნაგიევს გააბრაგებაღა დარჩენდა, რათა პიროვნული თავისუფლება შეენარჩუნებინა. გააბრაგებული ასლან-ბექის მოხელთება ვერაფრით შეძლეს იმათ, ვინც მოიფიქრა, საკუთარი თავისათვის ეწოდებინა „ორგანოები“ – ეს საძაგელი და საზიზლარი სიტყვა (ასე „ამკობდა“ ამ სიტყვას ალექსანდრ სოლუჟნიცინი). ბოლოს მტარვალებმა მზაკვრულ ხერხს მიმართეს. ასლან-ბექს ძმა გარდაეცვალა და ოჯახს მისი დაკრძალვის წება არ დართეს, ვიდრე თავად არ ჩაპარდებოდა ჩეკისტებს. ნაპრძანები ჰქონდათ, ცხედარი შარაგზაზე დაევდოთ ძალლების საჯივა-გნად... და ასლანიც უყოყმანოდ წირავს თავს:

– მე ვარ ასლან-ბექი! ხელი არ ახლოთ ჩემს ძმას! მე ამიყვანეთ!

ზნეობრივ გმირობას ამაოდ არ ჩაუვლია. ხალხმა ასლან-ბექის თავგან-წირვა სიმღერად აქცია, რომელსაც მოთხოვობის ფინალში აკვანზე დახრილი ახალგაზრდა ჩეჩენი ქალი იავნანად დამღერის პირმშოს.

ერთი შეხედვით, პარადოქსია, თუმცა, ფაქტია, მზაკვრობამ საპირისპირო შედეგი გამოილო – ასლან-ბექმა მორალურად გაიმარჯვა მოძალადებზე; მისი საქციელი ლეგენდად იქცა და საგმირო ბალადის შექმნას შეუწყო ხელი.

პარადოქსი ვახსენე. ლევან ხაინდრავას მოთხოვობებსა და რომანებში ხშირად შეხვდებით ამგვარ პარადოქსებს, რაც სრულიადაც არ არის შემთხვევითი. **ცხოვრება პარადოქსების ჯაჭვია.** რთულ ცხოვრებისეულ მდინარებაში პარადოქსის ამოცნობა აზროვნების სილრმეს მოთხოვს. ის, რაც ხშირად პარადოქსად გვეჩვენება, ერთი შეხედვით ჩანს ასე, სინამდვილეში კი გარკვეული აზრის მატარებელია – ეს მწერალ ლევან ხაინდრავას მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი მრნამსია და გარკვეულწილად ეხმიანება დანიელი

ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორის ნათქვამს: „აზროვნების უმაღლესი გამოხატულება პარადოქსია“.

...მშვიდობისმოყვარე, პაციფისტი იაპონელი კობუტა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას ხარბინიდან სამშობლოში მიემგზავრება. კაცი, რომელიც ომისა და ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგია, მეტად უცნაურ აზრობრივ მეტაფორას თხზავს მოთხოვის „ბალახი ვეფხვისათვის“.

კაცობრიობა უნდა გადავაჩვიოთ ძალადობას, ისევე, როგორც ვეფხვი – მტაცებლობას. ის ბალახით უნდა გამოვვებოთო (აქედანაა მოთხოვობის სათაური „ბალახი ვეფხვისათვის“, თუმცა ქართულ თარგმანში „მეზობელი“ ჰქვია, რაც არანაირად არ გამოხატავს მოთხოვობის დედააზრს). ასეთ პარადოქსულ აზრს უზიარებს იაპონელი მთხოვობელს, ხარბინელ ქართველს, მაგრამ უფრო დიდი პარადოქსი წინ ელოდება პაციფისტ იაპონელს.

კობუტა გემით სამშობლოში მიემგზავრება. ნაპირზე დარჩენილი ქართველი გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ შეეხმიანება იაპონელს: „კობუტა-სან, რა ჰქვია იმ ქალაქს, სადაც თქვენ მიემგზავრებით?“ – ხიროსიმა, – პასუხობს იაპონელი. ამ პასუხს მოსდევს ერთადერთი ფრაზა: „1945 წლის ივლისის მიწურული იყო“... მეტი აღარაფერია ნათქვამი მოთხოვობაში. აქ ავტორი შეგნებულად წყვეტს თხოვობას, რათა მკითხველმა თვითონ გაიაზროს სიტუაციის უმნვავესი პარადოქსულობა. მშვიდობისმოყვარე იაპონელი 1946 წლის ივლისში მიემგზავრება ქალაქში, რომელსაც რამდენიმე დღეში, 6 აგვისტოს, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი განსაცდელი დაატყდება თავს – ამერიკელები ხიროსიმაში ატომურ ბომბს ჩამოაგდებენ.

●

...არაფრით გამორჩეული, სამუალოზე ნაკლები ნიჭის მხატვარი კაზანცე-

ვი ლევ ტოლსტოის გარდაცვალების უამს, გარემოებათა დამთხვევის წყალობით, იმ დაბაში აღმოჩნდება, სადაც დიდი მწერალი გარდაიცვალა. იასნაია პოლიანიდან გამოპარული ტოლსტოი, რომელმაც გადაწყვიტა, სიცოცხლის დარჩენილი დღეები საკუთარი მრწამსის მიხედვით გაეტარებინა, სარკინიგზო დაბა ასტაპოვოში აღესრულება. მთელი რუსეთის (და არა მარტო რუსეთის) ყურადღება რამდენიმე დღის განმავლობაში ასტაპოვოსკენ იყო მიპყრობილი. პრესა ცხოველი ინტერესით აშუქებდა ლევ ტოლსტოის ავადმყოფობის ამბავს. ვასილი კაზანცევამ მწერლის ცხედარი დახატა. შეიძლება ითქვას, რომ გამოუვიდა – მსგავსებაც იყო და გარდაცვლილი მწერლის ხასიათის შტრიხებიც იგრძნობოდა.

გაზეთები ერთმანეთს ეცილებიან კაზანცევის ნახატის ხელში ჩასაგდებად. „რუსკოე სლოვომ“ ამ ნახატში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა. სრულიად უცნობი მხატვარი ერთ დღეში ცნობილი პიროვნებად იქცა, თუმცა, მისდა სამწუხაროდ, ეს იყო ვასილი კაზანცევის პირველი და უკანასკნელი წარმატება. მალე იგი ყველამ მიივიწყა და, როცა მის სახელს სადმე ახსენებდნენ, აუცილებლად დაუმატებდნენ: „ეს ის კაზანცევია, რომელმაც...“ (იგულისხმება, ტოლსტოი დახატა), თუმცა ლევან ხაინდრავა, ასეთ შემთხვევაში, ფრაზას არასოდეს არ ამთავრებს და სამ წერტილს სვამს. ეს სამი წერტილი გაცილებით მეტის მთქმელია, ვინემ დასრულებული ფრაზა იქნებოდა. მისი მეშვეობით მხატვარ კაზანცევის ერთფეროვანი და უინტერესო ყოფაც იხატება და მნარე ირონიაც, რომ კაცი მხოლოდ გარდასული დროით, წარსული ცხოვრებით ცხოვრობდა.

ვასილი კაზანცევის მოულოდნელი დიდებისა და დაღმასვლის ისტორიაც კიდევ ერთი ცხოვრებისეული პარადოქსია. როგორც მწერალი გვეუბნება,

„ვასილი კაზანცევის ბედი აღმოჩნდა განსახიერება ყოფიერების დასაბამიერი ანტითეზისა – წარმავალობისა და მარადისობისა, რომლის გამოხატვაც, როგორც თვითონ მიიჩნევდა, მან ერთადერთხელ შეძლო თავის მნიშვნელოვან ნახატში, რომელიც მხატვარ კაზანცევის სიცოცხლის აზრი და გამართლება აღმოჩნდა“.



ლევან ხაინდრავას რომანი „უამი მეექვსე“ 1958-69 წლებში დაიწერა და მხოლოდ „პერესტროიკის“ დასასრულს, 1990 წელს გამოიცა რუსულ ენაზე. რომანი მოიცავს ზნეობრივ-ეთიკური და პოლიტიკური პრობლემების ფართო სპექტრს; აღნერილი და გაანალიზებულია ქართული საზოგადოების ცხოვრება გასული საუკუნის 30-50-იან წლებში. თხრობა მთავრდება 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენებით.

მოვლენათა ეპიცენტრი არის თბილისი – ქალაქი, სადაც განვითარდა ის დრამატული მოვლენები, რომლებიც ჩვენი ხალხის მიერ სტალინის პიროვნების დაცვას მოჰყვა 1956 წლის მარტში.

სამწუხაროდ, ჩვენი უახლესი წარსულის ეს ფრიად მნიშვნელოვანი და გარდამტები მოვლენა ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში არ ასახულა. აქ, აღბათ, შინაგანი ცენზურის არსებობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი – ფიქრობდნენ, ამას მაინც არავინ დაგვიბეჭდავსო. ამიტომაც, როცა ცენზურა მოიხსნა, თითქმის არაფერი შეგვრჩა ხელთ გამოსაქვეყნებელი. ლევან ხაინდრავას რომანი, ამ მხრივ, იშვიათი და ფრიად წარმატებული გამონაკლისია, რომელიც მისი ავტორის პიროვნულ გამბედაობაზე, მოქალაქეობრივ პატიოსნებაზე მეტყველებს.

ჩვენი ერის ისტორიაში, XX საუკუნის მეორე ნახევარში, სამ თარიღს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა: 1956

წლის 9 მარტს, 1978 წლის 14 აპრილს და 1989 წლის 9 აპრილს. 1956 წლის მარტის გამოსვლები ის მოვლენაა, როცა ჩვენმა ხალხმა გაძედა და მსოფლიოში უდიდესსა და უსასტიკეს იმპერიას დაუპირისპირდა, რაც არანაკლებ გმირული ნაბიჯი იყო, ვიდრე უნგრეთის 1956 წლის ოქტომბერ-ნოემბრის აჯანყება ან ჩეხეთის 1968 წლის „პრაღის გაზაფხული“. 1956 წლის 9 მარტმა წარმოშვა 1978 წლის 14 აპრილი, რომელიც ქართველი ხალხის გამარჯვებით დამთავრდა და სსრკ-ის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ხალხმა ხელისუფლებას უკან დაახევინა. 1978 წლის

14 აპრილს ქართული ენის კონსტიტუციური უფლების დასაცავად გამოსულმა ახალგაზრდობამ, ისევე, როგორც მთელმა ერმა, 1956 წლის მარტის წყალობით, უკვე იცოდა თავისუფალი სიტყვის გემო. მეტიც, ჯერ კიდევ 1956 წლის მარტში გაჩნდა დამოუკიდებლობის მოთხოვნა – ჩვენ ამისი კონსტიტუციური უფლება გვაქვსო. მართალია, 1956 წლის 9 მარტსა და 1989 წლის 9 აპრილს ქართველთა სისხლი დაიღვარა, მაგრამ ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჩვენ ამ სისხლის ფასად მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, ის, რისკენაც ასე დაუინებით მივისწრაფოდით. ეს სწრაფვა მხატვრულადაა აღნერილი ლევან ხაინდრავას რომანში „უამი მეექვსე“, რომელიც ვრცელი და საგანგებო მსჯელობის თემაა, ოღონდ ამჯერად ეს

საქმე სამომავლოდ გადავდოთ, ახლა კი რომანის მხოლოდ ერთ ასპექტზე მივაპყრობ მეითხველის ყურადღებას.

თბილისის მოვლენები იყო ცდა, ადამიანებს საკუთარი ნებით ემოქმედათ და არა სხვისი კარნახით; სტალინის ძეგლთან გამართულ მიტინგებზე ხალხმა დაძლია შიში, რაც მთავარია, რაოდენ გასაოცარი და პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავისუფალი სიტყვა იმ კაცის ძეგლთან გაისმა, ვინც მთელი ცხოვრება ახშობდა მას. 56 წლის მარტის მოვლენები იყო გარეგნულად სტალინის მხარდამჭერი, სილრმისეულად კი – სტა-



Руины тбилисской тюрьмы КГБ. 1992 год.

ლინიზმის საწინააღმდეგო გამოსვლები. სწორედ ამაში გამოიხატა ამ მოვლენების პარადოქსულობა, რასაც მხატვრული ძალმოსილებით და ღრმა ანალიტიკურობით ცხადყოფს ლევან ხაინდრა-

ვას რომანი.

ლევან ხაინდრავას მოთხოვებსა და რომანებს მისი ბიოგრაფიის ნიშნები ატყვია. ეს ფაქტი, სიწრფელესა და რეალისტურობასთან ერთად, მომეტებულ ინტერესს სძენს მწერლის მხატვრულ ნააზრევს, რადგან ჩვენში არც ისე ბევრია შემოქმედი, რომელსაც ისეთი რთული ცხოვრება გამოევლოს, როგორიც ლევან ხაინდრავას ხვდა წილად. არც ის ფაქტია უმნიშვნელო, ისიც მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასია, გაგანია ტოტალიტარიზმის პირობებში ხუთასგვერდიანი ანტისაბჭოთა რომანი („უამი მეექვსე“) დაწერო, დაბეჭდვისა და გამოქვეყნების ოოტისოდენა შანსიც არ გქონდეს და მხოლოდ ის გამოძრავებდეს, შთამომავლობას დაუტოვო მაგალითი იმისა, რომ ვიღაც ნამდვილად ფხიზლობდა ამ ქვეყანაში.

ზემოთ ვთქვი, ცხოვრება ლევან ხაინდრავასთვის პარადოქსების უწყვეტი ჯაჭვია-მეტქი. ამის რეალური და-დასტურება თავად ლევან ხაინდრავას ცხოვრებაა. არსებობს ფოტო, რომელიც მწერალმა დამწვარი და გადაბუბული „კაგებეს“ (სუკის) შენობის წინ გადაიღო (და აქვე ვძეჭდავთ), იმ შენობის წინ, რომლის ჯურლმულშიც წელიწადი და რვა თვე ჰყავდათ გამომწყვდეული და მერე შორეული ყაზახეთის ციმბირის გზას გაუყენეს გაურკვეველი ვადით. ესეც ერთი დიდი და სასწაულებრივი პარადოქსია. კაცმა, რომელსაც, კალმისა და სამშობლოს დაუოკებელი სიყვარულის გარდა, სხვა იარაღი არ გააჩნდა, საბოლოოდ მაინც იხილა დამარცხებული მონსტრი.

ჭეშმარიტად შეუცნობელია გზანი უფლისანი!

თამარ გელიტაშვილი

მავთულცლართის პირისპირ

(ფიქრები გიორგი სოსიაშვილის პროზაზე)

„ქალბატონო თამარ, გეპატიუებით დიცში, გაგაცნობთ ჩემს ლიტერატურულ პერსონაჟებს“, – ეს წარწერა ამშვენებს გიორგი სოსიაშვილის მოთხოვნათა კრებულს, რომელიც ავტორ-მა განსაკუთრებული გულისხმიერებით მისახსოვრა. არ ვიცი, როდის მომეცემა დიცში ჩასვლისა და მწერლის ლიტერატურულ პერსონაჟებთან შეხვედრის შესაძლებლობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია – მე მათ უკვე ვიცნობ. გიორგი სოსიაშვილის მხატვრული ოსტატობით შექმნილი ნანარმოებები ამის საშუალებას იძლევა. მათი კითხვისას ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ამ პერსონაჟთა პირისპირ ვდგავარ და თვალნათლივ ვხედავ მათ თვალებში ჩამდგარ სევდას. ეს მოთხოვნები ულმობელ სარკედ ქცეულან, საიდანაც იმ ადამიანთა ყოფის სიმწვავე აირეკლება, რომელსაც ბოროტებამ თვალნინ მავთულის უშველებელი, ეკლიანი ფარდა ჩამოუფარა.

გიორგი სოსიაშვილის მთელ შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ის უდიდესი ტკივილი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის სისასტიკემ მოუტანა საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ ხალხს (თუკი შეიძლება, საზღვრისპირა ენოდოს მავთულხლართით გაყოფილ ჩვენს ძირძველ მამულს). ამიტომაც არის, რომ პერსონაჟთა სულიერი განცდის ტრაექტორია, მათი

სიცოცხლის მამოძრავებელი ძარღვი იმ მარადიულ ღირებულებას ეფუძნება, რომელსაც დრო და უამი არ გააჩნია. ეს არის სამშობლოს, მშობლიური მიწის სიყვარულით დასნეულება.

წინამდებარე წერილის სათაურიც გიორგი სოსიაშვილის მოთხოვნა „მავთულხლართმა“ შთამაგონა. ეს ნანარმოები მკითხველს კიდევ ერთხელ შეასენებს, რომ ჩვენ, ყველანი, პერსონაჟ თედოს მსგავსად, მავთულხლართის პირისპირ ვიმყოფებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას დანარჩენი საქართველო ისე ღრმად და მწვავედ ვერ შეიგრძნობს, როგორც ლიახვისპირას ღვთის ანაბარად დარჩენილი ხალხი.

მოთხოვნაში ჩვენი თანადროული რეალობა შეუფერადებელი, გაუღიავებელი ფერებით არის დახატული. ბეროაანთ თედოს გამჭოლ მზერაში დაკვირვებული მკითხველი უმაღ ამოიკითხავს „ჩვენის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტას“. ბერიკაცის უიმედობით ამოლესილი თვალებიდან ყოვლისმომცველი სკეპსისი იმზირება. მას სტკივა, ორმაგად სტკივა, ამ ტკივილში კი შინაურსაც და გარეულსაც თანაბრად მიუძღვის ბრალი. მტერი მტერია. მოვიდა, არ დაინდო, არ შეიბრალა, დანიხლა და სულში ჩაფურთხებულს მშობლიური მიწის ის ნაწილიც ჩამოათალა, სადაც მისი ცოლი განისვენებს. დგას ახლა თედო, ორკაპა იატაგანით დაკო-

დილი და ცხარედ შესტირის იმ თავის დაკარგულ ჩამონათალს, მაგრამ შინაური? შინაური რას აკეთებს ამ დროს? ის სიტუაციას სათავისოდ ერგება და მომავალი ტრიუმფისთვის ემზადება. სხვისი ჭირი რომ ღობის ჩხირი ყოფილა, ეს კიდევ ერთხელ საცნაურდება „მავთულხლართიდან“. ჩვენ არ გვინდა იმ მარტივი ჭეშმარიტების გაცნობიერება, რომ თედოს ტრაგედია არ არის მარტო ერთი კაცის ტრაგედია და არც ლოკალური პრობლემაა მხოლოდ, რომ თედოს „გამშრალ ცრემლში“ უამრავი ქართველის სატკივარი მოიაზრება. ეს სატკივარი ჩვენი, ზოგადქართული, ზოგადეროვნული პრობლემაა და ყველამ გულწრფელად უნდა გავითავისოთ, ოლონდ პიარისთვის კი არა, როგორც ამას თედოსთან ჩასული ჩინოვნიკები და უურნალისტები მოიმოქმედებენ – ორიოდე შეკვრა მაკარონს მიუტანენ მოხუცს, თანაც ამ „ძლვენს“ გამოსაჩენ ადგილას დააწყობენ, რათა კამერებმა კარგად დააფიქსირონ, რომ შემდეგ ქვეყანას ზარ-ზეიმით ამცნონ, როგორ ზრუნავენ საზღვრისპირა სოფლებში დარჩენილ ადამიანებზე. სინამდვილეში კი ეს ყველაფერი მხოლოდ პირადი ინტერესისთვის, პირადი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ, მოახლოებულ არჩევნებზე „გამსვლელი ქულები“ რომ ჩაიწერონ, ის კი სრულიადაც არ ანალვლებთ, თავიანთი უტაქტო ქცევითა და ბრიყვული შეკითხვებით კიდევ უფრო როგორ ამძიმებენ ისედაც გაუბედურებული კაცის ყოფას, როგორ უძლიერებენ უიმედობის განცდას, ჭანგივით რომ მოსდებია მოხუცებულის დასერილ-დანაოჭებულ სულს.

ორმაგად უჭირს თედოს, ორმაგი უსამართლობა გუდავს. მტერიც და მოყვარეც დაუნდობლად დააბოტებს მის წყლულებზე. მომხდურმა მისი და მისი წინაპრების ოფლით გამდნარ-გაპოხიერებული მინა წაართვა, დამხვდურმა კი – ლირსება. ამიტომაც თქვა უარი პენ-

სიაზე, თავის ერთადერთ შემოსავალზე. იმ მთავრობისგან არაფერი სჭირდება, რომელიც გულდაგულ ცდილობს სხვისი ზეობრივი ღირებულების ხელყოფას. ეს ასმაგად უფრო მტკივნეულია ბეროაანთ უკანასკნელი მოჰკუნისთვის. საცულის-ხმოა ის ფაქტი, რომ, უკვე ცრემლგამ-შრალს, მხოლოდ თანამემამულეთა უკეთურობაზე უცრემლიანდება თვალები. როცა ოპერატორები კამერებს გამორთავენ და თედოს სახლის წინ გაბმულ მავთულხლართთან ორატორთა პათო-სიც ჩაცხრება, უკვალოდ ქრება მათი პატრიოტული სულისკვეთება. ამ დროს ურცხვად, მოურიდებლად ამჟღავნებენ თავიანთ ჩანაფიქრს: „პაპა, პიარი რა არის, იცი? არ იცი. აბა, შენ დროს სად გეცოდინებოდა პიარი. ჩვენი დრო კიდე რას არ მოაგონებინებს ადამიანს. ჩვენ გოთვერან დროში ვცხოვრობთ და იძულებულები ვართ, გავაპიაროთ ყველაფერი. აი, შენ რო აქა ხარ ეხლა, ეს, იცი, რამხელა პიარია ჩვენი ქვეყნისთვის? ამიტომ დიდხანს უნდა იყვე, პაპა... რუსები არ გაახარო, მაგრად იდექი“.

ხედავს თედო, რომ საკუთარი ქვეყნის ხელში სათამაშოდ ქცეულა, საჩვენებელ საგნად, რომელიც მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ვინმეზე შთაბეჭდილების მოხდენა სწადიათ. ამ დროს უფრო მეტად არის თვალშისაცემი თედოს სულიერი მდგომარეობა, რომელსაც მწერალი ჩვეული ოსტატობით გადმოგვცემს: „ბოლმა მოაწვა, თვალებში ცრემლის გუბეები ჩაუდგა, ნაცრისფერი კაკლები თითქო გაუდიდა, რისხვა მოემატა“.

გადაგვარებული ქვეყნის მდგომარეობა მოთხოვთაში თედოს პირით არის გაცხადებული:

„ვაი, ამათ პატრონს. არაფრის თქმა არ მინდა, ერთმანეთს სჭამენ, ერთმანეთს ხრავენ, ლანძღავენ, თათხავენ, თედო კიდე ძალლივით გდია ამ მკვდარ არემარეზე და ორი მგელი სჭამს – სიბერე და სიმარტოვე... ტყუილში ვართ,

ტყუილში და ამ ტყუილით დაბანგულებს აგვართვეს მიწები, წაგველიჯეს ეს ამხელა ტერიტორია. ვის გაახსენდება, იარაღი აისხას, მოუვარდეს ამათ და თავი შეაკლას. მარტო მიტინგებისთვის ამოდიან, ერთი-ორ სიტყვას წამოიყვირებენ ჩემს სახლთან და გარბიან. აი, სამშობლო...“



„მავთულხლართის“ ვერც ერთ ეპიზოდში ვერ შეხვდებით ბუნების ფერხულს, გაზაფხულის გახშირებულ სუნთქვასა თუ საკარნავალო სამოსში გამოწყობილ შემოდგომის მაყრულს. აქ, ადამიანებთან ერთად, ყველაფერი ტირის, გოდებს და მოთქვამს; აქ ყველაფერი ნადგურდება. ნადგურდებიან, როგორც ადამიანები, ისე ფლორა და ფაუნა. თანდათან ყველაფერი სასაფლაოს ემსგავსება: „ქრებოდა სიცოცხლე თედოს სახლში თანდათან. ძალი მოუკვდა თედოს, მოზვრები გაყიდა, ქათმებიც შემოეცალა. ზოგი დაკლა, ზოგიც ჭირმა წაიღო. ერთი სული ბებერი ძროხა ჰყავდა და იმით ედგა სული“, ხოლო ის, რაც სიკვდილს გადარჩენია, უსუსურობასა და უუნარობას შეუცყრია. მართალია, ძალი სიფხიზლის სიმბოლოა, მაგრამ თედოს ძალის იმის უნარიც აღარ შესწევდა, რომ პატრონი დაეცვა, პირიქით, თავად ითხოვდა შველას: „ქოფაკი ყეფით მოვიდა და თედოს ფეხებზე მიეგლისა“.

ძალის მსგავსად, ფუნქციადაკარგულია მამალიც. მასში ისე მიმქრალა სიცოცხლის ძალა და ენერგია, რომ ყივილის თავიც აღარ აქვს. ამ ყოველივეს თედო ძალიან მტკივნეულად განიცდის: „ეს ჩემი მამალი რო ეგრე უგულოდ დაიყივლებს ხოლმე, მგონია, რო მტრის ყურს სწვდება მაგის ჩახრინწული, უფხო ხმა და ახარებს გადამთიელს“.

ბებერი, ძალაგამოცლილი მამალი და ბეროანთ მოხუცებული თედო ალეგორიულად ასახავენ საზღვრის-

პირა რეგიონებში გამეფებულ სასტიკ რეალობას. მთელი უბედურება ისაა, რომ სოფლები დაცლილა და თედოსნაირების იმედადღაა სამშობლო მიტოვებული. თედოს ფესვები ღრმა წარსულიდან მოდის. ამიტომაც განიცდის ასე მწვავედ თავისი ქვეყნის სავალალო მდგომარეობას, მაგრამ რაღა შეუძლია განიარაღებულსა და სიბერით დაუძლურებულს? ასევეა მამალიც. სიბერის წლებს წაუღიათ მისი ყივილის შნო და ლაზათი. „ყივილის თავი აღარ აქვს, კი არ შეჰყივის დილას, შესტირის“, – ვკითხულობთ მოთხოვთ მოთხოვთ.

თედოც სიცოცხლის მიწურულსაა და მამალიც. მათი სიკვდილის შემდეგ კი კიდევ უფრო გაუკაცურდება სოფელი, მტრის გასახარად ჩაყუჩდება და ჩანყნარდება ირგვლივ ყოველივე. ყველაფერს სიკვდილის ლანდი დაეპატრონება. ეს რომ არ მოხდეს, სოფელს ახალი სიცოცხლე სჭირდება, ახალგაზრდული მუხტი და შემართება, ისეთი მამალი, „ყოჩაღად რო შეჰყივლებს ხოლმე, სიცოცხლე მოგწყურდება, დალოცვილი, დილას რომ ჩამოხევს ნისკარტით“. სწორედ ამიტომაც მოჰყავს მეზობელ ავთოს ახალგაზრდა, მოუსვენარი მამალი. „ყურთასმენა მიაქვს ამ ოხერს და იყივლოს, რუსებს გულს „გაუხარებს“... ჩვენ არაფრის თავი გვაქ და მამლები მაინც ვაყივლოთ საზღვართან, მამლის ყივილით მაინც მოუჟალოთ მტრის ნერვები“, – ეს არის ორი ქართველის ყველაზე უმწეო და უსუსური მცდელობა მტერთან ჭიდილისა. მამალი ხომ სიცოცხლის სიმბოლოა. საზღვრისპირა სოფლებში სიცოცხლე რომ არ ჩამქრალა, უნდათ, მამალის ყივილით მაინც მიანიშნონ მტერს. ასე ცდილობენ გადამთიელის გულზე გახეთქვას.

სოფელი მოხუცების ამარა მიტოვებას კი არა, განახლებას, გამოცოცხლებას ითხოვს, მუდმივ მოძრაობასა და დუღილს. მას აღორძინება სჭირდება, მომხდურმა რომ ვერასდროს იგემოს

გამარჯვების სიამე. სწორედ ამას ასახავს მამლის ეპიზოდი და ამითაა გამოხატული ნაწარმოების ერთი უმთავრესი სისათქმელი.

სულისშემძვრელია ცოლის საფლავის შორიდან მაცერალი თედოს მდგომარეობა. ცრემლი რა არის, ცრემლი რომ დაადინოს თანამეცხედრეს და გულზე ბალახი შემოაცალოს, იმის უფლებაც კი აღუკვეთა წყეულმა ეკლიანმა სამანმა.

თედოს პირვენებას, მის შინაგან მეს კიდევ უფრო ააშკარავებს საკუთარ ორეულთან პაექრობა. ეს ორეული მისი სინდისია, რომლის ხმაც მაშინვე აედევნება მოხუცს, როგორც კი საკუთარი პრინციპების ღალატს დაპირებს და, ცოლის საფლავზე შესვების სანაცლოდ, რუსი მესაზღვრეების მოქრთამვას გადაწყვეტს. ამისათვის დაიწყებს არყის გამოხდას, მაგრამ მაშინათვე შეეჩერება მამხილებელ სინდისს. ამ ღირსეულ კაცს სინდისიც წმინდა და კრისტალური აქვს. ამიტომაც ამბობს მწერალი: „ხმა შეეცვალა უჩინარს, თითქო გული აუჩუყდა“. სინდისი აუტირდა თედოს და „ამხილა“ მოხუცებული: „რუსებს უხდი არაყს, გული გინდა მოიგო, მტრის გული. არაყს მიართმევ და იქნებ როგორმე გადაგიშვან იქით, მავთულხლართს იქით. შეეხვეწები, ასე გაქვს ჩაფიქრებული. ყელს გამოუწევ. თუ გეტყიან, მუხლებზეც დაუდგები, ოღონდ ცოლის საფლავი გაჩვენონ...“ შენი გამოხდილი არყით სავსე ჭიქებს მიუჭახუნებენ რუსები ერთმანეთს, მერე გადაჰქრავენ, პურის ნატეხს დასუნავენ... დამცინავი სახეებით გაცერდებიან რუსი მესაზღვრეები. სიამე ელვრებათ გულში, ბებერ, დამცირებულ, ღირსებააყრილ „მტერს“ რო ხედავენ...“

სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა თედოს სულიერი ჭიდილი. ამხედრებული სინდისი მოხუცმა ბოლოს იმით დაამშვიდა, რომ ცეცხლთან მიიჭრა და ძირს მოაპირქვავა ქაფქაფა არყით სავ-

სე ქვაბი. მერე, როდესაც მალულად გადაძვრა მავთულხლართს იქით, ის მამხილებელი ხმა თან აღარ გაჰყოლია. ასე სინდისდამშვიდებული და ღირსება-აუყრელი გაეშურა ცოლთან შესახვედრად.

ცოლის საფლავზე გადაქცეულ-მა თედოს სხეულმა უმალ ოთარაანთ ქვრივის სიკვდილი გამახსენა. ილიას „ოთარაანთ ქვრივსა“ და „მავთულხლართს“ შორის მართლაც არის საერთო. აქ ვხვდებით ორ უმთავრეს ქრისტიანულ დღესასწაულს: მაცხოვრის შობასა და აღდგომას. ოთარაანთ ქვრივი შობის ღამეს გარდაიცვალა, თედო – აღდგომის ღამეს. ორივე „ფესვმაგარი ხე“ საყვარელი ადამიანის საფლავზე „წამოიქცა“. არც ოთარაანთ ქვრივს გააჩნდა ვინმე გიორგის მეტი და არც თედოს – ცოლის მეტი. ორივემ მარტოობაში გალია სატანჯველად ქცეული წუთისოფელი, ოღონდ ეგ კია, ოთარაანთ ქვრივს ერთი ჭირისუფალი მაინც დარჩა ამქვეყნად, ის სოსია მეწისქვილეს მაინც მოუკვდა, მაგრამ, საკითხავია, ვის მოუკვდა ბეროაანთ მოხუცებული თედო? აქ ისევ ილიას დავესესხები და ვიტყვი: „ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევლაკრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“. ვფიქრობ, სწორედ ეს დიდი კითხვის ნიშანი დასვა გიორგი სოსიაშვილმა თავის მოთხოვნაში.



გიორგი სოსიაშვილის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მზის კონცეპტს. აქ თითქმის ყველგან ვხვდებით მზეს, მაგრამ უსიცოცხლოს, მგლოვიარეს. მოთხოვნა „მავთულხლართში“ მზე ისეთივე ნაცემ-ნაგვემია, როგორც ჯვარცმული მაცხოვარი. ამქვეყნიური ცოდვების სიმძიმე უტვირთიაო თითქოს მნათობს. სწორედ ეს ცოდვებია, შედედებული სისხლის კოლტებად რომ ამჩნე-

ვია: „წითელი პარასკევის სისხლისფერი მზე ნაგვემივით მიცურავდა საავდრო ღრუბლებში, ხანდახან დაგლეჯილი ფთილებიდან გამოჩნდებოდა, შედედებული სისხლი მოუჩანდა“. აქ მზეც ყოვლისმომცველ სიკვდილის ველზე ინაცვლებს: „სისხლისფერი მზე ესვენებოდა მიწისფრად დაფერილ მთებში, ესვენებოდა, ნაგვემი და ნაწამები, როგორც ჯვარცმიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის ნატანჯი სხეული“.

საგულისხმოა, რომ „მავთულხლართში“ მზის სიკვდილი სიმბოლურად ემთხვევა ქრისტეს ჯვარცმას. მზის ჯვარცმაც წითელ პარასკევს ხდება, დიდშაბათს კი თვალნათლივ ვხედავთ მის გარდაცვალებას: „დიდშაბათის მზე არსად ჩანდა, დიდშაბათის მზეც თითქო ცის სამარხში გაუჩინარებულიყო, ვეება ლოდივით გადაფარებოდა ღრუბელი“.

ეს ყოველივე სახარებისეული გამოძახილია – ლოდიც იესოს საფლავის ლოდის პარადიგმაა და მზის დაბნელებაც. როგორც სახარება გვამცნობს, მაცხოვრის ჯვარცმის წინ: „და იყო ასე ექვსი საათი, და წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა მეცხრე საათამდე, და დაბნელდა მზე, და შუა ჩაიხია ტაძრის ფარდა“ (ლუკა, 23-24, 44-45). მოთხოვთა „მავთულხლართშიც“ მზე წითელი პარასკევიდან ალდგომამდე დაბნელებულია. პარასკევს კვდება მზე, რათა ალდგომის დილას ხელახლა ალმობრნყინდეს.

როგორც ვიცით, მზე ქრისტიანულ სახისმეტყველებაში ქრისტეს ჰიპოსტასია. მისი არქეტიპი ჯერ კიდევ ძველი ალტერნატივული იდებს სათავეს: „მან მზეს დაუდგა კარავი მათში“ (ფსალმუნი დავითისა, 18 (19), 5). ეს ასეა, როგორც უძველეს ჰიმნოგრაფებთან („დაუსაბამოისა მზისა, ნათლისა ნათლისლებითა დამდაბლებულ არიან...“ – გრიგოლ ხანძთელი), ისე დავით გურამიშვილთან („მზევ, მზისა მამზევებელო, მე შენსას

ვერას ვაზრობა, მიუწოდელო ნათელო, სად პირად მთვარობა, სად მზობა“). ყოველივე ამის გათვალისწინებით, რთული ამოსახსნელი არ უნდა იყოს გარდაცვალებული მზის სიმბოლიკა „მავთულხლართში“, რაც მეტ აზრობრივ დატვირთვას სძენს ნაწარმოებს და აშკარად მეტყველებს გიორგი სოსიაშვილის მოთხოვთა სიღრმისეულ პლასტზე.

ქრისტე ღმერთი ჯვარს აცვეს კაცთა ცოდვებისთვის. თითქოს ეს ჯვარცმა განმეორდა 2008 წლის აგვისტოს. აქ თითქოს ხელმეორედ აწამეს უფალი. სისხლისფრად შეღებილი მზე ადამიანთა გაუგონარი ცოდვით უარყოფილი და ნაგვემი მაცხოვრის სახეა, რომელიც ალდგომისთვის ემზადება და აღსდგება კიდეც. ალდგომის დილას ამოსული მზე სულ სხვანაირია მოთხოვთა „მავთულხლართში“ – ახალი სიცოცხლით ამოკაშვაშებული, განახლებული და ალორძინებული: „შაბბირეთზე გადმოცურებული ალდგომის მნათობი დასცექრის მკვდარ სოფლებს. ალდგომის მარადიული სიცოცხლით ანთია თითოეული სხივი“, ხოლო ვარსკვლავები იმ ვარსკვლავზე მიგვანიშნებენ, აღმოსავლეთიდან მოსულმა მოგვებმა რომ იხილეს ნიშნად იესოს შობისა (მათე 2,1-2): „ალდგომის ბრწინვალე დღესასწაულის მახარობლებად ეკიდნენ ვარსკვლავები ცაზე და თითქო ერთმანეთს შეჰაროდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ“.

მოცემული პასაუის აზრობრივი შინაარსი, ვფიქრობ, ნათელია – მართალია, მოსპონ მტერმა ირგვლივ ყოველივე, მაგრამ ბოლომდე რაც ვერ მოკლა და გაანადგურა, უფლის რწმენა და სიყვარულია. ამიტომაც ამბობს მწერალი, ის მუდამ ანთია ჩვენში მარადიული სხივით განათებულიო.

ბეროვანთ თედომ ქრისტეს მოდელი გაიმეორა. ის მსხვერპლია, კაცთა ცოდვებსა და მამულის სიყვარულს შენირული, თუმც მინიშნება არქეტიპზე (ქრისტეს მოდელზე) ალდგომასა და ალორ-

ძინებასაც გულისხმობს. ამიტომაც ეს მოთხრობა, ყველა სხვა ღირსებასთან ერთად, მოწოდებაცაა: საზღვრისპირა სოფლები არ უნდა დაიცალოს, სიკვდილის ტრამალად არ უნდა იქცეს, პირიქით, უნდა ალდეგეს, განახლდეს და გამოცოცხლდეს. იქაურმა მოსახლეობამ (და საზოგადოდ ქართველობამ) ისე კი არ უნდა იაზროვნოს, როგორც გიორგი სოსიაშვილის ერთ-ერთი მოთხრობის („მავთულხლართი სამანს აქეთ და იქით. ახირებული გოგია, გუგულა და უბნის ბიჭები“) პერსონაჟი ქალი ფიქრობს: „სამშობლოს სიყვარულიო, მიწის სიყვარულიო, პატრიოტიზმიო. შვილები თუ კარგად არ მეყოლება, მეხი დავაყარე ყველაფერს!“, არამედ პირადი კეთილდღეობა მშობლიური მიწის კეთილდღეობის ტოლფარდად უნდა გაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უპატრონო ეკლესიას ეშმაკი, ისე დაეპატრონება მტერი მიტოვებულ, ისედაც გოჯისოდენად დარჩენილ მიწას. ეს შიში, რაც ფარულად არის ჩაქარაგმებული მოთხრობა „მავთულხლართში“, მკაფიოდაა გაცხადებული გიორგი სოსიაშვილის სხვა ნაწარმოებებში. ზემოთ მოხმობილ მოთხრობაში პერსონაჟ გოგიას შესახებ ნათქვამია: „იდგა და გაშეშებული მისჩერებოდა, ქვადექცეული გასცეკროდა მკვდარ სივრცეს, ბალახგადავლილ სოფლებს და ფიქრობდა: რა იქნება ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ? და ისევ თვითონ სცემდა თავის კითხვას პასუხს: რა უნდა იყოს, ძნელი მისახვედრია? ჰა, ჰა, რამდენი დავრჩით – ოცი, ოცდაათი კომლი, შეიძლება ცოტა მეტი, მაგრამ ეს რას შეცვლის. ჩვენს მერე აქაც სიცარიელე იქნება. მერე ვინ უწყის, იქნება უფრო აქეთაც ჩამოიწიონ და ამით დამთავრდება... ღმერთო!“

გიორგი სოსიაშვილის „მავთულხლართში“, რეალისტური პლანის პარალელურად, აშკარად იკვეთება მეორეული პლანი, რაც მეტ სიღრმესა და

მომხიბვლელობას სძენს ნაწარმოებს.

მეორეული პლანის შემოტანა ჩვენს მწერლობაში XX საუკუნის 20-იანი წლების ქართველი კლასიკოსების დამსახურებაა (დემნა შენგელაიას „სანავარდო“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ლიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“...). მეორეულ პლანს ვხვდებით XX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ პროზაშიც (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშენა“, ოთარ ჭილაძის რომანები, ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელა“...). ამ თვალსაზრისით, გიორგი სოსიაშვილის „მავთულხლართი“ აშკარად ეხმიანება წინამორბედი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებს, რაც ფრიად მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, მით უფრო ახლა, როდესაც თანამედროვე ქართულმა მწერლობამ გადაივიწყა ეს სიღრმისეულობა და ადგილი დაუთმო მომეტებული ყოფითი რეალობის აღნერას, რასაც უმეტესწილად შიშველ ნატურალიზმამდე მივყავართ (მაგრამ ამაზე სხვა დროს...).



გიორგი სოსიაშვილის ლიტერატურულ პერსონაჟებს ერთი უმთავრესი რამ აერთიანებთ – მშობლიური მიწის უსაზღვრო სიყვარული. ეს სიყვარული, თავის მხრივ, წარმოშობს სხვადასხვა განმტოებას, მათ შორის, რა თქმა უნდა, მტრის ამოუყრელ ჯავრსაც და საფლავში წასაღებ ტკივილსაც, მაგრამ ამ ადამიანებს მაინც არ დაუკარგავთ ერთი უმთავრესი თვისება – კეთილშობილება, სხვისთვის უანგაროდ გაღებული სიკეთის ქმნადობის უნარი. ეს არის მათი არსებობის უმთავრესი პრინციპი. ეს შინაარსია გადმოცემული მოთხრობებში „გოგიას გარმონი“, „ბაღები“, და სხვა. ეს ნოველები საცნაურყოფს, რომ ამდენ სატკივარგამოვლილი ადამიანები ცხოვრებამ ვერ გააუხეშა, ომის სისასტიკემ მაინც ვერ ჩაქრო მათ

სულში ღრმად ფესვგამდგარი მადლის კეთების სურვილი. ისინი, ყველაფრის მიუხედავად, მუდმივად სხვათა სამსახურში არიან. აკი ამბობს კიდეც ნოველა „ლამპიონების“ პერსონაჟი ბაჩანა: „განაპირას მცხოვრები ყველა ერთნაირები გავხდით“. ეს ერთნაირად მარტოსული, სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილი ხალხი სწორედ საერთო ტრაგედიამ შეერა და შეადულაბა.

რთულია, ცრემლის გარეშე წაიკითხო მოთხრობა „ბალები“. ეს არის ორი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლის – ქართველისა და ოსის ძველისძველი და მარადიული მეგობრობის, ერთმანეთზე ზრუნვისა და ურთიერთისთვის ტკივილის შემსუბუქების სადიდებელი. „ბალების“ მთავარი სათქმელი მოთხრობის პერსონაჟის, ნიკოს ფრაზაშია გამუდავნებული: „სახლები დაგვიწვესო, ქონება გაგვიზიდესო... ძნელია, როგორ არ დაეთანხმები, მაგრამ ერთმანეთი რო დავკარგეთ, ის ნაკლებად გვახსენდება“.

მოთხრობაში ხატოვნად არის დახატული, როგორ ენირება მესამე, გარეშე ძალას ოსი და ქართველი ადამიანების ნაოფლარ-ნაამაგარი. რუსებს, სადაც მოეპრიანებათ, იქ ავლებენ საზღვარს, შესაბამისად, ხან ქართველების მიწები ჰყება სამანს იქით და ხანაც ოსების. ვერანაირმა ომის ქარიშხალმა ვერ მოსპო ამ ორი ერის შვილების მეგობრობა და სიყვარული: ჯერ ქართველი ნიკო უვლიდა ოსი გაბის ხეხილის ბალებს, მოსავალს აბინავებდა და ალებული ფული უკლებლივ მიჰქონდა მავთულხლართან მოსულ ოს მეგობრთან, შემდეგ კი როლები შეიცვალა. ახლა გაბი უვლის ოსების (თუ რუსების?) ტერიტორიაზე დარჩენილ ნიკოს ბალებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ნიკოს იმის შიში კი არ აქვს, რომ გაბი რაიმეს დააკლებს მის ხეხილს ან ფულს არ მისცემს, მთავარი მაინც უპასუხოდ დარჩენილი კითხვაა: რამდენი ხა-

ნი ექნება „გაშვილებული“ საკუთარი მიწა ან, საერთოდ, შეძლებს კი ოდეს-მე მის დაბრუნებას? ეს კითხვა რეფრენად გასდევს გიორგი სოსიაშვილის მთელ შემოქმედებას. მისი პერსონაჟები საკუთარ გულს ასკდებიან ძლიერი მტრის წინაშე – უუფლებოები და განიაღებულები.

მავთულხლართის ეკლების სიმწვავეს, ჯერჯერობით, ვერც ძლიერი სიყვარული ამარცებს. ძნელია, მძაფრი ემოციის გარეშე წაიკითხო ამ თემაზე დაწერილი მოთხრობა „მძახლები“. როგორც თავად ავტორმა მითხრა, „მძახლები“, ისევე, როგორც მისი არაერთი ნაწარმოები, რეალურ სიუჟეტზეა დაფუძნებული. ამ მოთხრობიდან ხელშესახებად საცნაურდება სიყვარულის უძლეველი ძალა. გვაკვირვებს, როგორ შეძლო ერთმა თითისტოლა გოგომ ის, რის გაფიქრებაზეც, შესაძლოა, ზრდასრულ ადამიანებსაც კი შიშის ურუანტელი უვლიდეთ. არც აცია, არც აცხელა, „გულიანად ჩაბეტონებული“ მავთულხლართის ქვეშ მიწა გამოთხარა, ერთი ლაზათიანი ქოქოლა მიაყარა მძინარე რუს მესაზღვრეებს და ჩვენს ტერიტორიაზე გადმოიპარა. გადმოიპარა და ქართველ ბიჭს გაჰყვა ცოლად.

სულისშემძვრელია მეფე-პატარძლის მშობლებთან შეხვედრისა და მძახლების გაცნობის სცენა: „ორ ნაბიჯზეა ის დაწყებულილი მავთულხლართი. ხელის განვდენაზეა რუსების პოსტი. აქეთაც საქართველოა და იქითაც“. სწორედ ამ „ორი“ საქართველოს მიჯნაზე, მავთულხლართის პირას, იმართება სადლესასწაულო სუფრა, ოღონდ ჭიქების მიჭახუნებისა და გულში ჩახუტების გარეშე – მეტად უჩვეულოდ, ხმამაღლი გადაძახილებით. ეს პურისჭამა არ ჰგავდა ნადიმს; ეს ისეთი სევდანარევი ტრაპეზი იყო, ავთანდილისა და ტარიელის მოკრძალებული პურობის შესახებ რომ ამბობს რუსთველი: „მუნ უპურობა პურობა, არ სიდიადე ჯამისა“.

„მძახლებში“ დახატული ამბავი არ არის ის შემთხვევა, რამაც გიორგი ლეონიძის მოთხრობის („ჩირიკი და ჩიკოტელა“) დაუძინებელ მტრებად ქცეული მეზობლები შეარიგა. ეს უფრო მწარე, უფრო დაუძლებელი ტკივილია, რადგან მათ შორის მესამე, უცხო ძალაა გახიდული, თუმც აქ ერთი რამ არის საგულისხმო – გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის პერსონაჟები მანც უღრმესი ოპტიმიზმით არიან გამსჭვალულნი. მათ სწამთ, რომ, ერთხელაც იქნება, გადაჯეკავენ ოსურეართული ურთიერთობების მჩხვლეტავ ბარიერს და სიყვარულით ჩართულიან სამანს მიღმა დარჩენილ მეზობლებსა და მოკეთებს. ამ იმედით აღვსილი გადასძახის ქართველი ჯაგა ოს მძახალს: „თქვენ გაგიმარჯოთ, მძახალო, ბედნიერება და სიყვარული არ მოგიშალოთ ღმერთმა. არ იდარდო, ეს მავთულხლართი ვერ შეგვაკავებს, ტყუილა ირჯებიან. მალე ჩავეხუტებით ერთმანეთს, მალე. ამის დარდი არა გქონდეს, – რძალი ჩავიკარი გულში. – ეს ჩემი გოგოა, თვალისჩინვით გავუფრთხილდებით. ჩვენი გამარჯვებისა იყვეს!“

ამ ოპტიმიზმზე მეტყველებს მოთხრობის დასასრულიც: „ალადასტურით სავსე ჭიქებში გაძვრა მზის სხივი“.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობათა სიუჟეტურ ხაზს ერთი დასაწყისი და დასასრული აქვს – მიწის ყივილი! ეს იგრძნობა ყველგან, ყველა მის ნანარმოებში. მიწის ყივილია „სამანში“, „მიწის სუნში“, „ლამპიონებში“, „ანასტრას მიქოანში“ და ა.შ. ისეთი განსხვავებული თემატიკის ნაწარმოებშიც კი, როგორიც „დამიანეს სტუმარია“, მიწის ყივილს უმთავრესი კონცეფციური ადგილი უკავია.



მკითხველი დამეთანხმება, რომ ლექსიკურ-ენობრივი გამომსახველობის გარეშე არ იქმნება მხატვრული ეფექტი. ამ მხრივაც გამოირჩევა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება. თვითმყოფადო-

ბასთან ერთად, მისი ერთ-ერთი მთავარი მწერლური ლირსება მხატვრული სახეებით აზროვნებაა. ბრნინვალე მოქართულე, დიალექტიზმებისა და არქაზმების შერწყმით, ოსტატურად ძერნავს პერსონაჟთა ხატებს. მის ნანარმოებებში თითოეული პასაჟი თუ სტრიქონი განცდის სიმძაფრით, ექსპრესიულობით არის ალბერტილი. „შეპერანგებული“, „უთვალმზერებს“, „ჩარფუზანა“, „დაჯოშილი“, „დახაციცებული“, „დანქრეული“... – ეს სიტყვები იმ კუთხის კოლორიტის შექმნას ემსახურება, რომლის შვილიც თავად ავტორია, ხოლო არქაული გამონათქვამები: „ხნარცვი“, „სათლი“, „ალიზი“... ისე მხატვრულად არის გადაწყული ტექსტთან, რომ არ ირლვევა თანამედროვე ქართული ენის გრამატიკული ნორმები. პირიქით, მეტ სიმძაფრესა და ემოციას მატებს სათქმელს. აკი თავად ამბობს კიდეც მწერალი: „თანამედროვე ტერმინების გამოყენება არ მიყვარს ჩემს მოთხრობებში. ასე მგონია, ტკივილს ვაყენებდე ჩვენს ზღაპრულ ენას, რომელიც ზენაარმა მსოფლიოში ჩვენ, ქართველებს, გვიპოძა და ამით გამოხატა თავისი დიდი, გაუნელებელი სიყვარული ჩვენდამი“ („ანასტას მიქოიანი“).

გიორგი სოსიაშვილის სტილური ექსპრესია სასაუბრო ენისთვის ნიშანდობლივ მდიდარ ლექსიკას ეფუძნება. აქ ყოველი ფრაზა სუნთქავს, ყველა სტრიქონი ხატოვნად გვიყვება ამბავს; აქ ვერ შეხვდებით გადაპრანჭულ, ხელოვნურ, არაპუნებრივ სიტყვებს. განსაკუთრებული სისადავით შექმნილი პოეტური ხატები თუ ოკაზიური ფორმები ერთ საერთო კონსტრუქციად გარდაიქმნება. კომპოზიციურ ერთმთლიანობას აძლიერებს სინტაგმები და მხატვრულ-გამომსახველობითი ერთეულები. მაგალითისთვის რამდენიმე ფრაზის მოხმობაც საკმარისია: „ცრემლის გუბეებია სულში, დავტოპავ ცრემლის გუბეებში, გავშხვიპავ და გა-

მოვშევიპავ“ („მიწის სუნი“)...

შთამბეჭდავია გიორგი სოსიაშვილის მწერლური სტილისთვის დამახასიათებელი მეტყველი მეტაფორები: „დინჯად, აუჩქარებლად ანათებდა ცის მეფარნე“ („ბიძაძმისშვილური“)... გაპიროვნებები – „აპრილი სუნთქავდა პატარა, უსიცოცხლო სოფელში... მზეს აეცენცა მიცვალებულთათვის ვარსკვლავთა ნატირალი ცრემლი“ ან „ცოტაც და მამა გახდება აპრილი“ („აკაციის სევდა“)... თუ შედარებები – „ნინდის ჩხირებივით ქსოვენ მის სახეზე წლები ნაოჭებს“ („ბიძაძმისშვილური“).

გიორგი სოსიაშვილი, თავისი მწერლური ნიჭითა და ალლოთი, თავისი სიტყვაქმნადობით („ცოტა ხნის წინ შემონაზვნებული დღე“, „მკვდარი დღის ნარჩენებია გზადაგზა“...), თამამად შეიძლება მივიჩნიოთ რევაზ ინანიშვილისა და, საზოგადოდ, ქართული პოეტური პროზის დიდებულ შემოქმედთა ღირსეულ მეტვიდრედ.

P.S.

რა თქმა უნდა, დიდია მხატვრული სიტყვის ძალა. ეს შუშანიკისა და აბოს მარტვილობებსა თუ „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილ მკითხველს არ ესწავლება, მაგრამ თუ სიტყვას საქმეც არ მოჰ

ყვა, ის, შესაძლოა, კედელზე შეყრილი ცერცვივით ჩამოიმტვეროს.

გიორგი სოსიაშვილი ორმაგად არის დასაფასებელი – როგორც მწერალი და როგორც მოქალაქე, რადგან ის სიტყვას საქმითაც განამტკიცებს. გორის უნივერსიტეტის რექტორი დღემდე მშობლიურ სოფელ დიცში ცხოვრობს და იქიდან დადის სამსახურში. ოჯახიც იქ ჰყავს და მისი შვილებიც დიცსის სკოლაში სწავლობენ. გორში „ცისკრის“ რედაქციის სტუმრობისას მითხვეს, რომ, რაც არ უნდა შეაგვინდეს, ერთი ღამითაც კი არ რჩება გორში, ისე მიიჩქარის თავისი სოფლისკენო, იმ სოფლისკენ, სადაც დარდითა და სულიერი ტკივილით სავსე პერსონაჟები ეგულებიან და, რომლებიც სიმწრით ინარჩუნებენ საკუთარ მიწა-წყალს. ჩვენს ქვეყანას კი ბევრი გიორგი სოსიაშვილი ესაჭიროება, ისეთი, „ძილშიც რომ არ სძინავს ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულსა“. ისევ გიორგი სოსიაშვილის სიტყვებს მოვიშველიებ და ვიტყვი: ვინ იცის, „იქნებ დადგეს ის დრო, რომ აღარასდროს აღარ აეწიოს ქართველს ჭიქა და გულმხურვალედ არ ეთქვას: „ემ ჩვენი მიტოვებული სოფლების სადლეგრძელო იყოს, პატრონს რო უცდის!“

ნიკოლოზ სანებლიძე

პეტერბურგული „ვერცხლის საუკუნე“ ჩართულად

ანდრეი ბელის „პეტერბურგს“ მოდერნიზმის სახარებას უწოდებდნენ მწერლის თანამედროვენი. ამ წიგნმა გასაოცარი გავლენა მოახდინა 10-20-იანი წლების მწერლობაზე. და არა მარტო რუსეთში, ჩვენშიც... დემნა შენგელაია ამბობდა 20-იანი წლების ახალგაზრდა ქართველ მწერლებზე: ანდრეი ბელი ჩვენი ღმერთი იყო. ალბათ, ამიტომაც გაუწიეს გულითადი მასპინძლობა ანდრეი ბელის ცისფერყანნელებმა და გრიგოლ რობაქიძემ, რომელთა პიროვნულ ხიბლსა და ინტელექტზე რუსი მწერალი დაუფარავად და ღრმა პატივისცემით საუბრობს თავის წიგნში „Ветер с Кавказа“.

„პეტერბურგი“ წინასწარმეტყველური წიგნიცაა. მისმა ავტორმა ამ რომანით, ფაქტობრივად, განჯვრიტა ის აპოკალიფსური ვითარება, რაც 1917 წლის, „წითელ რევოლუციას“ მოჰყვა რუსეთში. ამ მხრივ ანდრეი ბელის „პეტერბურგი“ შეიძლება შევადაროთ დოსტოევსკის რომანს „ეშმაქნი“.


გასაოცარია, მაგრამ წიგნი, რომელიც ასე პოპულარული იყო ჩვენში გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში, დღემდე არ ყოფილა ნათარგმნი ქართულად. მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ „პეტერბურგის“ თარგმნა იოლი საქმე არ გახლავთ – რომანი უამრავ პლასტს შეიცავს და მისი ენა და სტილიც მკვეთრად თავისებური და ინდივიდუალურია (ამაშიც ჩანს რომანის მოდერნისტულობა).

ასე რომ, „პეტერბურგის“ თარგმნა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში და უღრმესი მადლიერების გრძნობით განგვანყობს მთარგმნელის, **ნინო ქუთათელაძის** მიმართ (ა.გ.)

ანდრეი ბელის „პეტერბურგის“ ქართული თარგმანის გარეკანზე პეტრე პირველის ფალკონესეული ქანდაკების გამოსახულებაა. ეს შემთხვევითი როდია. იმპერატორის ქანდაკება რიგითი სიმბოლო კი არ არის, არამედ იმ საზრისის გაცხადებაა, რომელსაც რუსული სახელმწიფოს ადეპტები მისდევენ და ემორჩილებიან, აგერ, უკვე სამას წელზე მეტია. ოღონდ ესაა... ანდრეი

ბელი გვიჩვენებს, რომ „პეტერბურგისა“ და „პეტერბურგისდროინდელი“ რუსეთის იმპერია ფანტასმაგორიაა, რომელიც ქალაქურ ნისლსა და ნისლოვანებაში განქარდება. ამ თვალსაზრისით, ეს რომანი დიდი ავსტრიელი მწერლების რომანებს გვაგონებს, „რადეცკის მარშს“, მამა შტრაუსის ობერტონებში რომ წარმოგვიდგენს ვენას, ანდა „უთვისებო კაცს“, „კოშკას“ და

„პროცესზე“ რომ არაფერი ვთქვათ. რეალობა და წარმოსახვა ერთმანეთში ისე გადაჯაჭვულა, რომ ვერ გაიგებ, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. განსხვავება კი ის არის, რომ პეტერბურგისა და პეტერბურგული ცხოვრების „გზანი წამებისანი“ ანდრეი ბელისათვის შინაგანად ძლიერ ფსიქოლოგიურ რეევებთან დაკავშირებული არ არის და სწორედ ამიტომ მით უფრო თვალშისაცემია გადმოცემის ადეკვატურობა და პროგნოზის სიზუსტე. ამგვარი მხატვრული ობიექტივიზმი, აუჩქარებელი პულსი არის ბელისეული მოდერნიზმის ერთ-ერთი მოუცილებელი ნიშანი, ხოსე ორტეგა ი გასეტი ხელოვნების დეპუმანიზაციას რომ უწოდებს (თანაც პოზიტიური ესთეტიკური ნიშნით). ჩვენ თვალწინ გადაიშლება ჩვეული სამყაროს რიტ-მული რღვევისა და დაქუცმაცების პანორამა. რომანი ისეა აგებული, რომ მისი ცალკეული თავი და პასაუიც კი შინაგანად დამთავრებულია. ყოველ მათგანს საკუთარი აღქმით-სმენითი და ტემპო-რალური თავისთავადობა ახლავს. ამგვარი მოცემულობა არ უნდა ავურიოთ რიტმული პროზის ჩვეულ გაგებაში. სწორედ მეტრო-რიტმული და ჰარმონიული პოლიფუნქციურობა ქმნის ანდრეი ბელის ამ რომანის განსაკუთრებულ ატმოსფეროს, რომლის წევაც არა უბრალოდ ყოველ წინადადებაში, თითოეულ აქცენტშიც იგრძნობა და თითქმის გადაულახავ სიძნელებს უქმნის მთარგმნელს – ამიტომაც წინადადებები და მთლიანად ტექსტი კარგავს ინფორმაციის გადაცემის ფუნქციას



და სიტყვათა აზრობრივი და ფონემატური სტრუქტურის რღვევად აღიქმება. ოღონდ ეს რღვევა ნებისმიერი არ არის. რომანის სემანტიკური ველის ადეკვატური აღქმისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს უმცირეს არტიკულირებად ნაწილაკთა თავისებური ახმოვანება. ამიტომაც ანდრეი ბელი მოდერნისტული პოეტიკის ერთ-ერთ შემქმნელად გვევლინება და სწორედ ასეთია მოდერნისტული პოეტური პროზა.

ავტორის მნერლური პოზიცია და ოსტატობა ძალზე თავისებურია. ის მსჯავრდებულია; ნაოჭიანი სახე კი მის

სიახლოვეს დაიხარა: „მან ყურს შეხედა და მიხვდა, რომ ბებერი თურანელი აპოლონ აპოლონოვიჩია, სიბრძნის ყველა წესს რომ უნერგავდა; აი, ვისზე აღმართა მან ხელი“. დააკვირდით მეტონიმიურ თამაშს: სუბიექტის ნაცვლად – სახე, სახის ნაცვლად – ყური... და იქვე: „ბებერი თურანელი“. მეტონიმიური დაღმავალი რიგი უცებ კოსმიური აფეთქების რანგში გადადის, ამ-ფეთქებელი კი, უბრალოდ, ვინმე აპოლონ აპოლონოვიჩი კი არ არის, არა-მედ „სიბრძნის ყველა წესი“, კანტის კატეგორიათა აპარატის ჩათვლით. ამ ყველაფერს იტევს ერთი წინადადება, მართალია, სასვენი ნიშნებით ფრიად დატვირთული.

მეორე თავისებურება ნაწარმოებისა არის ინტელექტუალური თამაშის ვირტუოზული გაქანება. ამ თავისებურ ჰერმეტულ სამყაროში შესაღწევად უამრავი ინფორმაცია გჭირდებათ, თანაც ეს ინფორმაცია უბრალოდ კი არ უნდა იდოს თქვენს გონიერაში, არამედ უნდა

შეძლოთ მისით თამაში (არა გართობა) და ყველაფერმა ამან სიამოვნება უნდა მოგვაროთ, რადგან, თუკი ავტორი რაიმესაგან დისტანცირებას ცდილობს, ეს არის ტანჯვა-წამება, ლამენტოზური განწყობა. ტყუილად ხომ არ არის მთავარი გმირი აპოლონ აპოლონის ძე (ორმაგი აპოლონი). რასაკვირველია, ანდრე ბელი აქ ნიცშესაც ეთამაშება. აპოლონისა და დიონისეს ნიცშესეულ წყვილს სახეს უცვლის ორმაგი აპოლონით, თანაც ამ აპოლონის სახე არასდროს დაგავინწყდებათ – იქნებ, სიამოვნება არ მოგვაროთ, მაგრამ შთაბეჭდილებას უეჭველად მოახდენს.

აპოლონი ღრუბლებიდან შეუმჩნევლად გამოტყორცნის ისრებს, რათა მოაშთოს ქვემოთ მცხოვრები კუნძულები (პეტერბურგელები). შემთხვევითი როდია, რომ აპოლონ აპოლონოვიჩს ძალიან არ უყვარს პეტერბურგის კუნძულები (და, მაშასადამე, პეტერბურგიც, რადგან რა არის პეტერბურგი, თუ არა მისი კუნძულები?!). როგორც ჩანს, დედაქალაქის არქიტექტონიკა მის სივრცით-მათემატიკურ გემოვნებას შეურაცხყოფს. კუნძული ხომ პაუზას, წყვეტას ნიშნავს. აპოლონ აპოლონოვიჩი კი უსასრულობის მომხრეა, რომელიც რომანისეული გეომეტრიის შესაძლებლობათა რეალიზაცია იქნებოდა. ეს, ერთი მხრივ... მეორე მხრივ კი: ბელისეული აპოლონი ღრუბლების სახეს იღებს, თანაც ღრუბელთა მეტამორფოზები იმგვარი როდია, როგორც კლასიკური ოვიდიუსისებური. ღრუბლის სახეცვლილებანი ნებისმიერია, მათი ნინასწარი გამოცნობა კი შეუძლებელი. მათემატიკური ენა რომ მოვიშველიოთ: არახაზობრივი, მუსიკალურად კი ათემატური (არათემატური კი არა, ათემატური). ერთიანი შინაგანი ლოგიკა, შინაგანი კონსტანტური იმპულსი ამგვარ გარდაქმნებს არ გააჩნიათ. ყოველ რიგს თავისი სპეციფიკური ლოგიკა და თემა აქვს და თუ გსურთ

ის გამოიცნოთ, გარე-დამკვირვებლის, ერთი შეხედვით, მოხერხებული პოზიცია არ გამოგადგებათ. თავად უნდა იქცეთ ღრუბლის ქულად და ჩაერთოთ ამ ფერხულში. წერის ამგვარი მოდერნისტული სტილისტიკა პოეტიკურ და რიტორიკულ ფიგურებს შორის განსხვავებას ემყარება (ამის შესახებ უფრო დანწრობილებით იხილეთ ქვემოთ). ამიტომაც რომანში ერთი სამყარო კი არ არის წარმოდგენილი, არამედ უსასრულოდ ბევრი (და თანაც მუდმივად გაფართოებადი). ყოველ მათგანს საკუთარი ენა აქვს. ქართულ თარგმანში თქვენ ამ სამყაროთა გამოვლინებების სპეციფიკას თავისუფლად და თითქმის სრულად იგრძნობთ.

კიდევ ერთი რამ... უეჭველია, რომ მსოფლიო კატაკლიზმების შესაგრძნობად ანდრე ბელის „პეტერბურგიც“ ისევე გამოგადგებათ, როგორც, მაგალითად, რიხარდ ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“, ოლონდ რომანში ოპერისგან განსხვავებული პოლუსია წარმოდგენილი, ამ პოლუსთა კონტაქტი კი სამყაროსეული აფეთქების ეფექტს იძლევა. ეს ნანარმოები 1914 წელს გამოქვეწნდა და წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. სულ რაღაც ოთხ წელიწადში რომანში აღნერილი პეტერბურგი ერთხელ და სამუდამოდ გაქრა. და ეს წიგნი რომ არ იყოს, გაგვიჭირდებოდა კიდეც მისი წარმოდგენა, მისი სულიერი და ფიზიკური ტოპოგრაფიის დადგენა.

ქართული თარგმანის კითხვის დროს დამრჩა შთბაჭდილება, რომ მთარგმნების ენობრივი პოზიცია ცისფერყანწელებისას უახლოვდება, მათი გაქანება და სუნთქვა ისმის, ოლონდ აქ არის ერთი სხვაობა: ცისფერყანწელებს რომანი არ შეუქმნიათ, თუმცა მცდელობები ჰქონდათ. უეჭველია, რომ ეს მცდელობები წარმატებით დასრულდებოდა, ტოტალიტარული საბჭოთა სისტემის უხეში ჩარევა რომ არა.

რომანის სტაირულ დისტანციას მოზომილი ნაბიჯი და რიტმი სჭირდება. ამ თვალსაზრისით, ანდრეი ბელის „პეტერბურგის“ ქართული თარგმანი თითქოს ავსებს წყვეტას, რომელიც ქართულ მოდერნისტულ პროზაში არსებობს. ამიტომაც ის მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. წარმომიდგენია, რა ძალა შეალია მთარგმნელმა სამუშაოს, რამდენი რამ გაიაზრა, მოძებნა და გაიგო კიდეც. შედეგი ნამდვილად შთამბეჭდავია. ვფიქრობ, ახლა უკვე შეგვიძლია ქართული ენის ხმიერებას ბელის თავისებური ბარიტონიც მივათვალოთ.

საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში მთარგმნელის მიერ ჩატარებული სამუშაო სამომავლო წარმატებული შემოქმედებითი ექსპერიმენტების საფუძველი შეიძლება გახდეს. ლიტერატურული საქმიანობა ხომ, უპირველეს ყოვლისა, მუყაით გარჯას მოითხოვს, ხოლო წარმატება, მით უმეტეს, გამონათება, ცარიელ ადგილზე არ ხდება, თანაც თარგმნა ქართულად ხომ განმარტებას ნიშნავს (თარგმანება), ამგვარი საქმიანობა კი უბრალო ტრანსლაციას კი არ გულისხმობს, არამედ ერთი ენობრივი სამყაროს მეორეში გადატანას, მის პროექციას. ამგვარი პროექცია ყველა ენას საკუთარი აქვს, დროითა და სივრცით განსაზღვრული. ამიტომაც სულ სხვა შედეგს მივიღებდით, „პეტერბურგი“ ნახევარი საუკუნით ან ოცდახუთი წლით ადრე რომ ეთარგმანათ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ის მიმართულება, საითკენაც დღეს ქართულ ენას ეწევიან, სრულებითაც არ დაეხმარებოდა მთარგმნელს საკუთარ საქმიანობაში. ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებს ჩვენ თვალწინ თითქოს წონა ეკარგება, სილრმისეული ძიებები უარყოფილი და ზედაპირულად პაროდირებულია. ინტერტექსტუალური თამაშები გართობასა და ლუარსაბისეულ მცონარებას დაემსგავსა. პა-

რადლოქსი ის არის, რომ ანდრეი ბელიც მცონარობის თავისებურ ვარიანტს გვთავაზობს, ოლონდ ეს ძალზე სპეციფიკური, ინტელექტუალური მცონარობაა, როცა გონის მიერ წარმოქმნილი უმიზზით სტრუქტურები ხელშესახებ დროით-სივრცით მახასიათებლებს იძენენ. „პეტერბურგი“ სწორედ ამგვარი სტრუქტურების უსასრულო სიმრავლეს წარმოადგენს (გავიხსენოთ გალაკტიონისეული თქმა: „გაჩნდნენ ორხიდები ყოვლად უმიზზონი“). ამიტომაც მთარგმნელს უწევს, სიტყვიერ მასალას ზედაპირული ქაფი მოაცილოს, ენის აქტიური და პასიური ფორმები წონას-წორობაში მოიყვანოს.

რასაკვირველია, ანდრეი ბელის ამ რომანის თარგმანი ადრე რომ შესრულებულიყო (მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ან ოდნავ მოგვიანებით), ტექსტი სრულიად სხვა ენობრივ სამყაროში მოხვდებოდა და სხვა პოზიციას დაკავებდა. თანამედროვე ქართული მრავალ ისეთ თვისებას ავლენს, რომელიც მისთვის სრულიად ახალია და მხოლოდ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის შედეგი. ენის პასიური ფორმებისა და კონსტრუქციების მომდლავრება დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგია, თანაც ეს ურთიერთობა ენის მატარებელთა განსაკუთრებულ ფენას კი არ შეეხო, არამედ მათ უმრავლესობას. დღეს, მაგალითად, არავინ გადაგიხდით მადლობას ჩვეული ქართული ფორმით – გმადლობთ, უბრალოდ გეტყვიან – მადლობა, რაც ქართულისთვის ბუნებრივი არ არის. საინტერესოა, რომ დასავლეთევროპული ენებიდან თარგმნისას ეს ვითარება მოგებიანიც შეიძლება იყოს. რაც შეეხება რუსულ ენას, მას სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავია. რუსულში ბევრია პასიური ფორმა, თუმცა მას აქტიური ფორმებიც მოეპოვება და რაც მთავარია, რუსულ ენაში არსებობს სახელთა ბრუნების სრულუფლე-

ბიანი განვითარებული სისტემა, რაც სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობების რთულ სრულმასშტაპიან ველს ქმნის. მთარგმნელი ამ ფუნდამენტური ენობრივი ვითარებით გამოწვეულ სირთულეებს წარმატებულ გადაწყვეტას უძებნის. ამიტომ თარგმანი უზრალო პასიურ კალკს კი არ წარმოადგენს ორიგინალისას, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბელის რომანის თანამედროვე ქართული ენობრივი მსოფლჭვრეტის შედეგია. ასეთ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა გველაპარაკა რეკონსტრუქციაზე (დეკონსტრუქციის გამოყენებით).

როცა თარგმანს კითხულობ, ქართული ენის შესაძლებლობებს გრძნობდა არა მხოლოდ ენობრივი თხზვის თვალსაზრისით (რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მოდერნისტული პროზის თარგმნისას), არამედ ენობრივი აფეთქებების მწერლურ-მთრგმნელობითი მოთვინიერების თვალსაზრისითაც. ამ დროს სიახლე თავად კი არ კარნახობს ენას კანონს, არამედ ტექსტი ინვაციას ბუნებრივად მიუჩენს თავის ადგილს. სწორედ ეს არის მთარგმნელის ურთულესი პილოტაჟი, როდესაც უმაღლესი ხელოვნება აღგებრული პარმონიით უნდა შემოწმდეს. ვინმეს რომ მოეხოვა მოდერნიზმის მოკლე განმარტება, მე სწორედ ამას შევთავაზებდი – პარმონიის ალგებრა (გალაკტიონი ინტეგრალურ პოეზიას რომ უწოდებს. ინტეგრალს აქ მკაცრად მათემატიკური საზრისიც გააჩნია).

რასაკვირველია, „პეტერბურგის“ წარმატებულ მთარგმნელს ძალზე ფართო თეზაურუსი უნდა ჰქონდეს. აქ მხოლოდ იმაზე კი არ არის მინიშნება, რომ მრავალი კულტურული და ისტორიული ფაქტი მოიხსენიება რომანში, არამედ უმთავრესად ის, რომ რომანის ავტორი ამ ფაქტებისადმი თავისებურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და ეს დამოკიდებულება „პეტერბურგის“ ეს-

თეტიკის მოუცილებელი ნაწილია (შტა-ინერის თეოსოფიის ჩათვლით). წარმოიდგინეთ, რა რთული იქნებოდა ამგვარი თამაშების ქართულ ენაზე გადმოტანა. ამ სიძნელეს მთარგმნელმა ოსტატურად გაართვა თავი. ცხადია, არც ის არის შემთხვევითი, რომ თარგმანს განმარტებების სოლიდური ბაზა ახლავს. უნდა აღვინიშნოთ, რომ ამ ბაზაში არ არის არც ერთი თვალში საცემი შეცდომა. ასე რომ, წიგნს შემეცნებით-საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს, რაც, დღევანდელი კულტურული ვითარების გათვალისწინებით, სრულებითაც არ არის უმნიშვნელო.

მთარგმნელმა მრავალი რთული ამოცანა გადაწყვიტა, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკურია წონას-წორობის დაცვა რომანის პოეტიკურ და რიტორიკულ სტილისტიკას შორის. რომანის რიტორიკული სტილისტიკა გულისხმობს ერთი პერსონაჟის (მაგალითად, აპოლონ აპოლონოვიჩის) მიზანმიმართულ ზემოქმედებას სხვა პერსონაჟებზე გარკვეული ქცევითი ეფექტის მისაღწევად. რასაკვირველია, ამგვარ რიტორიკულ სტილისტიკას მეორე განზომილებაც აქვს – ავტორისეული განზომილება, როცა ავტორი კარნახობს ნებას რომანის პერსონაჟებს და ირიბად – მკითხველს. რიტორიკული სტილისტიკა ტრანსლინგვისტურია, ანუ მიზანმიმართულად გადის ენობრივი სისტემის გარეთ, გიბიძგებს ქმედებისაკენ და არა უბრალოდ ესთეტიკური განცდისაკენ. პოეტიკური სტილისტიკა კი უშუალო ენობრივი მოცემულობაა და თვითკმარ ენობრივ ტრანსფორმაციებს გულისხმობს. რომანში ეს წონას-წორობა რიტორიკულის სასარგებლოდ არის დარღვეული. პოეტიკასა და რიტორიკას შორის ამგვარ თანაფარდობას დრო განაპირობებს. ეპოქა ისეთია, რომ ყოველი შესაძლო სამყარო შეიძლება განამდვილდეს; თანაც-ლაიბნიცის ხედვის სანინალმდევოდ –

ყველაზე უარესი სამყარო. ქართული თარგმანი ამ ვითარებას ადეკვატურად გადმოსცემს, რაც მთარგმნელის დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.


ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს, რომ ამ რომანის წაკითხვა გართობის მიზნით შეუძლებელია. რაც შეეხება თამაშს, რომანში იმდენი თამაშია, რომ რომელიმე შრეს აუცილებლად გამოტოვებთ. მთავარია, არ გამოგრჩეთ ბედთან თამაში, უკეთ – საბედისწერო თამაში, რომელსაც ანდრეი ბელი ასე დაჟინებით და დიდი ოსტატობით წარმართავს. ამ თვალსაზრისით რომ შევადაროთ ერთმენტს თარგმანი და ორიგინალი და უბრალოდ დავითვალოთ ეს თამაშები, თარგმანი, ბუნებრივია, ჩამორჩება ორიგინალს, მაგრამ აქ არ არის გამოტოვებული არც ერთი მნიშვნელოვანი თანაფარდობა

თუ კორელაცია და რაც მთავარია, თამაში არსად არ იქცევა ბანალურ გართობად, რაც ასე გაუადვილებდა საქმეს როგორც მთარგმნელს, ისე მკითხველს, მაგრამ ბევრ რამეს დააკლებდა რომანს და ანდრეი ბელის მწერლურ რანგსაც.

ამ წიგნის კითხვა იოლი არ არის (ჩემი აზრით, სა-

ერთოდ არაფერი ღირებული არ არის იოლი), დიდ განაფვასა და „ფორმაში ყოფნას“ მოითხოვს, მაგრამ, ვისაც არც დრო დაენანება და არც საკუთარი თავი, მან შეიძლება ბევრი რამე გაუგოს პოსტმოდერნიზმს (და პოსტმოდერნსაც), რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ მათი საწყისების ცოდნის გარეშე საუბარი მხოლოდ ზედაპირული და არაფრის მომცემია. ანდრეი ბელის რომანი ამგვარი შემეცნებითი არქეოლოგიის ნაწილი შეიძლება გახდეს მკითხველისათვის (თუკი იგი ამას მოისურვებს).

მადლობა ეკუთვნის გამომცემლობა „არტანუჯსაც“, რომელმაც საკმაოდ რიგიანად გამოსცა წიგნი, თანაც, კორექტურული შეცდომების მოჭარბების გარეშე.



რედიარდ კიპლინგი

კურუნ ბჰებატის სასწაული

(ნოველა „ჯუნგლის წიგნიდან“)

ლანგურების სამგლოვიარო სიმღერა

ლამით ვიგრძენით, დედამიწას ელოდა რყევა,
მივეპარეთ, რომ დამხმარე ხელს გამოჰყოლოდა,
რადგან გვიყვარდა, ეს ვიცოდით და როგორც ჩვევას
ვერ ჩაეწვდომოდით, არ გვესმოდა კარგად ბოლომდე.

როცა კლდის ქიმი ჩამოიქცა გრიალით, ზათქით,
როცა სამყარო ტალახმა და წვიმამ შელახა,
დასახმარებლად ჩვენი ხალხი მიაწყდა ადგილს,
მაგრამ, ავაი! ალარ მოვა იგი ხელახლა!

იგლოვეთ! იგი სიყვარულის გამო ვიხსენით,
მხოლოდ ველურს რომ შეუძლია ველურ მხარეში.
იგლოვეთ! ჩვენი ძმა ვერ მოვა ჩვენთან ისევე,
მისი მსგავსნი კი გვაძევებენ მოუსავლეთში!

ინდოეთში ერთ დროს ცხოვრობდა კაცი, ვისაც ქვეყნის ჩრდილო-დასავ-ლეთ რეგიონში მდებარე ერთ-ერთი სანახევროდ დამოუკიდებელი სახელ-მწიფოს პრემიერ-მინისტრის თანამ-დებობა ეკავა. იგი ბრამინების კასტას ეკუთვნოდა და იმდენად მაღალი წარ-მომავლობისა გახლდათ, რომ წარმო-მავლობას აღარაფრად აგდებდა; თა-ვის დროზე მისი მამაც ათასი ჯურის იმ ჭრელაჭრულა კარისკაცთა რიგებს ეკუთვნოდა, ძველი ყაიდის რომელი-ლაც ინდოელ ხელისუფალს გარს რომ ეხვივნენ. მაგრამ პურუნ დასი, რო-გორც კი წამოიზარდა, მაშინვე მიხვდა,

რომ ძველ წესრიგს ყავლი გაუვიდა და თუკი წარმატების მიღწევა სურდა, უსათუოდ ინგლისელებთან უნდა და-ემყარებინა კარგი დამოკიდებულება, ყველაფერში იმ ნიმუშისთვის მიებაძა, მათ რომ მისაღებად მიაჩნდათ. ამავე დროს, ადგილობრივი წარმოშობის ჩი-ნოსანს თავისი უშუალო ბატონის კე-თილგანწყობის შენარჩუნებაც უწევდა. ეს ურთულესი თამაში გახლდათ, მაგ-რამ ახალგაზრდა ბრამინი უშეცდომოდ მოქმედებდა, რაშიც ბომბეის უნივერ-სიტეტში მიღებულმა ჩინებულმა ბრი-ტანულმა განათლებამაც შეუწყო ხელი, ნაბიჯ-ნაბიჯ აიარა სოციალური კიბე

და საბოლოოდ სამეფოს პრემიერ-მინისტრი შეიქნა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რეალურად თავის ბატონზე, მაჲრაჯაზე უფრო დიდ ძალაუფლებასაც კი მიაღწია.

მოხუცი ხელმწიფე, ეჭვით რომ უყურებდა ინგლისელებს, მათ რეინიგზებსა და ტელეგრაფებს, გარდაიცვალა, ინგლისელი პედაგოგის მიერ აღზრდილმა მისმა მემკვიდრემ კი პურუნდასს სრული ნდობა გამოუცხადა; მინისტრი, ცხადია, მუდამ ცდილობდა, ბატონისათვის დაეთმო ინიციატივის უპირატესობა, მაგრამ სინამდვილეში ისინი ერთობლივად აარსებდნენ სკოლებს გოგონებისათვის, გაჰყავდათ გზები, ატარებდნენ საქველმოქმედო ლონისძიებებს და აწყობდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენებს, გამოსცემდნენ ყოველწლიურ ალმანახს სახელწოდებით „სახელმწიფოს მორალური და მატერიალური განვითარება“. საგარეო საქმეთა სამინისტროც და ინდოეთის მთავრობაც ფრიად კმაყოფილი იყო მათი საქმიანობით. ადგილობრივი სახელმწიფოები ძალზე იშვიათად უწყობდნენ ფეხს ბრიტანულ პროგრესს, რადგანაც არ იზიარებდნენ იმ რჩმენას, რასაც პურუნ დასი გამოხატავდა თავისი ყოველი ქმედებით: რაც ინგლისელისთვის სასარგებლოა, ის ორმაგად სასარგებლო უნდა იყოს აზიატისათვის. პრემიერ-მინისტრმა ვიცე-მეფის, გუბერნატორებისა და მათი თანაშემწეების დიდი პატივისცემა დაიმსახურა, დაუმეტებლდა სამედიცინო და რელიგიური მისიების წარმომადგენლებს და ჯირითით გატაცებულ ინგლისელ ოფიციელს, სახელმწიფო ნაკრძალებში სანადიროდ რომ ჩამოდიოდნენ, ასევე, ყველა იმ გიდსა და ტურისტს, გრილ ამინდებში მთელ ინდოეთს რომ მოედებოდნენ ხოლმე და გაუთავებლად ქვეყნის მოვლა-პატრონობის თაობაზე მასლაათობდნენ. თავისუფალ დროს აწესებდა სტიპენდიებს მედიცინის შემ-

სწავლელთათვის და ხსნიდა ინგლისური ტიპის საწარმოებს, ინდოეთის მთავარ, ყოველდღიურ გაზეთ „პიონერში“ აქვეყნებდა წერილებს, სადაც თავისი ხელმწიფის მიზნებისა და პროექტების განმარტებას ახდენდა.

საბოლოოდ, ოფიციალური ვიზიტით ეწვია ინგლისს, ხოლო შინ დაბრუნებულს სამღვდელოებისათვის კოლონიალური თანხის გადახდა მოუწია, რადგანაც თვით პურუნ დასისთანა მაღალი ბრამინისთვისაც კი ბეჭედი იკეანის გადალახვა კასტის შებდალვას ნიშნავდა. ლონდონში შეხვდა უკლებლივ ყველას, ვისი ნახვაც კი რაიმედ ლირდა და ვისი სახელებიც მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი, და იმაზე ბევრად მეტი რამ ნახა, რაც შემდგომში გაამხილა. უნივერსიტეტებმა ბევრი საპატიო წოდება მიანიჭეს; საღამოს კაბებში გამოწყობილი ინგლისელი ქალბატონების წინაშე არაერთი სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის საგანგებო რეფორმის შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, მთელი ლონდონი მხოლოდ ამასდა გაიძახოდა, ასეთ შესანიშნავ ადამიანთან ერთად მას შემდეგ არ გვისადილია, რაც ამქვეყნად პირველი სუფრა გაიშალაო.

ინდოეთში დაბრუნებისთანავე ბრწყინვალე ტრიუმფი ელოდა, რადგანაც მის სახელმწიფოს თავად ვიცე-მეფე ეწვია ვიზიტად და საკუთარი ხელით უბოძა მაჲრაჯას ბრილიანტებით, მინანქრითა და ზონრებით შემკული ინდოეთის დიდი ვარსკვლავიანი ჯვარი. ამავე ცერემონიაზე, ზარბაზნების გრიალის თანხლებით, პურუნ დასს მიენიჭა ინდოეთის იმპერიის ორდენის კეთილშობილი რაინდის წოდება, ასე რომ, ამიერიდან მისი სახელი სრულად ასე გამოითქმოდა: სერ პურუნ დასი, იიოკრ.

იმ საღამოს ვიცე-მეფის კარავში გამართულ ბანკეტზე ორდენის მედალიონითა და თასმით მკერდდამშვენებული პურუნ დასი ფეხზე წამოდგა და ისეთი

დახვეწილი სიტყვებით წარმოთქვა თავისი ხელმწიფის სადღეგრძელო, ბევრინგლისელს რომ შეშურდებოდა.

ერთი თვის შემდეგ კი, როდესაც ქალაქმა კვლავ მშვიდად ჩათვლიმა მწველი მზის სხივებში, მინისტრმა ისეთი რამ ჩაიდინა, არც ერთ ინგლისელს აზრადაც რომ არ მოუვიდოდა: ამა სოფლის საქმეებისათვის გარდაიცვალა. ძვირფასი თვლებით მოჭედილი მისი სარაინდო მედალიონი კვლავ ინდოეთის მთავრობას დაუბრუნდა, ახალი პრემიერ-მინისტრი უკვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას და ყველა დაქვემდებარებულ ინსტანციაში თანამდებობებზე ნადირობა დაიწყო. სამღვდელოებამ მაღლე შეიტყო მომხდარის შესახებ, ხალხიც გუმანით გრძნობდა ცვლილებათა მოახლოებას; მაგრამ ინდოეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც კაცს შეუძლია ისე აისრულოს საწადელი, რომ ახსნა-განმარტებას არავინ მოსთხოვს. არავის გაჰკვირვებია ის ამბავი, რომ დევანმა პურუნ დასმა, იიოკრ, უარი თქვა თავის თანამდებობაზე, სასახლესა და ძალაუფლებაზე, ხელში მათხოვრის ფიალა დაიკავა და სანიასინის, ანუ ღვთის კაცის უანგმინისფერი კაბით შეიმოსა. ძველი კანონის თანამად, ყმანვილობის თორმეტი წელიწადის შემდგომ თორმეტი წელი მხედრად იწოდებოდა — თუმცა იარაღი არასოდეს სჭერია ხელში — და, კიდევ თორმეტი წელიწადი ოჯახის თავკაცის მოვალეობებს ასრულებდა. სიმდიდრესა და ძალაუფლებას იმისთვის იყენებდა, რაც, მისი

აზრით, მათ დანიშნულებას წარმოადგენდა; დიდებას არ გაურბოდა; შინ და გარეთ ურიცხვი ადამიანი და ქალაქი უნახავს და ადამიანებმაც და ქალაქებმაც მის წინაშე უკლებლივ მოიდრიკეს ქედი. აი, ეს ყოველივე მოსასხამივით ჩამოიხსნა და უკან მოიტოვა.

ქალაქის კარიბჭე რომ გამოიარა, მელავევეშ ანტილოპის ტყავი და თითბრისტარიანი ყავარჯენი ჰქონდა ამოდებული, ხელში ქოქოსის მერქნის მინისფერი, გლუვი თასი ეჭირა, მარტოდმარტო მიაბიჯებდა, ფეხშიშველი, მზერა მინისაკენ მიეპყრო, მის ზურგს უკან კი გალავნიდან მისი იღბლიანი მონაცვლის საპატივცემულოდ ზარბაზანმა დასჭექა. პურუნ დასმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა. ის ძველი ცხოვრება დასრულდა; მისი გახსენე-



ბა ლამის ფერმკრთალ ზმანებასავით აღარც სიხარულს ანიჭებდა და აღარც მწუხარებას. დღეიდან ის სანიასინი იყო – უსახლეარო გლახაკი, არსობის პურს მოყვასისგან რომ მოელოდა. ხოლო, ვიდრე ინდოეთში პურის ერთი ნამცეცი მაინც დარჩება გასაყოფი, არც ქურუმს და არც გლახაკს შიმშილით არ ამოხდება სული. სიცოცხლეში არასოდეს გაუსინჯავს ხორცის გემო და თევზიც კი იშვიათად უჭამია. ხუთფუნტიანი ბანკონტი მთლიანად დაფარავდა მისი კვების ხარჯებს ნებისმიერი ნელინადის მანძილზე იმხანად, როცა ის მილიონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო. მაშინაც კი, როდესაც ლონდონში სტუმრობისას ცამდე აიყვანეს, თვალწინ გამუდმებით ედგა მშვიდი და უშეფოთველი არსებობის საოცნებო სურათი – ინდოეთის უსასრულო, თეთრი, მტვრიანი შარა, აუჩქარებლად მოსიარულე მგზავრთა შიშველი ტერფების ანაბეჭდებით აჭრელებული, და შებინდებისას გზის პირას ლელვების ძირას დანთებულ კოცონთა კვამლის სუნი ენატრებოდა.

დიდი ხნის ოცნების ასრულების ჟამბა რომ მოატანა, პრემიერ-მინისტრმა აუცილებელი ზომები მიიღო და სამი დღის შემდეგ ატლანტის ოკეანის ზედაპირზე უფრო ადვილად იპოვიდით წყლის ბუშტულას, ვიდრე პურუნ დასს ინდოეთის მედინ, მოფუთფუთე მილიონთა შორის.

შეღამებისას სადაც წყვდიადი მიუსწოდდა, ანტილოპის ტყავს იქ გაიფენდა – ხან სანიასინთა გზისპირა მონასტერში; ხან კალა-პირის სამლოცველოს თიხის სვეტებთან, სადაც იოგები, ღვთის კაცთა კიდევ ერთი იდუმალი გუნდი, საკადრისი პატივით ხვდებოდნენ, როგორც ერთ იმათგანს, ვინც კარგად უწყის კასტებისა და დაჯგუფებების ფასი; ხანაც ინდუსთა რომელიმე სოფლის განაპირას, სადაც ბავშვებს გაუბედავად მოჰკონდათ მასთან

მშობლების გამოტანებული სარჩო; და ხანაც ტრიალ მინდორში, საძოვარი ადგილების ახლომახლო, სადაც ფიჩხით დანთებული ცეცხლის ტკაცანი მთვლემარე აქლემებს აფრთხობდა. პურუნ დასისთვის ან, უფრო სწორად, პურუნ ბჟაგატისთვის, – რაკილა ამიერიდან ასე უწოდებდა საკუთარ თავს – სულ ერთი იყო, ლამეს სად გაათენებდა. ეს ქვეყანა, ადამიანები თუ ლუკმა-პური – ახლა უკვე აღარაფერს არჩევდა. ტერფებს თავადვე მიჰყავდათ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით: სამხრეთიდან როტაკისაკენ, როტაკიდან კარნულისაკენ, კარნულიდან იავარქმნილი სამანასაკენ, შემდეგ კი მდინარე გჰა-გარის გამშრალი კალაპოტის გასწვრივ, მხოლოდ წვიმიან სეზონში რომ ივსება წყლით და ასე მაღლა, სულ მაღლა მიინევდა, ვიდრე ერთ დღეს ჰიმალაის შორი ქედები არ დალანდა.

პურუნ ბჟაგატს გაეღიმა, რადგან გაახსენდა, რომ დედამისი მთის ქალი იყო, კულუს ხეობაში მობინადრე რაჯპუტთა ტომის ბრამინთა ასული, დღემუდამ თოვლიანი მწვერვალების მონატრება რომ კლავდა, და ისიც მოაგონდა, რომ თუ კაცს მთის მოდგმის ერთი წვეთი სისხლი მაინც ურევია, ადრე თუ გვიან უსათუოდ სამშობლოს დაუბრუნდება.

– იქ, მაღლა, – წარმოთქვა პურუნ ბჟაგატმა, როდესაც სახით სიალიკის ქვემო ფერდობებისაკენ შეტრიალდა, სადაც კაქტუსები შვიდსანთლიან ვეება შანდლებად აღმართულიყვნენ, – იქ, მაღლა უნდა დავიდო ბინა და ჭეშმარიტებას დავეწაფო, – და ჰიმალაის მწვერვალებიდან ჩამონაქროლი ცივი ქარის ზუზუნი ჩაესმა სიმლას გზაზე მიმავალს.

უკანასკნელად ეს გზა აქ მხედართა მოუღარუნე ესკორტთან ერთად გამოიარა, ოფიციალური ვიზიტით რომ ეახლა ქვეყნად ყველაზე დაცვენილ და თავაზიან ვიცე-მეფეს. ერთი საათი ისაუბრეს ლონდონში საერთო მეგობ-

რების შესახებ და იმასაც შეეხნენ, თუ სინამდვილეში რა აზრისა იყო უბრალო ინდოელი ხალხი ამა თუ იმ საკითხზე. ამჯერად არავის სწევევია, გზისპირა მოაჯირს დაყრდნობილი ორმოცი მილის სიმაღლიდან დიდხანს გასცერდა დიდებულად გადაშლილ ხეობას, ვიდრე ადგილობრივმა მუსლიმმა პოლიციელმა არ მიუთითა, საგზაო მოძრაობას აფერებო. ამის გამგონე პურუნ ბჟაგატმა კანონის წინაშე მოწინებით მოიხარა ქედი, რაკი ჩინებულად ესმოდა მისი მნიშვნელობა და რაკი თავად საკუთარ კანონს ეძიებდა, სვლა განაგრძო და ლამით ჩოტა-სიმლაზე ეულად მობუზულ მიტოვებულ ქოხმახში ეძინა; ეს ეული ადგილი მიწის დასალიერი გეგონებოდა, არადა მხოლოდ დასაწყისი იყო მისი მოგზაურობისა.

ჰიმალაია-ტიბეტის გზას აუყვა, კლდეში გამოჭრილ ათი ფუტის სიგანის ბილიკს, ზოგან ათასი ფუტის სიღრმის ლელების თავზე ხის კოჭებს რომ ეყრდნობოდა; ეს გზა ხან თბილ, ნოტიო, დახშულ ხეობებში ჩადიოდა, ხანაც მეჩერი ბალახით დაფარულ კლდოვან ფერდობებს ეკვროდა, სადაც მზე სანთებელა მინასავით მწველია; ხან კი წყლით გაუდენთილ, ბნელ ტევრებში მიიკლაკნება, სადაც ფესვიდან კენწერომდე ლიანებშემოხვეულ ხეებს შორის ხოხობი უხმობს თავის გულისსწორს. გზად ტიბეტელი მწყემსები შეხვდნენ, ძალებთან ერთად ფარას რომ მიჰყებოდნენ, თითოეულ ცხვარს ზურგზე ბორაკით სავსე ტოპრაკი ეკიდა. მოხეტიალე ტყის მჭრელებიც შემოხვდნენ, ინდოეთში მოსალოცად მიმავალი, მოსასხამებში შებურული ტიბეტელი ლამებიც და მთიანეთში ჩაკარგული ციცქნა სახელმწიფოების დესპანებიც, თავიანთ ჩია ალმაკ ცხენებს გაცხარებით რომ მიაჭენებდნენ; ზოგჯერ წინ მეზობელთან სტუმრად მიმავალი რომელიმე რაჯას ამალაც ჩაუვლიდა. ზოგჯერ კი ისეთი ნათელი და მშვიდი დღეებიც

ყოფილა, როდესაც ქვევით, ხეობაში მობურდლუნე და მოფათურე დათვის გარდა არავინ შეუნიშნავს. მოგზაურობის დასაწყისში ყურები ჯერაც უკან მოტოვებული სამყაროს ყაყანით ჰქონდა სავსე, ისევე, როგორც გვირაბიდან გამოსული მატარებლის მგზავრებს დიდხანს ჩაესმით ყრუ გუგუნი; მაგრამ მას შემდეგ, რაც მატიანას გასასვლელი გამოიარა, პურუნ ბჟაგატი საკუთარ თავთან მარტო დარჩა, გარინდული მიაბიჯებდა, თვალები მიწისკენ დაეხარა, ფიქრები კი ღრუბლებისაკენ აღეპყორ.

ერთ საღამოს ყველაზე მაღალი ულელტეხილი გადაიარა, რაც კი მანამდე შეხვედრია. ორი დღე მიცოცავდა აღმართში და მის პირისპირ დათოვლილ მწვერვალთა ქედი აღიმართა, მთელ ჰორიზონტს რომ ფარავდა – თხუთმეტი-ოცი ათასი ფუტის სიმაღლის მთები ისე ახლოს იდგნენ, ეჩვენებოდა, ქვას ადვილად მოვახვედრებო, სინამდვილეში კი ორმოცდათი ან სულაც სამოცი მილი აშორებდა მათგან. ულელტეხილს ხშირი, დაბურული ტყე ამკობდა – კედარი, თხილი, ველური ალუბალი, ზეთისხილი და ველური მსხალი, უმეტესად კი მაინც ადგილობრივი ჯიშის ჰიმალაის კედარი; ხოლო კედართა ჩრდილში კალის მივიწყებული სალოცავი აღმართულიყო. ამ ქალღმერთს დურგასაც უწოდებენ და ზოგჯერ ყვავილით დასნეულებულთა მფარველ შიგალასთანაც აიგივებენ.

პურუნ დასმა ქვის ფილები გადახვეტა, სახეგაბადრულ ქანდაკებას გაუღიმა, სამსხვერპლოს უკან თიხისაგან პატარა კერია აიშენა, ანტილპის ტყავი ახლად შეგროვილი წინვების გროვაზე დაიფინა, თითბრისტარიან ყავარჯენს, „ბაირაგს“, დაეყრდნო და მოსასვენებლად ჩამოჯდა.

ზუსტად მის ფეხებთან სიპი კლდე ათას ხუთასი ფუტის სიმაღლიდან ეშვებოდა, მის ძირს თიხით გადახურული ქვის სახლების პატარა გუნდი ეკვრო-

და. სოფლის გარშემო მთის კალთაზე ტერასებად გაშენებული ციცქანა ყანები ჭრელი ჭინჭებით ნაკემსი საბანივით ეფინა. კალოების მოსუფთავებულ წრეებს შორის ხოჭოსოდენა ძროხები ბალახობდნენ. როდესაც ხეობას მაღლიდან გადაჰყურებ, თვალი გატყუებს, საგანთა ნამდილ ზომას ვერ არჩევ: მოპირდაპირე ფერდობზე შეფენილ დაბალ ბუჩქნარად რაც მოგეჩვენა, ასფუტიანი ფიჭვების ტყე აღმოჩნდება. პურუნ ბჟაგატმა თვალი გააყოლა ვეება ლრმულის გადასაკვეთად აფრენილ არწივს, მაგრამ ვიდრე ხეობის შუამდე მიაღწევდა, უკვე ისე დაპატარავდა, მხოლოდ წერტილადღა მოჩანდა. ქარი დაძენილი ღრუბლების ორიოდ ნაგლეჯს ხეობაში აღმა-დალმა დააქროლებდა, ხან კლდის ფერდს მიაფენდა, ხანაც მაღლა აიტაცებდა და მწვერვალების თავზე გააქრობდა. და პურუნ ბჟაგატმაც თქვა, სიმშვიდეს აქ ვიპოვიო.

მთის მაცხოვრებლისათვის რამდენიმე ასეული ფუტი არაფერს ნიშნავს და ამიტომაც, როგორც კი სოფლელებმა მიტოვებული სალოცავის თავზე კვამლი შენიშნეს, მათი ქურუმი კლდეზე შეფენილ ტერასებს ამოუყვა, რათა ახლად მოსული უცნობისათვის სალამი ეთქვა.

როგორც კი პურუნ ბჟაგატს ჩახედა თვალებში, რომელთა მზერასაც მილიონები ჰმორჩილებდნენ, წამსვე მიწამდე დაიხარა, უსიტყვოდ ჩამოართვა წყალობის თასი და სოფელში დაბრუნებული ასე ამბობდა: როგორც იქნა, ღვთის კაცი მოგვევლინა. მისი მსგავსი არასოდეს მინახავს. ბარიდანაა, მაგრამ ღია ფერის კანი აქვს, ბრამინთაგან გამორჩეული უნდა იყოს. სოფლის ყველა დიასახლისმა ერთხმად იყითხა, ჩვენთან დარჩენას თუ აპირებსო, და არც ერთს არ დაუშერია ძალ-ღონე ბჟაგატისათვის უგემრიელესი კერძის მოსამზადებლად. მთაში საკვები მწირი და უბრალოა, მაგრამ მარჯვე ქალს მაინც

არ გაუჭირდება წიწიბურას, ინდური ხორბლის, ბრინჯისა და წითელი წიწაკის, ხეობის ნაკადში დაჭერილი მომცრო თევზისა და კლდეზე მიფენილი კუბოკრული ქსოვილის მსგავსი სკებიდან გამოღებული თაფლის, ჭერმის ჩირის, ველური ზარდაბშოსა და ფქვილისაგან მშვენიერი ნუგბარის მომზადება, ჰოდა, ქურუმიც პირამდე გავსებული თასით დაუბრუნდა ბჟაგატს. აქ თუ დარჩებიო, ჰკითხა მღვდელმა. წყალობის შესაგროვებლად „ჩელა“, ანუ მონაფე თუ დაგჭირდებაო? თბილი საბანი თუ გაქვსო? საკვები თუ გეამაო?

პურუნ ბჟაგატმა ჭამა და მწყალობელს მაღლობა მოახსენა. დარჩენას მართლაც აპირებდა. ეს საკმარისია, თქვა ქურუმმა, თასი ყოველდღიურად სალოცავის წინ, აგრ იმ ორ გადახლართულ ფესვს შუა დადგი და საკვებს არ მოგაკლებთო. რადგან სოფლისათვის დიდი პატივია გვერდში ასეთი ადამიანის ყოლაო, ესეც დაუმატა და ბჟაგატს თვინიერად ახედა.

პურუნ ბჟაგატის მოგზაურობანი იმ დღეს დასრულდა. მან თავისი კუთვნილი ადგილი იპოვა: აქ სიმშვიდეც იყო და სივრცეც. ამიერიდან დროს მისთვის დინება შეეწყვიტა და სალოცავის თაღქვეშ მჯდომი თავადაც ვერ იტყოდა, ცოცხალი იყო თუ უკვე გარდაიცვალა; აღაც ის ახსოვდა, კაცი იყო, საკუთარ სხეულს სრულყოფილად რომ აკონტროლებდა, ან იქნებ ამ კლდეების, ღრუბლების, მზის სხივების ანდა ჩუმი წვიმის ნაწილი გამხდარიყო. უძრავად იჯდა და გულში უსასრულოდ იმეორებდა ერთადერთ სახელს, ვიდრე არ იგრძნო, რომ ყოველი განმეორებისას საკუთარ სხეულს სულ უფრო შორდებოდა, მაღლდებოდა და რაღაც მომნუსხველი აღმოჩენის კარიბჭეს აღწევდა; მაგრამ, როგორც კი კარი იღებოდა, სხეული მაშინვე უკან ქაჩავდა და სინანულით გრძნობდა, რომ კვლავაც პურუნ ბჟაგატის ძვალსა და რბილში უნდა გამომწყვდეულიყო.

ყოველ დილით უხმოდ უდგამდნენ წყალობის თასს სალოცავის წინ, ხის ფესვების ხლართებში. ზოგჯერ ამას ქურუმი აკეთებდა, ზოგჯერ კი მეწ-ვრილმანე ვაჭარი ამობობლდებოდა, წარმოშობით ლადაკი, ვისაც ღვთის კაცის გულის მოგება სურდა. უფრო ხშირად კი სადილი იმ ქალს მოჰქონდა, ვისაც წინა ლამით მისი მომზადების რიგი უწევდა. ახლოს რომ მივიდოდა, სუნთქვაზე სულ ოდნავ ხმამაღალი ჩურჩულით ამოთქვამდა: „შეავედრე ჩემი თავი ლმერთებს, ბჟაგატ. მომიხ-სენიე ესა და ეს, ამა და ამ კაცის ცოლი!“ დროდადრო ამ საპატიო საქმეს რომელიმე თამამ ბავშვს ავალებდნენ და პურუნ ბჟაგატს ესმოდა, სასწრა-ფოდ როგორ დგამდა თასს დათქმულ ადგილას და წამსვე ისე სწრაფად გარ-ბოდა, რაც კი მის პანია ფეხებს შეეძლო; თვით ბჟაგატი კი არასოდეს ჩასუ-ლა სოფელში. განა ისედაც რუკასავით თვალწინ არ ჰქონდა გადაშლილი? სა-ლამობით თემის შეკრებებს ადვინებდა თვალს, რომელიმე კალოს ირგვლივ, წრეზე რომ ეწყობოდა, რადგანაც კა-ლო ამ არემარეში ერთადერთი მოსწრო-რებული ადგილი გახლდათ; ხედავდა ახლად აბიბინებული ბრინჯის საოცარ, ყოვლად აღუწერელ სიმწვანეს, ხორ-ბლის ინდიგოსფერ ლივლივს, წინიბუ-რას ფოთლებით მოფენილ ნაკვეთებს, მჟაუნას რომ მოგაგონებდათ და, როცა ყვავილობის ჟამი მოუწევდა, მეწამულ ამარანტს, რომლის ციცქანა თესლი, არც მარცვალი რომ არ ეთქმოდა, არც ცერცვი, სჯულმა ინდოელებს სამარ-ხვო საკვებად დაუნესა.

ზაფხულის მიწურულს სოფლის ყო-ველი ქოხის ბანი წმინდა ოქროსაგან გამოჭრილ კვადრატულ ფილას ემსგავ-სებოდა, რადგანაც ხორბლის მოსავალს სწორედ ბანებზე ფენდნენ გასაშრობად. ფუტკრების გამოზამთრება და ჭირნახუ-ლის აღება, ბრინჯის თესვა და კალოობა ბჟაგატის თვალწინ მინდვრების ჭრელ

ქსოვილებზე იქარგებოდა და კვლავ იშ-ლებოდა, ისიც ამ ყოველივეს უფიქრდე-ბოდა და იმის წვდომას ცდილობდა, თუ მარადისობის გადასახელიდან რას უნდა ნიშნავდეს მთელი ეს საქმიანობანი.

თვით უმჭიდროესად დასახლებულ ინდოეთშიც კი კაცი უძრავად ერთ დღეს ვერ გაჩერდება ისე, რომ მის თავზე ველურმა მხეცებმა არ გაინა-ვარდონ, თითქოს კაცი კი არა, ლოდი ყოფილიყოს. და ამ უდაბურ კლდოვან მხარეშიც კალის სალოცავის სიახლო-ვეს გაშინაურებული მხეცები მალევე დაუბრუნდნენ ჩვეულ ადგილს, დაუ-ბატიუბელი სტუმრისათვის თვალის შევლება სურდათ. ჰიმალაის დიდმა რუ-ხულვაშიანმა მაიმუნებმა, ლანგურებმა, რასაკვირველია, ყველას დაასწრეს: მათ ხომ ცნობისმოყვარეობით უდგათ სუ-ლი. მას შემდეგ, რაც მოწყალების თასი დააცარიელეს, ქვის ფილებზე გააგორ-გამოაგორეს, თითბრისტარიანი ყავარ-ჯნის სიმაგრეც კბილებით მოსინჯეს და ანტილოპის ტყავს სათითაოდ და-ეჭყანენ, ბოლოს და ბოლოს დაასკვნეს, რომ ასე უხმოდ და უძრავად მჯდომი ადამიანი საფრთხეს არ წარმოადგენს. სალამობით ფიჭვის ტოტებიდან დაბ-ლა ძვრებოდნენ და, ხელგაშვერილნი, საკვებს ემათხოვრებოდნენ, მერე კი, მადლიერების ნიშნად, ტანის მოხდენი-ლი რნევით ისევ ტოტებზე ხტებოდნენ. მათ კერიის სითბოც იზიდავდათ და ისე მჭიდროდ ეფიცებოდნენ, რომ პურუნ ბჟაგატს ცეცხლში ფიჩხის ჩასამატებ-ლად მათი განევ-გამოწევა უხდებოდა. თითქმის ყოველ დილით თავისი საბნის ქვეშ შემოყუჟული ფაფუკებწინ მა-იმუნი ხვდებოდა ხოლმე. მთელი დღის მანძილზე მათი ჯოგიდან ერთი მაინც ეჯდა გვერდში, უაღრესად ბრძნული და სევდიანი გამომეტყველებით გაჰყუ-რებდა თოვლიან მწვერვალებს და თა-ვისთვის ღილინებდა.

მაიმუნებს მოჰყვა ბარასინგჳი, ჩვენს ევროპულ წითურ ირემს რომ ჩამოჰ-

გავს, ოღონდ მასზე უფრო ტანადი და მძლავრია. მან კალის ქანდაკების ქვაზე ხავერდოვანი რქების მოფხანა დაპირა და, სალოცავში კაცი რომ შენიშნა, მოულოდნელად შემკრთალმა ჩლიქი მიწას დაჰკერა. მაგრამ პურუნ ბჟაგატი არ შერხეულა და მეფური ხარ-ირემიც თანდათან გათამამდა, ბოლოს და ბოლოს, მიუახლოვდა და მხარი დაუყინოსა. პურუნ ბჟაგატმა თბილ რქებზე გრილი ხელი ჩამოუსვა, ალერსმა მფრთხალი ცხოველი დაამშვიდა, მან მორჩილად დახარა თავი და პურუნ ბჟაგატმა რქებიდან ძალიან ფრთხილად ჩამოაცალა ხავერდოვანი ქერცლი. მოგვიანებით ბარასინგპი თავისი ფურისა და ნუკრის თანხლებით მოდიოდა – ამ ფაქიზ არსებებს ლვთის კაცის მოსახსამის კალთების ლეჭვა უყვარდათ, ანდა მარტო გამოეცხადებოდა ხოლმე წყვდიადში, – მამინ თვალებში მწვანედ უკრთოდა ცეცხლის ანარეკლი – და მასპინძლის მიერ მორთმეულ ნედლ თხილს მიირთმევდა. თავისი გვარის ყველაზე მფრთხალი და ტანმორჩილი წევრიც კი – კურდლელივით ყურებდაცქეტილი მუშკის შველი – ფრთხილად მიეპარა ბჟაგატს; დიახ, უხმაურო, დაწინწკლულ „მუშიკ-ნაბჟასაც“ კი დასჭირდა იმის გამორკვევა, თუ რისი მაუწყებელია სალოცავში დანთებული ცეცხლი, მისი მოცახცახე ალის ჩრდილებს შეფარებული, მაინც მიუახლოვდა კაცისძეს და ლოსის ცხვირის მაგვარი დრუნჩი კალთაში ჩაუდო. პურუნ ბჟაგატი ყოველ მათგანს თავის ძმას უწოდებდა, შუადღის სიმშვიდეში გაუღერებული მისი ჩუმი მოძახილი „ბჟაი! ბჟაი!“ სმენის არეში მყოფ ყველა მხეცს მისკენ მოარბენინგდა. ჰიმალაის მურა დათვმა, სონამ, უინიანმა და უნდომ, ნიკაპქვეშ თეთრი სამკუთხა ნიშანი რომ ატყვია, არაერთხელ ჩაუარა გვერდით და, რაკიდა ბჟაგატს შიში ვერ შეატყო, არც თვითონ გამოუხატავს მრისხანება, ერთხანს დააკვირდა, მერე მიუახლოვდა

და თავისი წილი ალერსი, პური და ტყის კენკრა ითხოვა. ხშირად, ულრუბლო განთიადზე, ბჟაგატი ულელტეხილის უმალეს ქიმზე ადიოდა იმის სანახავად, თუ როგორ მოაბიჯებს მენამული აისი თოვლიან მწვერვალებზე და უეცრად თავის ფერხთით სონას აღმოაჩენდა, ცნობისმოყვარე ტორს ქშენითა და ბურდუნით წაქცეული ხის ქვეშ რომ აცურებდა და მოუთმენელი ღრიალით გვერდზე აგორებდა. ანდა ნაადრევად გამოსული საბუდარში ჩახვეულ-მომულდროებულ სონას თუ გააღვიძებდა, ველური გოლიათი უკანა თათებზე წამოვარდებოდა და საბრძოლველად ემზადებდა, მაგრამ, ბჟაგატის ხმას გაიგონებდა თუ არა, საუკეთესო მეგობარს მაშინვე ცნობდა და ცხრებოდა.

დიდი ქალაქებისაგან მოშორებით მცხოვრებ თითქმის ყველა განდეგილსა და ლვთის კაცზე ამბობენ, ის ველურ არსებებს სასწაული ძალით აჯადოებსო, მაგრამ ერთადერთი სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ადამიანი მკვეთრ მოძრაობებს არასოდეს აკეთებს, საათობით უძრავად ზის და ოთხფეხა სტუმარს, კარგა ხანს მაინც, თვალს არ უსწორებს. სოფლის მაცხოვრებლები სალოცავის ჩრდილში ლანდივით მოარულ ბარასინგპს ამჩნევდნენ, კალის ქანდაკების ძირში თავის ყველაზე ბრწყინვალე ფერებში გამოწყობილ მინოლს – ჰიმალაის ხოხობსა და შიგ სალოცავში ჩაცუცქულ, თხილის ნაჭუჭებით მოთამაშე ლანგურებსაც ხედავდნენ. ერთი-ორმა ბავშვმა კლდიდან ჩამოშლილ ლოდებს მიღმა სონას ბუზღუნიც კი გაიგონა და ამ ყოველივე ბჟაგატს სასწაულმოქმედის ურყევი სახელი დაუმკიდრა.

არადა, არაფერი ისე შორს არ იყო მისგან, როგორც სასწაულმოქმედება. სწამდა, რომ ყოველ ქმნილებას ერთი დიდი სასწაული აერთიანებს, ხოლო, თუ კაცმა ეს იცის, ესე იგი, ჭეშმარიტი გეზი უკვე აღებული აქვს. დანამ-

დფილებით იცოდა, რომ ამ სამყაროში დიდი და მცირე საგანი არ არსებოს და დღე და ღამე საგანთა გულისგულში ჩაწვდომას ცდილობდა, იმ წიაღში, საიდანაც სხვებთან ერთად მისი სულიც იშვა.

ამასობაში თმა უწესრიგოდ ჩამო-ეზარდა მხრებზე, თითბრისტარიანმა ყავარჯენმა ანტილოპის გაშლილ ტყავ-თან ქვის ფილაზე ღრმული დაამჩნია, ხოლო ის ადგილი ხეებს შორის, სადაც დღიდან დღემდე მოწყალების თასი იდგმებოდა, ჩაიზნიქა და ლამის თვით თა-სივით გაპრიალდა; ხოლო თითოეულმა მხეცმა უშეცდომოდ იცოდა კერიასთან თავისი ადგილი. წელინადის დროთა მონაცვლეობა მინდვრებს ფერს უცვლი-და; კალოები ივსებოდა, იცლებოდა და კვლავაც ივსებოდა; კვლავაც და კვლავაც, ზამთრის ცივ დღეებში, თოვლით მსუბუქად შეღინდლულ ტოტებს შორის ლანგურები დანავარდობდნენ, ვიდრე გაზაფხული არ დადგებოდა და დედა-მაიმუნები თავიანთ სევდიანთვალებიან პირმშოებთან ერთად თბილი ხეობიდან არ ამობრუნდებოდნენ. სოფელი თით-ქმის არ იცვლებოდა. ქურუმი მოხუცდა და ის ბავშვები, უნინ მოწყალების თა-სით რომ ამორბოდნენ, ახლა თავიანთ შვილებს აგზავნიდნენ ბჟაგატის დასა-პურებლად. სოფლელებისათვის რომ გეკითხათ, რამდენი ხანია, რაც თქვენი ღვთის კაცი კლდის თავზე კალის სა-ლოცავში დაბინავდაო, გიპასუხებდნენ, სულ მუდამ აქ სახლობსო.

ერთხელაც ზაფხულის ისეთი თქე-შები დაიწყო, მთაში უკვე მრავალი წე-ლია აღარავის რომ არ ახსოვდა. მთელი სამი თვით ხეობა ღრუბლებსა და ნო-ტიო ბურუსში გაეხვია და განუწყვეტ-ლივ ირწყვებოდა, რასაც ხშირ-ხშირად ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა ცვლიდა. კალის სალოცავი მეტნილად ღრუბლების საფარს გადაჰყურებდა, ხოლო ერთი უწყვეტი თვე ისე მიიღია, რომ ბჟაგატს თავისი სოფლისათვის

ერთხელაც არ მოუკრავს თვალი. სო-ფელს ღრუბლის თეთრი ქულა ეფარა საბანივით, იტალებოდა, ბორგავდა, ღელავდა და მაღლა იწევდა, ოლონდ თავის კალაპოტს, ჩანჩქერად ქცეულ ხეობის ფერდებს, არ ასცდენია.

მთელი იმ ხნის მანძილზე მიღიონო-ბით უწყვეტი წვრილი ჭავლის ხმა ჩა-ესმოდა, ხის კორომებიდან რომ მონან-წკარებდა, ძირს მოედინებოდა, ფიჭვის წიწვებიდან უონავდა, ტალახში ამოს-ვრილი გვიმრის ტოტებიდან წვეთავ-და და საბოლოოდ, ფართო ნაკადებად ახლად გათხრილ კალაპოტებს თავ-დალმართზე მიუყვებოდა. შემდეგ მზემ გამოანათა, ჰიმალაის კედრისა და დე-კის სურნელება აპკურა ქვეყანას და ის კრიალა, მაცოცხლებელი სუნთქვაც გა-მოაღვიძა, რასაც მთის ხალხი „თოვლის სუნს“ უწოდებს. ცხელმა მზიანმა ამინ-დებმა ერთ კვირას გასტანა, შემდეგ კი წვიმა უკანასკნელი შემოტევისათვის გაემზადა. წყალი ფარდებად ჩამოიქცა, მინას ტყავი ჩამოაძრო და ყველაფერი ტალახით დაფარა. იმ ღამით პურუნ ბჟაგატმა დიდი ცეცხლი გააჩაღა, რად-გან იცოდა, მის ძმებს სითბო დასჭირ-დებოდათ; მაგრამ ერთი მხეციც კი არ მისულა სალოცავთან, თუმცა ბჟაგატმა მანამ ეძახა, ვიდრე იმის ფიქრებში არ ჩათვლიმა, ნეტავ, ტყის თავს რა ამბავი ტრიალებსო.

ღამით, როცა წვიმა გარშემო ათასი დოლის ხმაზე გუგუნებდა, ვიღაცამ მის საბანს მოქაჩა და გამოაფხიზლა. ბჟა-გატმა სიბნელეში ლანგურის ციცქა ხელს მიაგნო.

— ხეზე ჯდომას აქ ყოფნა ჯობს, — ჩასჩურჩულა ძილ-პურანში, — დაიფარე და გათბი.

მაგრამ მაიმუნმა ხელი ჩასჭიდა და მთელი ძალით მოქაჩა.

— მაშ, გშია? — შეეკითხა პურუნ ბჟა-გატი, — ცოტა მოიცადე და საჭმელს მოგიმზადებ.

კაცმა ცეცხლში საწვავის შესაყრე-

ლად ჩაიმუხლა, მაგრამ ლანგური სა-ლოცავის გასასვლელს ეცა, ამოიკვნე-სა, უკან დაბრუნდა და კაცს კალთაზე წაეპოტინა.

– რა ხდება? რა შეგემთხვა, ძმაო? – გაოცდა პურუნ ბჟაგატი, რადგან ლან-გურის თვალებში გაუგებარი განგაში ამოიკითხა, – მხოლოდ იმ შემთხვევაში გავალ გარეთ ასეთ ამინდში, თუკი შე-ნი მოდგმიდან რომელიმე ხაფანგში გა-ება, მაგრამ აյ ხომ ხაფანგებს არავინ აგებს. შეხედე, ძმაო, ბარასინგჰჰიც კი მოვიდა თავშესაფარში!

ხარ-ირემი ისე სწრაფად შემოვარდა სალოცავში, რომ რქებით კალის მოლი-მარ ქანდაკებას მიეხალა. იმავე წამს ბჟაგატს მიუბრუნდა თავდახრილი, ჩილიქი მინას დასცა და ნესტონებიდან ჰაერი ქშენით ამოუშვა.

– ჰეი! ჰეი! ჰეი! – ბჟაგატმა თითები გაატყაცუნა და მის შეგონებას შეეცადა, – მასპინძლობისთვის ასე მიხდი მადლო-ბას? – მაგრამ ირემმა რქებით გასას-ვლელისაკენ უბიძგა და სწორედ იმ წამს ბჟაგატმა რაღაცის განხმის ხმა გაიგონა, უფრო ოხვრას რომ წააგავდა, დაინახა, იატაკის ორი ფილა როგორ დასცილდა ერთი მეორეს, მათ ქვეშ კი დონდლო მი-ნამ ამაზრზენი ცმაცუნით დააღო ჰირი.

– ახლა მესმის, – თქვა პურუნ ბჟა-გატმა, – და ჩემს ძმებს ვეღარ დავემ-დურები, ამაღამ ჩემს კერიას რომ არ ესტუმრნენ. ეს მთა, საცაა, ჩამოიქცევა. და მაინც – რისთვის გავიქცე? – მზერა დაცარიელებულ წყალობის თასზე შეა-ჩირა და სახე შეეცვალა, – იმ დღიდან, რაც... რაც აյ მოვედი, ყოველდღიუ-რად საუცხოო საკვებით მაპურებენ, ახლა კი, თუ არ ვიჩქარე, ხელისათვის მთელ ხეობას ერთი მჭამელიც აღარ შერჩება. აუცილებლად უნდა ჩავიდე და გავაფრთხილო. გზა მომეცით, ძმე-ბი! ცეცხლთან მიმიშვით.

ბარასინგჰჰი უხალისოდ დაიხია უკან, ბჟაგატმა კი ცეცხლს ფიჭვის ტოტი შეუშვირა და მანამ ატრიალა,

ვიდრე არ აალდა.

– მაშ, ჩემს გასაფრთხილებლად მოხვედი, – ზეზე წამომდგარმა უთხრა ირემს, – მაგრამ ჩვენ ამაზე უკეთ მო-ვიქცეთ, ბევრად უფრო უკეთ. სწრა-ფად, გარეთ! და შენი კისერი შემომაშ-ველე, მე ხომ მხოლოდ ორი ფეხი მაქვს.

მარჯვენა მკლავით ბარასინგჰჰი აბურძგლილ ქედზე შემოეხვია, მარცხე-ნათი ჩირალდანი მაღლა ასწია და სალო-ცავიდან ბობოქარ ლამეში გავიდა. ნიავი არ იძვროდა, მაგრამ თქემმა მბუუტავი ცეცხლი ლამის ჩაუქრო, როდესაც ვეე-ბა ხარ-ირემმა მოლიპულ თავდაღმარ-თზე ჩაშვება დაინწყო. როგორც კი ტყე უკან მოიტოვეს, ბჟაგატს სულ უფრო და უფრო მეტი ძმა უერთდებოდა. მარ-თალია, ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობ-და, გარს ლანგურთა მთელი ჯარი რომ ეხვეოდა, ზურგს უკნიდან კი სონას მძიმე ქშენა ესმოდა. გრძელი ჭაღა-რა სველ მინისფერ ბლუჯებად ეყარა, შიშველი ტერფებით წყალში მიაბიჯებ-და, ყვითელი სამოსი ხნიერ, ხმელ ტანს მიჰკროდა, მაგრამ ხარ-ირმის ქედს მიყ-რდნობილი დაღმართზე შეუჩერებლად მიინევდა. ეს უკვე ღვთის კაცი კი არა, ისევ სერ პურუნ დასი იყო – ინდოეთის იმპერიის ორდენის კეთილშობილი რა-ინდი და არცთუ მცირე სახელმწიფოს პრემიერ-მინიტრი, განკარგულებათა გაცემას შეჩვეული, სიცოცხლის გადა-სარჩენად რომ მიიჩქაროდა. ნიაღვრად ქცეულ ციცაბო ბილიქზე ბჟაგატი და მისი ძმები ერთად ჩაცვივდნენ, ვიდრე ირემმა კალოს ზღუდეს არ ჰერა ჩილიქე-ბი და კაცისძის სუნის გაგონებაზე შეშ-ფოთებული არ აფრუტუნდა. სოფლის ერთი მიხვეულ-მოხვეული ქუჩის თავში იდგნენ და ბჟაგატმა ყავარჯინით მჭედ-ლის სახლის დარაბებზე ატეხა ბრახუნი; ფანჩატურქეშ მისი ჩირალდანი კაშკა-შად აბრიალდა.

– ადექით და გარეთ გამოდით! – იყ-ვირა პურუნ ბჟაგატმა; საკუთარი ხმა ეუცხოვა, რადგან უკვე მრავალი წელი

იყო, რაც ადამიანებთან არ ულაპარაკია, – კლდე ინგრევა! საცაა ჩამოიქცევა! ადექით და გამოდით, ვინც სახლებში ხართ!

– ჩვენი ბჟაგატია, – თქვა მჭედლის ცოლმა, – თავის მხეცებთან ერთად მოსულა. ბავშვები გავაღვიძოთ და ყველას შევატყობინოთ.

განგაში ერთი სახლიდან მეორეზე გადადიოდა, ვიწრო შუქაში მომწყვდეული მხეცები კი სულ უფრო მჭიდროდ ეკვროდნენ ბჟაგატს, სონა მღელვარებისაგან ხვნეშოდა.

სოფლელები ქუჩაში გამოცვიდნენ – სამოცდაათ სულზე მეტნი არ ყოფილან – და მაშალების სინათლეში ირმის კისერზე მკლავშემოხვეული ბჟაგატი იხილეს, გარს მაიმუნები შემოხვეოდნენ და კალთებზე უსუსურად ეკიდებოდნენ, მის გვერდით სონა ჩაცუცქულიყო და სასონარკვეთილი ღრიალებდა.

– ხეობა გადაკვეთეთ და მოპირდაპირე ფერდობზე ადით! – დაიყვირა პურუნ ბჟაგატმა, – არავინ ჩამორჩეს! ჩვენ უკან მოგყვებით!

ყველანი ისე სწრაფად გაიქცნენ, როგორც მხოლოდ მთის ხალხი გარბის ხოლმე; მათზე უკეთ არავინ იცოდა, რომ მეწყრის დროს თავი მიდამოს ყველაზე მაღალ წერტილს უნდა შეაფარო. გულამომჯდრებმა ღელეს დაბალ წყალზე გადაირბინეს და სწრაფად აუყვნენ გადაღმა საფეხურებად აღმავალ ყანებს, ბჟაგატი და ძმანი მისნი უკან მისდევდნენ. მაღლა, მოპირდაპი-

რე მთაზე აცოცდნენ, თან ერთმანეთს ხმას აწვდენდნენ – ეს სოფლელების ჩვეული გადაძახილი იყო – ბარასინგპი უკვე ძლივსლა ეწეოდათ, რადგან ძალაგამოცლილი პურუნ ბჟაგატი მძიმე ტვირთად დააწვა. ირემი ხუთასი ფუტის სიმაღლეზე ფიჭვის დაბურულ ტყეში შეჩერდა: იმავე ინსტინქტმა, მეწყრის მოახლოების შესახებ რომ გააფრთხილა, ახლა ამცნო, რომ აქ საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

პურუნ ბჟაგატი მის გვერდით უგონდ დაეცა, ცივი წვიმა და უსწრაფესად ავლილი აღმართი მომაკვდინებელი გამოდგა მისთვის. მაგრამ ის მაინც მოახერხა, წინ გაფანტულად მბუტავი მაშალებისათვის დაეძახა:

– შეჩერდით და ყველანი გადაითვალეთ! – და, როდესაც დაინახა, სინათლეები ერთ გუნდად შეგროვდა, ირემს ჩასჩურჩულა: – ჩემთან დარჩი, ჩემო ძმაო. დარჩი... ვიდრე... წავიდოდე!

ჰაერში ოხვრა გაისმა და ავისმომას-ნავებელ გუგუნში გადაიზარდა, გუგუნი – ღრიალში, რომელიც თანდათან სმენის არესაც კი გასცდა და ყველა შეგრძნებას დაეუფლა; იმ ფერდობს, სადაც სოფლის მაცხოვრებელნი იდგნენ, წყვდიადში რაღაც მიეხალა და შეაზაზარა. შემდეგ ხუთიოდ წუთით ყოველივე წალეკა ორლანის დაბალი „მი“-სავით მძლავრმა, უტყუარმა და ურყევმა ბგერამ, ფიჭვები ფესვებამდე რომ ათრთოლა. ისიც მიწყდა და წვიმის დგაფუნი, მანამდე კლდოვან მიდა-



მოსა და ბალახს რომ ეცემოდა, ერთბაშად რბილ სილაზე დაშვებული მიღლიონობით წვეთის ხმამ შეცვალა. ეს ხმა თავად ყვებოდა მიდამოს ამბავს.

ვერც ერთმა სოფლელმა – ქურუმის ჩათვლით – თავიანთი სიცოცხლის მხსნელი ბჟაგატისთვის ხმის გაცემა ვერ გაბედა. ყველანი ფიჭვებქვეშ მიიყუჯნენ და გათენებას დაელოდნენ. როცა ინათა, ხეობას გადახედეს და დაინახეს, რომ ტყეც, ყანების ტერასებიცა და ბილიკებით დასერილი საძოვრებიც ერთიან აზელილ, ნახევარსფეროდ დახვავებულ წითელ მასად ქცეულიყო, რომლიდანაც აქა-იქ აყირავებული ხე გამოჩინილიყო. ამ წითელს ადამიანთა თავშესაფრად ქცეულ ფერდობზეც კარგა მაღლა აეღნია, მისგან შეტბორებული პატარა მდინარე ნელ-ნელა აგურისფერ გუბედ გროვდებოდა. აღარც სოფელი იყო, აღარც სალოცავისკენ ამავალი ბილიკი, აღარც თვით სალოცავი და აღარც მის უკან წამომართული ტყე. მთის ცალი ფერდი ერთი მილის სიგანეზე და ორი ათასი ფუტის სიღრმეზე კენწეროდან ძირამდე ჩამოქცეულიყო.

სოფლელები სათითაოდ წამოიშალნენ, რათა ბჟაგატის წინაშე ლოცვა აღევლინათ. დაინახეს მისკენ თავდახრილი ბარასინგპი, მათ დანახვაზე იქაურობას რომ გაეცალა, ხის ტოტებიდან ლანგურთა მოთქმა გაიგონეს, მაღლა,

მთიდან კი სონას კვნესა მოესმათ. ბჟაგატი მკვდარი იყო, ზურგით ხეს მიყრდნობილი, ფეხმორთხმით იჯდა, ყავარჯენი იღლის ქვეშ ამოედო, სახით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიბრუნებულიყო.

ქურუმმა წარმოთქვა:

– იხილეთ! კიდევ ერთი სასწაული! რადგან სწორედ ასეთ პოზაში კრძალავენ სანიასინებს. ამიტომაც, სადაც ახლა განისვენებს ჩვენი ღვთის კაცი, ამავე ადგილას ავუშენოთ ტაძარი.

ერთი წელი არ გასულა და ტაძარი აშენდა – ქვითა და ტალახით ნაგები პატარა სამლოცველო. სოფელმა იმ მთას ბჟაგატის მთა უწოდა და დღემდე იქ აღავლენენ ლოცვებს, მიაქვთ ყვავილები და შესანირი. ის კი არ იცან, რომ წმინდანი, ვისაც თაყვანს სცემენ, განსვენებული პურუნ დასია, ინდოეთის იმპერიის ორდენის კეთილშობილი რაინდი, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებათა დოქტორი და ასე შემდეგ, მოჰინივალას პროგრესული და განათლებული რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საპატიო თუ მოქმედი წევრი ურიცხვი სწავლული საზოგადოებისა – იმაზე ბევრად უფრო მეტისა, ვიდრე ამ და იმქვეყნად სიკეთის დამკვიდრებას ესაჭიროება.

ვახტანგ გურული

ქართული არისტოკრატია სამეფოს გაუქმების შემდეგ

„აშორდიას აზნაური“ – არც თუ შორეული წარსულის ქართულ სინამდვილეში ისე იყო დამკვიდრებული, რომ ლამის ყველას გადაავინყა ფეოდალური საქართველოს ოფიციალური ტიტულატურა – „სამეფო აზნაური“ თუ „საეკლესიო აზნაური“. მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძის წყალობით, მკითხველის წარმოდგენაში სამუდამოდ დარჩა ყალბისმქმნელისა და ავანტიურისტის, სოლომონ აშორდიას სახელი, რომელიც ღვთის წყალობასავით ურიგებდა მსურველებს (რა თქმა უნდა, შესაბამისი გასამრჯელოს ფასად) აზნაურობის სიგელებს.

არც ქართული პოეზია დარჩენილა გულგრილი აშორდიას პიროვნების მიმართ, რომ ალარაფერი ვთქვათ გალაკტიონის ცნობილ პალინდრომზე – „აი, დროშა, აშორდია, აერების სიბერეა...“ ან არც ის ჩავაგდოთ სათვალავში, ვალერიან გაფრინდაშვილმა „აშორდია“ მაგიურ სიტყვათა ჩამონათვალში რომ შეიტანა – ესეიში „სახელების მაგია“. იმ ფაქტს ვერსად გავექცევით, რომ აშორდია ჩვენი პოეზიის პროტაგონისტად იქცა და იმავე ვალერიან გაფრინდაშვილმა სონეტიც უძღვნა.

სიმბოლისტებისთვის მატერიალური (თვალხილული) სინამდვილე მოჩვენებითია, სიყალბე და ილუზიაა, რომელსაც მაისა საბურველი ნიღაბივით ფარავს. ნამდვილი სინამდვილე, პლატონის იდეათა სამყაროს მსგავსად, თვალხილული რეალობის მიღმა ან, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყოდა, „ზენაარის სამყოფშია“ საძიებელი. აქედან იღებს დასაბამს სიმბოლისტებთან ნიღბის ესთეტიკა. მეტიც, სიყალბის არამცთუ დასაშვებობა, არამედ ერთგვარი წახალისება და თანაგრძნობაც კი. სწორედ ეს აზრია გამოხატული ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „აშორდია“.

კალიოსტროს ლანდს შესთავაზა მან პაემანი.

ნინაპრის ლანდით არის ახლა იგი ბურვილი.

მეფურ სიუხვით ათავადა ყველა მსურველი.

თვითონ ფრთიანი, უხილავი, როგორც დემონი.

ბევრ ამაყ სიზმრებს დააწაფა თვალთა თვლემანი.

ბევრ ოცნაპაში ბრწყინვალების შექმნა ურვილი.

ხალხის ნინაშე ჯადოსნობით კვლავ აღჭურვილი,

დროს კარჩაკეტილს და შმაგ სივრცეს არ დაემონა.

ასხვანაირებს სილამაზეს, როგორც მგოსანი.

თვალში მონოკლით ავაზაკობს – ცბიერი მარად

და ყალბ სიგელებს აქანდაკებს შეუდარებლად.

ხან მეომარი, ხან მოხელე, ხან ჩოხოსანი,
ხანდისხან ლორდი – ის იგონებს საოცარ გრიმებს
და ამ ლექსს, ალბათ, ნიღაბის ქვეშ ის გაულიმებს.

ჩვენს დროში ელგუჯა თავბერიძემ რომანიც კი უძღვნა აშორდიას პი-
როვნებასა და მის „საგმირო“ საქმეებს. ერთი სიტყვით, აშორდია პოპულარულ
პიროვნებად და ლიტერატურულ პერსონაჟად, „აშორდიას აზნაურობა“ ფსევდო-
არისტოკრატობის სინონიმად, „აშორდიობა“ კი კონკრეტული მოვლენის აღმნიშ-
ვნელ ტერმინად იქცა.

უინტერესო არ უნდა იყოს იმის გაანალიზება, თუ რამ წარმოშვა „აშორ-
დიობა“, როგორც მოვლენა და რამ განაპირობა (კუდაბზიკობისა და ამპარტავ-
ნობის გარდა) ქართველობის გარკვეული ნაწილის ლტოლვა, მიეღოთ ავანტი-
ურისტის მიერ „ნაწყალობევი“ ტიტული. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის,
პროფესორ ვახტანგ გურულის წინამდებარე პუბლიკაცია, ვფიქრობთ, იძლევა ამ
კითხვის პასუხს.

ამირან გომართელი

„ეგ აზნაური არ არის, ეგ აშორდიას აზნაურია“ ზემო იმერეთში გაგონილი

ქართული სახელმწიფოებრიობის არ-
სებობის ბოლო სამი საუკუნის (XVI-XVIII
სს.) განმავლობაში მძიმე მდგომარეობაში
აღმოჩნდა ქართული ფეოდალური არის-
ტოკრატია – თავადაზნაურობა. სოციალ-
ური კლასი, რომელიც ისტორიულად
ქართული ჯარის ბირთვს წარმოად-
გენდა და რომლიდანაც კომპლექტდე-
ბოდა მთელი სამოხელეო აპარატი, ახლა
ნელ-ნელა კარგავდა ქონებას. ევროპაში
თავიდანვე დაკანონდა ე. წ. მაიორატის
სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობ-
და, რომ ფეოდალი (გრაფი, მარკიზი,
ბარონი) ვაჟებიდან მხოლოდ ერთს,
უფროსს, გადასცემდა უძრავ-მოძრავი
ქონების (ციხე-სიმაგრის, სასახლის,
მიწის), ასევე, ყმების უდიდეს ნაწილს.
დანარჩენი შვილები მამისაგან იღებდნენ
მხოლოდ წოდებას და ქონების მცირე
ნაწილს. მაიორატის სისტემამ განაპირო-
ბა ის, რომ ფეოდალის მამული, პირველ
რიგში მინა, საუკუნეების განმავლობაში
არ იყოფოდა და მისი ძირითადი ნაწილი

რჩებოდა ერთი მფლობელის ხელში.
საპირისპირო მოვლენას ვხედავთ საქა-
რთველოში. ფეოდალის უძრავ-მოძრავი
ქონება დაუსრულებლად ნაწილდებოდა
შვილებს შორის. ასეთი დანაწილების
შედეგი ის იყო, რომ სულ უფრო მც-
ირდებოდა შემოსავალი, რომელსაც თა-
ვადები და აზნაურები თავიანთი მამ-
ულებიდან იღებდნენ. ბევრ თავადსა და
აზნაურს სამეფო კარზე სამსახურისათ-
ვის მიღებული ჯამაგირის გარეშე უკვე
არსებობა აღარ შეეძლო. ასე ნელ-ნელა
მწიფებოდა ქართული ფეოდალური
არისტოკრატიის ტრაგედია, რომლის
ბოლოს წინა სცენა XIX საუკუნის დამ-
დეგიდან, რუსეთის მიერ საქართველოს
დაპყრობის შემდეგ, განვითარდა, ხოლო
უკანასკნელი – XIX საუკუნის 60-70-იანი
წლებიდან, ბატონყმობის გაუქმების შემ-
დეგ. ეს ნამდვილი ტრაგედია იყო, ოლონდ
ამ ტრაგედიასთან დაკავშირებული ბევრი
ამბავი ხშირად ადამიანებში ღიმილსაც
კი იწვევდა. ეს ტრაგიკომიკური მდგო-

მარეობა პქონდა მხედველობაში დავით კლდიაშვილს, როდესაც წერდა: „ეს კაცი უთუოდ შეგეცოდებოდათ, თვითონ ამბავი რომ სასაცილო არ ყოფილიყო“. ასეთი ცრემლიანი ღიმილის მომგვრელი ამბების გახსენება მრავლად შეიძლება.

XIX საუკუნის დამდეგს, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსებმა მოსახლეობის აღწერა დაიწყეს. აღწერას რუსი მოხელეები აწარმოებდნენ, რომელთაც თან ახლდნენ ქართველი აზნაურები. მოგვიანებით ერთ-ერთი რუსი მოხელე იგონებდა:

— დილიდან დავიწყეთ აღწერა, შუადლემდის ვმუშაობდით, საშინლად ცხელოდა. ცოტა ხნით ჩრდილს შევაფარეთ თავი, ჩამოვჯექით. მოშორებით გორაკზე ორი სახლი მოჩანდა. ჩემს თანმხლებ აზნაურს მივუბრუნდი და ვუთხარი: აი, ის ორი გლეხიც აღვწეროთ და შემდეგ შევისვენოთ. ჩემთვის მოულოდნელად ასეთი პასუხი მივიღე:

— ისინი გლეხები არ არიან, ისინი აზნაურები არიან!

რუსი მოხელე არაფერს ამბობს, რომელ სოფელში ნახა ორი აზნაურის სახლი, მაგრამ ცნობილია, რომ აღწერა ზემო იმერეთის სოფლებში მიმდინარეობდა. რუსმა მოხელემ, ცხადია, არ იცოდა, რომ კიდევ უფრო ლარიბი აზნაურები იყვნენ სამეგრელოსა და გურიაში.

მეორე ამბავი ისევ იმერეთში, ოლონდ ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდიდანაა. 1765 წელს ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობა ისე გაუქმდა, რომ ზოგიერთი აზნაური ძმებთან გაყრილი არ ყოფილა — სახლიც გაუყოფელი იყო და მიწაც. ასე რომ, სანამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ უძრავ-მოძრავ ქონებას დაიმტკიცებდნენ, ძმები ჯერ უნდა გაყრილიყვნენ. გაყრა ბევრგან მშვიდობიანად დასრულდა, ზოგან კი საქმე სასამართლომდე მივიდა. სასამართლოში არაიშვიათად კომიკური ვითარება შეიქმნებოდა ხოლმე. იყო შემთხვევები, როდესაც ორი ძმა იყოფდა ერთ, სამ,

ხუთ და ა. შ., კენტი რაოდენობის, ყმას. სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, ძმებიდან თითოეულს ერგო ნახევარი ყმა, ერთ-ნახევარი, ორ-ნახევარი ყმა და ა. შ. ნახევარი ყმის მიკუთვნების შემთხვევაში ყმის შრომის გამოყენება ადვილი იყო: სამი დღე ყმა ერთი ძმის მამულში მუშაობდა, სამი დღე — მეორის მამულში. ძნელად დასადგენი გამოდგა, როგორ უნდა გამოეყენებინათ ძმებს ერთი ან ორ-ნახევარი ყმა.



უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველ თავადებსა და აზნაურებს ახალი განსაცდელი დაატყდათ თავს მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მფარველობაში მიღებული სამეფო გააუქმა. 1801-1802 წლებში ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობა დამყარდა. უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენდა რუსი გენერალი — მთავარსარდალი (მოგვიანებით — მთავარმართებელი), ხოლო უშუალოდ ქვეყანას მართავდა საქართველოს უზენაესი მთავრობა. მთავარსარდლის შემდეგ რანგით მეორე ხელისუფალი იყო რუსი მოხელე — საქართველოს მმართველი. 1804 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II-ს სამხედრო მუქარის პირობებში რუსეთის იმპერიის ქვეშვრდომობაში შესვლა აიძულეს, ხოლო 1810 წელს ტახტიდან გადააყენეს და სამეფო გაუუქმეს. იმერეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიის მართვა-გამგეობის მიზნით შეიქმნა იმერეთის დროებითი მმართველობა, რომლის სათავეში რუსი სამხედრო პირი — იმერეთის მმართველი იდგა. მასვე დაექვემდებარა გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები, ოლონდ რუსეთის იმპერატორმა პოლიტიკური მოსაზრებით აქაურ მთავრებს

დროებით შეზღუდული ხელისუფლება შეუნარჩუნა. XIX საუკუნის დამდეგიდან რამდენჯერმე შეიცვალა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. 1840-1844 წლებში გატარებული რეფორმის შემდეგ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი გუბერნია – თბილისისა და ქუთაისისა. გუბერნიები იყოფოდა მაზრებად.

რუსეთი ათწლეულების განმავლობაში ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად, საქართველოში სხვადასხვა მისით ჩამოსული რუსი მოხელეები სერიოზულად სწავლობდნენ ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ სისტემას, ეკონომიკურ წყობასა და სოციალურ სტრუქტურას. მიუხედავად ამისა, რუსული მმართველობა პირველი დღეებიდანვე დიდ სირთულეებს წააწყდა.



სირთულეები ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. საქმე ის იყო, რომ რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა განსხვავდებოდა საქართველოში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული სისტემისაგან. საქართველოში არსებული მიწის მფლობელობის წესი და მთლიანად ბატონყმობაც ასევე სხვა იყო, ვიდრე რუსული. აღარაფერს ვამბობთ ქართულ მენტალიტეტზე, რომელიც ასევე არაფრით ჰგავდა რუსულს.

პირველ რიგში, ქართველებმა ვერ გაიგეს, უფრო ზუსტად, ვერავინ აუხსნა მათ, რატომ გაუქმდა მეფობა. ქართველმა თავადმა, აზნაურმა და გლეხმა მეფის ადგილზე ვერაფრით წარმოიდგინა რუსი მთავარმართებელი. უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ქართული მენტალიტეტისათვის რუსების მიერ დაკანონებული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ქართველმა გლეხმა ვერ გაიგო, რატომ უნდა ჰქონოდა საქმე თავადის (ქართლში, იმერეთში) ან მოურავის (კახეთში) ნაცვლად გუბერნატორთან ან მაზრის უფროსთან, სამართალი რატომ

უნდა ეძია არა ქართველ მდივანბეგთან (მოსამართლესთან), არამედ სამაზრო ან საგუბერნიო სასამართლოში; საქმის წარმოება სასამართლოში რატომ იყო რუსულად და განაჩენი რატომ იკითხებოდა ქართველისათვის უცხო, გაუგებარ ენაზე. ეს და კიდევ ბევრი სხვა ცვლილება ბუნდოვანი, მეტიც, მიუღებელი გამოდგა ქართველობისათვის.

წარმოშვა კიდევ უფრო დიდი სირთულეებიც. რუსეთში პეტრე I-ის (1796-1825) დროს გაუქმდა ფეოდალური კლასის დაყოფა ფენებად (ბოიარი, თავადი, გრაფი, აზნაური) და მთელი ფეოდალური კლასი გაერთიანდა ერთ წოდებაში, რომელსაც ეწოდა „დვორიანსტვო“ (**Дворянство**). ამ წოდების არსის გამომხატველი სიტყვა ქართულში არ მოიძებნა და მოგვიანებით მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „თავადაზნაურობა“. თავადი და გრაფი რუსულ სინამდვილეში დარჩა, მაგრამ იქცა საპატიო წოდებად, რომელსაც „დვორიანის“ იმპერატორი განსაკუთრებული დამსახურებისათვის ანიჭებდა. ქართულ სინამდვილეში „დვორიანინის“ (**Дворянин**) ცნება გაუგებარი დარჩა, რას გულისხმობდა ეს ტერმინი: თავადს თუ აზნაურს, თუ ორივეს ერთად? ქართული ფეოდალური კლასი ტრადიციულად იყო-ფოდა ორ ფენად: **თავადებად და აზნაურებად**. საქართველოში თავადსა და აზნაურს შორის მკვეთრი განსხვავება იყო. სამეფო კარზე იყო თანამდებობები, რომელზეც თავადები ინიშნებოდნენ და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ამ თანამდებობაზე აზნაური აღმოჩნდილიყო. ცხადია, ქართველი თავადი არ იკადრებდა აზნაურისათვის შესაფერის თანამდებობაზე დანიშვნას. რუსეთში პირიქით იყო. საქართველოში რუსი „დვორიანინი“ ქართველი აზნაურის თანაბარ წოდებად მიაჩნდათ. სინამდვილეში ეს ასე არაა. რუსულ „დვორიანსტვოში“ იგულისხმება როგორც თავადი, ისე აზნაური. რუს „დვორიანინს“, ქართველი აზნაურისაგან განსხვავებით,

შეეძლო ძალზე მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება თვით უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებშიც კი. მაგალითად, კავკასიის მთავარსარდალი გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი (1809-1811), როდესაც ამ თანამდებობაზე დაინიშნა, „დვორიანინი“ იყო, „დვორიანინი“ იყო იგი, როდესაც 1812 წლის სამამულო ომის წინ რუსეთის მესამე არმიის სარდალი გახდა. კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ თავადებსა და აზნაურებს შორის არსებული მკვეთრი ზღვარის არსებობა არ გაითვალისწინა და ეს ორი ფენა უფლებრივად გაათანასწორა (მათი ქონებრივად გათანასწორება, ცხადია, შეუძლებელი იყო). ქართველმა თავადებმა ძალზე მტკიცნეულად აღიქვეს, რომ მაზრისა და გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში თავადები და აზნაურები ერთად ისხდნენ და საკითხის გადაჭრისას თავადსაც და აზნაურსაც თითო ხმა ჰქონდა. ქართველი თავადებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ისიც, რომ გუბერნიაში თავადაზნაურობის მარშლის (წინამდლოლის) არჩევნებში თავადებთან ერთად აზნაურებიც მონაწილეობდნენ. ასეთი განწყობილება მხოლოდ XIX საუკუნის 10-20-იან წლებში კი არ შეიმჩნეოდა, არამედ ათწლეულების შემდეგაც. ცნობილია, თუ როგორ მტკიცნეულად განიცადა თავადმა გრიგოლ ორბელიანმა აზნაურ დიმიტრი ყიფიანის არჩევა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად.

კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ XIX საუკუნის დამდეგსვე შეამჩნია, რომ რუსეთთან შედარებით საქართველოში მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით თავადები და აზნაურები ძალზე მრავლად იყვნენ. მალე წარჩინებულებს მათი წოდების დამადასტურებელი საბუთი მოსთხოვეს, რაც ბევრ ძირძველ თავადსა და აზნაურს არ აღმოაჩნდა და მრავალი მათგანი წოდების დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ოფიციალურად დადგენილი

წესის მიხედვით წოდების დამტკიცებას რომ ვერ მიაღწიეს, ქართველმა თავადებმა და აზნაურებმა ყალბი დოკუმენტებით სცადეს ფონს გასვლა. ასპარეზზე გამოვიდა ცნობილი ავანტიურისტი, ვინმე აშორდია, რომელმაც თავადობისა და აზნაურობის დამადასტურებელი ყალბი სიგელების შედგენას მიჰყო ხელი. არავინ იცის, რამდენი ყალბი სიგელი შეადგინა მან, მაგრამ ერთ-ერთი სიგელის სიყალბე დადგინდა და აშორდიას კარიერაც ამით დასრულდა. აშორდია ნახევრად რეალური, ნახევრად გამოგონილი პიროვნება შეიძლება იყოს. არ არის გამორიცხული, რომ ყალბ საბუთებს რამდენიმე ავანტიურისტი ერთდროულად ამზადებდა, ოღონდ ისტორიას მხოლოდ აშორდიას პიროვნება შემორჩია. ერთი რამ ცხადია, ქართულ სინამდვილეში აზნაურის გვერდით დამკვიდრდა ახალი ცნება „აშორდიას აზნაური“. „აშორდიას აზნაური“ ისეთ აზნაურს ეწოდებოდა, რომელსაც წოდება ყალბი სიგელის საფუძველზე ჰქონდა დამტკიცებული. თუმცა მოიპოვება ისეთი მასალაც, რომელიც, ნამდვილობის თვალსაზრისით, არანაირ ეჭვს არ ბადებს და მთელი პროცესის მონაწილენიც რეალურად არსებული ადამიანები იყვნენ. თავადმა წერეთელმა თავადის წოდების დამადასტურებელი საბუთი ვერ წარადგინა სასამართლოში. წოდების დაკარგვის რეალური საშიშროებისთვის თავი რომ დაელია, მან ყალბი დოკუმენტის შედგენა გადაწყვიტა. მეფე სოლომონ I-ის სახელით დაიწერა სიგელი, რომელიც ადასტურებდა, რომ წერეთელი თავადი იყო. ყალბი დოკუმენტის შემქმნელებმა წინდახედულობა გამოიჩინეს და სიგელის ტექსტი ბესიკ გაბაშვილის ძმას თხეს დააწერინეს. ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოდან გადახვენის შემდეგ მღვდელი ზაქარია გაბაშვილი და მისი შვილები, მათ შორის ბესიკიც, იმერეთის მეფის კარზე მოღვაწეობდნენ. იმერეთის მეფის მიერ ხელმოწერილი სიგელებისა და

სხვა დოკუმენტების დიდი ნაწილი ბესიკ გაბაშვილის მიერ არის დაწერილი. წერა-კითხვა ოსეს ბესიკმა ასწავლა და ძმების ხელწერაც ერთმანეთს ძალიან ჰყავდა. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს ყალბისმებნელებმა. სიგელისათვის ბეჭედი რუსმა კაპიტანმა **ზუბოვმა** დაამზადა. სიგელი სასამართლოში წარადგინეს, მაგრამ სიყალბე გამუღლავნდა. ოსე გაბაშვილი გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს, ხოლო კაპიტანი ზუბოვი რიგით ჯარისკაცამდე ჩამოაქვეითეს. ეს ამბავი შეიძლებოდა საერთოდ არ გამხდარიყო ცნობილი, რომ არა ერთი გარემოება. ოსეს ციმბირის გადაასახლებაში ძალიან გაუჭირდა, გადაასახლებიდან ერთ-ერთ ბატონიშვილს წერილი გამოუგზავნა და დახმარება სთხოვა. წერილში ოსემ ყალბი სიგელის შედგენის ამბავიც ჩაურთო.



ერთ-ერთ პირველ დიდ წინააღმდეგობას, რომელსაც რუსები წააწყდნენ, წარმოადგენდა მიწის მფლობელობის წესისა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის სოციალური კუთვნილების დადგენა. რუსმა მოხელეებმა ვერ გაარკვიეს, მიწებიდან რომელი იყო **სახაზინო (ყოფილი სამეფო), საბატონო და საეკლესიო**. რუსებისათვის გაუგებარი იყო, მათთან თხოვნით მისული ადამიანი ვინ იყო: თავადი, აზნაური, გლეხი თუ საერთოდ ამ სოციალური წოდებების მიღმა მდგარი მოქალაქე. თავსატეხი შექმნა იმანაც, რომ იმერეთში **წერეთლის** გვარს ატარებდა თავადიც, აზნაურიც და გლეხიც, აბაშიძის გვარს – თავადიც და აზნაურიც; ბარათაშვილები ქართლში თავადები იყვნენ, იმერეთში – გლეხები...

ქართველმა მეფეებმა ერეკლე II-მ, გიორგი XII-მ და სოლომონ II-მ კარგად იცოდნენ, მათ სამეფოში ვინ იყო თავადი და ვინ – აზნაური. თავადმაც ასევე კარგად იცოდა, ვინ იყო და რა მიწას ფლობდა მისი აზნაური. მონასტრის წინამდლვარმა **ზუსტად უწყოდა სამო-**

ნასტრო მამულების საზღვრები, ასევე კარგად იცნობდა საეკლესიო აზნაურებსა და გლეხებს. სადაც საკითხებს წყვეტდა ვახტანგ VI-ის სამართალი. ახლა ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ სამეფო მამულები სახაზინო მამულებად გადაიქცა. საეკლესიო მამულებიც ხაზინას გადაეცა. თავადებმა დაიწყეს ყოფილი სამეფო და საეკლესიო მიწების მიტაცება, რასაც მოჰყვა უამრავი საჩივარი. შექმნილი გაუგებრობის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს მთავარმართებელმა აღექსეი ერმოლოვმა გადაწყვიტა გაემიჯნა ერთმანეთისაგან სახაზინო მამულები. 1819 წლის 21 თებერვალს მამულების გამიჯვნისათვის აუცილებელი სამუშაოს შესრულება დაევალა ერთ საგუბერნიო და სამ სამაზრო მიწისმზომელს. სულ მალე ოთხ მოხელეს იმდენი საჩივარი წარუდგინეს, რომ წაკითხვასაც ვერ აუდიოდნენ. ალექსეი ერმოლოვი იძულებული გახდა, რომ 1825 წლისათვის მიწის მზომელების რიცხვი თექვსმეტამდე გაეზიარდა.

სახაზინო მამულების გამიჯვნასთან ერთად, მიწის მზომელებს დაევალათ, დაედგინათ უძრავ-მოძრავი ქონების ფლობის კანონიერება. მთავარმართებლის ბრძანებით, მთელ საქართველოში სამჯერ გამოაცხადეს, რომ ამიერიდან ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა უნდა გაფორმებულიყო წერილობით სამაზრო ან საოლქო (საგუბერნიო) სასამართლოში, ხოლო დოკუმენტი უნდა ჩაკრულიყო ზონარგაყრილ წიგნში. ამასთან ერთად, თუ მფლობელს რაიმე საბუთი გააჩნდა უძრავ-მოძრავი ქონებისა და ყმის ფლობის შესახებ, მაგრამ მიწის საკუთრების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი არ ჰქონდა, უნდა მიემართა სასამართლოსათვის. სასამართლო მიწის მფლობელობის დამადასტურებელ აქტს გასცემდა, თუ ფიცის ქვეშ 10 მოწმე დაადასტურებდა მიწის ფლობის კანონიერებას. უნდა აღინიშნოს,

რომ ალექსეი ერმოლოვმა ვერ მიაღწია ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ განხორციელებას. მთავარმართებელმა ქართველი თავადები და აზნაურები ვერ დაარწმუნა, რომ უძრავ-მოძრავი ქონების, ყმის ფლობის დაკანონების შემოთავაზებული წესი ზიანს არავის მოუტანდა, ქონებას უკანონოდ არავინ დაკარგავდა. ქართველები სასამართლოს არ ენდობოდნენ, ამიტომ იყო, რომ ორწლიანი ვადის ამონურვის შემდეგ სასამართლოში გაფორმდა ყიდვა-გაყიდვის მხოლოდ 38 და ქონების ფლობის დამადასტურებელი 18 აქტი. ალექსეი ერმოლოვი იძულებული გახდა, ორწლიანი ვადა გაეხანგრძლივებინა. ვადის გახანგრძლივებამ შედეგი გამოიღო. 1827 წელს სასამართლოში ამ ხასიათის ქონებისა და ყმის ფლობის კანონიერების დადასტურების თაობაზე 14.000 თხოვნა შევიდა. სასამართლოები მზად არ აღმოჩნდნენ ამდენი საქმის წარმოებისათვის. ამიტომ იყო, რომ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მმართველმა ალექსეი ველიამინოვმა სასამართლოებს უფლება მისცა, საკუთრების ფლობის შესახებ ყველა დოკუმენტი, თუკი ის რაიმე ეჭვს არ იწვევდა, სასამართლო განხილვის გარეშე დაედასტურებინათ. 1827 წელს ალექსეი ერმოლოვმა ბრძანება გასცა, საერთოდ შეეწყიტათ ქონების დამადასტურებელი ძეველი საბუთების სასამართლოში განხილვა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავარმართებელმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, ხოლო ქართველ თავადებსა და აზნაურებს უძრავ-მოძრავი ქონების, ასევე ყმის ფლობის დადასტურების სხვა გზა უნდა მოეძებნათ. ქონების ფლობის დადასტურების ერთერთ გზას წარმოადგენდა ჯერ კიდევ მთავარსარდალ პაველ ციციანოვის (1802-1806) დროს დადგენილი წესი: ქონების ფლობის დამადასტურებელი საბუთი შეიძლებოდა ნოტარიუსს გაეცა.

ალექსეი ერმოლოვის მიერ გატარებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლონისძიებას წარმოადგენდა სამაზრო და საგუბერ-

ნიო სათავადაზნაურო საკრებულოების შექმნა, რაც ისევ მოითხოვდა ზემოხ-სენებული დიდი საგვარეულო პრობლემის გადაჭრას. საკრებულოების შექმნამდე უნდა დადგენილიყო, ვის ჰქონდა თავადის და ვის აზნაურის წოდება. ამ დროის-ათვის თავადისა და აზნაურის წოდების დადასტურების საკითხს წყვეტდა საქართველოს უზენაესი მთავრობა. მთავრობაში საქმე ძალიან ზერელედ და უპრინ-ციპოდ განიხილებოდა. თუ მთავრობა წარდგენილ საბუთში ეჭვს შეიტანდა, მაშინ თავადობისა თუ აზნაურობის წოდების მაძიებლები სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს (ერეკლე II-ის შვილებსა და შვილიშვილებს) სთხოვდნენ საქმეში ჩარევას და ისინიც დაუყოვნებლივ გასცემდნენ საჭირო საბუთს. ეს საბუთი საქართველოს უზენაეს მთავრობაში კი არ შედიოდა, არამედ რუსეთის იმპერიის სენატს (უმაღლეს სასამართლოს) გადაეცემოდა, რომელიც შეუფერხებლად გასცემდა წოდების დამადასტურებელ დოკუმენტს. თავადობისა და აზნაურობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის სამართლებრივად მოწესრიგების საკითხი პირველად მთავარსარდალმა პაველ ციციანოვმა დააყენა, მაგრამ ეს საკითხი არათუ პაველ ციციანოვის მთავარსარდლობის პერიოდში (1802-1806), არამედ ვერც ალექსანდრ ტორმასოვის (1809-1811), ვერც ფილიპ პაულუჩის (1811-1812) და, თქვენ ნარმოიდგინეთ, ვერც ნიკოლაი რტიშჩევის (1812-1816) მთავარმართებლობის წლებში გადაიჭრა.

1818 წლის დამდეგს გაიმართა ქართველი თავადაზნაურობის ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია სათავადაზნაურო საკრებულოს დეპუტატები. ალექსეი ერმოლოვი ცდილობდა ქართველი თავადებისა და აზნაურების დარწმუნებას იმაში, რომ საგვარეულო წიგნის შედგენა არაფრით ემუქრებოდა მათ წოდებასა და ქონებას. საქართველოს თავადაზნაურობის საკრებულოს სხდომა გაიხსნა 1818

წლის გაზაფხულზე. ალექსეი ერმოლოვის ბრძანების თანახმად, სათავადაზნაურო საკრებულო შეადგენდა საგვარეულო წიგნებში შესატანი თავადებისა და აზნაურების სიას, რომელსაც დაამტკიცებდა საქართველოს უზენაესი მთავრობა. საქართველოს უზენაეს მთავრობას მრჩევლებად ჰყავდა ქართველი თავადები, რომლებიც მთავრობას გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარებოდნენ. ალექსეი ერმოლოვის ბრძანება ქართველმა თავად-აზნაურებმა შეაფასეს, როგორც სათავადაზნაურო საკრებულოსათვის უნდობლობის გამოცხადება, მაგრამ მთავარმართებელმა უკან არ დაიხია და მის მიერ გამოცემული ბრძანება იმპერატორმა დაამტკიცა. სათავადაზნაურო საკრებულოს თავადისა და აზნაურის წოდების დამტკიცებისას უნდა ეხელმდლვანელა შემდეგი წესით: თავადისა და აზნაურის წოდება დაუდასტურდებოდათ: 1) პირებს, რომელთა გვარებიც იხსენიებოდა ქართლისა და კახეთის თავადებისა და აზნაურების იმ სიაში, რომელიც ერეკლე II-მ დაურთო 1783 წლის 24 ივლისს დადებულ გეორგიევსკის ტრაქტატს; 2) პირებს, რომელთაც თავადის ან აზნაურის წოდება გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მინიჭეს მეფებმა ერეკლე II-მ და გიორგი XII-მ. ბატონიშვილების (ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შვილების) მიერ მინიჭებული თავადის ან აზნაურის წოდება კანონიერად არ უნდა ყოფილიყო ჩათვლილი; 3) პირებს, რომლებიც არც გეორგიევსკის ტრაქტატისათვის დართულ ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურების სიაში იხსენიებოდნენ და არც გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მიერ არ ჰქონდათ მინიჭებული წოდება, უნდა წარედგინათ რომელიმე მეფის სიგელი, რომელიც მათ გვარიშვილობას ადასტურებდა. თუ ასეთი სიგელის წარდგენა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ წოდება უმტკიცდებოდათ იმ 12 თავადისა და აზნაურის ჩვენების საფუძველზე,

რომელთაც წოდება უკვე დადასტურებული ჰქონდათ; 4) პირებს, რომელთაც მეფეთა კარზე ეკავათ ისეთი თანამდებობა, რომელზედაც მხოლოდ თავადები ან აზნაურები ინიშნებოდნენ; 5) პირებს, რომელთაც არასდროს ჰქონიათ თავადის ან აზნაურის წოდება, მაგრამ რუსეთის იმპერიის წინაშე დამსახურებისათვის რუსული კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდათ მინიჭებული „დვორიანინის“ წოდება. ერთი შეხედვით, ეს წესი თითქოს ძალიან მარტივი და ადვილად განსახორციელებელი იყო, მაგრამ პრაქტიკულად ბევრი წინააღმდეგობა წარმოიქმნა: 1) უმთავრესი წინააღმდეგობა ის იყო, რომ თავადისა და აზნაურის წოდების მინიჭებას და აღიარებას სხვაგვარად წყვეტდა ვახტანგ VI-ის სამართალი და სხვაგვარად – რუსეთის იმპერიის კანონმდებლობა. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, დიდვაჭრები მეორე და მესამე რანგის აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებული. რუსული კანონმდებლობა ასეთ გათანაბრებას არ სცნობდა; 2) გადასაჭრელი იყო შემდეგი საკითხიც – ვინ უნდა ჩათვლილიყო აზნაურად, მხოლოდ სამეფო აზნაური თუ სათავადო აზნაურიც და საეკლესიო აზნაურიც; 3) უნდა ჩათვლილიყო თუ არა „დვორიანინად“ საქართველოდან გადახვეწილი და რუსეთში მცხოვრები ქართლის მეფე ვახტანგ VI-ისა და მისი შვილის, ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ბაქარის მიერ გაცემული სიგელები; 4) უნდა მიელოთ თუ არა „დვორიანინის“ წოდება ქართლ-კახეთის სამეფოში მცხოვრებ იმ სომხებსა და თათრებს, რომლებიც სამეფო კარზე დიდ თანამდებობებს იკავებდნენ და თავის დროზე ჰქონდათ მელიქის, ხანის, ბეგის, სულთნის და სხვა წოდებები.

ზემოთ დასმული საკითხების შესახებ ალექსეი ერმოლოვს ასეთი აზრი ჰქონდა: 1) სამეფო აზნაურებს, რომლებიც ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ სახაზინო (სახელმწიფო) აზნაურებად იქცნენ,

შეიძლებოდა დამტკიცებოდათ რუსეთის „დვორიანინის“ წოდება; 2) საეკლესიო აზნაურები, რომლებიც საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საეკლესიო მიწებზე კი არა, სახაზინო (სახელმწიფო) მიწებზე სახლობდნენ, სამართლებრივად სამეფო (სახელმწიფო) აზნაურებს გაუთანაბრებდნენ და ამდენად, რუსეთის „დვორიანინის“ წოდება შეიძლებოდა დამტკიცებოდათ; 3) სათავადო აზნაურებს, რომლებიც თავადების მიწაზე ცხოვრობდნენ და თავადებს ემსახურებოდნენ, არ შეიძლება დამტკიცებოდათ რუსეთის „დვორიანინის“ წოდება.

1822 წლის 16 მარტს სათავადაზნაურო საკრებულომ დაადგინა: საეკლესიო და სათავადო აზნაურები უფლებრივად გაუთანაბრდებოდნენ სამეფო აზნაურებს, თუ ისინი იხსენიებოდნენ გეორგიევსკის ტრაქტატისათვის დართულ ქართლისა და კახეთის აზნაურების სიაში. ის აზნაურები, რომლებიც ამ სიაში არ იხსენიებოდნენ და არც მეფისაგან ბოძებული აზნაურობის დამადასტურებელი სიგელი ჰქონდათ, რუსეთის იმპერიის „დვორიანინის“ წოდებას ვერ მიიღებდნენ.

რუსეთში ცხოვრებისას ვახტანგ VI-ისა და ბაქარის მიერ გაცემული აზნაურის დამადასტურებელი სიგელების ბედი ალექსეი ერმოლოვმა ვერ გადაწყვიტა. ეს საკითხი, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, მოგვიანებით, 1844 წელს, გადაწყდა. ამდენად, თუ ვახტანგ VI-ისა და ბაქარის მიერ გაცემული აზნაურობის დამადასტურებელი სიგელი ბათილად არ იყო ცნობილი შემდგომი მეფების მიერ, კანონიერად ჩაითვლებოდა.

რუსეთის იმპერატორის 1820 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულება აწესრიგებდა მელიქების, ხანების, ბეგებისა და სულთნებისათვის რუსეთის „დვორიანინის“ წოდების მინიჭების საკითხს. ამ შემთხვევაში „დვორინიანის“ წოდების ბედი ვახტანგ VI-ის სამართალსა და რუსულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა გადაეწყვიტა სათავადაზნაურო საკრებულოს.

1833 წელს, დიდი ხნის დავის შემდეგ, საბოლოოდ გადაწყდა სათავადო აზნაურების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის საკითხი, რომლებიც თითქმის ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ თავადებთან. ყოფილი სათავადო აზნაური სრულუფლებიანი „დვორიანინი“ უნდა გამხდარიყო. „დვორიანინის“ წოდების მიღება საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა. წოდების მიღებამდე სათავადო აზნაურები ჩაირიცხნენ სახაზინო გლეხების კატეგორიაში, მიიღეს სახაზინო მიწა და დაეკისრათ ისეთივე გადასახადები, როგორსაც სახაზინო გლეხები იხდიდნენ. ყოფილი სათავადო აზნაურებისათვის მიწის გადაცემის საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: 1) მიწა, რომელიც სათავადო აზნაურს მეფისაგან ჰქონდა ნაბოძები ან პირადად ნაყიდი, რჩებოდა აზნაურის მფლობელობაში; 2) თუ სათავადო აზნაური მეფემ თავადს მიწიანად უბოძა, მაშინ მიწა რჩებოდა თავადის მფლობელობაში; 3) თუ სათავადო აზნაურს მიწა თავადმა უბოძა, მაშინ მიწა რჩებოდა თავადის მფლობელობაში; 4) თუ სახაზინო გლეხთა კატეგორიაში ჩაირიცხული ყოფილი სათავადო აზნაური შემდგომში დაიმტკიცებდა „დვორიანინის“ წოდებას, სახაზინო ფონდიდან გამოყოფილი მიწა მის მფლობელობაში რჩებოდა.

1833 წელს სათავადო აზნაურების საკითხის მოგვარებას როგორც ქართლსა და კახეთში, ისე იმერეთში თავადებსა და აზნაურებს შორის დიდი დაპირისპირება მოჰყავა. 1836 წელს გადაწყდა, რომ სადავო საკითხები სასამართლოში განხილულიყო. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ საქმე, როგორც იქნა, მოგვარდა, მაგრამ ყოფილი სათავადო აზნაურები მეტად შეურაცხყოფილი დარჩნენ იმით, რომ თავადებიც და სასამართლოც მათ ისე ექცეოდნენ, როგორც ყმებს.

არანაკლებ რთული აღმოჩნდა დიდვაჭართა ფენის უფლებრივი მდგომარეობის საკითხის გადაჭრა. ამ საკითხის

მოგვარება დაიწყო მთავარმართებელმა ალექსეი ერმოლოვმა, მაგრამ ვერ დაასრულა. საკითხი საბოლოოდ 1832 წლის 24 აგვისტოს კანონით გადაწყდა. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, დიდვაჭრები (მოქალაქეები) აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებული. 1832 წლის 24 აგვისტოს კანონი დიდვაჭარს „დვორიანინად“ არ ცნობდა. კანონი დიდვაჭრებს ყმის ფლობას უკრძალავდა და ავალდებულებდა, რომ ოთხი წლის განმავლობაში ყმები ან გაეყიდათ, ან მათვის თავისუფლება ებოდებინათ. თუ დიდვაჭარი ყმას მიწიანად გაათავისუფლებდა, მაშინ იგი თავისუფალი ადამიანი ხდებოდა, ხოლო უმინდოდ გათავისუფლებული ყმა სახაზინო გლეხთა კატეგორიაში ჩაირიცხებოდა.



სოციალური კუთვნილებისა და მიწისმფლობელობის საკითხის მოგვარება თითქოს წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად ისეთი რამ გამომჟღავნდა, რომელმაც საგონებელში ჩააგდო არა მარტო კავკასიის მთავარმართებლები ივან პასკევიჩი (1827-1831) და გრიგორი როზენი (1831-1837), არამედ რუსეთის იმპერიის მთავრობაც. 1830 წლის მაისში თავადმა გაბაშვილმა თბილისის გუბერნატორს აცნობა, რომ თბილისში ვილაცები მეფეთა ყალბ სიგელებს ამზადებდნენ, რომლებიც თავადის ან აზნაურის წოდებას ადასტურებდა. გაბაშვილის წყალობით, დააპატიმრეს 16 პირი, მათ შორის რამდენიმე თავადი და აზნაური და სათავადაზნაურო საკრებულოს წევრი, თავადი დავით ბარათაშვილი. პოლიციამ ჩხრეკისას იპოვა მიწაში ჩაფლული ვახტანგ VI-ის ვაჟის, ტახტის მემკვიდრე ბაქარის, ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის, ქართლ-კახეთის მეფეების ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის, ასევე, სახლთუხუცეს თავად კონსტანტინე მუხრანბატონის ბეჭდები. დაპატიმრებულთაგან რამდენიმემ მაშინვე აღიარა ჩადენილი დანაშაული

და დასახელა ის 11 პირი, რომელთაც ყალბი სიგელების საფუძველზე ჯერ სათავადაზნაურო საკრებულომ, ხოლო შემდეგ საქართველოს უზენაესმა მთავრობამ დაუმტკიცა თავადის ან აზნაურის წოდება. მართალია, ყალბისმენებები დააპატიმრეს, მაგრამ იმ 11 პირის წინააღმდეგ, რომელთაც ტყუილი სიგელების საფუძველზე თავადის ან აზნაურის წოდება დაუმტკიცეს, საქმე არ აღუძრავთ. ამ დროისათვის თბილისში იმყოფებოდა სენატორი ევგრაფ მეჩ-ნიკოვი. სენატორი მთავარმართებელ ივან პასკევიჩის იმ საჩივრების შესასწავლად ჩამოვიდა, რომლებიც კავკასიის სამოქალაქო მმართველობის მოუწყობლობას ეხებოდა. მომხდარმა ეჭვქვეშ დააყენა თავადისა და აზნაურის წოდების მინიჭების მთელი პროცესი. ევგრაფ მეჩ-ნიკოვმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრს და გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ ბერკენდორფს, რათა ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, იმპერატორ ნიკოლოზ I-თვის გაცწონ საქმის ვითარება. სენატორი ევგრაფ მეჩ-ნიკოვი აუცილებლად თვლიდა შემდეგი ლონისძიებების გატარებას:

- 1) ყველა დონეზე (რუსეთის იმპერიის სენატის ჩათვლით) უნდა შეჩერებულიყო თავადის ან აზნაურის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება;
- 2) რუსეთის იმპერიის მთავრობას უნდა გამოეთხოვა ყველა სიგელი და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა თავადის ან აზნაურის წოდებას, ასევე, მიწის ფლობის უფლებას; უნდა დადგენილიყო, ვინ რა წოდებას და რამდენ მიწას ფლობდა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტამდე;
- 3) კანონიერად უნდა ჩათვლილიყო ის საჩივრები, რომლებიც სხვადასხვა ინსტანციაში შევიდა ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე;
- 4) თავადისა და აზნაურის წოდების მინიჭების, ასევე, მიწისმფლობელობის კანონიერების დადგენა უნდა დაევალებინათ არა კავკასიაში მოღვაწე სახ-

ელგატეხილი მოხელეებისათვის, არამედ საგანგებო კომისიისათვის, რომელშიც შევიდოდნენ იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სენატის მოხელეები.

სანკტ-პეტერბურგში გაგზავნამდე სენატორ ევგრაფ მეჩნიკოვის მოხსენება ივან პასკევიჩს წარედგინა, რომელმაც იგი მოიწონა. 1830 წლის 29 ნოემბერს რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტი დაეთანხმა საგანგებო კომისიის შექმნის იდეას. ამავე დროს მინისტრთა კომიტეტმა არ გაიზიარა სენატორ ევგრაფ მეჩნიკოვის მოსაზრება ყველა დონეზე თავადის ან აზნაურის წოდების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით საქმის შეწყვეტის შესახებ. მინისტრთა კომიტეტმა ჩათვალა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ეჭვქვეშ დგებოდა მრავალი პატიოსანი ადამიანის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში წარდგენილი კანონიერი დოკუმენტების ნამდვილობა.

საგანგებო კომისიის შექმნამდე საქართველოში მუშაობას აგრძელებდა ორი კომისია: ერთი – ართლა და კახეთში, მეორე – იმერეთში. ამ კომისიებმა მუშაობა 1831 წლისათვის დაასრულეს. სანამ საგანგებო კომისია თბილისში ჩამოვიდოდა, 1831 წელს, ივან პასკევიჩი მთავარმართებლის პოსტზე ბარონმა გრიგორი როზენმა (1831-1837) შეცვალა. ამ უკანასკნელს საგანგებო კომისიის მუშაობის შედეგები ძალზე აფიქრებდა. 1831 წლის 10 დეკემბერს მან მოხსენებითი ბარათი წარუდგინა რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრს და საგანგებო კომისიის მუშაობის შეჩერება მოითხოვა. 1832 წლის 25 თებერვალს მთავარმართებელმა მეორე მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა იუსტიციის მინისტრს. გრიგორი როზენი

აღნიშნავდა, რომ პეტერბურგიდან ჩამოსული საგანგებო კომისია ადგილობრივი მოხელეების გარეშე საქმეს თავს ვერ გაართმევდა. მთავარმართებლის წინასწარმეტყველება ახდა. კომისიამ უამრავი დოკუმენტის შესწავლას ორწელინად-ნახევარი მოანდომა. საერთო ჯამში, კომისიამ შვიდი წელი იმუშავა, თუმცა საქმეების განხილვა ძირითადად 1844 წელს დასრულდა. რუსეთის იმპერიის სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1844 წლის 23 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება. ამ ბრძანებით, სოლომონ II-ის მეფობის პერიოდში, 1804 წელს, შედგენილ ერთერთ დოკუმენტში მოხსენიებულ იმერეთის 11 თავადს წოდება დაუმტკიცდა. იმ 44 თავადს და 52 აზნაურს, რომელთაც 1830 წელს წოდება დაუმტკიცდათ და მათ მიერ წოდების დამტკიცებისას წარდგენილი დოკუმენტები საგანგებო კომისიამ ნაყალბევად ცნო, ასევე დაუმტკიცდა თავადისა და აზნაურის წოდება. ის დოკუმენტები, რომლებსაც სოლომონ II 1804 წლის შემდგომ აწერდა ხელს, ძალადაკარგულად იყო მიჩნეული ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის სენატის 1828 წლის 31 ივლისის დადგენილებით. ეს დადგენილება ძალაში დატოვეს.

თავადისა და აზნაურის წოდების დამტკიცებისათვის მიმდინარე ალიაქტოს საბოლოო წერტილი 1844 წელს კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულმა მიხაილ ვორონცოვმა დაუსვა. მეფისნაცვალმა სხვადასხვა ინსტანციაში თავადისა და აზნაურის წოდების დამტკიცებისათვის შესული საქმეები შეწყვიტა და მთხოვნელებს სასურველი წოდება პირდაპირ დაუმტკიცა.

ალინა ქადაგიშვილი

თბილისი – მუზეუმების აწმყო

18 მაისი – მუზეუმის საერთაშორისო დღე – წვიმიანი გამოდგა. დამიჯერეთ, ასეთ ამინდში გამოფენაზე წასვლას არაფერი სჯობს! მით უფრო, რომ, საგანგებოდ ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ ყველა მუზეუმსა და გალერეაში შესვლა თავისუფალი იყო... 1977 წლიდან ICOM-ის გადაწყვეტილებით (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო), 18 მაისი მთელ მსოფლიოში ღია კარის დღეებით აღინიშნება – ეწყობა გამოფენები, საგანმანათლებლო პროგრამები, სამეცნიერო კონფერენციები, ლექციები... უკვე მეცხრე წელია „მუზეუმის კვირეული“ იმართება საქართველოშიც.

შეთვებან მაღალაშვილი – 120

ისევ და ისევ 18 მაისს (ხშირად ვიმეორებ, რომ არ დაგვავიწყდეს!) თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრების ნაკადი არ შეწყვეტილა დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, სადაც წინა დღეს გაიხსნა შესანიშნავი გამოფენა „ქეთევან მაღალაშვილი – 120“. ალბათ, შეგინიშნავთ, რომ ჩვეულებრივ, პრეზენტაციაზე ყველგან უამრავი დამთვალიერებელი მოდის და შემდგომ დღეებში კი, რბილად რომ ვთქვათ, ხალვათობაა. ეს იმიტომ, რომ

გამოფენის გახსნაზე დასწრება თავისუფალია, ხოლო დანარჩენ დროს – საკმაოდ ძვირი, ყოველ შემთხვევაში, საარსებო მინიმუმთან შედარებით...

ქეთევან მაღალაშვილის (1894 –



1973) გამოფენისთვის დათმობილი ოთხი დარბაზიდან პირველში წარმოდგენილი იყო მხატვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსტენდები, ხოლო დანარჩენი სივრცე მთლიანად ფერწერულ ნამუშევრებს ეთმობოდა. აღნიშნული გამოფენა მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებისათვის ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედების

ერთიანი, კომპლექსური, რეტროსპექტული სურათის წარმოჩენას საქართველოს მუზეუმების ფონდებსა და კერძო კოლექციებში დაცული მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე.

გამოფენილი ფოტოების უმეტესობიდან ცნობილი „პარიზელები“ – ქეთევან მაღალაშვილი, ლადო გუდიშვილი, დავით კაკაბაძე და ელენე ახვლედიანი შემოგვყურებენ. ეს ოთხი უნიჭირესი ახალგაზრდა 1920 წელს, „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ შუამდგომლობით, მთავრობის სტიპენდიით, სასწავლებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა.

ექსპოზიციის მხოლოდ მცირედ ნაწილს იკავებს პეიზაჟები თუ ნატურმორტები, რადგან თუ ელენე ახვლედიანი უბადლო პეიზაჟისტია, ქეთევან მაღალაშვილი პორტრეტის აღიარებული ოსტატია. საყოველთაოდაა ცნობილი ორი ხელოვანის მეგობრობა, რომელმაც სიბერემდე გასტანა. ვინც მათ იცნობდა, გაოცებული იყო ასეთი განსხვავებული ხასიათის ადამიანების სულიერი ერთობით. გამოფენაზე ელენე ახვლედიანის ოთხი პორტრეტია წარმოდგენილი: ადრეული, გასული საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება, გვიანდელი კი 60-იან წლებშია შექმნილი (პორტრეტი პასტელებით არის შესრულებული და, როგორც მხატვრული სინამდვილით, ისე შინაარსობრივი დატვირთვით დანარჩენებს აღემატება). მართლაც, კარგად უნდა იცნობდე ადამიანს, რომ ასე დახატო... 1924 წელს შესრულებულ ახვლედიანის პორტრეტზე ვხედავთ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ბიჭივით თამამი მზერა და ჯიუტად მოკუმული ჭირვეული ტუჩები აქვს. ყველაზე ხშირად აქ ჩერდებიან დამთვალიერებლები, უყურებენ და სურათს უდებენ – დიდება მისი ხვედრია.

ქეთევან მაღალაშვილმა სახელი გაითქვა, როგორც რეალისტური სკოლის ტიპურმა წარმომადგენელმა,

თუმცა, როგორც ამ გამოფენიდანაც ჩანს, მხატვარმა არაერთი მიმდინარეობის გავლენა განიცადა, მაგალითად, რომანტიზმისა და იმპრესიონიზმის. რაც შეეხება 60-იან წლებში დახატულ ელისო ვირსალაძის პორტრეტს, იგი სრულად გადმოგვცემს ეპოქის სულს – გამოსახვის სიზუსტე ადგილს უთმობს პირობითობას, მაგრამ გარეგნული მსგავსება მაინც მიიღწევა... მხოლოდ პიანისტის ერთი ხელის მტევანია დეტალურად შესრულებული, თითქოს ფოტოთვალი მასზე შეჩერდა, სრულიად გამიზნულად. გავაგრძელებ ამ თემას და ვიტყვი, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1941 წლით დათარიღებული ახალგაზრდა სვიატოსლავ რიხტერის პორტრეტი, დამახასიათებელი ენერგიული სახის ნაკვთებითა და ძლიერი ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპით; მისი ხელები, განსაკუთრებით კი მარცხენა ხელის ორი თითი ნახევრად მოხრილია, დაძაბული, თითქოს დასაკრავად ემზადებოდეს. სკამი, რომელზეც მუსიკოსი ზის და თვით როიალიც კი გაკვრით, მინიშნებითაა ნაჩვენები და ერწყმის ფონს, რომელიც თავადაც მუსიკალურია...


ქეთევან მაღალაშვილის უპირველესი დამსახურება სწორედ ის გახლავთ, რომ თავისი დროის გამოჩენილი ადამიანების პორტრეტების შექმნით მან დაგვიტოვა ქართული სახელოვნებო და მეცნიერული ელიტის სახვითი მატიანე. მის ტილოებზე კვლავაც ცოცხლობენ იაკობ ნიკოლაძე, შალვა დადიანი, ნატო ვაჩინაძე, მედეა ჯაფარიძე, ანა კალანდაძე...

წარსულში მოგზაურობამ ისე გამოტაცა, რომ გამოფენა ბოლო წუთებში დავტოვე, თუმცა შორს არ წავსულვარ – იქვე ახლოს, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გადავინაცვლე, გამოფენა „ავანგარდის“ გახსნაზე.

მარად ახალგაზრდა „ავანგარდი“

18 მაისთან დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა – გამოფენა „ავანგარდი 1900 – 1937“ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საკმაოდ მოუწყობელ დარბაზში (ამის შესახებ კულტურის მინისტრმაც ისაუბრა და როგორც მუზეუმის მესვეურებს, ასევე დამსწრე საზოგადოებას შენობის სრულ რეაბილიტაციას შეპირდა). ასეთ მასშტაბურ ექსპოზიას, ცხადია, შესაბამისი არტ-სივრცეც სჭირდება და განათებაც – სიბნელესა და სიმჭიდროვეში საერთოდაც ძნელია რაიმეს სრულყოფილად აღქმა...

„ავანგარდი 1900 – 1937“ მუზეუმის თანამშრომელთა ორწლიანი შრომის შედეგია, თვით რესტავრაციული სამუშაოების ჩათვლით. მის ხელმძღვანელს, ქ-ნ ნანა შერვაშიძეს უზრუნია ექსპოზიციის შემეცნებით მხარეზე: ყველა ნამუშევარს თან ახლავს მცირე ან მოზრდილი ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც საუბარია ავტორზე, იმ მიმდინარეობასა და ტენდენციებზე, რომლებსაც ის იზიარებდა და თავად კონკრეტულ ხელოვნების ნაწარმოებზეც. არ არის გასაკვირი, რომ ეს „შპარგალკები“ დამთვალიერებლებმა განსაკუთრებული ენთუზიაზმით მიიღეს... გამოფენასთან დაკავშირებით გამოიცა ორენოვანი კატალოგი, რომელშიც, მუზეუმის ავანგარდული ხელოვნების კოლექციის ისტორიასთან



ერთად, სრულად არის დაბეჭდილი ილია ზდანევიჩის დღიურები, სადაც აღწერილია მისი შეხვედრები ფიროს-მანთან. აქვე უნდა გითხრათ, რომ პროექტის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 16-18 ივნისს ეროვნულ მუზეუმში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია სახელმო-დებით „ავანგარდის იდეა ხელოვნებასა და ლიტერატურაში“. თავად ეს გამოფენაც ეძღვნება ავანგარდის იდეისა და კონცეფციის, თეორიისა და ალოგიზმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, პოლონური ნარმოშობის ქართველი პოეტისა და ლიტერატორის ილია ზდანევიჩის (ილიაზდი. 1894 – 1975) ხსოვნას. მები ილია და კირილე ზდანევი-ჩები ვერ თავსდებიან ერთი რომელიმე ქვეყნის კულტურის ფარგლებში: იქნება ეს ქართული, რუსული, პოლონური თუ ფრანგული ხელოვნება. თავის დროზე სწორედ ამ ორი არტისტის კერძო კოლექციების წყალობით გამდიდრდა მუზეუმის ფონდიც.

გამოფენილი ნამუშევრების უმრავლესობა ცნობილია ქართველი ხელოვნების მოყვარულთათვის, თუმცა ამ სახით, ერთ საგამოფენო სივრცეში, ერთ დროით კონტექსტში მათი დათვალიერების შესაძლებლობა მხოლოდ აქ გეძლევათ. ამასწან, ექსპოზიციის ერთი ნაწილი, საერთოდ, პირველად წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე.

ასეთ მრავალეროვნებას ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი! ერთადერთი, რაც ამ „ჭრელ“ სა-

ზოგადოებას აერთიანებს, ეპოქის სულია – დაუცინყარი 10-20-იანი წლების შემოქმედებითი ძიებები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ხელოვნების მუზეუმის კოლექციებში დაცული ვასილ კანდინსკის, ფიროსმანის, მიხეილ ლარიონოვის, ნატალია გონჩაროვას, ოლგა როზანოვას, კირილე ზდანევიჩის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ზიგა ვალიშვილის, კაზიმირ მალევიჩის, ალექსეი კრუჩიონის, რობერტ ფალკის, ოსვალდო ლიჩინის, ალექსანდრ შევჩენკოს, შალვა ქიქოძის, მიხეილ ბილანიშვილის, ვოლდემარ ბობერმანის, ლევ ბრუნის და კლიმენტ რედკოს 100-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, საარქივო მასალა, ავანგარდული აფიშები და წიგნები.

რატომ თბილისი? გასული საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიის საოლქო ცენტრი სხვადასხვა ეროვნების ხელოვანთათვის შთაგონების წყაროდ და კულტურის მნიშვნელოვან კერად რჩებოდა. ყოველგვარ სიახლეს აქ გაგებით ეკიდებოდნენ...

ცხადია, ერთ წერილში შეუძლებელია მეტ-ნაკლებად მაინც მიმოვინილოთ ყველა ამ მხატვრის ნამუშევარი – ეს იმთავითვე არ მქონია მიზნად. მინდა გიამბოთ ძველ ნაცნობებსა და მოულოდნელ შეხვედრებზე, რადგან მჯერა, რომ შესაძლოა, ხელოვნების ნაწარმოებს, როგორც პიროვნებას, ისე მოვექცეთ... მაგალითად, შეხვედრები, დავდგეთ მის გვერდით და გავესაუბროთ...

პირველი გაჩერება: ნიკო ფიროსმანი. ყველასათვის ნაცნობი „გოგონა წითელი ბუშტით“, ღვინის სარდაფის აბრა – *Распивочно и на вынос*, „მუშაკასრით“.

მეორე გაჩერება: კირილე ზდანევიჩი. „ნატურმორტი“, 1919 წ. და „პოეტ კოლაჟ ჩერნიავსკის პორტრეტი“, 1920-იანი წლები – მხატვრის სავიზიტო ბარათები.

მესამე გაჩერება: იტალიელი ოს-

ვალდო ლიჩინი – აბსტრაქტული კომპოზიცია „იშვიათი ჩიტი“. მართლაც იშვიათი ლაკონურობის ნამუშევარი!

მეოთხე გაჩერება: ვასილი კანდინსკი. „სურათი წრით. პირველი უსაგნო“, 1911 წ. ამ ნაწარმოებმა განსაკუთრებით გამახარა – ეს ხომ კანდინსკის პირველი აბსტრაქტული კომპოზიციაა, რომელშიც ცნობად სამყაროზე უბრალო მინიშნებასაც კი ვერ იპოვით.

მეხუთე გაჩერება: დავით კაკაბაძე. ვის არ ახსოვს „კონსტრუქციულ-დეკორაციული კომპოზიცია?“ – მხოლოდ სათაურის გამო მაინც? ალუმინის ჩარჩოებში ჩასმული „აბსტრაქციები“...

მეექვსე გაჩერება: შალვა ქიქოძე. სამი ტილო სერიიდან „ტიკინების ცხოვრება“. ერთსა და იმავე, 1921 წელს დახატული „აჭარა“ და „პარიზი“!

მეშვიდე გაჩერება: ლადო გუდიაშვილი. ერთდროულად ნაცნობიცაა და უცნობიც. ერთსა და იმავე ფერთა გამაში გადაწყვეტილი მისი ორი ნაწარმოები: „ავტოპორტრეტი“ (1919წ.) და „მერანი“ (1918წ.) ავანგარდისთვის გადახდილი ხარკია, სადაც იყითხება მხატვრის სულ უფრო მზარდი დაინტერესება ქართული ეროვნული კულტურით.

გამოფენის სათაურს „ავანგარდი“ 1900 – 1937⁷ უფრო სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რეტროსპექტული. ამ წყვილში პირველი თარიღი ერთდროულად ახალი საუკუნისა და ავანგარდის გარიურავს აღნიშნავს, ხოლო მეორე, საბედისნერო, აზროვნებისა და შემოქმედების თავისუფლების, avant-garde-ის, მოწინავე იდეების მზის დაბნელებაა, მაგრამ არა ჩასვენება, სიკვდილი.

ხელოვნების დიქტატი ომის საშინელებათა საპირონედ – აი, რა იყო ავანგარდი. უნდა ვნახოთ ეს გამოფენა, რათა ვიცოდეთ, სად ვიყავით მსოფლიო კულტურის რუკაზე, სანამ საქართველოსაც ბოლშევიზმის სენი შეეყრებო-

და... სანამ 37 წლის „წმენდა“ დაიწყებოდა! 1910 წელი – მოსკოვში ხელოვანთა ჯგუფი «Бұйнөвый валет»-ი შეიქმნა... ტფილისში 1918 წელს ფუტურისტების სინდიკატი ზაუმური პოეზიის საღამოს ატარებს... ზიგმუნდ ვალიშევსკი საქართველოს დედაქალაქში გამომავალი უურნალი Ars-ის გარეკანს აფიორმებს... დღეს კი, ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში მეამბოხე არტისტების თაყვანისმცემელები მოვიდნენ.

დამე მუზეუმში

21 მაისის გვიან საღამოს ძველ თბილისში მოსეირნე ადამიანების ჯგუფებს დაინახავდით. ამ ტურისტული უბნის-თვისაც კი უჩვეულო გამოცოცხლებას საზეიმო იერი დაჰკრავდა... ვინც ასე იფიქრა, არ შემცდარა – ამ დღესასწაულს ჰქვია „ლამე მუზეუმში“.

ეს კულტურული ღონისძიება, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაში უკვე წლებია ტარდება, საქართველოსთვის „ახალი ხილია“ და თანაც საკმაოდ მოკლე ვადაშია „მომწიფებული“. ამიტომ წინასწარ დავთქვათ, რომ ამ წერილში ხარვეზებს მკაცრად არ განვსჯით, ლირსებებზე უფრო გავამახვილებთ ყურადღებას.

რას ნიშნავს „ლამე მუზეუმში“? 21 მაისის საღამოს ცხრა საათიდან 22 მაისის ღამის პირველ საათამდე საქართველოს ყველა მუზეუმისა და გალერეის კარი ლია იყო მნახველებისთვის. ცხადია, ყველა მათგანს საკუთარი ექსპოზიცია და პროგრამა ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებით მომხიბვლელად მაინც „ქარვასლის“ აფიშა გამოიყრებოდა, რომელიც ცნობილ მწერლებთან, მთარგმნელებთან და მხატვრებთან შეხვედრას გვპირ-

დებოდა. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ვამჯობინე და თბილისის ისტორიის მუზეუმს მივაშურე. ყველას გემახსოვრებათ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია... თბილისურ ამბებში რომ არ დავკარგულიყავით, მეგზურობას სამი „გიდი“ გვიწევდა: ცირა ელისაშვილი, ირინა მანია და გოგა ჩანადირი. აედევნებოდი რომელიმე მათგანს და ასჯერ ნანახს ამ ერთხელ გაგონილ უცნობ ამბავს მიუმატებდი.

ერთ-ერთ ფოტოგამოფენაზე შემთხვევით ჩემს ფრანგ მეგობარს შევხვდი, რომელსაც უფრო მეტად თბილისის ძველი ფოტოების დათვალიერება აინტერესებდა. მე სიტყვა პარიზზე ჩამოვუგდე. „უნდა ნახოთ, რა ხდება ასეთ დროს ლუვრის ან სხვა დიდი მუზეუმების წინ: საათობით რიგში დგომა გინევთ, სანამ შენობაში შეხვალთ. შემდეგ კი დაახლოებით იმგვარ შემოწმებას გაივლით, როგორიც აეროპორტებშია...“ და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი საგამოფენო დარბაზში მოხვედრა? გამოდის, რომ ფრანგულთან შედარებით ჩვენს „მუზეუმების ღამეს“ ერთბაშად რამდენიმე უპირატესობა ჰქონია: ვერსად ნახავდით რიგებს, ლოდინით დაღლილ სახეებს ან უსაფრთხოების კონტროლით გამოწვეულ უხერხულობას.

ქარვასლის მესამე სართულზე ერთი დარბაზი აღმოსავლურ ყაიდაზე მოეწ-



ყოთ. მხატვრები მაია და მამუკა ცეცხლაძეები და ვახო ბუღაძე ჩვენ თვალწინინ ქმნიდნენ ეგზოტიკურ და სიცხით გათანგულ სურათებს, რომლებზეც თანდათან გამოკვეთდნენ ფარშევანგს, აქლემებსა და ჩალმიან უცნობს... ისინი იმ ბავშვებს ჰგავდნენ, რომლებსაც აღმოსავლეთის თემაზე რაიმეს დახატვა დაავალეს. ალბათ, ძალიან კარგია, როცა შეიძლება ბავშვს შეგადარონ... პიკასოს აზრით, მხატვრისთვის უკეთესი კომპლიმენტი არც არსებობს.

ამავდროულად, დარბაზის შუაგულში, იმპროვიზებულ ოთახში, კედლების მაგივრად ხალიჩებით რომ იყო შემოსაზღვრული, ისხდნენ მანანა დუმბაძე, გიორგი ლობჟანიძე და ნომადი ბართაია. და რადგან მსმენელ-მაყურებელთა რაოდენობა სკამებისას ბევრად აღემატებოდა, იატაკზეც ხალიჩები დაეფინათ. ზოგიერთებმა ფეხზე დგომას, მართლაც, ძირს მოკალათება ამჯობინეს. გიორგი ლობჟანიძე და ნომადი ბართაია ქართულად „ნათარგმანებ“ სპარსული პოეზიის მარგალიტებს გვჩუქნიდნენ, ცხონებული მაგალი თოდუაც თითქოს უხილავად ესწრებოდა ამ თავყრილობას... ქალბატონმა მანანამ კი ავღანეთში გატარებული ერთი წელიწადი გაიხსენა და საკუთარი წიგნის, „ავლანეთი ბარონის“ ჭუჭრუტანი-

დან“ რამდენიმე გვერდი წაგვიკითხა. საკმაოდ უჩვეულო ლიტერატურული საღამოს მშვენებას, უდავოდ, ჩვენი სტუმრები, ირანელი გოგონები – ჯინუს იეგანი და ნაპიდ ანსარი წარმოადგენდნენ. ორივენი თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები არიან. ჯინუსმა უძველეს და ურთულეს ირანულ საკრავზე, სანთურზე დაუკრა, ხოლო ნაიდი სპარსულად მღეროდა. ყველაფერი საუცხოოდ ჩაივლიდა, დარბაზში რომ ასეთი ხმაური არ ყოფილიყო: აღმოსავლური ტკბილეულითა და ქართული წითელი ღვინით გაგემრიელებულ საღამოს წესრიგილა აკლდა, თუმცა ესეც გასაგებია – დარბაზში ხალხის უწყვეტი ნაკადი მიმოდიოდა, ერთნი ფოტოგამოფენას ათვალერებდნენ, სხვანი მხატვრების მუშაობას აკვირდებოდნენ. საბოლოოდ გარშემო ისე შემოგვივლიდნენ ხოლმე, თითქოს კუნძულზე ვყოფილიყავით. მერე გარეთ გადიოდნენ, ძალიან ცოტა თუ რჩებოდა მოსასმენად. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, არც „თბილისურ ისტორიებს“ და არც „აღმოსავლეთს“ გულშემატებიანი არ დაჰკლებია. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენს მუზეუმებს აწმყოც ისევე წყალობს, როგორც წარსული...





ଓঁসো ৩ প্রাক্তন